საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
მეცნიერულ-პოპულარული სერია „ათინათი“

ლეილა მარგოშვილი

ჩაცმულობა, რომელიც მოდას არ დაგიდევთ

(ცენტრალური კავკასიის მთიელთა ჩაცმულობა)

თბილისი
„მეცნიერება“
1992

63.5 (2Каа)
39 (479)
ბ 291

ნაშრომი ეძღვნება წოვა-თუშებისა და ვეინახების (ჩეჩნები, ინგუშები, პანკისის ხეობის ქისტები) ქალისა და მამაკაცის ტანსაცმელს, რომელიც განხილულია შედარების ჭრილში.

წერილობითი, საარქივო, ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე აღწერილია სამოსში შემავალი ყველა ელემენტი, მისი დამზადებისა და მოხმარების ტრადიციები. გამოკვეთილია თვითმყოფადი ელემენტები და მეზობლების გავლენით მომხდარი ცვლილებები თავსაბურავის, ფეხსაცმლისა და სამკაულის ჩათვლით.

ნაშრომში მოტანილია ტანსაცმელთან დაკავშირებული ტრადიციები, რაც ინტერესმოკლებული არ იქნება მკითხველისათვის.

ნაშრომს ახლავს საილუსტრაციო მასალა. იგი განკუთვნილია ეთნოგრაფებისა და ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

რედაქტორი ისტ. მეცნ. კანდ. ა. ს ო ხ ა ძ ე

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. დოქტორი მ. გ ო ნ ი კ ი შ ვ ი ლ ი
ისტ. მეცნ. კანდიდატი ლ. ფ რ უ ი ძ ე

ბ $\frac{0505000000}{М\ 607\ (00)-92}$ 201—91

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1992

ISBN 5—520—01016

რედაქტორისაგან

წინამდებარე მონოგრაფია წარმოადგენს ავტორის იმ ჩინებული ნაშრომის გაგრძელებასა და შევსებას, რომელსაც ეწოდება „ცენტრალური კავკასიის მთიელი ქალის ტანსაცმელი“.

ამ მონოგრაფიაში, უფრო მეტად, ვიდრე დასახელებულ ნაშრომში, ავტორს მიეცა შესაძლებლობა კავკასიური ჩაცმულობის მიმართ გაეკეთებინა მაქსიმალურად დასაბუთებული დასკვნები და სხვა ხასიათის ზოგადი დებულებები.

ნაშრომის მთავარი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ იგი არის იმის ერთ-ერთი მკაფიო მაჩვენებელი, რომ კავკასიის თავდაპირველ აბორიგენებს, მათ ყოფასა და კულტურას, საერთო სათავე გააჩნიათ, რომ მათ ერთი დედის ძუძუ უწოვიათ. ამის ცხადყოფას კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ ამ ხალხთა შორის ნათესაობის შეგნება და გრძნობა განმტკიცდეს, ახალი შინაარსი მიეცეს. ამ მიმართულებით მრავლისმთქმელია, მაგალითად, ავტორის მიერ მოყვანილი აკაკი შანიძის სიტყვები: „ზნე-ჩვეულება, ჩაცმა-დახურვა და ყოფა-ცხოვრების სხვა ნიშნები თუშებს (წოვა, ჩაღმა) ყოველთვის ერთი ჰქონდათ და აქვთ, მიუხედავად იმისა, ქართულად ლაპარაკობენ თუ წოვა-თუშურად“.

ჩაცმულობის მხრივ ქართველ და ჩრდილოკავკასიელ აბორიგენთა შორის ერთობა მკაფიოდ შეინიშნება. მაგალითად, ვეინახი მამაკაცი იცვამდა, ისევე როგორც კავკასიის ყველა მთიელი, ახალუხს, შალის ჩოხას, ზამთარში იხურავდა ცხვრის ტყავის ქუდს, ზაფხულში ნაბდის ქუდს — ლ ა ბ, ფეხზე იცვამდა პაჭიჭებს, ჩუსტებს, შალის შარვალს. ამ ნიშნების მიხედვით, მამაკაცის ვეინახური კოსტუმი სავსებით ემთხვევა მამაკაცის ქართულ კოსტუმს.

ავტორი უარყოფს გ. სერგეევას მოსაზრებას, რომლის მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ კავკასიის მასშტაბით მამაკაცის სამოსს ლოკალური თავისებურება არ ახასიათებდა. ეს ლოკალური თავისებურება ანუ სპეციფიკა წინამდებარე ნაშრომში გამოკვეთილადაა ნაჩვენები აღწერილი კოსტუმების ცალკეულ ელემენტთა განხილვისას. მკაფიოდ გათვალისწინებულია, რომ ვეინახურ სამოსს ბევრი რამ სა-

ერთო აქვს ქართულ ეროვნულ სამოსთან, მაგრამ მას თავისებური (სპეციფიკური) ნიშნებიც ახლავს.

სხვა მრავალთაგან ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია სამოსის ელემენტების ადგილობრივ სახელებზე. ავტორი აღნიშნავს, რომ ვეინახები ახალუხს უწოდებენ ღ ო ვ თ ა ლ-ს, დაღესტნელი კუმიკები — ყ ა ფ თ ა ლ-ს, ხოლო აგულები და ლეზგები — ვ ა ლ ჩ ა გ-ს.

მისი აზრით, „თუკი ამ ელემენტის სახელწოდება მეზობელ ხალხებს საკუთარი აქვთ, არ შეიძლება ქართველ ხალხსაც არ ჰქონდეს ახალუხის შემცვლელი სხვა სიტყვა, რადგან ეს სამოსი ეცვა ყველა ქართველს — თუშს, ფშაველს, კახელს, იმერელს, მეგრელს, გურულს და სხვ. თუმცა ქართულში ახალუხს ზოგჯერ საგულეს უწოდებდნენ, სვანები — კ ა ბ და ვ ო ს ა რ ი კ ა ბ-ს (ე. ი. „ჩოხის კაბა“).

ავტორის ვარაუდი სავსებით მართებულია. უეჭველია, რომ ქართველებს, ისევე როგორც ვეინახებს, დაღესტნელ კუმიკებს, აგულებს და ლეზგებს, უნდა ჰქონდეთ ახალუხის აღმნიშვნელი საკუთარი სიტყვა. ასევე ითქმის ქართული ეთნიკური ჩაცმულობის სხვა ზოგიერთი ელემენტის მიმართ.

„ახალუხი“ თურქულიდან შემოსული სიტყვაა. მისი შესაბამისი ქართული სიტყვაა ს ა გ უ ლ ე, რომლის სვანური ეკვივალენტია ვ ო ს ა რ ი კ ა ბ („ჩოხის კაბა“). მართალია, კ ა ბ, ისევე როგორც კ ა ბ ა, სიტყვის წინაპარია არაბული ყ ა ბ ა, მაგრამ მთლიანად (წარმოების მიხედვით) ვ ო ს ა რ ი კ ა ბ სვანურია, ქართველურ ენათა ოჯახს განეკუთვნება. მეგრულად ჩოხას ეწოდება ღ ა რ თ ი, რომელიც საჩოხე ქსოვილის — შალის — აღმნიშვნელიცაა. ეს ტერმინიც ქართველურ ენათა ოჯახის კუთვნილებაა, არავისაგან შეგვითვისებია.

ნაშრომში ფიქსირებული ყველა ვეინახური ტერმინის კომპლექსი წარმოადგენს ძვირფას წყაროს არა მარტო ეთნოგრაფებისათვის, არამედ იმ სპეციალისტებისათვის, რომლებიც იბერიულ-კავკასიური ენების პრობლემებს იკვლევენ.

ავტორმა დაასაბუთა, რომ ვეინახების, ჩერქეზების, აფხაზების, დაღესტნელებისა და ქართველების სამოსის ის კომპლექსი, [illegible] რუსებმა „ჩერკეზკა“ უწოდეს, საერთო წყაროდან მომდინარეობს. მათი სახეობანი, თარგის მიხედვით, ერთობას ამჟღავნებენ. ამიტომ ამ კომპლექსს ზოგადკავკასიური უნდა ეწოდოს და არა „ჩერქეზული“.

საგულისხმოა, რომ არა მარტო ვეინახური და ქართული ჩოხა და ახალუხი, არამედ ადგილობრივი სამოსის სხვა მრავალი ელემენტიც კავკასიური კოსტუმების ერთობის მაუწყებელია. ასეთია, მაგალითად, სამწყემსო ნაბადი, რომელსაც ვეინახები (გარდა ქისტებისა) ჯ ი ე ლ ი ე ლ ო ა ვ ე რ თ-ს უწოდებენ. მისი ქისტური სახელია თ ი ე ქ, რომელიც, ავტორის აზრით, ქისტებმა ქართული სიტყვა „თექის“ მი-

ხედვით შეიმუშავეს. ვეინახური მწყემსის ნაბდის თანხვედრილია თუშური საწვიმარი ანუ თ ე ქ ა ნაბადი და მეგრულ-აფხაზური გ ვ ა-ბ ა ნ ა კ ი (აფხ. გ უ ა ბ ა ნ ა კ) ანუ გ ვ ა ბ ი ნ ა.

ქალის თავბურვის საერთო ელემენტებიდან განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ჩ ი ხ ტ ა, რომლის მიმართ ავტორი წერს: „XVII—XIX სს., როცა მუსლიმანურმა რელიგიამ თანდათანობით ფეხი მოიკიდა ჩეჩნეთში, ქალის თავშლის ტარების წესი უფრო გართულდა. სოფლის მამასახლისმა — ი უ რ თ დ ა — მდედრობითი სქესი 15 წლის ზევით იძულებული გახადა ეტარებინა ჩ უ ხ ტ. ტერმინი ჩ უ ხ ტ ქართულ ჩიხტასთან კავშირშია, მაგრამ მისი დამზადებისა და გამოყენების წესი სხვადასხვაა"; მაგრამ სავარაუდოა, რომ ჩეჩნეთში ჩიხტის არსებობა XVII საუკუნეზე ადრინდელი მოვლენა უნდა იყოს და მას მაინცდამაინც მუსლიმანობასთან არ უნდა ჰქონდეს კავშირი.

მეტად საგულისხმოა, რომ ქართველების ვეინახებთან ნათესაობა შეინიშნება როგორც ჩაცმა-დახურვის წესებში, ისე მათ მიერ სამოსის მიმართ შემუშავებულ შეხედულებებში.

ამ შეხედულებებიდან ერთ-ერთი დაკავშირებულია ქუდთან. ქუდი ვეინახებში, ისევე როგორც ქართველებში, ვ ა ჟ კ ა ც ო ბ ი ს ს ი მ-ბ ო ლ ო იყო, რასაც ადასტურებს ავტორის მიერ განხილული მრავალი საგულისხმო მონაცემი.

კიდევ შეიძლება მრავალი მაგალითის მოტანა იმის დასადასტურებლად, რომ ვეინახებსა და ქართველებს ერთნაირი იდეები ჰქონდათ შემუშავებული სამოსისა და მისი შემკულობის ზოგიერთი ელემენტის მიმართ.

მეტად საინტერესოა ნაშრომის ის ნაწილი, რომელიც შეეხება მიცვალებულის სამოსს, მისი შესუდვრის წესს. ირკვევა, რომ მიცვალებულის შესუდვრის ანუ შემოსვის წესს ვეინახებსა და ქართველებში, უძველესი დროიდან მოყოლებული, მრავალი საერთო ნიშანი გააჩნდა. ასევე უნდა ითქვას გლოვა-დატირებისა და მიცვალებულის სულის მსახურების წესთა მიმართ (მაგალითად, მიცვალებულის სახელობაზე მოწყობილი დოღი ძირითადად ისევე სრულდებოდა, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში).

სავსებით ვეთანხმები ავტორს, რომ „ნაშრომში თავმოყრილი მასალა სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებად არის ცნობილი და იგი მკითხველისათვის და საკითხით დაინტერესებული პირისათვის ინტერესსმოკლებული არ იქნება".

გადაწყვეტით შეიძლება ითქვას, რომ ნაშრომი კავკასიის ეთნოგრაფიის ძვირფასი შენამატია.

ა. სოხაძე

წინათქმა

ქართულ-კავკასიური ტანსაცმლის ისტორიის შესწავლა ჩვენს წინამორბედებს ყურადღების გარეშე არ დაუტოვებიათ, მაგრამ დღეს მის კვლევას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა, გამოქვეყნდა ამ საკითხისადმი მიძღვნილი არაერთი ნაშრომი, თუმცა ფრიად მცირეა ის ლიტერატურა, რომელიც ცენტრალური კავკასიონის მთიანეთის მკვიდრთა ჩაცმულობას შეეხება.

ცნობილია, რომ ეროვნული სამოსი — ეს არის ნივთიერი კულტურის ძეგლი, რომელიც ასახავს ამა თუ იმ ხალხის ისტორიულ წარსულს, მათი ყოფის თავისებურებას, რომლის განვითარება უხსოვარი დროიდან მომდინარეობს და ყველა კუთხეში თავისებურადაა ფორმირებული.

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „საქართველოში ტანისამოსის დიდი მრავალფეროვნებაა სხვადასხვა კუთხის მიხედვით. სრულიად სხვადასხვანაირად იმოსებიან: ხევსურები, თუშები, ფშავლები, რაჭველები, სვანები, გურულები და საერთოდ — აღმოსავლეთისა და დასავლეთის საქართველოს ხალხი... ტანისამოსის განსხვავება თემების მიხედვით შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც საუკუნეთა განმავლობაში არსებული ტანისამოსის ნაშთი“. ცხადია, ეს სხვადასხვაობა უმეტესად თავს იჩენდა ელემენტების გაფორმებაში, სიგრძეში და ჭრილებში.

ნაშრომში ძირითადად წარმოდგენილია, ერთი მხრივ, საქართველოს ტერიტორიაზე ოდითგანვე მოსახლე ვეინახებთან მჭიდრო ურთიერთობის მქონე წოვა-თუშების, პანკისის ხეობაში კომპაქტურად დასახლებული ქისტების, ხოლო, მეორე მხრივ. ჩრდილო კავკასიის ვეინახების (ჩეჩნები, ინგუშები) ქალისა და მამაკაცის ტანსაცმელი. აქ ბევრი საინტერესო საკითხი იჩენს თავს: ტანსაცმლის ზოგიერთი ნიმუში ახალი ყოფის ნიადაგზე ჩნდება, დღემდე ვითარდება და თვითმყოფადობის ნიშანსაც ავლენს, ზოგი ძველი ყოფის გადმონაშთია და ჯერჯერობით სიცოცხლისუნარიანობას ინარჩუნებს, ხოლო ზოგი მთლიანად ქრება.

ჩეჩნებსა და ინგუშებს, როგორც ჩრდილო კავკასიის მკვიდრთ, ხოლო ქისტებს — საქართველოს ტერიტორიაზე მაცხოვრებლებს, კულტურის, ეკონომიკისა და ყოფის სფეროში სხვადასხვა კუთხის

ხალხთან ჰქონდათ ურთიერთობა და ამდენად, მათ ნივთიერ კულტურაში მომხდარი ცვლილებები მეზობლების გავლენითაც ხდებოდა. თუშები კი, საკვლევ პერიოდში, კახელების გარემოცვაში, ბარში ცხოვრობდნენ და მათმა ქალისა და მამაკაცის სამოსმა ნაწილობრივ რღვევა განიცადა — უფროს თაობაში თავდაპირველი სამოსის შენარჩუნებით, ახალგაზრდებში ჩოხისა და ქათიბის ადგილი დაიკავა „პალტოდ“ „სახელდებულმა გარე სამოსმა, ფეხსაცმელი ჩ ი თ ა შეცვალა „ჩუსტმა“, „ტუფლმა“ და სხვ.

ამ ოთხი რეგიონის მოსახლეობის ქალისა და მამაკაცის სამოსის კომპლექსურმა შესწავლამ დაგვანახა, რომ ჩასაცმელს, აკვნის პერიოდიდან სიბერემდე, გარდა თავისი პირდაპირი დანიშნულებისა, ახასიათებს სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური და მეურნეობრივი ხასიათის ნიშნებიც. თავს იჩენს თვითმყოფადი ელემენტების ევოლუცია და ახალ გარემოში ათვისებული ზოგიერთი ელემენტიც. მაგ., პანკისელი ქისტები, როგორც სხვა კუთხის ეთნიკური ჯგუფი, ახალ ისტორიულ გარემოში, საკუთართან ერთად, ქმნიან სამოსის ახალ ელემენტებსაც: წელმოკერებული კაბა — ჲ უ ყ — ხ ᲩᲗ ი ნ კ ᲨᲑ, მამაკაცის ქულაჯა — ქ უ ლ ა ჯ, ჭრელი წინდები — ყ ო რ ძ ᲑᲭ ო რ ჯ უ მ ა შ, შიდა პერანგი — პ ი ე რ ე ი ნ გ და სხვ. მაგრამ ის ტრადიციული სამოსი მაინც არ კარგავდა თავის ფორმა-დანიშნულებას. წლოვანებაში შესული მანდილოსანი თუ მამაკაცი აუცილებლად უბრუნდება თავდაპირველ სამოსს და მოსახლეობაში დღესაც ხშირად ვხვდებით ძველ თარგზე შეკერილ პერანგს — ქ ო ა ჩ, ქვედა საცვალს — ხ ე ჩ, ჩოხას — ჩ|ᲣᲐ ჯ, ახალუხს — ღ ო ვ თ ᲐᲚ, თავბურვის წესებს და სხვ. ანალოგიური მდგომარეობა დგინდება ჩეჩნეთში, ინგუშეთში, ოსეთში, დაღესტანში და საქართველოს მთიან რაიონებში.

ივ. ჯავახიშვილს მიაჩნია, რომ თუში ქალის თავსაბურავი „მანდილი“ მეტად თავისებურია. იგი წერს: „საქართველოს არც ერთ თემში ამგვარი თავსაბურავი არ არის... თუ საქართველოს ისტორიული კედლის მხატვრობას ავიღებთ, IX საუკუნიდან მოყოლებული, იქ ქალის ამგვარ თავსაბურავებს ვნახავთ“. ამასთან ერთად, მკვლევარი აღნიშნავს, რომ ის „თავსაბურავი, რომელიც XVIII და XIX სს. მხოლოდ თუშურად იყო მიჩნეული, სინამდვილეში ძველად აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული თავსაბურავის ნაშთს წარმოადგენს“-ო.

ამ მონაცემებიდან ირკვევა, რომ თუშური (წოვა, ჩაღმა) მანდილი ქართველი ქალის უძველესი თავშალი ყოფილა, რომელიც მათმა ყოფამ ჩვენს დრომდე შემოინახა. ამდაგვარი მანდილი და მისი მოხვე-

ვის ტრადიცია არ დგინდება ხევსურებს, ფშავლებსა და მოხევეებს შორის და არც მათ მეზობელ ვეინახებს, ლეკებსა და ოსებში.

იგივე შეიძლება ითქვას თუშურ ქუდზეც, იმის მიუხედავად, რომ მის მწარმოებლად ჩვენს დროში პანკისელი ქისტები გვევლინებიან. ივ. ჯავახიშვილი ადასტურებს, რომ „თუშურ ქუდად მიჩნეული ნაბდის ქუდი, მართლაც, თუშურია“.

რ. ხარაძე აღნიშნავდა: „ხევსურების ახალ ეთნოგრაფიულ გარემოში კომპაქტურმა დასახლებამ განიცადა ხანგრძლივი ასიმილაცია, მაგრამ მაინც შეინარჩუნა როგორც თავისი ეთნონიმი, ასევე ზოგიერთი თავისებურებები საცხოვრებელში, ჩაცმულობაში და სამკაულში“.

აღნიშნული მდგომარეობა დგინდება სხვა მეზობელ მთიელებშიც. მაგალითად, ხევსურები, ქისტები და თუშები საუკუნეების მანძილზე მეზობლად ცხოვრობდნენ. ხშირი იყო ურთიერთში გადასვლა-გადმოსვლა. სალოცავი ხატიც (ანატორი) ხევსურებთან საერთო ჰქონდათ, მაგრამ ვეინახურმა სამოსმა მაინც შეინარჩუნა სპეციფიკური სახე უფრო განვითარებულ ფორმაში, რისი დამადასტურებელია სადღეისოდ შემორჩენილი ელემენტები. იგივე შეიძლება ითქვას თუშურ სამოსზეც.

აკად ა. შანიძე მიუთითებდა: „ზნე-ჩვეულება, ჩაცმა-დახურვა და ყოფა-ცხოვრების სხვა ნიშნები თუშებს (წოვა, ჩაღმა) ყოველთვის ერთი ჰქონდათ და აქვთ, მიუხედავად იმისა, ქართულად ლაპარაკობენ თუ წოვა-თუშურად“. ანალოგიურ მონაცემებს იძლევა ს. მაკალათია: „ადგილზე გამოკითხვისა და შედარებების საშუალებით ირკვევა, რომ ყოფა-ცხოვრებისა და ადათ-ჩვევების მხრივ წოვასა და მთათუშელებს შორის წარსულში ერთგვარობა ყოფილა და თემურ-წოვათაში იმავე წესებს ასრულებდნენ, როგორც დღეს ჩაღმა თუშებშია დაცული“, ხოლო ც. ბეზარაშვილი ადასტურებს: წოვა-თუშების „სამოსის მთლიანი ანსამბლი, მოხმარების ფორმები და მათთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი ქართულია“. ავტორს მოჰყავს ადგილზე მთხრობლებიდან ჩაწერილი მასალაც: „ჩვენსა და ჩაღმებს შორის ჩაცმულობაში ის განსხვავებაა, რომ ძველ დროს ყველა ერთნაირად იცვამდა, წოვებიცა და ჩაღმებიც, მერე წოვებმა გადააგდეს და ჩაღმები ეხლაც იცვამენ“; ან „მარტო ენით განვსხვავდებით ჩვენ და ჩაღმები, ჩაცმა ერთნაირი გვაქვს“.

საინტერესოა აგრეთვე ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით თუშეთში შეკრებილი მასალები, სადაც, თუშეთის თემების ნასოფლარებთან ერთად, ჩამოთვლილია წოვათის ნასოფლარებიც (წარო, მოზართა, ინდურთა, საგირთა, ეთელტა, შავწყალა), რომლებიც XIX საუკუნის II ნახევარში, ქისტების შიშით, მოწყვეტია თავის მამა-პაპის

კერას, აყრილან თუშეთიდან და სამუდამოდ ბარში ჩამოსულან. ისინი ზამთარში ალვანში ცხოვრობენ და ზაფხულში კი ტბათანას მიდიან, სადაც მათ დროებითი ქოხები აქვთ გამართული. მათი ყოფა-ცხოვრება, ადათ-წესები და ზნე-ჩვეულება ყველა თემისა ერთია.

ზემოთ აღნიშნული მონაცემები საინტერესოა იმდენად, რამდენადაც წოვებსა და ჩაღმებს შორის ყოფა-ცხოვრებაში, ადათ-წესებში, ჩაცმა-დახურვაში, მისი მოხმარებისა და დამზადების ტრადიციებში წარსულში არავითარი განსხვავება არ ყოფილა; მეორეც, წოვა-თუშების მამა-პაპის კერად თუშეთია წარმოდგენილი.

ვახუშტი წერს: „პანკისის გადასწორ, კავკასს იქით, არს წოვა; წოვას ქუეით გომეწარი და მის ქვეით ჩაღმა. და ჩაღმიდამ გარდავალს გზა თორღასა და ლოპოტოს ჯევზედ... ამის ჩრდილოთ არს ფარსმანის თუშეთის ჯევი, რომელთა უძეს შორის კავკასივე... და განჰყოფს ფარსმანსა და წოვა-გომეწარ-ჩახმართის ჯევითა ქისტ-ღლიღვიდამ წამოსული კავკასი, აღმოსავლეთ-ჩრდილოთ შუა მდებარე... ხოლო სარწმუნოებითა და ენითა არიან ქართულითა. ხოლო რომელნი არიან მკარეთა ქისტთა და ღლიღუათა, უწყიან ენანი უფროს მათნი. გარნა ფარსმანის ჯევისანი სარწმუნოებით და ენით შერეულნი არიან, ვითარცა ქისტნი“.

გამომდინარე აქედან, ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: ვახუშტი „წოვებს... იმავე ქართველ თუშებად სთვლიდა, ოღონდ ფიქრობდა, რომ ქისტ-ღლიღვებთან მეზობლობის გამო მათი ენაც ჰქონდათ შეთვისებული და ნარევს ენას ლაპარაკობდნენ“-ო.

გადმოცემებიდანაც ცნობილია, რომ „უწინ პირიქითისა და წოვათის მთიელები, ხშირ შემთხვევაში, ქისტის ქალებს ირთავდნენ. მათ, მოხუცებთან ერთად, ოჯახში ტოვებდნენ, ხოლო თვითონ კი ცხვარს მიჰყვებოდნენ ბარში საზამთრო იალაღებზე. ზაფხულის პერიოდშიც, შრომისუნარიანი მამაკაცები ზოგი ცხვარს მისდევდა, ზოგიც სხვა საქმით იყო დაკავებული და ოჯახში ყოფნა ნაკლებად უხდებოდა, ქალები კი ბავშვებს ძირითადად თავის ენაზე ზრდიდნენ“. ამასთანავე, არაერთი ფაქტია იმისა, რომ სისხლმესისხლეობის შედეგად ჩეჩნეთ-ინგუშეთიდან გამორიდებული მამაკაცები თუშეთში სახლდებოდნენ, ირთავდნენ თუშის ქალებს და თუშეთის მუდმივი მაცხოვრებელნი ხდებოდნენ. წოვა-თუშების წარსული ყოფა-ცხოვრება, ჩაცმულობა განუყოფელია ჩაღმა-თუშების ყოფიდან, ამდენად, მათი წარსული თუ აწმყო უნდა იხილებოდეს არა წოვას ან ჩაღმის სახელწოდების ქვეშ, არამედ თუშების სახით, როგორც ჩვენი წინამორბედები აღნიშნავდნენ.

ალ. ხახანაშვილი წერს: „წოვა თუშების ძარღვებში მეტად ცოტა

უნდა იყოს ჩაწვეთებული ქისტების სისხლი, რომ ეთნოგრაფიულად ასე დაუკარგავს იმათთან ნათესაობა“.

სადღეისოდ, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით, წოვებისა და ჩაღმების ერთიმეორისაგან გათიშვა არასწორად მიგვაჩნია. ამის საფუძველს იძლევა, როგორც ზემოთაც აღინიშნა, წარსულში და აწმყოში მათი ერთობლივი ყოფა-ცხოვრება, ტრადიციები, ჩაცმულობა და, რაც მთავარია, ადამიანების ფსიქოლოგიური განწყობილება. განა ერთი და ორი ოჯახია ორივე თემში ვეინახური და ლეკური წარმომავლობისა (რომ არ ჩავთვალოთ ქართველი მთიელები: ხევსური, მთიული და კახელი)! ეს თვითონაც კარგად იციან მამა-პაპათა გადმოცემებიდან, მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი ძალიან დიდი ხნის წინ ჩამოშორდნენ მშობლიურ კუთხეს და ახალ სამყაროში მოხვედრამ დააკარგვინა ნათესაობაც და სადღეისოდ ისინი იგივე ქართველი მთიელები არიან, რაც კანონზომიერი მოვლენაა. წოვა და ჩაღმა თუშები კი, თუშეთში ერთობლივი ერთი თუში თემი უნდა ყოფილიყო, მიუხედავად ოთხ საზოგადოებად დაყოფისა. ამასთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, ძალზე საინტერესოა ანა ანტონოვსკაიას ისტორიული რომანი „დიდი მოურავი“-დან ერთი ეპიზოდი, რომელიც დაწერილია ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე. როცა გიორგი სააკაძე (თუშ გამცილებლებთან ერთად) თუშეთს ეწვია, თუშების სახელით მას შეხვდა ანთა დევდრისი და ხევსური ხევისბერი. ანთა დევდრისი მოსულ სტუმარს თუშურად მიესალმა: „გიორგი მოურავო! მარშიხვალო, მარშიხვალო“—გამარჯობა-ო. როცა ერთმანეთს მიესალმნენ, გიორგიმ ხმადაბლა უთხრა: „შენ მომიხმე, ანთა დევდრისო, და აი, მეც მოვედი“. საქმიანი საუბრისა და სტუმართმოყვარული მიღების შემდეგ, გიორგი „სააკაძემ გამჭრიახი თვალი მოავლო მის წინ გადაჭიმულ ქედებს, ყველას უხმოდ დაუქნია თავი, ნაბადი მოისხა და წავიდა ძირს, მას გაჰყვა ანთა დევდრისი ხელში საბრძოლო ალამით, რომელიც ზეიმით გაუწოდა სარდალს. სააკაძემ ისე მოუჭირა ხელი ბრძოლის სუნით გაჟღენთილ ალამს, თითქოს თავის ძლიერ ხელში უკავია მთიელთა გაერთიანებული ჯარი. ერეკლემ მიჰგვარა მოუთმენლად მფრთქვინავი ცხენი. მწვანე ბინდბუნდში იკარგებოდა ბილიკი, რომელიც ძირს მიაქანებდა მხედრებსა და ცხენებს... თუშეთის მაღლობებიდან დიდხანს ესმოდა მიმავალ „ვეფხვს“ მარშიხვალო! — მარშიხვალო — ბედნიერად იმგზავრე!“ (აღნიშნული მონაცემები ავტორს მიაწოდა ივანე ბუქურაულმა).

ყოველივე ეს მაჩვენებელია იმისა, რომ თუშები ხევსურების, ფშავლების, მთიულების ანალოგიური თემია, რომელსაც დაემატა სხვადასხვა თემებიდან (ხევსურეთი, ფშავი, კახეთი, ქისტეთი, დაღესტანი) შემოსახლებული ოჯახები და სხვა მთიელებთან ერთად გაერთიან-

ლნენ ქართველ ერთან. ყველანაირი მონაცემები ასაბუთებენ იმას, რომ არსებობდა მხოლოდ ერთი თემი თუშების სახლწოდებით და არა წოვა და ჩაღმა თუში, რომელთა დაყოფა მოხდა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით, რამაც დიდი გაუგებრობის წინაშე დააყენა მკვლევარი და მკითხველი. არც ჩვენ ვართ მართლები, რომ დასმულ საკითხს წოვა-თუშების სახით ვიხილავთ, მაგრამ ეს გამოწვეულია დღემდე მეცნიერებაში გაბატონებული აზრისა გამო, რომ „წოვა-თუშები არიან ვეინახური წარმომავლობის მოსახლეობა". ეს მოსაზრება მეცნიერებმა დაადასტურეს სალაპარაკო ენის სიახლოვიდან გამომდინარე.

ვეინახური, წოვათუშური და ქართული ენის მცოდნე ადამიანისათვის ადვილად დასანახია ამ ენებში მომხდარი ცვლილებები და ამდენად, ნაჩქარევად მიგვაჩნია ქართულ-ვეინახური ენების შერევის ნიადაგზე შექმნილი უდამწერლობო ენის საფუძველზე წოვა-თუშის ვინაობის დადგენა, მით უმეტეს, რომ მათ თავიანთ ძირძველ სამშობლოდ საქართველო — თუშეთი — მიაჩნიათ.

ცნობილია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს და ჩეჩნეთ-ინგუშეთის მთიანეთში ქართველი და ვეინახი მთიელების გარკვეულ ნაწილს წარსულში მეზობლად და შერეულად უცხოვრიათ. ამას ადასტურებს როგორც ტოპონიმიკური ნონაცემები, ასევე არაერთი გვარის წარმომავლობა, ტრადიციები, რომელიც მამა-პაპათაგან ხანდაზმულთა მეხსიერებაში კარგად არის შემონახული. მეორეც, ვეინახურ ენაში იმდენი ქართული ფუძე სიტყვებია, რომელთა ღრმა შესწავლით მივალთ იმ დასკვნამდე, რომ კავკასიის ხალხთა შორის ძირძველი ვეინახებიც ქართველური ფუძის განაყარნი უნდა იყვნენ. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს ამ ხალხის ყოფაში დღემდე გამომზეურების გარეშე მიმალული მოვლენები, რომლებსაც თანდათანობით ხორცი შეესხმება. ამ ორი ხალხის სიახლოვეს ივ. ჯავახიშვილი თავის დროზე ამჩნევდა. ვეინახი ცნობილი მკვლევრებიც — დოშლაყი მალსაგოვი, ხალიდ ოშაევი, ი. არსახანოვი და სხვ. — ვეინახების წარმომავლობის საკითხში დიდ სიახლოვეს ქართველ ხალხთან ხედავდნენ, რაც სადღეისოდ შესწავლილი არ არის.

თუშების წარსული კულტურისა და ყოფის ისტორიის შექმნაში დიდი წვლილის შემტანები — ციკარიშვილები, ბუქურაულები, ქადაგიძეები, ბობღიაშვილები, აბაშიძეები, ზარიძეები, ჭარელიშვილები, შველაშვილები, უშარაულები, ბართიშვილები, იმედიძეები, ჭყოპიშვილები, ჩარხოშვილები, ოქილაურები, მიქელაძეები, წკიპოშვილები, ღორსამაშვილები და სხვები — წოვა-თუშები არიან. ამასთანავე, აღსანიშნავია მათივე წინაპრების — ანთა დევდრისის, შველა შველა-

იძის, კახოს თინას, მეტი საღირიშვილისა და სხვათა — სახელები, რომლებმაც თავი გასწირეს სამშობლოსათვის.

დღემდე მიჩქმალული ზოგი ნაწარმოების გამოქვეყნებამ გააცოცხლა ადამ ბოტღიაშვილი. მის ლექსებზე შეიქმნა სიმღერები, რომელსაც მღერიან მისი თანამემამულეები.

დღევანდელი მსოფლიოს ჩემპიონი პეტრე ცისკარიშვილიც, სწორედ, დასახელებული ცისკარიშვილების შვილთაშვილია, რომელმაც დიდი სახელი მოუტანა ქართველ ხალხს. ცხადია, თუშების სახელზე შექმნილი და დღემდე მომდინარე ისტორია საერთოა წოვად და ჩაღმად გაყოფილი თუშებისათვის, რომლის შექმნაში მეტ-ნაკლებად წვლილი მიუძღვის ოთხივე საზოგადოებას; მაგრამ, როგორც მონაცემებიდან ირკვევა, წოვა-თუშები ადრე დაადგნენ ცივილიზაციის გზას, რასაც ხელს უწყობდა განვითარებული მომთაბარეობითი მეცხვარეობა, რომელიც კავკასიაში თუშური ცხვრის სახელწოდებით არის ცნობილი. სწორედ ეს ეკონომიკური ფაქტორი გახდა ერთადერთი დასაყრდენი, რომ წოვა-თუში ახალგაზრდები საქართველოს ფარგლებს გარეთ — რუსეთისა და საზღვარგარეთის ქალაქებში — მიდიოდნენ სასწავლებლად. სწავლა-განათლებამიღებული უკან დაბრუნებულები, ქართველი მოწინავე ადამიანების გვერდით მოღვაწეობდნენ და თავიანთი მოკრძალებული საისტორიო ფურცლები დატოვეს თუშების სახელით.

აღსანიშნავია ისიც, რომ ვეინახებს, უძველესი დროიდანვე, თუშების ოთხივე საზოგადოებასთან (წოვათა, პირიქითი, ჩაღმა, გომეწარი) ნათესაობა აკავშირებდა. ისინი ვეინახებისათვის განურჩევლად თუშები — ბ ა ა ც ა ი — იყვნენ და არიან ჩვენს დროშიც. ამდენად, არსებობს მხოლოდ ერთი თუში თემი, რომელიც ვახუშტის დაყოფილი აქვს ოთხ საზოგადოებად ფიზიკურ-გეოგრაფიული მოებარეობის მიხედვით და აქაურ მოსახლეობას იგი ეთნიკურად არ ანსხვავებს.

როგორც აღინიშნა, ჩრდილო კავკასიის ვეინახების (ჩეჩნები, ინგუშები) ისტორიული წარსული მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართველი ხალხის ისტორიასთან, მის კულტურასთან, ჯერ კიდევ ქართლის მეფე ფარნავაზის დროიდანვე. ამ მოძმე ხალხებს შორის ოდითგანვე მომდინარე ნათესაურმა დამოკიდებულებამ სათანადო ასახვა პოვა „ქართლის ცხოვრებაში". დასმული საკითხის კვლევის მიზანი სწორედ ამ ურთიერთობის შედეგად მომხდარი ცვლილებების დანახვაა ჩაცმულობის მაგალითზე.

ნივთიერი კულტურის ირგვლივ დამუშავებულმა წერილობითმა ცნობებმა და საველე ეთნოგრაფიულმა მასალამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ტანსაცმლის წარმოჩენა მისი გარეგნული ფორმითა და ფუნქციით მარტო ნახაზებითა და ფოტოსურათებით შეუძლებელია,

ამიტომ მივმართეთ ხანდაზმულ (80—85 წლის) მანდილოსნებს, რომელთა მეხსიერებაში კარგადაა შემონახული იმდროინდელი ტანსაცმლის შექმნისა და გამოყენების ტრადიციული წესები; ისინი თვითონვე არიან ამ საქმის მწარმოებლები. ამასთან, შესასწავლ რეგიონებში ქალისა და მამაკაცის ტრადიციულად დამკვიდრებულ სამოსში შემავალი ყველა ელემენტი შევკერეთ თოჯინებზე, იმდროინდელი თარგის სრული დაცვით. ამ მეთოდით ტანსაცმლის შესწავლამ გვიჩვენა სამოსის თითოეული ელემენტის ის წვრილმანი დეტალიც კი, რომელიც ნახაზზე და ზეპირად აღწერილს შეუმჩნეველი რჩება. ნათელი გახდა ის საერთო და განმასხვავებელი ნიშნებიც, რომელიც ახასიათებს სხვადასხვა კუთხის ჩაცმულობას. შესწავლილი იქნა აგრეთვე ოჯახებში დღემდე შემორჩენილი, ქ. თბილისის ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო და გროზნოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმების ფონდებში დაცული ტანსაცმლის სხვადასხვა ელემენტი, რომელთა ნაწილი დამზადებულია XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში.

ვეინახი ქალისა და მამაკაცის სამოსის ისტორიის ამსახველი მასალის ფიქსირებაში და ილუსტრაციების დამზადებაში დიდი დახმარება გაგვიწია ქ. გროზნოს პედაგოგიური სასწავლებლის მასწავლებელმა რუსლან თათაევმა, მხატვარმა ა. თულაძემ და რესპუბლიკური მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანაშრომლებმა. ფოტოსურათები გადაიღო და დაამზადა რედაქცია „დაიმოხქ"-ის („სამშობლო") ფოტოგრაფმა — გროზნოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საფონდო მასალიდან. ამჯერად, წიგნში მოთავსებული სამი ქალის სამოსის ფერადი ნახატი შეასრულა მხატვარმა ა. თულაძემ (ჩეჩ.-ინგ. ასსრ), ხოლო დანარჩენი ნახატები და ნახაზები დაამზადა ქ. თბილისის № 3 ექსპერიმენტული სკოლის სახვითი ხელოვნების მასწავლებელმა მხატვარმა ნ. ცათიაშვილმა, რისთვისაც მათ დიდ მადლობას მოვახსენებ.

XIX ს. დასასრულისა და XX ს. დასაწყისის ფოტოსურათებს თუშების სამი საზოგადოების (გომეწარი, პირიქითი, ჩაღმა) მოსახლეობაში ვერ მივაგენით, ამდენად, წიგნში მოტანილი საილუსტრაციო მასალა მხოლოდ წოვა-თუშებს ეხება.

I. მასალა და Ჭრა-ᲙᲔᲠᲕᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ

1. მასალა

ცნობილია, რომ, საქართველოს მთის სხვა კუთხეებთან ერთად, თუშეთი მატყლის დამუშავებითა და ქალის ხელსაქმიანობით ოდით-განვე განთქმული იყო. მ. მაჩაბელი აღნიშნავს: „ამიერკავკასიაში საუკეთესო ცხვარი არის ქართული ცხვარი, ე. წ. თუშური ცხვარი. მთის ცხვრის მატყლი რბილია, ბეწვი გრძელი აქვს, წმინდა და ბრწყინვალე. ლაბორატორიული გასინჯვით დამტკიცდა, რომ იგი ხალიჩების მოსაქსოვად საუკეთესოა და მას მეტოქეობას ვერ გაუწევს სხვა ქვეყნის მატყლი“. უკანასკნელ ხანებში მას „სახალიჩე მატყლიც“ კი უწოდეს. ავტორის მოსაზრებით, თუშებში შინამრეწველობა განკითარებულია: „თუშების ფერადი (Ჭრელი) ფეხსაცმელი ჩითაც მატყლისაა, დღემდე ჩვენი ხალხის შემმოსი ქარხანა კი არ არის, არამედ შინამრეწველობის წარმოება: წინდები, პაჭიჭები, შალის ფერადი პერანგი (ხევსურის), ნაბდის ქუდი (თუშური, სვანური), ფაფახი, ხელთათმანი, ყაბალახ-ნაბადი, ნაბდის ჯუბა-ქურქი, ბევრი რამ სხვა შესამოსი ჩვენი ცხვრის წყალობით მზადდება“.

ივ. ცისკარიშვილი, რომელიც კარგად იცნობდა წოვა-თუშების ყოფას, აღნიშნავს: თუშები ტანსაცმელს ამზადებენ თავიანთი ნაწარმი შალისაგან. მათი ორივე სქესის საყვარელი ფერია შავი და ლურჯი. ამასვე იზიარებს ი. ელიოსიძეც. საინტერესო მასალა გვხვდება გაზ. „კვალში“. „თუშმა არ იცოდა რა იყო ჩითეული, როგორც კაცი, აგრეთვე დედაკაცი ხმარობდა მხოლოდ შალის ტანისამოსს“. ჩასაცმელი წმინდა შალების გარდა, მატყლისაგან თუშები ამზადებდნენ უხეშ სატომრე და სახურჯინე ტოლებს, ქსოვდნენ საფენ და კედელზე ჩამოსაკიდებელ ფარდაგებს, წინდებს და ჩითებს, თელავდნენ ნაბდებს, ცხენის საფენებს, ქუდებს და სხვ.

საკვლევ პერიოდში (XIX ს.) წოვა-თუშები მომთაბარულ ცხოვრებას ეწეოდნენ. ისინი ძირითადად კახეთის მაცხოვრებლები იყვნენ, ზაფხულს მთაში და ზამთარს ბარში — ალვანში — ატარებდნენ, სადაც მუდმივი საცხოვრებელი ბინები ჰქონდათ აშენებული. თუშის ქა-

ლები ტრადიციულ ხელობას აქაც აგრძელებდნენ და ფარდაგ-ხალიჩის, ნაბდების, შალის, ხურჯინების ქსოვა და თელვა ბოლო დრომდე იყო შემონახული. პანკისის ხეობაში დასახლებულ ქისტებსაც არ მიუტოვებიათ ახალ გარემოში თან მოყოლილი ხელობა. ისინი ოჯახის საჭიროებისათვის ქსოვდნენ ძირითადად ლეიბის პირებს, საბარგო ხურჯინებს, ტომრებს, ნაკლებად — შალებს, თელავდნენ დასაფენ ნაბდებს, ხოლო ქუდებს დიდი რაოდენობით ამზადებდნენ საბაზროდ. მ. მაჩაბელი წერს: ქისტებისათვის ქუდების წარმოება მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა. ქისტი ქალი წელიწადში 300-დან 500-მდე ქუდს ამზადებს. იგი ქუდების კეთებით მხოლოდ ზამთარშია დაკავებული. ამასთანავე, ის არ არის მოწყვეტილი არც საშინაო და არც საგარეო სამუშაოებს. მ. ალბუთაშვილი ქისტების საშინაო საქმიანობის შესახებ მოგვითხრობს: „ფუჩეჩისა და სიმინდის მოტანით და დაბინავებით თავდება ყოველივე შრომა... ქისტი კაცისა. ის იმის მეტს არც არას აკეთებს და არც არა უკეთებია რა თავის სიცოცხლეში. ყანაც მორჩა, სიმინდიცა, ყველა ამაში მონაწილეობას იღებდა დედაკაცი. არც ერთი საქმე არ გაკეთებულა, რომ იმის ხელის თითებში არ გაევლოს, კაცმა მოისვენა, მარა დედაკაცი ისევ შრომობს, მას ბევრი აქვს სამუშაო და საკეთებელი, იმას არც აქამდე მოუსვენია და არც ეხლა მოისვენებს. იმის საკეთებელი ეხლა ქუდია ნაბდისა — ეს დედაკაცისაგან ნაკეთები ნაბდის ქუდია ერთადერთი სახსარი ქისტის ცხოვრებისა. ამას აკეთებს ყველა დედათა სქესის, 7—8 წლის პატარა გოგონადან მოკიდებული, ვიდრე ღრმად მოხუცებულობამდე, ე. ი. მანამ ფეხზე დგომა შეუძლია“.

აღნიშნული ნაბდის ქუდის (ბ ა ც ა ი ქ უ ი — თუშური ქუდი) წარმოება, როგორც აღინიშნა, სადღეისოდ მხოლოდ პანკისელ ქისტებშია შემორჩენილი. უწინ წოვა-თუშის ქალები მატყლისაგან თელავდნენ საქუდე ნაბდებს, ხოლო როგორც ალ. ხახანაშვილი მოგვითხრობს, მისგან ქუდების დამზადება კაცის საქმე ყოფილა. ამ ქუდებს მამაკაცები მუზარადის ქვეშ იხურავდნენ. შემდეგ, როცა მუზარადები გადავარდა, ქუდების წარმოებასაც მიანებეს თავი.

ს. მაკალათია დიდი მწუხარებით აღნიშნავს, რომ თუშეთი ცნობილი იყო თუშური ქუდით, რომელსაც ჰქონდა თავისი ფართო ბაზარი და იძლეოდა კარგ შემოსავალს, მაგრამ შინამრეწველობის ეს მნიშვნელოვანი დარგი დღეს უყურადღებოდ არის დატოვებული. ჩანს, რომ ამ ქუდების წარმოებას მისდევდნენ წოვათისა და ჩაღმის თემები და საკმაოდ განვითარებული დარგიც ყოფილა. ქისტი ქალები ქუდების კეთებით საკმაოდ ბევრ ფულს შოულობდნენ, მას ახლაც კარგი გასავალი აქვს კახეთის სოფლებში და სხვაგანაც. ჩეჩნებსა და ინ-

ბუშებს ასეთი ქუდები არ უკეთებიათ. ჩანს, რომ ქისტებმა ეს ხელობა თუშებისაგან გადმოიღეს.

უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში, წოვა-თუშები და ვეინახები (ქისტები, ჩეჩნები, ინგუშები) სამოსად ფართოდ იყენებდნენ ადგილზე, შინამრეწველობის ბაზაზე დამზადებულ შალის ქსოვილს და ტყავს, ოთხივე კუთხეში ამ ქსოვილს მ ა შ-ს უწოდებენ. ამისათვის გამოყენებული იყო საკუთარი მეურნეობიდან და ზოგიც ადგილობრივ ბაზრებში და მეზობელი მთიელებიდან შეძენილი ცხვრის მატყლი, წვრილი და მსხვილფეხა საქონლის ტყავი და სხვ. თუშების ანალოგიურად, ვეინახები მატყლისაგან ამზადებდნენ შალებს, ნაბდებს, ხალიჩებს, ფარდაგებს, საფენებს, ქუდებს, წინდებს, ხურჯინებს და ფეხსამოსს. ცხვრის ტყავს იყენებდნენ საზამთრო სამოსად, ხოლო მსხვილფეხა საქონლისას კი ფეხსაცმელისათვის. გადმოცემით, ძველად ვეინახების წინაპრებს სცმიათ შინაური და გარეული ცხოველების ტყავები, რომლებიც ერთმანეთზე გადაბმული ყოფილა ხრალით. შემდეგ, დროთა ვითარებაში, სელისა და მატყლის დამუშავება აუთვისებიათ.

სელის ნართი ძირითადად გამოიყენებოდა ფეხსაცმლის, ტყავის ქურქის, ტომრების შესაკრავად და სამეურნეო დანიშნულებისათვის—თოკების დასამზადებლად.

ჩეჩნეთში მოპოვებული მასალით, სელის ძაფისაგან ქსოვილსაც ამზადებდნენ, რომელსაც გ ა თ-ს უწოდებდნენ.

ე. კრუპნოვი წერს: „ჩვენ არა გვაქვს არავითარი საფუძველი ვიფარაუდოთ, რომ ჩრდილო კავკასიაში მატყლის ქსოვილის გარდა სხვა რაიმე ქსოვილი თუ მზადდებოდა“-ო. მაგრამ სხვა ცნობები ადასტურებს, რომ ჩეჩნები მიწის გარკვეულ ფართობს სელს—კ უ ა მ ა ლ-ს—უთმობდნენ. ო. მარგგრაფის მიხედვით, ჩეჩნები და ოსები შინამრეწველობის საქმიანობაში ინგუშებზე წინ იდგნენ, მაგრამ ბევრად ჩამორჩებოდნენ ხასავიურთელ ყუმუხებსა და ყაბარდოელებს. ნ. გრაბოვსკის მოსაზრებითაც, ინგუშები დაბალი ხარისხის შალს ამზადებდნენ. ი. პანტიუხოვის მიხედვით, ინგუშები ძალზე ცოტას ამზადებდნენ შალის ქსოვილს. ოჯახის საჭიროებისათვის ნაბდებს ისინი ყაბარდოელებისაგან ყიდულობდნენ. ბ. დალგატი ადასტურებს, რომ ინგუშები შალისა და ნაბდის წარმოებას მისდევდნენ. რ. როზენის მიხედვით კი, მთის პირობებში შალს შედარებით ნაკლებად ქსოვდნენ და ძირითადად ბარში იძენდნენ პროდუქტებზე გადაცვლის წესით. ჩეჩნური შინამრეწველური წესით დამზადებული შალი თავისი ხარისხით განირჩეოდა ჩრდილო კავკასიის სხვა კუთხეებში დამზადებული შალისაგან. ჩეჩნები და ინგუშები ოჯახში დამზადებულ ნაბდებს

შალებს, ხალიჩებს და ფარდაგებს უმთავრესად ოჯახში იყენებდნენ, ნაწილს კი ცვლიდნენ.

საველე ეთნოგრაფიული მასალებით, ვეინახი და წოვა-თუშის საოჯახო საქმიანობაში, გახსაკუთრებით შინამრეწველობაში, ქალი ჩაბმული იყო 7—8 წლის ასაკიდან სიბერემდე. ვეინახი ქალი მამაკაცთან ერთად მინდორშიც მუშაობდა და ოჯახის საქმიანობასაც უძღვებოდა. ჩ. ახრიევი, რომელიც კარგად იცნობდა ინგუში ქალის საოჯახო საქმიანობას, მოგვითხრობს: ქალი აუტანელ ფიზიკურ შრომას ეწეოდა. მისი დაბადება იმთავითვე უბედურ შემთხვევად ითვლებოდა. გოგონას ბავშვობის წლებიც შეზღუდული ჰქონდა. 8—10 წლიდან მას ოჯახის საქმეს ავალებდნენ: უმცროსი და-ძმის მოვლა, წყლისა და შეშის მოტანა, სახლის დასუფთავება და სხვ., მცირეწლოვანი ბავშვების საოჯახო საქმეში გამოყენების ფაქტი შემჩნეული აქვს ო. მარგგრაფსაც: მატყლის ნაწარმის დამზადება, ფეხსაცმლებისა და ქურქების კერვა ქალებს ევალებოდათ, ხოლო მსუბუქ საქმიანობაში იყენებდნენ ბავშვის შრომას.

ჩეჩნის ოჯახის ეკონომიკაში დიდ შემოსავლიან წყაროდ ითვლებოდა მოსასხმი ნაბდები. მისი დამზადების ცენტრი დიდ ჩეჩნეთში ძველი დროიდანვე იყო ს ტ ა რ ი ჯ უ რ თ (ყოფილი ღოლარ-ეული); აქედან გავრცელდა სამხრეთ-აღმოსავლეთით კუმიკების დაბლობამდე. შმის გამო, რომ დიდ ჩეჩნეთში მეცხვარეობას ნაკლებად მისდევდნენ, მოსახლეობა მატყლს ყიდულობდა მცირე ჩეჩნეთში, ინგუშეთში და ქ. გროზნოს ბაზარში გაზაფხულზე და შემოდგომაზე — გაურეცხავს, 25—35-კილოიანი რულონებით. ნაბდების დამზადების ტექნიკა ჩეჩნეთსა და ყაბარდოში ერთი და იგივე იყო, მაგრამ ჩეჩნური ნაბდები თავისი ხარისხითა და სიმსუბუქით გამოირჩეოდა მოვლს ჩრდილო კავკასიაში; გაცილებით უკეთესი ხარისხისა კი იყო ინგური (ე ნ ლ ი ვ ე რ თ ი ნ ა შ) ნაბდები.

ნაბდების წარმოებას ჩეჩნეთში მისდევდა 500-მდე ოჯახი 1200 მუშით. წელიწადში ამზადებდნენ 7400 ნაბადს 73300 მანეთისას. მატყლის ხარჯის გამოკლებით, მოგებას იძლეოდა დაახლოებით 33 ათას მანეთს. საშუალო ნაბადი ღირდა 4—6 მანეთი, ხოლო კარგი 10 მანეთი.

ითონხალისა და შატოვის ბაზარში შინამრეწველური წესით დამზადებული ერთი არშინი შალი ღირდა 0,70 კაპიკიდან ერთ მანეთამდე.

ჩეჩენი და ინგუში ქალის მიერ დამზადებული ორნამენტიანი ნაბადი ი ს თ ი ნ გ, ფარდაგი — ფ ა ლ ა ზ და წოვა-თუში ქალის მიერ მოქსოვილი ჭრელი ფარდაგი და საფენები სახლის შიდა მორთულობის ერთ-ერთი საშუალება იყო. ვ. ითონიშვილის მონაცემებით: „ხალიჩასა და ფარდაგს თვით ჩეჩნები ოჯახებში იყენებდნენ ძალზე

ფართოდ. გეომეტრიული ფიგურებით, მცენარეებისა და ცხოველების გამოსახულებებით დამშვენებული ხალიჩა-ფარდაგები თანამედროვე ყოფაშიც გვხვდება. ისევე როგორც დღეს, გასულ საუკუნეებშიც ხალიჩა და ფარდაგი წარმოადგენდა ჩეჩნის სახლის შიდა მორთულობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს. ორნამენტიანი ფარდაგ-ხალიჩებითა და ნაბდებით დაფარული იყო არა მარტო კედლების დიდი ნაწილი, არამედ საყონაღოს იატაკიც კი". დიდ მოწონებას იმსახურებდა წოვა-თუში ქალების მიერ მოქსოვილი ხურჯინები: ს ა ბ ო ვ უ თ ე ლ ზ ი — საბარგო ხურჯინი, დ ო ა ნ თ ე ლ ზ ი — საცხენე ხურჯინი და ტ ა ვ ნ ი თ ე ლ ზ ი — მხრის ხურჯინი. სამივე სახის ხურჯინი სხვადასხვა დანიშნულებას ასრულებდა და ერთიმეორისაგან განსხვავებული იყო ზომით და ფერების შეხამებითაც. საბარგო ხურჯინი განკუთვნილი იყო მხოლოდ ბარგის გადასატან-გადმოსატანად, იქსოვებოდა ძირითადად ორი ფერის ძაფისაგან (თეთრი და ყავისფერი) ჭადრაკულად. საცხენე ხურჯინი ზომით უფრო პატარაა. მას ქსოვდნენ სამი ფერის ძაფისაგან (თეთრი, შავი, ლურჯი) და ამკობდნენ სამკუთხედი არშიებით. ეს ხურჯინი სპეციალურად განკუთვნილი იყო მამაკაცისათვის სამგზავროდ, ცხენზე გადასაკიდებლად. ყველა ოჯახის ქალი ცდილობდა საცხენე ხურჯინი განსაკუთრებით ლამაზი მოექსოვა. ვის ცხენზეც ლამაზ ხურჯინს დაინახავდნენ, მის მეუღლეს სოფელში აქებდნენ, ყოჩაღი დასახლისი ყოფილაო. მხარზე გადასაკიდებელი ხურჯინი სულ პატარა მოცულობისა იყო, რომელსაც ქალები იყენებდნენ ქორწილში, სატირალში ან სალოცავად წასვლის დროს პროდუქტების ჩასაწყობად.

ჩეჩენი და ინგუში ხალხის ყოფაში გაჩნდა აბრეშუმის სხვადასხვა მოსართავები, რომლის მწარმოებლებიც თვითონ მათივე ქალები იყვნენ.

აბრეშუმის ჭია — ს ა ლ ლ ა რ ა შ — ჩრდილო კავკასიაში გაჩნდა იმ დროს, როდესაც შემოსახლება დაიწყეს სპარსელებმა, თურქებმა და სომხებმა. მათ თავიანთ სამშობლოდან გადმოიტანეს აბრეშუმის ჭიის მოვლის ცოდნა-გამოცდილება და ახალ ადგილზე უფრო ენერგიულად დაიწყეს მისი გამრავლება. აბრეშუმის ჭიის მოყვანას მისდევდნენ მდინარე სუნჯის განაპირა სოფლები — ალხან-ჯურთი, კულარსკი, ხადის-ჯურთი და აქედან სხვა სოფლებშიც გავრცელდა; ბარის ჩეჩნები ყოველწლიურად ამზადებდნენ 830 ფუთ აბრეშუმის პარკს. ერთ ფუთ პარკს ყიდდნენ 25—40 კაპიკად, ან ცვლიდნენ ერთ არშინ ჩითზე. ამოხვეული აბრეშუმის ძაფი ღირდა 1 მანეთი და 80 კაპიკიდან 3 მანეთ და 50 კაპიკამდე. მიუხედავად ამისა, მას დიდი გასავალი ჰქონდა მოსახლეობაში. ჩეჩნეთის თითქმის ყველა სოფელში მოიძებნებოდა რამდენ-მე ქალი, რომელიც აბრეშუმის პარკისაგან ჩ ი ლ ლ-ს

(აბრეშუმის ძაფი) ამზადებდა და მისგან ქსოვდა სხვადასხვა სახის საამოსის მოსართავებს: ბუზმენტს — ჰ ᲐᲝᲡ (ინგ. ი ნ ძ), კანტებს — თ ი თ ქ მ და ყიდდა.

ვეინახებში მატყლის დასუფთავება, დარეცხვა, დამუშავება ხდებოდა წლის ყველა დროში, საოჯახო და საველე სამუშაოებიდან თავისუფალ დროს. წოვა-თუშები კი ამ პროცესს ოქტომბრის თვეში იწყებდნენ. ნოემბერში ჩეჩავდნენ— დ ე Ჭ ᲐᲠ, დეკემბერში აფთილებდნენ — ᲨᲐᲠᲓᲐᲠ, იანვარში და თებერვალში დართვას—ᲭᲘᲔᲠᲬᲐᲠ, დაძახვას — ᲓᲒᲠᲐᲠ უნდებოდნენ, შემდეგ შილებად (გ ა ვ ი) ამოახვევდნენ და ღებავდნენ დანიშნულებისამებრ სხვადასხვა ფერად. მარტში კი დაიწყებოდა ქსოვა. ანალოგიური მდგომარეობა დგინდება ჩაღმა-თუშებშიც.

აღნიშნული ტერმინები ვეინახებში შემდეგნაირად გამოითქმება: მატყლის წეწვა — ᲣᲐᲣᲓᲐᲠ, ჩეჩვა — ᲐᲕᲮ (ინგ. ᲐᲚᲮᲐ), დართვა— ᲭᲐᲐᲕᲫ, დაფთილება — ᲢᲐᲠᲦ ᲑᲐᲯᲐᲠ. მატყლი — თ ხ ა — ორი სახისა იყო: გაზაფხულისა და შემოდგომის. გაზაფხულის მატყლს ვეინახები ᲭᲐ-ს უწოდებენ, წოვა-თუშები ᲭᲐᲭᲐ-ს, ხოლო შემოდგომის მატყლს ვეინახები თ ხ უ ე-ს, წოვა-თუშები კი თ ხ ე-ს. წოვა-თუშებში პირველ ხარისხად ითვლება ბატკნის ნაპარსი მატყლი, რომელიც კრაველის სახელწოდებითაა ცნობილი, მეორე ხარისხისაა შემოდგომის დედაცხვრისა და ჰედილის ნაპარსი, ხოლო მესამე ხარისხად ითვლება გაზაფხულზე ნაპარსი მატყლი. ცხვრის ჯაგაპარსვის შემდეგ თითოეული ნაპარსი იკვრება კვანძად. ოჯახში მოტანილ ამ კვანძს დიასახლისი დაშლის, დაბერტყავს და დაახარისხებს. მატყლის დაბერტყვის დროს დაცვენილ მოკლებეწვიან მატყლს გრძელბეწვიანი მატყლისაგან განცალკევებულად რეცხავდნენ. წოვა-თუში შინამრეწველი გაშლილ ნაპარსს ყოფდა სამ ნაწილად; კისრისა და მხრის მატყლს ცალკე აგროვებდა, ტანისას — ცალკე, კუდისა და ფეხებისას — ცალკე.

ვეინახებში მატყლის რეცხვა ხდებოდა მდინარის პირას, სპეციალურად გამზადებულ ფიცარზე, 80 სმ სიგრძის გათლილი ორი ჯოხის საშუალებით, ქისტები მას ᲥᲝᲜᲓᲣᲠᲒᲘᲨ-ს უწოდებენ, ხოლო ფიცარს თ ხ ა დ უ თ უ. მატყლს ცოტ-ცოტას დაყრიდნენ ფიცარზე, შემდეგ ხშირ-ხშირად ასხამდნენ წყალს და რეცხავდნენ, სანამ სუფთა წყალი არ გაუვიდოდა, გარეცხილ მატყლს კი გუნდებად — ᲢᲐᲚᲐᲑᲐᲨ — დააწყობდნენ ქვებზე, ხოლო როცა დაიწურებოდა, გაშლიდნენ გასაშრობად. მატყლის რეცხვის ანალოგიური წესებია თუშებშიც. გამშრალ, გაწეწილ მატყლს დასაჩეჩად გაამზადებდნენ და გვიან შემოდგომას დაიწყებდნენ ჩეჩვას. შინამრეწველობაში დასაქმებულ

ქალებს შესაფერისი იარაღები (საქოვი დაზგა, საჩეჩელი, ძაფსართავი, დასაძახი ჯარა) ჰქონდათ.

საჩეჩელ იარაღს ვეინახები და წოვა-თუშები ი ე ხ ქ-ს უწოდებენ. მას ადგილზე ამზადებდნენ. იგი თანაბარი ზომის სამი ხის ფიცარია, რომლებიც სამკუთხედად არის შეკრული; ზედა ნაწილზე ორმწკრივად ჩასმული აქვს რკინის 20 ან 24-წვეტიანი კბილი. ქალები მას მუხლებს შუა დაიდგამ ნენ და ისე ჩეჩავდნენ მატყლს. დარჩენილ მატყლს საოთავად ფთილებად აწყობდნენ. როცა მატყლს მთლიანად დაჩეჩავდნენ, იწყებდნენ დართვას, დაძახვას, ღებვას და ქსოვას. ანალოგიური წესებია ჩაღმა-თუშებში და ვეინახებშიც.

საკვლევ რეგიონებში ძაფის დართვა ხდებოდა ხის თითისტარზე. იგი 30 სმ სიგრძის მუცელგამობერილი ჯოხია, რომელსაც ორივე მხარეს სატრიალებელი წვერი აქვს. მას ახლავს ტარის სატრიალებლად ხის ჯამი, რომელსაც წოვა-თუშები მ ა რ დ უ კ-ს. ჩაღმა-თუშები ს ა ხ რ ე ლ-ს, ხოლო ქისტები ქ ა დ-ს უწოდებდნენ.

ვეინახებში გვხვდება მეორე ტიპის სართავი, რომელიც აღნიშნულ თითისტარზე უფრო გრძელია (45—50 სმ) და შედარებით წვრილი: თავში უკეთდება კვირისთავი — ჭ ვ ე ჟ გ (ინგ. ვ ო რ დ ი ნ გ). ჩეჩნები მას მთლიანობაში უ რ ჩ უ ჯ-ს, ქისტები ი ა ჭ ვ ე ჟ გ-ს, ხოლო ინგუშებში ი ო ჭ ი ნ გ-ს უწოდებდნენ.

პირველი სახის ძაფსართავი (ვეინახურად და წოვა-თუშურად ი ა ლ) ქალს მარჯვენა ხელში წვერით უჭირავს და ატრიალებს, ხოლო ფთილა (ვეინახურად ტ ა რ ღ, წოვა-თუშურად ფ ა რ ტ ე ნ) — მარცხენა ხელში. ძაფს ტარზე ახვევს, სანამ გაივსება. მეორე ტიპის სართავი ი ა ჭ ვ ე ჟ გ და ფთილა უჭირავს მარცხენა ხელში, ხოლო მარჯვენა ხელით ბოლო წვერს ატრიალებს და თან ფთილას აწვდის ტარს. როცა დართვა მთლიანად დამთავრდება, ორ- ან სამწვერად ამოახვევენ და დაძახვენ ჯარაზე (ჩეჩ. ჩ ა რ ხ ს, ინგ. ა რ ს ა მ, ქისტ. ჯ ა ა რ, წოვა-თუშურად ჯ ა რ ნ ი). წოვა-თუშებში გამოყენებული ფთილის სახელწოდება ფ ა რ ტ ე ნ ი საბას განმარტებული აქვს როგორც „მატყლის ფთილა". ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, „ფარტენა" უფრო ზოგადი ტერმინია: „ძაფის დასართავად თითისტარიან ქალს უნდა დროგამოშვებით სათანადო მასალის გარკვეული ოდენობა აეღო ხელში. მასალის ასეთ ოდენობას თავისი სახელი ჰქონდა და ფარტენა ეწოდებოდა".

დიდი რაოდენობით მატყლის დაჩეჩვა-დართვის დროს იყენებდნენ ურთიერთდახმარების ფორმას — ბ ე ლ ხ ი. ეს ფორმა ვეინახებში გამოყენებული იყო სამეურნეო საქმიანობაშიც: თოხნაში, ყანის მკაში, სიმინდის მტვრევაში, სახლის მშენებლობა-შელესვის დროს და სხვ.

მატყლის საჩეჩად ქალების თავმოყრა ზამთრის დიდ ღამეებში იცოდნენ. მუშაობა იწყებოდა საღამოს 7—8 საათზე და მთავრდებოდა მაშინ, როდესაც მამლები სამჯერ დაიყივლებდნენ. ქალები სამუშაოდ თავიანთი საჩეჩელით მიდიოდნენ. სხდებოდნენ ცალკე ოთახში იატაკზე დაკეცილად დადებულ ნაბადზე. უფროსი ქალი ყველას თანაბრად გაუნაწილებდა დასაჩეჩ მატყლს. გამოცდილი მჩეჩავი ქალები დიდი სისწრაფით ასრულებდნენ ამ პროცესს. ოჯახის დიასახლისი დამხმარე მუშებს სპეციალურად მომზადებული საკმელით უმასპინძლდებოდა მუშაობის დასაწყისში და შუაღამეს, როცა მუშაობას დაამთავრებდნენ.

ინგუშეთში მატყლის დაწეწვა და დაჩეჩვა ერთდროულად ხდებოდა. ერთ მხარეს სხდებოდნენ მწეწავები, ხოლო მეორე მხარეს მჩეჩავები. მწეწავი დაწეწილ მატყლს აწვდიდა პირდაპირ მჯდომარეს დასაჩეჩად. შრომის ეს ორგანიზაცია ვეინახებში გართობის ხასიათსაც ატარებდა. ქისტებში ღამით ასეთი თავშესაყარი რამდენიმე ოჯახში იყო. დასაქორწინებელმა ვაჟებმა იცოდნენ სად მოხდებოდა თავშეყრა და იქ გასართობად მიდიოდნენ. მოსულ ვაჟებს მიუჩენდნენ თითო გასათხოვარ ქალს. ვაჟთაგან ვისაც რომელი ქალი შეხვდებოდა, იმის პირდაპირ ჯდებოდა და მთელი ღამე ლაპარაკით ერთობოდნენ. ქალები კი მორიდებით, შუბლზე თაშალჩამოწეული თავს აწონებდნენ მუშაობით და უფრო ენერგიულად ჩეჩავდნენ მატყლს. ჩეჩნეთშიც ასეთი თავშესაყარი ადგილი დასაქორწინებელი მამაკაცებისათვის საცოლის არჩევისა და მასთან მოლაპარაკების საშუალება იყო, ხოლო ინგუშეთში გასართობად მოსულ ქალ-ვაჟს შორის პირადი საუბარი არ შეიძლებოდა. შუაღამემდე დაკვრა-სიმღერით გაერთობოდნენ, მუშებიც სამუშაოს დაამთავრებდნენ და დაიშლებოდნენ ხოლმე. წოვა-თუშებში კი ასეთ თავშეყრის ადგილზე მისვლა მამაკაცისთვის სირცხვილად ითვლებოდა.

ვეინახებში ურთიერთდახმარების ამ ფორმას სამაგიერო მიხმარება არ უდევს საფუძვლად. ტრადიციულად მათ ყოფაში დანერგილია ერთიმეორისადმი მატერიალური, მორალური და შრომითი დახმარების გაწევა. მატყლის დამუშავების დროს ურთიერთდახმარების წესი არსებობდა წოვა-თუშებში, ჩაღმა-თუშებში, ხევსურებში და ფშავლებში. წოვა-თუშებში ქალების მატყლის დასამუშავებლად თავშეყრას მ უ შ ი-ს უწოდებენ, ჩაღმა-თუშები — მ ჩ ე ჩ ე ლ ა ე ბ ს, ხოლო ხევსურები — მჩეჩელთ შეყრას.

წოვა-თუში ქალი საკუთარ საქმეს არ უღალატებს და ულბრალოდ სხვას არ მიეხმარება. ზოგიერთი თუში დიასახლისი მატყლის დასაჩეჩად და დასართავად ქირაობდა ღარიბ ოჯახს. ერთი ფუთი მატყლის დაჩეჩვა-დართვა-დაძახვა ღირდა ერთი ფუთი გაურეცხავი მატყლი.

შათოვში, ვედენოში და ათაღში (ჩეჩნეთი) ფიქსირებული მასალების მიხედვით, უწინ მატყლის ჩეჩვა, დართვა, კერვა და ქარგვა ხდებოდა შუაცეცხლის სინათლეზე. საწვავად ოჯახში შეათრევდნენ 5—6 მეტრი სიგრძის მორებს. იგი თანდათანობით იწვებოდა. როცა მორი შიგნით შეიწვედა, ოთახის კარი — ნ ე ა — იხურებოდა ტყავით— ნ ე ჰ ან ნაბდით— ვ ი რ თ. კარის აღმნიშვნელი ტერმინი ნ ე ა შეიძლება ნ ე ჰ ი-იდან იყოს წარმოქმნილი, რომელ ოჯახშიც მორი შეიწვედა და კარი მიიხურებოდა, იქ მიდიოდნენ ქალები და კაცები ღამით გასართობად — ს ა ყ ი ე რ. მეორე ღამეს სხვა ოჯახში იკრიბებოდნენ და ასე ატარებდნენ მთელ ზამთრის პერიოდს. ამ შემთხვევაში ოჯახის დიასახლისი არ უმასპინძლდებოდა გასართობად მოსულ სტუმრებს.

ვეინახებს შალის საქსოვი დაზგა — დ ო ჰ ა რ ა შ — გამართული ჰქონდათ საცხოვრებელი ბინის გვერდით, გადახურული ღია ფარდულის — რ ა ღ უ ა. (ინგ. ჰ ო ლ ი ე) ქვეშ. ანალოგიური მონაცემები გვხვდება თუშებშიც. მთის საქსოვი დაზგა აღწერილი აქვს მ. მაჩაბელს: „მთაში საქსოვი დაზგები მეტისმეტად პრიმიტიულია. ადგილობრივ გაკეთებული ეს დაზგა წააგავს კარების ჩარჩოს. ბარის სოფლებშიც ამისთანა დაზგები ჯერ კიდევ ხშირია, მაგრამ შინამრეწველობის განყოფილების მეოხებით ამ მამაპაპური დაზგების მაგიერ თანდათან ვრცელდებოდა საუკეთესო საქსოვი დაზგები, რომელზედაც დღეში საშუალოდ იქსოვება 10—12 არშინი მაუდი, მაშინ, როდესაც აყუდებულ დაზგაზე იქსოვებოდა დღეში 1—1/2 არშინი“. შალის საქსოვად საქართველოში. ძველი დროიდანვე, იყენებდნენ ორი სახის საქსოვ დაზგას: ბეჭსაშვერიანი საქსოვი ყდა (ვერტიკალურ) და დგიმსავარცხლიანი საქსოვი დაზგა (ჰორიზონტალური). საქართველოს ბარში გაბატონებული მდგომარეობა ეჭირა საქსოვი დაზგის ჰორიზონტალურ ტიპს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში — ვერტიკალურს. ამ ტიპის დაზგას თუშები ა კ ა ზ მ ი-ს უწოდებენ.

აღნიშნული ორივე სახის საქსოვი დაზგა გვხვდება ვეინახებშიც. საქსოვ დაზგაზე ძაფის გაბმა ხდებოდა გათვალისწინებული სამოსის ზომის მიხედვით. ითვალისწინებდნენ რეცხვის დროს ქსოვილის შეკლებასაც. ქალის ჩოხისათვის საჭირო იყო 15—20 წყრთა — დ უ ა ლ, პერანგისათვის — 10, ხოლო მამაკაცის ჩოხისათვის 11,5 წყრთა. ერთი საჩოხე შალისათვის მატყლის დაწეწვას, დაჩეჩვას, დართვას და ქსოვას თუში ქალი უნდებოდა 11 დღე. ერთი შალის მოქსოვა ღირდა 25 გირვანქა ყველი ან 10—15 მანეთი ფული. წმინდა შალის ქსოვა უფრო ძვირი იყო, ვიდრე სქელისა, რადგან დიდ დროს მოითხოვდა.

საქსოვი დაზგიდან მოხსნის შემდეგ შალს მოთელავდნენ თბილ ნაცარწყალში (ბოლო ხანებში იყენებდნენ საპონს) ფეხით. ვეინახებში მოთელილ სველ შალს ჯოხზე მაგრად დაახვევდნენ, გაშრობის შემდეგ თბილ წყალში გახსნილი კვერცხის გულის წასმით გაასწორებდნენ და ისევ ხელმეორედ ჯოხზე დაახვევდნენ, რომ ზედმეტად არ შეთელილიყო. წოვა-თუშებში კი მოთელვის შემდეგ გასაშრობად ჩამოკიდებული შალის ბოლოს აკეცავდნენ მახათით და შიგ ჩადებდნენ სიმძიმეს. შალს, გაშრობის შემდეგ, ღებავდნენ, ხან კი წინასწარ შეღებილი ძაფისგან ქსოვდნენ. ვეინახებში შეძლებული ოჯახის მამაკაცი საგარეო ჩოხას იკერავდა შეუღებავი თეთრი შალისგანაც.

ვ. ლაგაზიძე აღნიშნავს: „იყო შემთხვევები, როცა თუშები შალებსაც ღებავდნენ. მაგრამ შეღებილი შალი არ იყო ერთფეროვანი და ამიტომ უფრო მიღებული იყო ნართის შეღებვა". თუშებს ბუნებრივი მატყლიდან სამი ფერის ძაფი გამოჰყავდათ: შავი, ლეგა და წენგო. დანარჩენ ფერებს ღებულობდნენ მცენარეული საღებავებით, ვეინახები ლეგა ფერს ღებულობდნენ ჩეჩვის დროს შავი და თეთრი მატყლის ერთმანეთში შერევით, ხოლო წენგოს — ყავისფერი და თეთრი მატყლისაგან.

საღებავად იყენებდნენ თრიმლის, ლაფნის, ტყის მაყალო ვაშლის ფოთლებს, მუხის, მურყნის, კაკლის ხის ქერქს და ღებვის დროს (თუ შავი ფერის გამოყვანა უნდოდათ) უმატებდნენ ძაღას. შალეულის საუკეთესო საღებავი ყოფილა ენდროს ძირები, რომელსაც ჩრდილო კავკასიის ვეინახები შოულობდნენ თერგის მარჯვენა მხარეს — ბრაგუნის რაიონში. ღებვასთან დაკავშირებით საინტერესო მასალა მოჰყავს ჰეროდოტეს: კავკასიაში ცხოვრობს მრავალი ტომი, რომლებიც იკვებებიან ტყის მცენარეებით, ამბობენ, რომ ამ მცენარეებს ფოთლები თავისებური აქვს, მას ნაყავენ, წყალში ხსნიან და ამით ხატავენ ტანსაცმელს. იგი არ ხუნდება და ცვდება ქსოვილთან ერთადო. ვეინახებისგან განსხვავებით, წოვა-თუშები დამატებით იყენებდნენ თაგშავას, წართხლისა და დიკის ყვავილს და სხვ. ლ. მოლოდინის მიერ შესწავლილი ღებვის ხალხური წესები თუშეთში თითქმის ანალოგიურია წოვა-თუშებში არსებული წესებისა. ბოლო ხანებში შემოვიდა ქსოვილთა ღებვისათვის ვარგისი სხვადასხვა ქიმიური საშუალება და მოსახლეობამ აითვისა ყველანაირი ფერი: მწვანე — ა ა ფ ე, წითელი — წ ე გ ე, შავი — ა რ ჭ ე, თეთრი — კ უ ი, ალისფერი — ა ლ ი ს ფ ე რ, ცისფერი — ც ი ს ფ ე რ, ვარდისფერი — ვ ა რ დ ი ს ფ ე რ, ყვითელი — კ ა პ რ ა შ, შვინდისფერი — მ ა კ ე, ყავისფერი — წ ე ნ გ ო და სხვ. აღნიშნული ფერები ვეინახურად გამოითქმება: მწვანე—ბ ე ე ც ბ ო ა ს, წითელი—წ ი ე, შავი — ე რ ჯ, თეთრი — კ ე ი, ალისფერი — კ ე-

ეხბოას, ვარდისფერი — ზიეზაგბოას, ცისფერი—სიგილ-ბოას, ყვითელი — მოოჯ, შვინდისფერი — სეეი ბოას, ყავისფერო — დელახქ ბოას და სხვ.

ვეინახებში გვხვდება ორი სახის შალი: წმინდა და უხეშად ნაქსოვი. ორივე სახის შალი იხმარებოდა სამოსის, თავსაბურავის, ფეხსამოსისა და სამეურნეო დანიშნულებისათვის ტომრების დასამზადებლად. წოვა-თუშებში კი დამოწმებულია სამი სახის შალი: ორგლ მაშ — ორგულა შალი, კოჭბოლოშ მაშ — კოჭისძაფგაყრილი შალი და ფიქარე მაშ — საფეიქროზე მოქსოვილი შალი. ორმაგულა შალი გამოყენებული იყო მამაკაცის საქულაჯედ, საშარვლედ და საქათიბედ. ამ შალის ასაბმელი და გასაყრელი ძაფი ორმაგი იყო, სეფთა მატყლისა, ხოლო კოჭისძაფგაყრილი შალის ასაბმელი ძაფი მატყლისა იყო, გასაყრელი ძაფი კი — ბამბისა ან აბრეშუმისა. ეს შალი იხმარებოდა წინსაფრებისათვის, შიდა სამოსისათვის და ბავშვის ტანსაცმლისათვის. ფეიქარზე მოქსოვილი შალი განკუთვნილი იყო ქალისა და მამაკაცის ზედა სამოსისათვის. აკაზმებზე მოქსოვილი შალის სიგანე იყო 4,5 მტკაველი, სიგრძე 9—11 არშინი, ხოლო ფეიქრის შალის სიგანე — 3,5 მტკაველი, სიგრძე 20—30 არშინამდე ადიოდა, თუშური შალი, კავკასიის მასშტაბით, პირველობას მხოლოდ ლეკურ შალს უთმობდა, თუმცა გამძლეობით კავკასიაში გავრცელებული ყველა სახის შალსა სჯობდაო — აღნიშნავს ც. ბეზარაშვილი.

შალთან ერთად, სამოსად და ფეხსაცმლისათვის ფართოდ იყენებდნენ შინაური და გარეული ცხოველების ტყავს, რომელსაც სჭირდებოდა თავისებური გამოყვანა. ტყავი სიცხეში ხმება და სიცივეში კი ნესტიანდება. ამისათვის, როგორც სხვა მთიელებს, ისე წოვა-თუშებს და ვეინახებსაც. ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ, გამოუმუშავათ ტყავის გამოყვანის გარკვეული წესები. საზამთრო სამოსისათვის ტყავს გამოყვანა ვეინახებში ხდებოდა შემდეგნაირად: ახლად გატყავებულ ცხვრის ტყავს — ჭაჭ — აყრიდნენ ბლომად მარილს, გადაახვევდნენ და დაღებდნენ ცივ ადგილას. ორი-სამი დღე-ღამის შემდეგ გაშლიდნენ, დაასხამდნენ ზედ დოს — შარ და ხელმეორედ გადაახვევდნენ. სამი დღის შემდეგ ტყავს კარგად გარეცხავდნენ, გაახმობდნენ და სპეციალური ხელსაწყოთი (ჩეჩ. არდახ, ინგ. ბერ) დაზელდნენ, სანამ დარბილდებოდა. ასეთ გამოყვანილ ტყავს ვეინახები სილგაგინ ჭაჭს უწოდებენ. ეგრეთ რთული იყო ფეხსაცმლეულის საპირე ტყავის დამზადება. ამ დანიშნულებისათვის იხმარებოდა თხისა და ხბოს ტყავი, რომლის გამოყვანას სჭირდებოდა თანმიმდევრობის დაცვა.

ვეინახები ახლად დაკლული თხის ან ხბოს ტყავს სამი დღე-ღამე ჩაგებდნენ ცივ წყალში, წყლიდან ამოღების შემდეგ ათავსებდნენ

კირში იმდენ ხანს, სანამ ტყავს თითის წასმით სუფთად ბეწვი არ გასცილდებოდა, აქედან ამოღების შემდეგ ისევ ჩადებდნენ ცივ წყალში ორი დღე-ღამის განმავლობაში და წყალს ხშირად უცვლიდნენ. წყლიდან ამოღების შემდეგ ჩადებდნენ ქათმის პატივის ბუზარაყში, მასში იდებოდა, სანამ ტყავს ხორცისა და ქონის ნარჩენები სავსებით გაშორდებოდა; შემდეგ ტყავს გარეცხავდნენ, გარშემო კარგად ამოკერავდნენ ერთი ფეხისა და ყელის გარდა. ყელის მხრიდან ჩატენიდნენ დაკეპილ თრიმლის ფოთოლს და გაკერავდნენ. ფეხიდან ჩაასხამდნენ წყალს დღეში 7—8-ჯერ მაინც და შეკრავდნენ პირს. ტყავი წყლისაგან ნელ-ნელა იცლებოდა. იმ შემთხვევაში, თუ ტყავი ცოტა წყალს უშვებდა, ზეი დაადებდნენ დიდ ლოდს, რომ გაბერილი ტყავის კედლებს რაც შეიძლება მალე გამოეჟონა წყალი. წყლის გამტარი ტყავი კარგი ხარისხისა გამოდიოდა; თუ ძნელად უშვებდა წყალს, მაშინ ის ნაკლებხარისხიანად ითვლებოდა. როცა იგი წყალს მთლიანად გამოჟონავდა, გაკერილ ტყავს გახსნიდნენ, ფოთოლს გადაყრიდნენ, ამოიცლებდნენ ცივ წყალში, გაჭიმავდნენ ჯოხებზე წამოცმით და ჩრდილში გააშრობდნენ. გამშრალ, დარბილებულ ტყავს შესაღებად წაუსვამდნენ ძაღიანი, რკინისფანგიანი ნაწილებისაგან გამოყოფილ სითხეს, რომლითაც ტყავი ისე შავდებოდა, რომ ცვეთაში შესული „ჩუსტი“ ფერს არ იცვლიდა. თითო თხის ტყავიდან გამოდიოდა 10—12 წყვილი „ჩუსტის“ საპირე. ტყავის გამოყვანის დროს თრიმლისა და ქათმის პატივის გამოყენება სცოდნიათ თბილისელ მედაბღეებსაც.

სრულიად განსხვავებული წესი არსებობდა წოვა-თუშებში: „ტყავს ასუფთავებდნენ ქონისა და ხორცის ნაწილებისაგან; შემდეგ ჭიმავდნენ ხის ზამბარებით, დააყრიდნენ მშრალ დიშს (მარილის მაგიერ) და აშრობდნენ. შემდეგ ტყავს დაამუშავებდნენ, ნაცრით გააცლიდნენ ბეწვს და ერთი კვირის განმავლობაში ათავსებდნენ მუხის ქერქის წვენში. აქედან ამოღების შემდეგ აშრობდნენ და იყენებდნენ საჭიროების მიხედვით. დიში, როგორც ტყავის გამოყვანის საშუალება, ძნელად მოსაპოვებელი ყოფილა. იგი ქვის დიდ ლოდებზე და კლდეების ნაპირებზე ყოფილა ხავსივით მოდებული. მას ქვის ფერი ჰქონია და ძნელად დასანახი ყოფილა.

საძირეს საქონლის ტყავისაგან ამზადებდნენ; ახლად გატყავებული ძროხის, ხარის, მოზვრის ან კამეჩის ტყავს დააყრიდნენ მარილს, გადაახვევდნენ და დადებდნენ გრილ ადგილას. 10 დღის შემდეგ გაშლიდნენ, გაჭიმავდნენ რა სიგრძე-სიგანეც გააჩნია ტყავს, იმ სიგრძე გათლილ რამდენიმე წვერიან ჯოხზე ჩამოაცმევდნენ გაშლილად და ჩრდილში გაახმობდნენ (ზოგიერთები იატაკზე გაშლიდნენ და ლურსმნებით გარშემო დაამაგრებდნენ). გახმობის შემდეგ ჯოხებს მოაცი-

ლებდნენ და დაჭრიდნენ შოლტებად. ზურგის შოლტებს ჩუსტების საძირედ იყენებდნენ, ხოლო დანარჩენს საქალამნედ ან ბავშვის ფეხსაცმლის საძირედ. ტყავის ფეხსაცმლის საძირედ (საქალამნედ) დამუშავების აღნიშნული წესები წოვა-თუშებში არსებული წესების ანალოგიურია.

როგორც ვიცით, წოვა-თუშები ზამთარს ალვანში ატარებდნენ და ზაფხულობით კი მთაში მიდიოდნენ. „იმათი საზაფხულო ბინა ყოფილა ტბათანა, ალაზნის თავი და საყორნე. აქ დგებენ კარვებს თავიანთი ნათელი ნაბდებით, ისინი ხვნა-თესვას არ მისდევენ, ერთადერთი იმათი სარჩო და ხელობა არის ცხვარი. აგვისტოს ბოლოს თუში ბრუნდება სახლში — ალვანში, ცხვარს გაჰკრეკს, მოამზადებს ;ხორაგს, ცოლშვილს დატოვებს და თვითონ მიდის შირაქში, გაზაფხულზე ცხვარს მორეკავენ, გაჰკრეკავენ და მიდიან ცოლშვილით მთაში. ალვანში ზაფხულობით კაცი არ მოიპოვება“, — აღნიშნავს ალ. ხახანაშვილი. ამ ფაქტს ადასტურებს საველე ეთნოგრაფიული მასალაც. მაისში, როცა მამაკაცები შირაქიდან ბრუნდებოდნენ საზაფხულო იალაღებზე წასასვლელად, ოჯახის დიასახლისებს უკვე ჰქონდათ მოქსოვილი, შეკერილი მათთვის საჭირო სამოსი, ხურჯინები, ტომრები, წინდები და პროდუქტები. ოჯახის მთლიანი შემადგენლობა მათთან ერთად მთაში მიდიოდა, მაისის მეორე ნახევარში ალვანში მოსახლეობა უკვე არ იყო. საოჯახო ნივთებს, გარდა მაგარი ინვენტარისა, უბანში ერთ-ერთ დიდ სახლში შეიტანდნენ, დაკეტავდნენ და დაქირავებულ საერთო ყარაულს დააყენებდნენ. მთელს ალვანში დაქირავებული ყარაული ეყენათ ხუთ-ექვს ოჯახში. ყარაულად დგებოდნენ მატნელი და ქისტაურელი გლეხები.

ზაფხულობით ალვანში ყარაულის დატოვების ფაქტი დამოწმებული აქვს მ. მაჩაბელს: თუშები ზამთრობით ალვანში ცხოვრობენ, ზაფხულობით კი მთებში მიდიან და ყარაულს აყენებენო.

წოვა-თუში ქალი ალვანში საკუთარი საკარმიდამო ნაკვეთისა და ველად სათესი ფართის ათვისების შემდეგაც დიდხანს ვერ ჩაება სამიწათმოქმედო საველე საქმიანობაში. იგი საბჭოთა პერიოდამდე შემოფარგლული იყო მხოლოდ საოჯახო, შინამრეწველური საქმიანობით და მის საკარმიდამო თუ საველე სამუშაოებს ასრულებდნენ დაქირავებული მუშები. ოჯახების ყარაულობისა და ნაკვეთის დამუშავების საფასურს იხდიდნენ მთიდან დაბრუნების შემდეგ. აქედანაც ჩანს, რომ წოვა-თუში ქალის ოჯახური მდგომარეობა შედარებით უკეთესი იყო, ვიდრე მისი მეზობელი მთიელი ქალების: ჩაღმა-თუშის, ქისტის, ხევსურის, ჩეჩნის, ინგუშის, ფშავლისა და სხვ. წოვა-თუშ მამაკაცს სირცხვილად მიაჩნდა დედაკაცის ველზე სამუშაოდ გაყვანა. მთაშიც და ბარშიც მათი ქალების საქმე იყო მსხვილფეხა საქონლის

მოვლა, ქსოვა, კერვა და ოჯახის უზუნველყოფა საჭირო ნივთებითა და პროდუქტებით. რ. ხარაძე აღნიშნავს, რომ საქალო საქმიანობა მთაში მეტისმეტად მძიმე და რთული სამუშაოების შესრულებას ითავსებდა... „ქალების შრომაში დიდი დრო ეთმობოდა ოჯახის წევრების ეკიპირებისათვის ზრუნვას. ქალების ხელით მზადდებოდა როგორც საჩოხე და საჯუბე შალი და ნაბადი, აგრეთვე ცხენებისა და სახედრების შეკაზმულობის ნაწილები და მეცხვარეობაში საჭირო ინვენტარი". ავტორის მიერ გამოთქმული ეს მოსაზრება ვრცელდება ვეინახ და წოვა-თუშ ქალებზეც. ვეინახი ქალი, ამასთან ერთად, ჩაბმული იყო საველე სამუშაოებშიც.

დროთა განმავლობაში მთისა და ბარის რაიონების დუქნებში გაჩნდა შიდა და გარე სამოსისათვის განკუთვნილი სხვადასხვა სახის ქსოვილები, მოსართავები, ფერადი ძაფები, ღილები და სხვ., რომელმაც კონკურენცია გაუწია ადგილობრივ ნაწარმს. ქალაქიდან შემოსული ფაბრიკული ნაწარმი სწრაფად მოედო მიუვალ სოფლებსაც სომეხი და ებრაელი ვაჭრების მეშვეობით. მათ გვერდში ამოუდგნენ ადგილობრივი მთიელებიც, რომელთაც ვაჭრობა მანამდე სირცხვილად მიაჩნდათ. ვაჭრობა უმთავრესად ნატურალურ ხასიათს ატარებდა. ვაჭარი გაცვლის გზით შეძენილ პროდუქტს ქალაქის ბაზარში უფრო მეტ ფასებში ყიდდა.

ძველებურ ჩაცმულობას თანდათანობით ემატებოდა ზოგიერთი ახალი ელემენტი, რაც ხელს უწყობდა ტრადიციული ჩაცმულობის შეკვეცის პროცესს. შეძლებული ოჯახის ქალ-რძალნი უკვე აღარ კადრულობდნენ შინ ნაწარმი ქსოვილის სამოსად გამოყენებას. უხეში შალის შიდა საცვლები შეიცვალა ჩითის, ლასტიგის, ლაინის საცვლებით, ხოლო ზედა სამოსისათვის გამოიყენეს: მაუდი, ხავერდი, ლასტიკი, აბრეშუმის ქსოვილი — დარაია და სხვ.

ჩეჩნები სავაჭრო ურთიერთობას ამყარებდნენ მეზობელ ხალხებთანაც. საზღვაო გზით სპარსეთიდან ბაქოში შემოტანილი ქსოვილები სწრაფად ვრცელდებოდა დაღესტანში, დიდ და მცირე ჩეჩნეთში, ყაბარდოში და კავკასიის სხვა მხარეებშიც. XX საუკუნის დასაწყისში ჩრდილო კავკასიის მთის სარაიონო ცენტრებში გახსნილ სავაჭრო ფარდულებში, ქსოვილთან ერთად, იყიდებოდა ღილები, ნემსები, ფერადი ძაფები, ბუზმენტები, საყურეები, ქამრები, ბეჭდები, მძივები და სხვ. ამ დროისათვის ზემო ალვანში გახსნილი ყოფილა ორი სავაჭრო დუქანი—კიმიშვილებისა და თურქიშვილების, ხოლო პანკისში კი — მიქელაძეების, საკვლევ პერიოდში ფაბრიკული წესით დამზადებული ქსოვილის შეძენა უმრავლესობისათვის ხელმიუწვდომელი

იყო, მაგრამ შეძლებულს მიეცა საშუალება თავისი გემოვნების მიხედვით შეერჩია ქსოვილი თავისი მოსართაველებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესი, კანონზომიერი ხასიათის მიუხედავად, ძალზე ნელი ტემპით ვითარდებოდა.

2. ᲭᲠᲐ-ᲙᲔᲠᲕᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ

როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, ისე მათ მეზობელ ვეინახებშიც ტანსაცმლის ჭრა-კერვა და ქარგვა, გარდა ტყავის სამოსისა, ქალის საქმედ ითვლებოდა.

ვეინახებში სარძლოდ გოგონას გვარიშვილობითა და ხელსაქმის მიხედვით ირჩევდნენ. ამიტომ ოჯახში უფროსი ქალი გოგონას მიმართ პატარაობიდანვე ყურადღებას იჩენდა, აკეთებინებდა. მას სხვადასხვა საქმეს. დედებს ბავშვების გაზრდაში ბებიები ეხმარებოდნენ. ისინი ხშირად სამოსის რომელიმე ელემენტის გამოჭრის, კერვის ან ქსოვის დროს გვერდზე დაისვამდნენ 5—6 წლის გოგონებს და ასწავლიდნენ ნემსის, მაკრატლის ხმარებას, დაბლანდვას, ღილის დაკერებას და სხვ.

ბებიები, ხან დედები გოგონებთან ერთად თოჯინაობასაც თამაშობდნენ, ასწავლიდნენ მათ თოჯინების გაკეთებას. ზომაზე აღებულ ჯოხს წვერზე გაუკეთებდნენ მატყლით გამოვსებულ მრგვალ თავს, სახის ნაკვეთებს გამოსახავდნენ ნახშირით. ტანის მოყვანილობის მისაცემად დაახვევდნენ ძონძებს, თავის ქვეშ მიამაგრებდნენ მოკლე ჯოხის ხელებს და ჩააცმევდნენ პერანგს, თან გოგონებს აჩვენებდნენ, როგორ უნდა გამოიჭრას და შეიკეროს თოჯინისათვის პერანგი. გოგონები თანდათანობით ხვდებოდნენ, რომ თოჯინას სჭირდებოდა ქვედა საცვალი, ამისათვის ისინი ეძებდნენ ორფეხიან ჯოხს, რომ მისგან გააკეთონ თოჯინა და ქვედა საცვალიც ჩააცვან, შემდეგ ზედა პერანგი და ა. შ. 5—6 წლის მეზობლის თანატოლი გოგონები ერთადაც თამაშობდნენ თოჯინაობას და ერთიმეორისაგან სწავლობდნენ თოჯინის ჩასაცმელების გამოჭრას, კერვას, ქარგვას. ასე ინერგებოდა ბავშვის გონებაში ეს ჩვევები და ისინი ოჯახის სხვა საქმეების კეთებასაც ადვილად უღებდნენ ალღოს.

ბავშვობიდანვე ოჯახურ მეურნეობას და ხელსაქმეს შეჩვეული გოგონა 15—16 წლის ასაკში დამოუკიდებელი ოჯახისათვის მომზადებული იყო.

ჭრა-კერვასთან დაკავშირებით ქისტებში შემორჩენილია ერთი ძველებური წესი, რომელსაც, პატარა გოგონებთან ერთად, დიდებიც ასრულებდნენ: ზაფხულის მთვარიან ღამეს ქალები საგანგებოდ დასხდებოდნენ ივანზე ან ეზოში, აკვირდებოდნენ ვარსკვლავების მო-

ძრაობას. როცა ვარსკვლავი ცას მოსწყდებოდა, მათ უნდა მოესწროთ სამჯერ დაძახება: მ ა ხ ი ე, კ ო დ ი ე, ტ ო რ ი ე — ნემსი, დუქარდი, სათითე. ეს იმისათვის კეთდებოდა, რომ კარგად დაუფლებოდნენ ნემსის, დუქარდისა და სათითის ხმარებას. ჩრდილო კავკასიის ვეინახებში ეს წესი არ [illegible], შეიძლება მათ დაივიწყეს და ქისტებმა კი ჩვენს დრომდე შემოინახეს.

ვახუშტი ოსი ქალების შესახებ ამბობს: „ქალთა მათთა უწყიან კერვანი წმიდა და კეთილნი“.

ავტორის ამ ცნობიდან ჩანს, რომ ოსეთში კერვისა და ქარგვის ხელობა სათანადო დონეზე ყოფილა დაყენებული, რაც მსგავსებას იჩენს ინგუშეთში შემონახულ, XX საუკუნის დასაწყისით დათარიღებულ სურათებზე გამოსახულ კოსტუმებთან და დღემდე შემონახულ, ხელით შეკერილი ქალის ნაღა სამოსთან — ღ ო ვ თ ა ლ.

საინტერესო მასალა გვსვდება ჟურნ. „მოამბეში“: „მთელი ქისტის საოჯახო, შინა და გარეთა საქმე დედაკაცს აწევს კისერზე, ტყე-მინდორში, საქონელ-ცხვრის მოვლაში თუ ოჯახის საქმეში, ყველგან დედაკაცის ხელი და თვალი ტრიალებს, ქისტი დედაკაცი, ამას გარდა, კარგი ხელსაქმის მცოდნეც არის, ‘მალეულების ქსოვა, კერვა და ფეხსაცმელი — მესტების კერვაში ხომ ქისტის დედაკაცს ბადალი არ ჰყავს“.

ეს ამონაწერი ეხება არა პანკისის ქისტებს, არამედ ჩრდილო კავკასიის ვეინახებს, რადგან ჩეჩენი და ინგუში ქალი გაცილებით უფრო დახელოვნებული იყო კერვაში, ქარგვაში, ვიდრე პანკისელი ქისტი. ჩეჩენი და ინგუში ქალის ნაქარგი კედლის ნაბადი ი ს თ ი ნ გ თავისი სილამაზით ნაქსოვ ხალიჩა-ფარდაგს არ ჩამოუვარდება.

ჩეჩნები და ინგუშები საქორწილო და საზეიმო ზედა სამოსის წინაკალთებს, სახელოებს, თავზე მოსახვევს და ფეხსაცმელს ქარგავდნენ ოქროჩკედით. ი. შუბლიკინის ცნობით, ინგუშები ოქროჩკედით ქარგავდნენ კოსტიუმებს, ქუდებს, ქამრებს, რომლის ორნამენტებში ჩაქსოვილი იყო შველის რქები, მზე, ვარსკვლავები და ნახევარმთვარე. ამასთან, ჩეჩენი და ინგუში ქალების უმრავლესობა, საქონლის საქმეებთან ერთად, ნემაკაცის საქმესაც თავს კარგად ართმევდა. თუკი პანკისელი ქისტებში და წოვა-თუშებშიც ტყავის სამოსს და ფეხსაცმელს კაცები ამზადებდნენ, იქ ტყავის ქ უ რ ქ ე ბ ს და ფეხსაცმელ-მესტებს უკვე ხანში შესული ქალები კერავდნენ.

წოვა-თუშის ქალები კი ქარგვის ხელობას ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ და წინა პლანზე წამოწეული ჰქონდათ შინამრეწველობის სხვა დარგები, ამის დამადასტურებელი ფაქტია ძველ სურათებზე გამოსახული ტანსაცმელი და დღემდე შემორჩენილი ზოგიერთი ელე-

მენტიც. წოვა-თუშებს სცოდნიათ მხოლოდ ჯუბის სახელოების, მაჯების, პერანგის საყელოს ბოქარგვა და ბუზმენტით გაწყობა. იშვიათად ქარგავდნენ ჩოხის წინა კალთებს.

ვეინახებში, ტანსაცმლის რომელიმე ელემენტის გამოჭრის დროს, ოთახში შესვლა ან შესულის გამოსვლა არ შეიძლებოდა, სანამ გამოჭრა არ დამთავრდებოდა (ქსოვილის უყაირათოდ დაჭრის შიშით). მკერავი რომელიმე ელემენტის გამოჭრის დროს პატრონს დალოცავდა: „ირიზ დოლაშ იუხაილ“ — ბედნიერებაში გეტარებინოს და გადაჭრიდა ქსოვილს. მთხრობლის გადმოცემით, ყველა ოჯახის ქალმა ტანსაცმლის გამოჭრა და კერვა არ იცოდა, მაგრამ უბანში თითო-ოროლა მცოდნე მაინც იყო, რომელთა წყალობით იმოსებოდნენ უბნელები ახალ სამოსში. კერვა უფასო იყო. იმისათვის, რომ მკერავს მთელი დრო სხვისი სამოსის კერვაში არ დაეკარგა, ვეინახებში მიღებული იყო ურთიერთმიხმარება. რამდენი დღეც იქნებოდა მკერავი დასაქმებული სხვისი სამოსის კერვით, იმდენი დღე სამოსის პატრონი მიეხმარებოდა მას თოხნაში, ყანის მკაში, მატყლის ჩეჩვაში, ნაბდის თელვაში თუ სხვა საქმეში. შიდა სამოსელს კი, ვინც არ იცოდა, სხვას გამოაჭრევინებდა და თვითონ კერავდა. ანალოგიური წესი იყო წოვა-თუშებშიც.

აღსანიშნავია ისიც, რომ XX ს. 20-იან წლებში ზემო ალვანში გახსნილი ყოფილა სამკერვალო, სადაც ხელოსნად მუშაობდა დავით ყიზილაშვილი, რომელიც საუკეთესოდ კერავდა მამაკაცისა და ქალის ზედა სამოსს. იმავე წელს ჩეჩნეთის სოფლებში — შალში, ურუსმართანში — ჩამოყალიბდა ჭრა-კერვის წრეები, სადაც გოგონებს ასწავლიდნენ „რუსულ მოდაზე“ კერვას.

ტანსაცმლის გამოჭრა ხდებოდა თარგის გარეშე. ზომას იღებდნენ ბუნებრივი საზომებით: შ ე — მტკაველი, დ უ ა ლ — წყრთა, გ უ ა ლ ი გ — გოჯი, გ ი — ციდა, ანალოგიურ საზომ ერთეულებს იყენებდნენ წოვა-თუშებიც: შე — მტკაველი, ო ლ ო კ — წყრთა, გ ე — ციდა, გ ო ჯ — გოჯი. აღნიშნული საზომი ერთეულები დგინდება ჩაღმათუშებში, ხევსურებში და ფშავში.

აღნიშნული საზომი ერთეულები განეკუთვნებიან ბუნებრივ, ე. ი. ნატურალურ საზომთა რიცხვს და ეკუთვნიან უძველესი დროის საზომ ერთეულთა რიგს.

ბუნებრივი საზომი ერთეულები ძირითადად გამოყენებული იყო სახელოების, სამაჯურის, საყელოს გადაზომვის დროს, ხოლო სიგანეს და სიგრძეს იღებდნენ ქსოვილის თვით პატრონზე დატოლებით. გამოცდილი მკერავი ქალი ერთი შეხედვით ამჩნევდა, რომელ ქალს რამდენი ქსოვილი სჭირდებოდა.

ტანსაცმელს ხელით კერავდნენ. შესაკერად გამოყენებული იყო ბამბის, აბრეშუმის, მატყლისა და სელის ძაფი.

ვეინახებში არსებობდა ხელით კერვის რამდენიმე სახეობა: დაბლანდვა—ჩეჩ. ლ ო ლ თ უ ა ხ ა რ, ინგ. შ ე ნ ქ თ ი ე ხ ა, ქისტ. ლ ე ი თ უ ა ხ ა რ, გვირისტით კერვა — ჰ ა ლ ხ ი ე — ტ ე ჰ ი ე-თ ი — ს უ შ თ ი ე გ ა რ, პეტლით კერვა — ძ ე ი ე შ თ ი ე გ ა რ, წმინდად კერვა — ც ა გ უ შ თ ი ე გ ა რ და ამოხვევით კერვა — ტ ი ე ხ მ ა ხ ბ ო ჯ უ შ თ ი ე გ ა რ.

გამოსაჭრელი იარაღი იყო თ უ ქ ა რ ი — დუქარდი, რომელიც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში განმარტებულია: „ს პ ა რ ს უ ლ ი დ უ ქ ა რ დ — მ ა კ რ ა ტ ე ლ ი (დიდი მაკრატელი ცხვრის საპარსად). საკერავად იყენებდნენ წმინდა და უხეშ ნემსებს. ნემსს ვეინახები და წოვა-თუშები მ ა ხ-ს უწოდებენ, რაც ქართული მახათის ანალოგიურია.

ფეხსაცმლის გამოსაჭრელი და შესაკერი იარაღი იყო დანა, სადგისი, ნემსი (წვრილი მავთულისაგან გაკეთებული). ზედაპირის შესაკერად იყენებდნენ ჩვეულებრივ ძაფს, ხოლო ძირის ამოსაკერად — გასანთლული ბამბის ან სელის ძაფს.

ფაბრიკული პროდუქციის შემოსვლის შემდეგ ვეინახები და საქართველოში მცხოვრები ქისტები და ასევე წოვა-თუშებიც საცვლებს კერავდნენ ბამბის ფერადი ქსოვილისაგან (ჩითი, ნარმა, ლასტიგი), ხოლო გარე სამოსისათვის იყენებდნენ შალის, აბრეშუმის ქსოვილს (ქიშმირი, მაუდი, დარაია, ატლასი, ლასტიგი).

ვეინახი მკერავი, შიდა პერანგის გამოჭრის დროს, სიგრძის მიხედვით, ორად გადმოკეცავდა ქსოვილს. თავის გასაყოფად მრგვალად ამოჭრიდა საყელოს, გვერდებში შესაყენებლად სამკუთხედად აჭრიდა აჭღოტებს, გრძელ და ფართო სახელოებს და იღლიის ქვეშ შესაყენებელ ხიშტაკს. პერანგისათვის გათვალისწინებული ქსოვილიდან თითქმის არავითარი ნაკუწი არ რჩებოდა. უნაკუწოდ იჭრებოდა აგრეთვე ქვედა საცვალიც. იმ შემთხვევაში თუ ქსოვილი განიერი იყო, ინგუში ქალი სიგრძის მიხედვით აღებულ ქსოვილს შუაზე გადმოკეცავდა, ფეხის კოჭებიდან ან მუხლებიდან (დამოკიდებული იყო სიგრძეზე) საჯდომამდე აჭრიდა და შუაში მიუყენებდა სამკუთხედად აჭრილ ორმაგ ნაჭერს — უბეს. დანარჩენი ელემენტების გამოჭრის დროსაც გამომჭრელი ცდილობდა ქსოვილი უნაკუწოდ დაეჭრა და დარჩენილი ნაჭერი სხვა რამისთვის გამოეყენებინა.

აღნიშნული ქვედა საცვლის თარგი წოვა-თუშებში ხმარებული ქვედა საცვლის თარგის ანალოგიურია. თარგი წლოვანების კვალობაზე არ იცვლებოდა, განსხვავება თავს იჩენდა ქსოვილის მეტნაკლებობაში და სამოსის შეკერვის ხარისხში. მაგ., ბავშვის სამოსს კერავდ-

ნენ ყოველგვარი მორთვის გარეშე. აღსანიშნავია ისიც, რომ პირველმა მსოფლიო ომმა და ასევე სამოქალაქო ომმაც დიდი დაღი დაასვა კავკასიის მოსახლეობის ეკონომიკას და ის ფაბრიკული ნაწარმი ქსოვილი, რომელმაც ასე ფართოდ მოიკიდა ფეხი მთისა და ბარის რაიონების სავაჭრო დუქნებში, გაქრობის გზას დაადგა, და, მეორეც, მოსახლეობის უმრავლესობისათვის ხელმიუწვდომელი გახდა. ეს იყო, ალბათ, მიზეზი, რომ მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ისევ შინამრეწველობას მიჰყო ხელი, რომლის პროდუქციამ XX ს. 30-იან წლებშიც კარგად შემოინახა თავი.

ვეინახებში უქმე დღეებად ითვლებოდა: ოთხშაბათი — ᲧᲐᲠ, პარასკევი — ᲞᲔᲠᲐᲡᲙ და კვირა — ᲙᲘᲠᲐᲯ. ოთხშაბათი ღმერთის მოციქულის — ᲤᲔᲘᲮᲣᲛᲐᲠ-ის — დაბადების დღედ მიაჩნიათ. მის პატივსაცემად ამ დღეს საოჯახო და საგარეო საქმეს ხელს არ კიდებენ: ღმერთი — ᲓᲔᲚ — გაბრაზდება და ოჯახში ზიანს მოგვაყენებსო. ოთხშაბათი ითვლება აგრეთვე ᲕᲔᲥᲐ-ᲥᲣᲮᲘᲚᲘᲡ ღმერთის — ᲡᲔᲚᲘ-Ს — დღედ. ამ დღეს ცეცხლის გაცემა და მეხით მოკლულზე ტირილი არ შეიძლებოდა. ინგუშების რწმენით, ოთხშაბათს დაბადებული გოგონა, თუ ის შობისას ფეხებით მოემართებოდა, თარსია და მას ᲦᲐᲛ-ᲥᲐᲯᲘ უწოდებენ, ხოლო თუ ბიჭი დაიბადა, ის კარგი ვაჟკაცი დადგებაო.

ვეინახებში პარასკევი რელიგიურ — ᲠᲣᲖᲒᲐᲜ — დღედ ითვლებოდა. ამ დღეს ქალი, კაცი და ბავშვი დაბანილი, სუფთად ჩაცმულები ᲬᲕᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ, არ ᲛᲣᲨᲐᲝᲓᲜᲔᲜ მინდვრის სამუშაოზე, ხელს არ კიდებდნენ ოჯახისა და ᲭᲠᲐ-ᲙᲔᲠᲕᲘᲡ საქმეს. ქისტები (მხედველობაში ჰყავს მთლიანად ვეინახები) „კვირა დღესაც უქმობენ ყოველგვარი სამუშაოს მიტოვებით“ — აღნიშნავს ა. გიულდენშტედტი. მათში ეს დღე ითვლებოდა ქვეყნის დაარსების საწყისად, ხოლო ორშაბათი დამთავრების დღედ. უქმე დღედ პარასკევის გამოცხადებიდან კვირა დღემ ძალა დაკარგა და მას მხოლოდ ვეინახების ერთი ნაწილი ინახავდაო,— მოგვითხრობს მთხრობელი. ვეინახების რწმენით, ოთხშაბათს მატყლის ჩეჩვით ცხვარი მატებას შეწყვეტს, ხოლო პარასკევს, მინდორში სამუშაოდ გასვლის გამო, ოჯახი მოსავალს ვერ მიიღებს, კვირას გამოჭრილი სამოსი პატრონს არ მოერგება, ან გრძელი მოუვა, ან მოკლე. საქმეში ბარაქიან დღედ ითვლებოდა სამშაბათი და ხუთშაბათი. ხუთშაბათს გამოჭრილი და შეკერილი სამოსის ჩაცმა ბედნიერების ნიშანი ყოფილა. თუ ამ დღეს მკერავი ვერ მოასწრებდა სამოსის რომელიმე ელემენტის გამოჭრას, იმ ქსოვილს ცოტას მაინც შეჭრიდა, რომ შემდეგ რომელიმე დღეს გამოჭრილი და შეკერილი სამოსი მაინც ხუთშაბათს გამოჭრილად ჩათვლილიყო. წოვა-თუშებ-

შიც უქმე დღედ პარასკევი და კვირა ითვლებოდა. პარასკევის გატეხვით ცხვარ-საქონელს მგელი ეტანებაო, ცხვარს რეტი უჩნდებაო. პარასკევს გამოპრილ სამოსს ცეცხლი ედებაო, ხუთშაბათს ღამე არ მუშაობდნენ, დილით პარასკევი მოდის, იწყეველება, რატომ მუშაობენო. შაბათ ღამეს არ მუშაობენ კვირის ძალით. სამშაბათს ღამე რომ მუშაობენ, დილას ოთხშაბათი მოდის ბურტყუნით, მოვდივარ და მუშაობენ, პატივს არ მცემენო". ამ უკანასკნელიდან ჩანს, რომ უწინ წოვა-თუშები ოთხშაბათსაც უქმობდნენ, მაგრამ ბოლო ხანებში მიუტოვებიათ. უქმე დღეებს მკაცრად ინახავდნენ.

ვეინახებში, უქმე დღეების გატეხვის შემთხვევაში, კაცსა თუ ქალს საკლავით სოფლის გარშემო უნდა შემოევლო, ღმერთისთვის პატიება ეთხოვა, ცხვარი დაეკლა და ხორცი ობლებისათვის გაენაწილებინა.

აღნიშნული უქმე დღეების რწმენა ვეინახებსა და ქართველებში მრავალი საერთო ელემენტის შემცველია.

II. წოვათუშური ტანსაცმელი

ცნობილია, რომ თუშების ოთხივე თემი კახეთში ცხოვრობს—ახმეტის რაიონის სოფელ ზემო და ქვემო ალვანში. თუშებით დასახლებულია აგრეთვე ლალისყური და სოფელ ფშავლის ნაწილი, რომელიც ეკუთვნის თელავის რაიონს.

თუშეთი თითქმის ხალხისგან დაცარიელებული იყო ჯერ კიდევ 1952—1953 წლებში, სოფ დიკლოში, შენაქოში და ომალოში შემორჩენილი იყო მხოლოდ სამ-სამი ან ოთხი კომლი. რვაწლიან სკოლა-ინტერნატში, სადაც მე ვმუშაობდი, გვყავდა 60—70-მდე ბავშვი. მათი მშობლებიც, ზოგი საზამთროდ და ზოგიც მუდმივად, ბარში იყვნენ ჩამოსახლებულები. ასე რომ, თუშეთში, აღნიშნული დროიდან, მუდმივად, დიდი რაოდენობით მოსახლეობა არ ცხოვრობდა, ზაფხულობით აქ ადიოდა მხოლოდ თითო-ოროლა ოჯახი. ამ უკანასკნელ ხანებში საქართველოს ყოფილმა ხელმძღვანელობამ შეიმუშავა და განახორციელა მრავალი ღონისძიება, რათა თუშეთი დაადგეს აღორძინების გზას და დიდი ხნის წინ მიტოვებულ წინაპართა ნასახლარებისკენ ხალხმა პირი იბრუნოს. დიახ! საუკუნეების განმავლობაში, ზამთარ-ზაფხულ სიცოცხლე ჩქეფდა თუშეთის ოთხივე თემში (პირიქითი, წოვათა, გომეწარი, ჩაღმა), რომელიც ზოგ თემში ჯერ კიდევ XIX საუკუნეში შეწყდა. ხვნა-თესვისაგან დასვენებული თუშეთის რამდენიმე ათასი ჰექტარი ბარაქიანი სახნავი მიწა, სათიბ-საძოვარი, ტყეშინდორი ელოდა თავისი ერისთვის მზრუნველ ხელს; მათ ათვისებას

საფუძველი ჩაეყარა 1981 წელს. თუ დღესდღეობით ახმაურდა ომალო, მის გარშემო მდებარე სოფლები, ხვალ, ზეგ წოვათა და გომეწარიც მოწამე გახდება ამავე მოვლენისა.

ცხადია, XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში თუშეთის ოთხივე თემის მცხოვრებლები ერთობლივი ტრადიციების მატარებელნი იყვნენ და ჩაცმა-დახურვის ერთნაირი წესი ჰქონიათ, განსხვავება თავს იჩენდა ფერებში და სხვა მცირე ნიუანსებში.

თუშების სამოსის შესახებ გიულდენშტედტი წერდა: „მამაკაცები ქართულად იცვამენ. ქალებიც ქისტურ რქისმაგვარ ჩაფხუტს კი არ იხურავენ, არამედ, ქართული წესით, თავშალი აქვთ მოხვეული თავზე". თუ ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრება საერთოდ თუშებზე გავავრცელეთ, მაშინ ვახუშტის მიერ ქართველი ქალისა და მამაკაცის ჩაცმულობის შესახებ წარმოდგენილი მონაცემები წოვა-თუშების სამოსის შესწავლაშიც გამოდგება: „ხოლო შემოსილნი არიან ქართველნი და კახნი ერთრიგად"—ამბობს იგი. მკვლევარი იქვე იძლევა მეტად საინტერესო მონაცემებს: გრძელ-წვრილი, ბეწვეული, აფროსანი; „თავს სკლატისაგან ანუ შალისაგან ქუდი; ტანს კაბა ლარისა, სკლატისა ანუ ჩოხისა მუკლთ ქუემომდე, მაზედ სარტყელი, შიგნით საგულე ბამბიანი კაბის უმოკლე, პერანგი აბრეშუმისა, ბამბისა ანუ ტილოსაგან, უგრძე კაბისა, და კისერი სრულიად მჩენი; ნიფხავი აბრეშუმისა, ანუ ბამბისაგან, ანუ ტილოსა. არამედ ცხენსა ზედა მოსიათ საწარმათული და მოგუნი, თუნიერ მისსა-არა; ფერკეთა პაიჭი და წუღა ტყავისა ანუ სკლატისა, ხოლო მაშია სპარსული; უმცირესთა ჩუსტი და ქალამანი... და ტყავი ზამთარს დიდი".

იოანე ბატონიშვილის მიხედვით, ქართველთა ჩაცმულობაა „უკანასკნელთა დროთა შინა პერანგი მოკლე და საყელოც დაბალი, ახალუხიც მოკლე მუხლამდის და ჩოხაცა, ქუდი უფრო მაღალი... სარტყელი და ფეხსაცმელი პაჭიჭი, წინდა, ჯურაბი, წვივსაკრავი, წუღა და ქოში, აგრეთვე წაღა, ხოლო გლეხკაცთათვის ქალამანი".

ვახუშტი ბაგრატიონისა და იოანე ბატონიშვილის მიერ დასახელებული ქართლელი და კახელი მამაკაცის სამოსში შემავალი ელემენტები — ჩოხა, ახალუხი, პერანგი, შარვალი, ტყავის გრძელბეწვიანი ქუდი, სარტყელი, ფეხსაცმელი (პაჭიჭი, წუღა, ჩუსტი, ქალამანი), ტყავის ქურჭი — დგინდება წოვა-თუში მამაკაცის სამოსშიც, რაც კარგად ჩანს ადგილზე მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალებიდან და სხვა წერილობითი ცნობებიდან.

ვახუშტი ქალის სამოსს შემდეგნაირად აღწერს: „ქალთაცა მგზავსად, გარნა სარტყელთა წუერნი ჩაშუებულნი და მას ზეით კაბა-ახალუხი ამოჭრილი, და თუნიერ პერანგისაგან კიდე არარაჲ ჰფარავს, და პერანგი მჭვრვალი, ჯორცის მჩენელი, უპაიჭოთ ნიფხავი და ფერ-ჯზედ წუღა — მაშია; ხოლო თავი ქალწულთა: კავნი თუსისავე თმისა ღაწუთა ზედა და ქუდი ანუ ლეჩაქი, არამედ ქრმოსანთა კავსა ზედა ღაწუს აძესთ თმა შეწწული, მსხვილი, იმიერ და ამიერ, და უბას ქუეშ მარგალიტით შემზადებულს ამოიდებენ და თხემსა ზედა შეიკურნენ, და ჰბურავთ მასზედ ლეჩაქი. კუალად სამკაულნი იციან მრგვალგუარნი, ზოგნი თუსნი და ზოგნი სპარსთანი; ზამთარ კაცთა და ქალთა ქათიბი, ტყავი და ტოლომა ბეწულნი; გარნა ქალთა კაბა და ტყავი ვიდრე მიწადმდე“.

ქართველი მამაკაცისა და ქალის სამოსზე და სამკაულზე საინტერესო ცნობები დაგვიტოვა დ. ფანასკერტელ-ციციშვილმა, რომელიც ეხება XVII—XVIII საუკუნეებში გამოყენებულ ტანსაცმელს. ეს მონაცემები ჩვენს გამოსაკვლევ პერიოდს სცილდება, მაგრამ მათი მეშვეობით ვახერხებთ გავიგოთ — რა იყო შენარჩუნებული XIX საუკუნის და XX საუკუნის დასაწყისს ქართულ ჩაცმულობაში მისი ტრადიციული ფორმებიდან და ნიშნებიდან. დასახელებული ავტორი, სხვა მკვლევრებისაგან განსხვავებით, ცალკე აღწერს ნეფე-დედოფლის ტანსაცმელს. ის მოგვითხრობს: „მაშინ სასიძოცა შთაიცვამდა ძვირფასსა სამოსელსა: პერანგსა ჭიჭნაურისასა, პერანგის ამხანაგსა ჭიჭნაურისავე, წვივთა ზედა პაიჭსა, ფერჯთა ზედან წინდასა აბრეშუმისასა, ყელსა ზედან დასხმულის ოქროისა ანუ მინანქრისაგან გაკეთებულის ღილებითა, ზემორე მისსა სანდალთა ანუ ქოშთა და მაშიათა. ახალუხსა ლარისასა ყურთმაჯგახსნილისა და თეძოთა ზედან ჩაქშეჭრილსა. კაბასა ძვირფასის ლარისასა, ქობამოვლებულსა, ყურთმაჯიანსა, მოკლე სახელებით, სარტყელსა შალისა, გინა ფარჩისასა, ზემოდან მოკლესა ჩასაცმელსა, ვიდრე თეძოთამდე მოკლე სახელოებით. ქუდსა გრძელის ყალამით, რომლისა წვერი შთამოშვებულ იყო მხრებამდე უკანით. და შეირტყამდა წელსა ზედა ხმალსა“. ცხადია, ჩამოთვლილი ელემენტები ეკუთვნის მაღალი წოდების წარმომადგენელს, მაგრამ დასახელებული ელემენტი გვხვდება დაბალ წრეშიც, შედარებით დაბალ დონეზე.

აკად. გ. ჩიტაია წერს: ქართველი მამაკაცის კოსტიუმში შედის: „(მაღალი წოდება) მოვის პერანგი, ახალოხი, ქულაჯა, ყურთმაჯიანი ჩოხა, შარვალი, ხონჯარი, ქამარი, ხანჯალი, ხმალი, სავაზნე, საპირისწამლე, მათარა, ქუდები, პაიჭები, წინდები, ჩახსაკრავები, ბოხოხის ქუდი“, ხოლო ლ. მოლოდინისა და გ. ჩაჩაშვილის მონაცემებით, ხევსური მამაკაცის ტალავარს შეადგენდა: „პერანგი, შალვარი ანუ ნი-

ფხავი, ჩოხა, სამხედრო ჩოხა, ტყავი ანუ საბეწვგარეთო, საფუხარი, ქუდი (ნაბდის, ტყავის), წვივსაკრავი, წინდა და ჯღანი. აღნიშნული ელემენტები განხილულია თარგისა და შეკერილობა-მორთულობის ჩვენებით, რაც რიგი ავტორების შრომებში ნაკლებად ვვხვდება.

აკად. გ. ჩიტაია ამბობს: „... საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების შესწავლა შეუძლებელია გეგმების გარეშე, ასევე, თარგების გარეშე შეუძლებელია ტანსაცმლის შესწავლა". სავსებით სამართლიანია, თარგის გარეშე ძნელია სხვადასხვა რეგიონში გავრცელებული ერთი სახელწოდების მქონე სამოსის ელემენტის სახეთა (ფორმათა) მსგავსებისა და განსხვავების დადგენა. ქართველი ხალხის სამოსში შემავალი, ზემოთ აღნიშნული ელემენტების არსებობა დგინდება სხვა მეზობელ ხალხებშიც. მათგან ზოგიერთი, თარგითა და ზოგჯერ სახელწოდებითაც, არ განსხვავდება მისი შესაბამისი ქართული ფორმისაგან, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ჩაცმულობის ერთნაირი ტიპის ელემენტები ავლენს ლოკალურ თავისებურებებს. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს ახალუხი, ჩოხა, ქულაჯა, შარვალი, პერანგი, ნაბადი, ქურქი, ტყავისა და ნაბდის ქუდი და კავკასიური სამოსის ზოგიერთი სხვა ელემენტი. ზემოთ, სამოსის ელემენტებთან ერთად, დასახელებულია ხონჯარი და ჩახსაკრავები, მათგან ხონჯარი შარვლის, ხოლო ჩახსაკრავები ფეხსამოსის შემადგენელი ნაწილებია და მათთან ერთად უნდა იხილებოდეს.

ზემოაღნიშნულის მიხედვით, ჩვენი გამოსაკვლევი პრობლემის შესწავლის ამოსავალ წყაროდ ქართლ-კახური მასალა გვევლინება, რადგან მათთან მკვიდრი ურთიერთობის საფუძველზე მოხდა თუშების ჩაცმა-დახურვის ზოგი ელემენტის შექმნა და ჩამოყალიბება.

დასმული საკითხისათვის დიდი მნიშვნელობისაა ივ. ცისკარიშვილის მონაცემები, რომლის მიხედვით, თუში მამაკაცი იცვამდა ჩოხას, პაჭიჭებში ჩატანებულ შარვალს, ხოლო თავზე იხურავდა ნაბდის ქუდს. ისინი ტანსაცმელს ამზადებდნენ შინ ნაქსოვი შალისაგან. ორივე სქესის საყვარელი ფერია შავი და ლურჯი.

ა. ზისერმანის ნაშრომში —„Двадцать пять лет на Кавказе"— აღნიშნულია: „თუშის ქალები განთქმულია სილამაზით, მათი უმეტესი ნაწილი შავგვრემანია და აქვთ სწორი სახის ნაკვთები. შავი ფერის ტანსაცმელში აშკარად მოჩანს მათი სახის ფერი. ისინი იცვამენ თხელი, შავი ფერის შალის ქსოვილის გრძელ კაბას..., ყურებზე უკეთიათ საყურეები, უკანასკნელ სამ თითზე ვერცხლის ბეჭდები. თმა ქალიშვილებს ჩამოშლილი აქვთ, ხოლო გათხოვილებს დაკულულებული".

ტანსაცმელს კერავენ თავიანთი მოქსოვილი მატყლის ქსოვილი-

საგან. ამასთან, იგი ეხება მომაკვდავი ადამიანის გარეთ გამოყვანის, დატირების, დასაფლავების წესებს. მოჰყავს თუშური დატირების — „დალაჲ“-ს — ტექსტი.

საყურადღებოა ს. მაკალათიას მონაცემები. მის ნაშრომში ნაჩვენებია წოვა-თუში მამაკაცის ტიპები, მაგრამ ჩაღმა-თუშისაგან განსხვავებით, მის სამოსზე არაფერს ამბობს, ალბათ, ეს გამოწვეულია, წოვა და ჩაღმა თუშის სამოსის ძირითადად ერთნაირობით, რაც ეთნოგრაფიული მასალებითაც დასტურდება. წოვა და ჩაღმა თუში ქალისა და მამაკაცის ტანსაცმელში შემავალი ელემენტები იმდენად იდენტურია, რომ ძნელია მათ შორის სხვაობის დადგენა. იმავე ავტორის მონაცემებით, თუში „მამაკაცები იცვამენ ჩოხა-ახალუხს, ჩოხა ადგილობრივ ტილოსაგან იკერება, ახალუხი კი სატინისაგან, ახალუხის გულისპირს ზოგჯერ გეომეტრიული ფიგურები ან „ჭირკვენათი“ აჭრელებენ და მამალ-დედალ „ხრიკებით“ იკრავენ. ახალუხზე მამაკაცებს აბრეშუმის მოკლე „ყილეტკა“-ც ცმიათ და მასრებიანი გრძელი ჩოხა, რომელიც უკან ჩაქებით ყოფილა დანაოჭებული. წინათ იცვამდნენ ჭრელი ტილოს შარვალს, ფეხებზე ჭრელ წინდებს, ჩითებს და ქალამნებს, მუხლებზე კი იკეთებდნენ პაჭიჭებს, რომელსაც ჩახსაკრავით იკრავდნენ“. აღნიშნული მონაცემები მეორდება წოვა-თუში მამაკაცის ჩაცმულობაშიც. მის წიგნში მოტანილი წოვა-თუშეთის სურათზე გამოსახული სამოსი—ახალუხი, გაშვებული ჩოხა, განიერი შარვალი, თავზე ნაბდის ქუდი, ფეხზე ჩითები — გვაგონებს XIX საუკუნის თუშების სურათებზე გამოსახულ ტანისამოსს.

წერილობით ცნობებში (XIX ს.) ქართველი ქალისა და მამაკაცის ეროვნულ სამოსად მიჩნეულია ქართლისა და კახეთის მცხოვრებთა სამოსი, რომელიც შემდგომ გავრცელდა საქართველოს სხვა კუთხეებში. სწორედ წოვათუშური სამოსის განვითარებაში თავისებური წვლილი შეიტანა კახეთის მდიდარი წრის წარმომადგენლების სამოსმაც.

ეთნოგრაფიული მასალებითა და სხვა სახის მონაცემებით, წოვა-თუშური ტანსაცმელი შეიძლება წარმოვიდგინოთ სამ ვარიანტად: სამწყემსო თუ საშინაო, საომარი და საზეიმო ხასიათის სამოსი. ამის საილუსტრაციოდ მოგვაქვს ჩვენს ხელთ არსებული ფოტოსურათები და ნახატები, რომლებიც განეკუთვნება XIX ს. და XX საუკუნის დასაწყისს.

ჩვენთვის საინტერესოა აგრეთვე თუში მამაკაცის საომარი სამოსი. როგორც ჩვენს ხელთ არსებული თუშთა ლაშქრის სურათიდან ჩანს, მათ ომშიც ჩოხა-ახალუხი სცმიათ, თავზე იხურავდნენ ნაბდისა და ტყავის ქუდებს, ფეხზე იცვამდნენ პაჭიჭებს, წუღებს, ზოგი — მაღალყელიან ტყავის ფესაცმელებს.

აღნიშნულ სურათზე გამოსახული ჩოხები კახური ტიპის ჩოხებად მიგვაჩნია. მას ამზადებდნენ უხეში, თუშური შალისაგან. მათგან ზოგი წინ შეკრულია და შემორტყმული აქვს ქამარ-ხანჯალი, ზოგი კი შეუკერელადაა გაშვებული და ქამარ-ხანჯალი ახალუხზეა შემორტყმული.

განსაკუთრებით საყურადღებოა სურათი, რომელიც თარიღდება 1895—1896 წლებით. ამ სურათზე გამოსახული პირები შეძლებული წოვა-თუშების ფენას განეკუთვნებოდნენ. ზოგი მათგანი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემებიდან კარგად არის ცნობილი. მარჯვნიდან მარცხნივ (დგანან): ივანე ალექსის ძე ბუქურაული, დავით ივანეს ძე ცისკარიშვილი, შაქრო სვიმონის ძე ცისკარიშვილი (სხედან): დავით ნიკოს ძე ქადაგიძე, მიტო ზაქარიას ძე მუშტარაული, ივანე დავითის ძე ცისკარიშვილი, ნიკოლოზ იკალეს ძე ცისკარიშვილი და ანდრო დავითის ძე ბუქურაული (ტაბ. VI).

მათი სამოსი — ჩოხა-ახალუხი — უფრო დახვეწილია, კარგად ეტყობა შეკერილობის ნატიფი ტექნიკა და თვით მასალის—შალის—ხარისხიც. ჩოხები შავი და ნაცრისფერი, შინ მოქსოვილი შალისაგანაა დამზადებული. ყველა მათგანის მასრები თეთრი ძვლისაა. სურათზე კარგად ჩანს აგრეთვე ქუდების ნაირსახეობა და მათი ფორმა.

როგორც ვხედავთ, ყველა დასახელებული პირი საზეიმო სამოსშია გამოწყობილი. დასტურდება, რომ თუშების შეძლებული ფენის წარმომადგენლები, გარდა ჩინებული ჩოხა-ახალუხისა, ევროპული ტიპის ტანსაცმელსაც იცვამდნენ.

ამრიგად, წოვა-თუში მამაკაცის საზეიმო ტანსაცმელში შედიოდა: პერანგი, შარვალი, ჩოხა-ახალუხი, წელზე ქამარ-ხანჯალი, წამოსასხამი ნაბადი თავის ყაბალახით, თავზე ნაბდის ან მოკლებეწვიანი ტყავის ქუდი, ფეხზე წინდები და მაღალყელიანი ტყავის ფეხსაცმელი (ზოგიერთი ჩოხის მაგიერ ქათიბსაც იცვამდა). საყოველდღეო სამოსში შედიოდა პერანგი, შარვალი, ახალუხი ან ქათიბი, ფეხზე წინდები, პაჭიჭები, ქალამანი და თავზე ნაბდის ქუდი, ხოლო მწყემსისათვის გათვალისწინებულ სამოსს (აღნიშნულის გარდა) ემატებოდა თექა, წამოსასხამი ნაბადი და ტყავის ქუდი. ყველა ეს ელემენტი, მეზობელი მთიელების ანალოგიურად, ადგილზე დამზადებული შალისაგან იკერებოდა. დ. ქადაგიძე წერს: „თუშებმა არ იცოდნენ რა იყო ჩითეული, როგორც კაცი, აგრეთვე დედაკაცი ხმარობდა მხოლოდ შალის ტანისამოსს“, მაგრამ დროთა განმავლობაში, სხვა მთიელებზე ადრე, მათმა სამოსმა განიცადა ცვლილებები. ადგილზე დამზადებული შალის ზოგი ელემენტი შეიცვალა ფაბრიკული წესით დამზადებული ქსოვილის სამოსით, რაც გამოწვეული იყო მათი მომ-

ძლავრებული ეკონომიკით — მეცხვარეობის მომთაბარეობითი ხასიათით. ფაბრიკული წესით დამზადებული ქსოვილი წოვა-თუშების ყოფაში პირველად გამოყენებული იქნა (თუმცა ძალზე მცირე რაოდენობით) შიდა პერანგისათვის, ზედა პერანგისათვის (ხალათი) და ახალუხისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ 1835 წელს ქ. თბილისში ერთი აბრეშუმსახვევი ფაბრიკა იყო. შემდგომ, სამრეწველო და კულტურულ დაწესებულებათა რიცხვის ზრდამ და ქალაქის მოსახლეობის გამრავლებამ გაზარდა სხვადასხვა სამრეწველო საქონელზე მოთხოვნილება. საზღვარგარეთიდან და რუსეთიდან შემოტანილი საქონელი ვერ აკმაყოფილებდა გაზრდილ მოთხოვნილებებს და ამასთანავე, ძვირიც ჯდებოდა. ამ გარემოებამ განაპირობა ადგილობრივი საწარმოო ძალების, საფაბრიკო-საქარხნო შრომის განვითარება. 1858 წელს, მარტო ქ. თბილისში 71 ფაბრიკა-ქარხანა და წვრილი საწარმო იყო, ამან დააჩქარა მეურნეობის ძველი, ნატურალური ფორმების დაშლის პროცესი საქართველოში. მიუხედავად ამისა, ფაბრიკული წესით დამზადებული ქსოვილის სავაჭრო დუქნებში გაჩენის შემდეგაც, შინამრეწველობის ბაზაზე დამზადებულმა ქსოვილმა დიდხანს შემოინახა თავი. წოვა-თუშებში დადგენილი სამი სახის შალიდან (ო რ გ უ ლ მ ა შ — ორმაგულა შალი, კ ო ჭ ბ ო ლ ო შ მ ა შ — კოჭის ძ ა ფ გ ა ყ რ ი ლ ი შალი და ფ ი ქ ა რ ე მ ა შ—საფეიქროზე მოქსოვილი შალი), მამაკაცის საშარვლედ, საჩოხედ და საქათიბედ გამოყენებული იყო ორმაგულა შალი. ამ შალის ასაბმელი და გასაყრელი ორმაგი ძაფი სუფთა მატყლისა იყო, ხოლო კოჭის ძაფგაყრილი შალის ასაბმელი ძაფი— მატყლისა, გასაყრელი კი — ბამბისა ან აბრეშუმისა. ეს შალი იხმარებოდა აგრეთვე საქალო და საბავშვო სამოსისათვის. საშარვლე შალი საჩოხე შალზე გაცილებით უხეში იყო. ვინც ეკონომიურად ძლიერი იყო, მისი საგარეო ჩოხა და შარვალიც ერთი ხარისხის შალისაგან იყო დამზადებული, ზოლებიან შალსაც ქსოვდნენ. მასში გარეული იყო სხვადასხვა ხარისხის მატყლი და უფრო უხეშიც იქსოვებოდა. ასეთ შალს სამწყემსო სამოსად იყენებდნენ.

წოვა-თუშების შინამრეწველობაში ფეიქრობა საკმაოდ განვითარებული იყო. ამის საშუალებას იძლეოდა, როგორც ითქვა, განვითარებული მეცხვარეობა.

მ. მაჩაბელი იუწყებოდა: წოვა-თუშებს ჰყავდათ 72 420 სული ცხვარი, თითოეულ კომლზე მოდიოდა 232 სული; ზოგ ოჯახს 2000-ზე მეტი ცხვარი ჰყავსო. იყო ოჯახები, რომელთა მეურნეობა ითვლიდა 200-დან 10000-მდე სულ ცხვარს. ასეთთა რიცხვს ეკუთვნოდა ბუქურაულების ოჯახი, რომელსაც ჰყავდა 12 500 სული ცხვარი. აქედანაც ჩანს, რომ წოვა-თუშების გარკვეულ ნაწილს საკუთარი მატყლი

ჰქონდა, როგორც შინამრეწველობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ასევე საბაზროდაც. მატყლი წოვა-თუშების ოჯახში წელიწადში სამჯერ შემოდიოდა: გაზაფხულზე რისვა — ჭ ა ქ ა, ზაფხულში კრაველი — კ რ ა ვ ა ლ, შემოდგომაზე — თ ხ ე, რაზედაც ზემოთაც ითქვა.

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, წოვა-თუში მამაკაცის საზეიმო სამოსისათვის, კერძოდ, ჩოხისა და ყაბალახისათვის განკუთვნილ შალს წმინდა ძაფისაგან ქსოვდნენ. ამ ძაფის დასამზადებლად გამოცდილი ქალის ხელი იყო საჭირო. დასართავად გამზადებული ფთილა პირველი ხარისხის კრაველი უნდა ყოფილიყო. თუში ქალის ხელებისა და თითების სწრაფი მოძრაობა დართვაში თუ ქსოვაში მისი ამ საქმეში დახელოვნების მაჩვენებელია. მას თითისტარის ერთი შემოტრიალებით ერთი მეტრი პირველი ხარისხის ძაფის დართვა შეეძლო. დართვის შემდეგ ძაფს ჩხირის საშუალებით აშორებდნენ გრძელ ბეწვს. ასეთი ძაფისგან მოქსოვილი შალი წმინდა, გამძლე იყო. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ვარაუდი იმის შესახებ, რომ თუშური შალი კავკასიის მასშტაბით პირველობას მხოლოდ ლეკურ შალს უთმობს, არ მიგვაჩნია სწორად. საშალედ გამოყენებული ლეკური ჯიშის ცხვრის მატყლი უფრო დაბალი ხარისხისა იყო, ვიდრე თუშური ცხვრისა. ეს უკანასკნელი უფრო გამძლეც იყო, რადგან ლეკური ჯიშის ცხვრის ისედაც მოკლებეწვიანი მატყლი, დაჩეჩვის შედეგად, უფრო მოკლდებოდა და ძაფიც სუსტი გამოდიოდა — მოგვითხრობს მთხრობელი. წოვა-თუშები შალს ქსოვდნენ საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და იშვიათად ბაზარზე გასაყიდად, ხოლო ლეკური შალი საბაზროდაც მზადდებოდა და ამიტომ გაითქვა მან სახელი. ვ. კაკაბაძის აზრით, „აღმოსავლეთ საქართველოში დამზადებული შალები სიმკვრივითა და მასალის ღირსებით იმერულ ქსოვილზე უკეთესია“.

წოვა-თუშები შალს ოდითგანვე ქსოვდნენ. ამას ადასტურებს 1970 წელს თუშეთ-ჩეჩნეთ-ინგუშეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიერ სოფელ ინდურთაში გათხრილ ერთ სამარხში ნახული მატყლის ქსოვილის ნიმუში და ბრინჯაოს სხვადასხვა სახის ნივთები. ეს უკანასკნელი სპეციალისტების მიერ დათარიღებული იქნა XII საუკუნით. აღნიშნული ნივთები ინახება ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში.

წოვა-თუშების სოფლებში (ინდურთა, საგირთა, ეთელტა, მოზართა, წარო და სხვ.) არქეოლოგიური გათხრები სპეციალისტებს არ უწარმოებიათ. ამიტომ ძნელია რაიმეს თქმა იმის შესახებ, როგორ ქსოვილებს ხმარობდნენ ისინი XIX საუკუნემდე. მაგრამ ზოგიერთი წყაროს მიხედვით, კავკასიაში ცხოვრობს მრავალი ტომი, რომლებიც,

ჰეროდოტეს ცნობით, იკვებებიან ტყის მცენარეებით, ამ ფოთლებს ნაუავენ, წყალში ხსნიან და ამით ხატავენ ტანსაცმელს. იგი არ ხუნდება და ცვდება ქსოვილთან ერთად.

წარმოდგენილი ცნობის მიხედვით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჰეროდოტეს დროს კავკასიის სხვადასხვა ტომის მიერ გამოყენებულ მცენარეულ საღებავებს წოვა-თუშებიც იყენებდნენ. ეს მით უფრო სარწმუნოა, რომ ისინი ფლობენ ფერთა შეხამების მაღალ ხელოვნებას, რაზედაც მკაფიოდ მეტყველებს მათი ნაკეთები სანიმუშოდ მოჭრილი ფარდაგები, საფენები, ხურჯინები, წინდები, ჩითები და სხვ.

ივ. ცისკარიშვილის ცნობით, თუშის ქალები ხელსაქმის დიდი სპეციალისტები არიან. „ისინი ქსოვენ წმინდა შალებს, სხვადასხვა ფერის ფარდაგებს, ხურჯინებს, ქსოვენ ჭრელ წინდებს, ჩითებს, თელავენ საუკეთესო ნაბდებს, ყველა ეს მზადდება ოჯახის საჭიროებისათვის, იშვიათად გასაყიდად“.

აღსანიშნავია ისიც, რომ თუშური შალი მსუბუქია — თუში მწყემსები, რომლებსაც ზამთარ-ზაფხულ შალის სამოსი ეცვათ, იოლად დაიარებოდნენ მთაში თუ ბარად. მათი სამოსი ხშირად დღეში სამჯერ, ხან მეტჯერ სველდებოდა, მაგრამ იგი ტანზევე შრებოდა. მთხრობელი აღნიშნავს, რომ „შალის სამოსი თუში კაცისათვის აუცილებელია. ჩვენი ხალხი უმეტესად მწყემსობას მისდევდა, ზოგს თუ საკუთარი ფარა ჰყავდა, ზოგი მათი მწყემსი იყო. სწორედ მეურნეობის განვითარება მწყემსის ჯანმრთელობაზეა დამოკიდებული. ამის საწინდარი კი მისი სამოსითა და კვებით უზრუნველყოფა იყო“. ჩასაცმელისათვის მწყემსს მატყლი ყოველწლიურად ეძლეოდა. ცხვრის ფარის მფლობელს წინასწარ გამოანგარიშებული ჰქონდა, თითო მწყემსს რამდენი მატყლი სჭირდებოდა სამოსისათვის, დაწყებული საცვლებიდან, დამთავრებული თექა-ნაბდით.

საკვლევ პერიოდში წოვა-თუშები და მოგვიანებით დანარჩენი თემებიც ბარის მოსახლეობად იქცა, მაგრამ მათ ყოფაში შენარჩუნებული ძველი ტრადიციული წესები—შალების, ფარდაგების, ნაბდების, ხურჯინების, წინდებისა და სხვა საჭირო სამეურნეო ნივთების წარმოება — აქაც მათი ქალებისათვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

აღსანიშნავია ისიც, რომ თუშების ეკონომიკაში ნატურალური მეურნეობის თანდათანობით მოშლამ და მეზობელ ხალხებთან მჭიდრო ურთიერთობამ, ხელი შეუწყო ფაბრიკული წესით დამზადებული საქონლის მათ ყოფაში მტკიცედ დამკვიდრებას. ამან კი დააჩქარა ტრადიციული სამოსის უცხოურით შეცვლის პროცესი. თუმცა თუში მამაკაცის სამოსმა თავისი პირვანდელი ფორმა ჩვენი საუკუნის 50-იან წლებამდე შემოინახა. საინტერესოა ისიც, რომ თუში მამაკაცის

სამოსში შემავალ ელემენტებს გააჩნდა ხმარების დადგენილი ვადები: შარვალ-პერანგს, პაჭიჭებს, თექას — ერთი წელი, წამოსასხამ ნაბადს, ტყავს, ახალუხს, ქულაჯას და ტყავის ქუდს — ორი წელი. წინდები მწყემსს წელიწადში 10—12 წყვილი სჭირდებოდა, ხოლო ნაბდის ქუდი სამი ცალი.

ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ თუშები ზაფხულის პერიოდში მთაში წინდის მაგიერ გამხმარ ბალახს (ქუჩი) იყენებდნენ. მწყემსი ქალამანში ჩადებულ ბალახს ყოველ საღამოს იცვლიდა და ყოფნიდა მეორე დღის ბოლომდე. მთხრობელის გადმოცემით, „მწყემსს მთის იალაღზედ წინდა ნესტიან ამინდში ხშირად უსველდება და ნაკლებ სითბოს ინარჩუნებს, ვიდრე ქუჩი, ამიტომ იგი ამ უკანასკნელს უფრო შეტ უპირატესობას აძლევდა“.

ჩაცმა-დახურვა, პირველ რიგში, ადამიანის სხეულს იცავს გარეშე ატმოსფერული მოვლენებისაგან. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ადგილზე ნაწარმი უხეში და წმინდა შალიც, რომელსაც გააჩნდა შესანიშნავი თვისებები: ინარჩუნებდა სხეულის მიერ გამოყოფილ სითბოს, ხოლო სინესტეს კი უფრო მალე იორთქლავდა, ვიდრე ბამბისა და სელის ქსოვილი.

სითბოს შენარჩუნების თვალსაზრისით, საუკეთესოდ ითვლებოდა, აგრეთვე, მზის სხივების მშთანთქავი ფერები: მუქი ლურჯი, შავი, წენგოს ფერი, რაც მთიელების ჩაცმულობას ახასიათებდა.

თუშის ხანდაზმულ ქალებს თალხი — შავი, ლურჯი ფერის — სამოსი ჩვენს დროშიც შენარჩუნებული აქვთ. ძირძველი მანდილი, თავისი თანმხლები ელემენტით (კომოზ და ქიჩილ, რომლსაც ჩაღმა-თუშები კუჭურას უწოდებენ), ჯერ კიდევ ხურავთ, დანარჩენი ელემენტების ფორმა და სახე შეცვლილია.

1. შიდა და გარე სამოსელი

საველე-ეთნოგრაფიული მასალებით წოვა-თუშებში დასტურდება ქალის სამოსის შემდეგი ელემენტები: პერანგი — პ ე ერ ა ნ გ, ქვედა საცვალი — შ ე მ დ ე გ ი, მკერდსაკრავი — ლ ი ფ, გულისპირი — ფ ა რ გ უ ლ, კაბა — ჯ უ ბ, ჩოხა — ჩ ო ჯ, სახელურები — ქ ო რ უ ი, სარტყელი — დ უ ხ კ, წინსაფარი — გ ო უ გ ა ხ ჯ ი ფ წ, ტყავი — კ ო კ, მანდილი — მ ა ნ დ ი ლ, კ ო მ ო ზ, ქ ი ჩ ი ლ, წინდები — ჩ ხ ი ნ დ რ ი, ფეხსაცმელი — ქ ო კ დ უ ი ფ ხ და სამკაული — ე ღ ა რ ლ ი. შიშველ ტანზე ჩასაცმელ პერანგს ს ა ც ვ ა ლ-საც უწოდებენ. აქ მხედველობაში აქვთ ზედა და ქვედა საცვალი.

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „XI საუკუნის დამდეგისათვის საცვალი ჩვეულებრივ ტერმინად გვევლინება და იგი X საუკუნიდან ტანისამოსის აუცილებელ ნაწილად უნდა მივიჩნიოთ“. წოვა-თუშების ყოფაში დამკვიდრებული ტერმინი „საცვალიც“, ალბათ, იმ დროიდან მომდინარე იქნება, როდესაც მათ ყოფაში ხმარებული ტერმინი შ ე მ დ ე გ ი-ს პარალელურად იხმარებოდა.

ტერმინი პერანგიც ივ. ჯავახიშვილს სპარსულად მიაჩნია, „მაგრამ არც ამით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იგი სპარსეთიდანაა შემოტანილი“. მისი შემცვლელი ტერმინი კ ვ ა რ თ ი ძველ ქართულ ძეგლებში არსებობს-ო. მსგავსი ტერმინი კ ა რ თ ხ ი წოვა-თუშეში იხმარება ქვედა საცვლის ტოტების აღმნიშვნელად, ხოლო ლ. ბარათაშვილს ტერმინი კ ა თ ხ დამოწმებული აქვს მესხეთ-ჯავახეთში, როგორც მესხი ქალის ქართული ჩიხტისმაგვარი თავსაბურავის სახელწოდება, რომელსაც მხოლოდ გათხოვილი ქალი იხურავდა.

თუშური შიდა პერანგი შუა წვიმამდე სწვდებოდა, მხრებში გადაუჭრელი იყო, სახელოები ფ ჲ უ ი ნ — გრძელი, სწორად მიდგმული. მათ გვერდებში შედგმული ჰქონდათ სამკუთხედად აჭრილი აზლოტები — ჭ ე კ ი, იღლიის ქვეშ უკეთებდნენ ხიშტაკს; იგი, ყელის ირგვლივ მრგვალად ამოჭრილი და ორი თითის სიგანე საყელო მოკერებული, წინ, გულმკერდთან ჩაჭრილი იკვრებოდა საკინძის კიდეზე დაკერებული ღილით პ ე პ ე ლ. პერანგს უკანა ბეჭებზე და გულმკერდზე სიმაგრისათვის დადებული ჰქონია სხვა ქსოვილის ნაჭერი, ბოლო შეკეცილია. თუშებს წინათ პერანგის საყელოს და სამაჯურების მოქარგვაც სცოდნიათ, რაც ჩაღმა-თუში ქალის პერანგის იდენტურია.

მ. ალბუთაშვილი, ფშაველი ქალის სამოსის აღწერის დროს, ამბობს: „მუდმივი მათი ჩასაცმელია დედაკაცისა საცვლებად ხამი მოკლე პერანგი, მის შემდეგი იგივე ხამისა გრძელი“.

ტერმინი შ ე მ დ ე გ წოვა-თუშებში დამოწმებულია, როგორც ქვედა საცვლის სახელწოდება. იგი მუხლებს ფარავდა, საინტერესოა ამ საცვლის თარგი, რომელიც ნაწილობრივ ინგუშეთში გამოყენებულ ქვედა საცვალსაც წააგავს. მისი გამოჭრა და შეკერვა შემდეგნაირად ხდებოდა: წელიდან მუხლებამდე გრძლად აღებულ ორმაგ ქსოვილს სიგრძეზე ორად გაკეცავდნენ, ფეხების მხრიდან, საჯდომამდე აჭრიდნენ და შუაზე მიუყენებდნენ უბეს. წელის ორივე გვერდი ერთ მტკაველზე ჩახსნილი იყო. წინა და უკანა მხარეს ნაოჭით ცალ-ცალკე მიაკერებდნენ ორი თითის სიგანე ქამარს. წინა მხარე იკვრებოდა უკან, ხოლო უკანა მხარე წინ. საცვალი ბოლოში შებრუნებული იყო და შიგ ზონარგაყრილი, ზოგი კი მის გარეშე წინდებში იყო ჩატანებული. თუშებში შ ე მ დ ე გ-ის გვერდით ჩნდება მეორე ტიპის ქვე-

და საცვალი — ს ა მ უ ჯ ლ, რომელიც დამოწმებულია ჩაღმა-თუშებში ს ა ბ ა რ კ უ ლ ა ს სახელწოდებით. ორივე ტერმინი ერთი და იგივე ფინაარსის გამომხატველია და როგორც ც. ბეზარაშვილი ს ა ბ ა რ კ უ ლ ა ს შესახებ ამბობს, ს ა მ უ ჯ ლ ე ც საცვლის ძველ სახელწოდებად უნდა მივიჩნიოთ. ს ა მ უ ჯ ლ ე, საბარკულას მსგავსად, ყაისნაღით იქსოვებოდა, ისიც მუხლს ფარავდა.

წოვა-თუშები პერანგის ზემოდან იცვამდნენ ჯ უ ბ ა ს ან კ ა ბ ჯ უ ბ ა-ს. ს. მაკალათიას აღნიშნული ელემენტი თუშეთში დამოწმებული აქვს როგორც უ ბ ი ა ნ ი ჩ ო ხ ა. ც. ბეზარაშვილის მონაცემების მიხედვით კი, ჩაღმები ამ სამოსს ჯ უ ბ ა ს ანუ უ ბ ი ა ნ ჩ ო ჯ ა ს უწოდებენ, ხოლო წოვა-თუშები — ჩ ო ჯ ა ს.



ნახ. 1. წოვათუშური კაბა — კ ა ბ

ჩ ო ჯ ა ს წოვა-თუშები უწოდებენ ჯუბის ზემოდან გადმოსაცმელ ელემენტს, რომელზედაც ლაპარაკი გვექნება ქვემოთ. წოვა-თუშებმა, როგორც ბარის ადრეულმა მოსახლეობამ, ტრადიციულ ჯუბას დაუკავშირეს უკვე ბარად გაბატონებული სამოსის სახელწოდება კ ა ბ ა

და მათ ყოფაში დამკვიდრდა ტერმინი კ ა ბ-ჯ უ ბ. ჯუბას ისინი უწოდებენ თავიანთი ნაქსოვი შალის სამოსს, ხოლო კაბ-ჯუბას ფაბრიკული წესით დამზადებული ქსოვილის კაბას.

ჯუბა შავი ან ლურჯი ფერის შალის სამოსია, რომლის უბე ღრმად გახსნილია და გულმკერდზე, ორივე მხარეს დადებული აქვს შავი ხავერდის ან ბამბის ქსოვილის ნაჭერი. ამას ს ა უ ლ ი ეწოდება. საულებზე დაკერებულია ორ-სამ მწკრივად ვერცხლის ძეწკვზე ასხმული თეთრი ფულები. მხრებში გადაუჭრელია, გვხვდება სწორად გადაჭრილიც. სახელოები სწორად მიდგმული აქვს. ისინი იღლიიდან ხელის მტევნისაკენ თანდათან ოდნავ შევიწროებულია, მაჯებზე მიკერებულია ისეთივე ქსოვილი, როგორიც საულებზე. ჯუბა გრძელია, კოჭებამდე, ზოგი უფრო მოკლეც. გვერდებზე შედგმულია სამკუთხედად აჭრილი აზღოტები — ჭ ე კ ი. ბოლო შებრუნებული აქვს. ივ. ჯავახიშვილი წერს: „ჯუბა ქალისა და მამაკაცის ფართოდ გავრცელებული ტანისამოსი იყო. იგი ბოლომდეა შემონახული“.

ნახ. 2. ქვედა კაბა — ბ ო ლ ო კ ა ბ

წოვა-თუშეთში გავრცელებული ეს სამოსი მეზობელი ვეინახეების ზედა ბერანგისგან განსხვავებულია, ხოლო ჩაღმათუშურ ჩოჯასთან კი მსგავსებას იჩენს თარგის მხრივ. სიგრძე, სწორად მიდგმული სახელოები, გვერდებში შედგმული აზღოტები, იღლიის ქვეშ

ხიშტაკი და სხვ. კავკასიაში საერთო გვეჩვენება. ჯუბის სახელწოდებით ორივე სქესის სამოსი გვხვდება წინა აზიისა და ჩრდილო აფრიკის ყველა ქვეყანაში. აღსანიშნავია ისიც, რომ წოვა-თუშებში, ფაბრიკული წესით დამზადებული ქსოვილის გავრცელების შემდეგაც, ჯუბა დარჩა უცვლელი, მაგრამ გაჩნდა ახალი ელემენტები: ე ღ ა რ ლ ა რ ე რ უ ბ ა შ ქ და ბ ო ლ ო კ ა ბ. ამ ელემენტებს ჯუბა კი არ ამოუგდია ხმარებიდან, არამედ გაზარდა ქალის სამოსის რაოდენობა. ეღარლარე რუბაშქ-ს (სამკაულიანი „რუბაშქა") კერავდნენ ჯუბის ზედა ნაწილის თარგის შენარჩუნებით, ხოლო ბოლო კაბ-ს (ქვედა ტანი) ორი-სამი განი ქსოვილისაგან, რომელსაც წელში, ნაკეციანზე მოკეცებული ჰქონდა ერთი თითის სიგანე ქამარი და იკვრებოდა გვერდზე ერთი ღილით. აღნიშნული ელემენტი დამოწმებულია ცენტრალური კავკასის სხვა მთიელებში — ვეინახებში, აგრეთვე კახეთში, მესხეთ-ჯავახეთში და სხვ.

ვეინახებში ეს ელემენტი მოგვიანო დროს შემოსული ჩანს. ქალები მას შიდა პერანგის ზემოდან ხმარობდნენ, რომ ზედა კაბა-პერანგი წელს ქვემოთ გაშლილად დამდგარიყო. ამ მიზნით მას ბოლოში უდებდნენ ნოაჟახმული უხეში ქსოვილის ნაჭერს, რომელსაც მ ა ხ მ ა რ-ს უწოდებდნენ.

წოვა-თუშებს წინათ ჯუბის სახელოებზე, ხელის მტევნიდან იდაყვამდე, დამატებითი მაჯისებური წამოსაცმელი სცოდნიათ ქ ო რ ო ე ბ ი ს სახელწოდებით. მას კერავდნენ შავი, ლურჯი ან მუქი შინდისფერი ხავერდის ან მაუდის ქსოვილისაგან. ქარგავდნენ ფერადი ძაფებით ან გააწყობდნენ ბუზმენტითა და მაქმანით. საველე-ეთნოგრაფიული მასალებით, ქოროებს უფრო ღარიბი ოჯახის ქალები კერავდნენ, ვისაც რამდენიმე ჯუბის შეძენის საშუალება არ ჰქონდა. ქორწილში თუ სალოცავად წასვლის დროს, ძველ ჯუბაზე ქოროებს წამოიცვამდნენ, ახალ წინსაფარს გაიკეთებდნენ, რომელიც ჩოჯ-ის ან კ ო კ-ის (ტყავის ქურქი) შიგნიდან ლამაზად გამოიყურებოდა. ეს სამოსის დამატებითი ნაწილი ც. ბეზარაშვილს ჩაღმებში დამოწმებული აქვს ს ა ჯ ე ლ ქ უ რ ო ი ს სახელწოდებით. ს. მაკალათია წერს: „ქალის უბიან კაბას რამდენიმე ასეთი მორთული სახელო აქვს და დედაკაცები, დროისა და ადგილის მიხედვით, მათ იცვლიან". ჯუბას ახლდა 7—8 სმ სიგანისა და 2—3 არშინის სიგრძე სარტყელი — დ უ ხ კ, რომელსაც ჯუბის ზემოდან, თეძოების გასწვრივ ორჯერ შემოატარებდნენ და შეიკრავდნენ უკანა მხარეს. მისი მიზანი იყო ჯუბის წინა უბის კარგად დაყენება. სარტყელს სპეციალურად აკაზმებზეც ქსოვდნენ და მოქსოვილი შალისგანაც კერავდნენ. ამავე მიზანს ემსახურებოდა ჩაღმებში დამოწმებული სარტყელი ს ა ჭ ი კ ა ც. მსგავსი

სარტყელი დადასტურებულია პანკისელ ქისტებშიც. ქისტი ქალები სარტყელს წელზე ირტყამდნენ ჩოხის ან ახალუხის ზემოდან. ბოლო ხანებში შემოვიდა ფაბრიკული წესით დამზადებული ფოჩიანი, გრძელი, თეთრი პირსაწმენდი — ი ა ვ ლ ა ჯ, რომელსაც ბოლოებში მამლები ეხატა. მას ხმარობდნენ სარტყლად. იგი წელის არეს თბილად ინახავდა, თანაც, შორი მანძილიდან წყლის ზიდვის დროს, ზურგზე წამოკიდებული თუნგის ძირს სარტყელზე დაიდგამდნენ და თეძოც უმტკივნეულოდ იტანდა სიმძიმეს.

ნახ. 3. წინსაფარი — გ ო ე გ ა ხ ჯ ი ფ წ

წოვა-თუშებში ჯუბის განუყოფელი ნაწილია გულისპირი — ფ ა რ გ უ ლ, რომელიც ავსებს მის ფართოდ ამოღებულ უბეს. იგი იცმევა შიდა პერანგის ზემოდან. ამ ელემენტს ჩაღმა-თუშები და ხევსურები ფ ა რ ა გ ა ს უწოდებენ, ხოლო ფშავლები ს ა გ უ ლ ე ს. ტერმინი ფ ა რ ა გ ი — ფ ა რ ა ქ ი საბას ახსნილი აქვს, როგორც „წელთ სარტყამი ჯიბიანი ჩასადებელი“.

თუშები ფარგულს ორპირი ქსოვილისაგან კერავდნენ. ზედაპირი შავი ან შინდისფერი ხავერდისა იყო, ხოლო ქვედა — ჩითისა. ფარგუ-

ნახ. 4. „პალტო“ — ქათიბ

ლის საყელო სამკუთხედად ამოჭრილია და შემოვლებული აქვს მაქმანი. ყელის ძირში, ორივე მხარეს უკეთდება კილოები, რომ ჯუბაზე დაკერებულ ღილებს ჩამოეცვას. ფარგულს ერთ გვერდზე მიმაგრებული აქვს სამი ზონარი, რომელიც გულმკერდზე ჩამოფარების შემდეგ მაგრდება კილოებით, მეორე გვერდზე ზურგზე შემოტარებით. ფარგული მორთულია რამდენიმე წყება ვერცხლის წვრილი ძეწკვითა და ღილებით. მას სამკაულის გარეშეც ხმარობდნენ; ღრმად უბეამოჭრილი ჯუბა მის გარეშე არ ჩაიცმეოდა.

წოვა-თუში ქალის სამოსის შემდეგი ელემენტია წინსაფარი — გ ო უ გ ა ხ ჯ ი ფ წ, რომელიც, ფარგულის ანალოგიურად, ჯუბის განუყოფელ ნაწილად ითვლებოდა. წინსაფარი წოვა-თუშებში საგარეო, საპატარძლო თუ საშინაო სამოსად არის მიჩნეული, ახალგაზრდები მას კერავდნენ ღია (წითელი, ჭრელი, ყვითელი, მწკანე) ფერის აბრეშუმის ქსოვილისაგან, ხოლო მოხუცები მუქი (ლურჯი, შავი, წენგო) ფერის ლასტიგის, ჩითის, ატლასის ქსოვილისაგან. აბრეშუმის ქსოვილის წინსაფარს უკეთებდნენ სარჩულს, რომ მეტი გამძლეობა ჰქონოდა. იკეთებდნენ ფარგულის წინამხრის ოდნავ გადმოწევით წელზე, ჯუბის ზემოდან.

ჯუბისა და წინსაფრის ზემოდან გადმოსაცმელი გარე სამოსი იყო ჩოხა — ჩ ო ჯ ა.

ივ. ჯავახიშვილი ამბობდა: „დიდი განსხვავება არ არის მამაკაცისა და ქალის ტანისამოსს შორის საქართველოში. სახელებიც საერთოა — კაბა, ქათიბი, ჩოხა და სხვა, ქალსაცა და კაცსაც ეცვა. განსხვავება სიგრძესა და ზოგიერთ თავისებურებებში იყო". ქალის ჩოხისაგან განსხვავებით, საკაცო ჩოხას გვერდებში ჩაჭრილი ჯიბეები, გულმკერდზე მიკერებული სამასრეები და გვერდებში ბოლოდან შეჭრილი ჩაქები ჰქონია.

წოვა-თუშები საქალო და საკაცო ჩოხას კერავდნენ ლურჯი, წენგო და შავი ფერის ო რ გ უ ლ (ორმაგული) შალისაგან. ზედა და გარე სამოსისათვის შერჩეულ ქსოვილსაც ასეთივე ფერი უნდა ჰქონოდა. მუქი ფერისა იყო აგრეთვე საპატარძლოს სამოსიც. ვეინახი ქალები მუქი ფერის სამოსს იშვიათად თუ ხმარობდნენ. მათი ხანდაზმული ქალის სამოსის ფერი იყო ლურჯი, მწკანე, ყავისფერი, ხოლო ახალგაზრდებისა — თეთრი, წითელი, ყვითელი, ცისფერი, ჭრელი და სხვ. პანკისელმა ქისტებმა მეზობლად მოსახლე თუშებისა და კახელების გავლენა განიცადეს ყოფის სხვადასხვა სფეროში. ამ გავლენამ აქაც თავისი ასახვა პოვა. ხანდაზმული ქისტი ქალის სამოსის ფერი, უმეტეს შემთხვევაში, შავი და ლურჯია.



ნახ. 5. ტყავის ქურქი — ა ო ა

თუში ქალის ჩოჯა. კახური ქათიბის მსგავსად, წელში გადაჭრილი იყო, რამდენიმე კალთისაგან შემდგარი ქვედა ნაწილი ზედასთან ნაოჭით მიკერებული. წინ მთლიანად ჩახსნილი, კოჭებამდე გრძელი, სახელოები ხელის მტევნამდე გრძელი და იდაყვამდე იყო შეხსნილი. როგორც ალ. ხახანაშვილი აღნიშნავს, ქვრივი, ქმრიანი და ქალწულის გარჩევა გარე სამოსის სახელოთიც შეიძლებოდა. ქალწულსა და ქმრიანს ნახევარზე შეხსნილი სახელოები ჰქონდათ და ქვრივს კი ბოლომდე გაკერილი, რაც საველე მასალებითაც დასტურდება.

ჩოჯა მხოლოდ ზურგს მხარეს და გვერდებს ფარავდა. ხშირ შემთხვევაში, იგი დასაარჩლული იყო და ქათიბსაც უწოდებდნენ.

XX ს. დასაწყისში ჩოჯის ადგილი დაიკავა ფაბრიკული პროდუქციის ბაზაზე შექმნილმა სამოსმა, რომელსაც წოვა-თუში ქალები ატარებენ ზამთარ-ზაფხულ. ადგილობრივ [illegible]ობებთან შეხამებულად. „პალტო“ სარჩულიანი იყო. ჩოხაზე უფრო [illegible]ული. წოვა-თუში ქალის სამოსი ისევ ერთმანეთთან შერწყმული, რომ იგი გარე სამოსის გარეშე არ [illegible]ცმეოდა. ამ ტომ ისინი, ალვნის პირობებში, პალტოს სარჩულიანსაც და უსარჩულოსაც იცვამდნენ.

ს. მაკალათია აღნიშნავს: „უპალტოოდ თუშის ქალი სახლიდან არ გავა და ზამთარ-ზაფხულ აქ პალტოს ატარებენ. მათთვის პალტო თანამედროვე ქათიბია და უპალტოოდ გავლა სირცხვილია. პატარძლები პალტოს შიგ იცვამენ ფარაგასა და მოკლე უბეს, რომელიც შემკულია წმინდა შიბით (ვერცხლის ძეწკვი ფულებით შემკული) და ხმალა შიბით (უფულო). გათხოვილი ქალები მანდილს ატარებენ. თუშის მანდილოსნებს შავი ტანისამოსი უყვართ და ყველანი შავად დათალხულია. ფერად ტანისამოსს გაუთხოვარი ქალები იცვამენ და მანდილსაც არ ატარებენ. მათ აცვიათ ქალაქურ მოდაზე და ეს ახალი ფორმა აქ ალვანიდან შემოდის, მაგრამ გათხოვდება თუ არა ქალი, მაშინვე შავ მანდილ-კაბით შეიმოსება“.

აღნიშნული მონაცემები წოვა-თუშის ქალსაც ეხება. ალვნის ტერიტორიაზე პირველად წოვა-თუშები დასახლდნენ, ამდენად, მათი სახეშეცვლილი სამოსი თუშეთში დარჩენილ თუშის ქალებშიც ვრცელდებოდა, რაც მათ ყოფაში კულტურული დონის — ჩაცმა-დახურვისადმი გემოვნების ამაღლების — კანონზომიერი შედეგი იყო.

თუშის ქალები მთის პირობებში ფართოდ იყენებდნენ ტყავის ქურქებს — კ ო კ. ჩაღმა-თუშები მას ტ ყ ა ვ-კ ა ბ ა-ს უწოდებენ. კოკის თარგიც ჩოხისებურად იყო შეხამებული ძირითად სამოსთან. იგი გულმკერდს არ ფარავდა და არც წინამხარეს იკვრებოდა. საჭიროების შემთხვევაში, ზემოდან ქამარს შემოირტყამდნენ ხოლმე. ტყავს „ცრუ“, ვრძელი, ვიწრო სახელოები ჰქონდა, რომლებსაც, ფაქტიურად,

არ იყენებდნენ. ხელების გასაყოფად კი, სახელოები მკლავის იდაყვიდან იღლიის ძირამდე იყო შეხსნილი. ახალგაზრდებისათვის გათვალისწინებული ტყავი წელში გადაჭრილი და ნაოჭებიანი იყო, რომელსაც წინა მხარეს და ბოლოში შემოვლებული ჰქონდა ბეწვამობრუნებული ტყავი. ზოგიერთები ტყავის წელის არესა და წინა კალთებს ქარგავდნენ ფერადი ძაფებით, ან გააწყობდნენ ბუზმენტით.

წოვათუშური სამოსის ძველი ფორმა ხმარებიდან გამოსულია, მაგრამ ფაბრიკული ქსოვილისაგან ახლებურად, მოდაზე დამზადებული სამოსი ხანდაზმულობის პერიოდში განიცდის ცვალებადობას. იგი ნაწილობრივ უბრუნდება ძველ თარგს, რაც იწვევს ძველისა და ახლის ნიადაგზე უფრო დახვეწილი სამოსის შექმნას, ხოლო თავბურვის წესებს ჯერჯერობით შენარჩუნებული აქვს თავისი თანმხლები ელემენტები, რომელზედაც ლაპარაკი იქნება ქვემოთ.

წოვა-თუში მამაკაცის სამოსში შედის შემდეგი ელემენტები: პერანგი — პ ე რ ა ნ გ, შარვალი — შ ა რ ვ ა ლ, ხალათი — ხ ა ლ ა თ, „ყილეტი“ — ყ ი ლ ე ტ კ, ახალუხი — ა ხ ლ უ ხ, ჩოხა — ჩ ო ჯ ა, ქულაჯა — ქ ა თ ი ბ, ტყავის ქურქი — კ ო კ, ნაბადი — ნ ა ბ ა დ, თექა — თ ე ქ, ყაბალახი — ბ ა შ ლ ა ყ, ნაბდის ქუდი — ნ ე ბ დ რ ე ქ უ დ, ტყავის ქუდი — ჯ ა ჯ ე ქ უ დ, პაჭიჭები — ფ ი ზ კ ი, წინდები — ჩ ხ ი ნ დ რ ი, ქალამანი — ჯ ა ნ ი, ჩექმა — ჩ ა ქ მ ი, წუღები — წ უ ღ ი, თასმის ქამარი — ქ ა მ ა რ, ბალთებიანი ქამარი — ა ბ ჯ ა რ ქ ა მ ა რ. მასრები— მ ა ს რ ი, ხანჯალი—შ ა ლ თ (ქამარ-ხანჯალი ერთად—შ ა ლ თ ქ ა ბ ა რ).

ჩამოთვლილი ელემენტები განხილულ იქნება მათი გამოყენების მიხედვით.

მამაკაცის შიდა სამოსსაც ს ა ც ვ ლ ი-ს უწოდებენ. ამ შემთხვევაშიც მხედველობაში აქვთ პერანგი და ქვედა საცვალი. როგორც აღინიშნა, საცვალი ქართული ტერმინია და იგი ლიტერატურაში X საუკუნიდან გვხვდება.

საცვალი ფუფუნების საგნად ითვლებოდა. როგორც ჩანს, იგი დიდხანს მამაკაცთა მცირე ნაწილს გააჩნდა. წოვა-თუში მამაკაცის შიშველ ტანზე ჩასაცმელი ეს სამოსი ოჯახში დამზადებული შალისაგან იკერებოდა. „მთის პირობებში შალის პერანგი შიშველ ტანს ეხახუნებოდა და უფრო სითბოს ინარჩუნებდა“ — გვაუწყებს მთხრობელი. XIX საუკუნის დასასრულს ფაბრიკული წესით დამზადებული ბამბის, სელის თუ აბრეშუმის ქსოვილის შეძენა მომთაბარე მეურნეს არ უჭირდა, მაგრამ ტრადიციული პერანგის ბამბის ქსოვილის პერანგზე შეცვლა ძალზე გასჭირვებია. მთხრობელის გადმოცემით, უკვე ალვანში ცხოვრების პერიოდში, ცხვრიდან დაბრუნებულ მეუღლეს დიასახლისმა დაახვედრა ახალი ბამბის ქსოვილის საცვლები. სამძიმარზე წასვლის დროს ცოლმა ქმარს ჩააცვა ეს საცვლები

და ისე გაგზავნა. მივიდა, სამძიმარი უთხრა და იქვე დიდი ხნით უნახავ თანასოფლელებთან ჩამოჯდა სალაპარაკოდ. აუქავდა ტანი, შეწუხდა, გაინძრა-გამოინძრა, მაგრამ არაფერმა უშველა. იქიდან გაქცეული წავიდა სახლში, შესვლისთანავე გაიხადა საცვლები, მიუყარა ცოლს და უთხრა: „ქვეყნად ჩემზე უფრო ცაუკარელი ვინცა გყავს, იმას ჩააცვი ეს საცვლები“. ჩაუცვამს ისევ თავისი შალის პერანგი და წასულა. აქედანაც ჩანს, რომ თუში მწყემსი მამაკაცი ადვილად ვერ ეგუებოდა ბამბის ქსოვილს. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მამაკაცს მხოლოდ ერთი შარვალი ჰქონია. საცვლები მათ ყოფაში გვიანა ჩანს შესული. ანალოგიური მდგომარეობა დგინდება ჩაღმა-თუშებში, ფშავში, ხევსურეთში, ვეინახებში, ოსეთში, დაღესტანში და სხვ.

მთხრობელის გადმოცემით, წოვათუშურ ადრეულ პერანგს სახელოები, გვერდზე შეყენებული აზლოტები და არც მრგვალად ამოღებული საყელო არ ჰქონია. ქსოვილის ორ სიგრძეს ერთმანეთზე გადაკერებდნენ და თავის გასაყოფად გაუკერავად ადგილს ტოვებდნენ. ამ პერანგის არსებობა ჩვენს საკვლევ პერიოდში არ მოწმდება და ამიტომ მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, წოვა-თუში მამაკაცის პერანგი ქალის პერანგის თარგს იმეორებდა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იგი სიგრძით საჯდომს ფარავდა, ორი თითის სიგანე საყელო ჰქონდა მოკერებული და გულმკერდზე, მარჯვენა მხარეს 8—10 სმ-ზე ჩაჭრილი იკვრებოდა სამი-ოთხი ღილით-პ ე პ ე ლ. პერანგს ბეჭებზე სიმაგრისათვის უდებდნენ თავისივე მასალის ან სხვა ქსოვილის ნაჭერს. მას ორივე გვერდი ბოლოდან შეხსნილი ჰქონდა ერთ მტკაველზე. გვხვდება პერანგის ისეთი საყელოც, რომელსაც ერთი თითის სიმაღლე აქვს. ამ შემთხვევაში პერანგი გულმკერდის შუაზე 8—10 სმ-ით ჩაჭრილი, გვერდები ბოლომდე ჩაკერილია. მისი მსგავსი პერანგი დადასტურებულია ვეინახებში, ჩაღმა-თუშებში და კახეთის მოსახლეობაში.

შემდგომ პერიოდში წოვა-თუშებში გაჩნდა ზედა პერანგი, რომელიც იმეორებდა იგივე თარგს, იმ განსხვავებით, რომ მისი საყელო სამი თითის სიმაღლე იყო. გულმკერდზე, ორივე მხარეს დაკერებული ჰქონდა ჯიბეები — ჯ ი ბ ი. იგი გულმკერდთან ჩაჭრილი იყო 15 სმ-ით, მასზე მოკერებული ჰქონდა თავისივე ერთი სმ სიგანის ნაჭერი, რომელზედაც მაგრდებოდა ღილ-კილოები. ამ ნიშნებით ხასიათდება ჩაღმა-თუში, ვეინახი, კახელი და დაღესტნელი მამაკაცის პერანგიც. წოვა-თუშები ამ ელემენტს ხ ა ლ ა თ-ს უწოდებენ. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ეს ტერმინი ივ. ჯავახიშვილს ქართულ ტერმინად არ

მიაჩნია. იგი ამბობს: „ხალათი სპარსული სახელია“. დროთა ვითარებაში ხალათის დაკერებული ჯიბეები შეიცვალა დაკიდებული ჯიბეებით. ამ ჯიბეებს თავში უკეთდებოდა თამასა, რომლითაც ხდებოდა ჯიბის თითო ღილით შეკვრა. სამი თითის სიმაღლე დაყენებული საყელო შეიცვალა გადაკეცილი საყელოთი. აქრიგად, შეკერილი ხალათი ფართოდ იყო გავრცელებული მთელს კავკასიაში. წოვა-თუშები შიდა პერანგისათვის იყენებდნენ ქსოვილს, რომელსაც „ამერიკას“ უწოდებდნენ. ხ ა ლ ა თ ა დ სახელდებულ სამოსს კერავდნენ როგორც შინ მოქსოვილი შალისაგან, ისე ნაყიდი მაუდისა და აბრეშუმის ქსოვილისაგან.

სამოსის ერთ-ერთი ელემენტია შარვალი — შ ა ლ ვ ა რ. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ეს ტერმინი ზოგ მკვლევარს სპარსულიდან შემოსულად მიაჩნია, ზოგს კი ბერძნულიდან.

იგი ფართოდ გავრცელებული ტერმინია როგორც საქართველოს მთა-ბარში, ისე ჩრდილო კავკასიაში, აზერბაიჯანში, რუსეთში, მთის ებრაელებში და სხვ.

წოვა-თუში მამაკაცის შარვლის ძირითადი თარგი მეზობელი მთიელების (ჩაღმა-თუში, ვეინახი, ოსი, ფშაველი და სხვ.) შარვლის ანალოგიურია, მაგრამ განსხვავება იყო შარვლის უბეში ტოტების სიგანეში, ქობად დადებულ უხეშ ნაჭერში, წელში გაყრილ ხონჯარში და ტოტების ბოლოში ფეხქვეშ ამოსადებ ენაში, შარვლის სათავე მეტად განიერი იყო. მას ტოტებს — კ ა რ თ ხ ი — შუა ჩადგმული ჰქონდა ოთხკუთხა, განიერი ნაჭერი, რომელსაც (ა ო ბ ლ ი ს უბეს უწოდებენ. შარვლის ტოტები ტერფისაკენ ოდნავ შევიწროებული იყო. მას მეტწილად შინ მოქსოვილი შავი, ლურჯი და რუხი ფერის შალისაგან კერავდნენ. სამწყემსო შარვლებს ზოლებიანი, უხეში შალისაგან ამზადებდნენ. XX საუკუნის 20-იან წლებში, როგორც კავკასიის სხვა ხალხებში, ისე წოვა-თუშებშიც ჩნდება გ ა ლ ი ფ ე შარვალი და ჩაშვებული შარვალი — ჩ ა ს ტ ო ნ ი, თუმცა ეს უკანასკნელი XIX საუკუნის მეორე ნახევარში წოვა-თუშ ინტელიგენციას სცმია, მაგალითად, ივანე ცისკარიშვილს, ნიკოლოზ ცისკარიშვილს და სხვ. მწყემს კაცს ევროპულ ყაიდაზე შეკერილი სამოსის ჩაცმა სირცხვილად მიაჩნდა. ამასთან, საუკუნეების მანძილზე შალის სამოსს შეგუებული მისი სხეული ვერ ეგუებოდა ბამბისა და სელის რბილ ქსოვილებს. გ ა ლ ი ფ ე დ სახელდებულმა შარვალმა ფართო გავრცელება მოიპოვა გლეხთა წრეში. ბოლოს მწყემსებიც შეეჩვივნენ მას. ამ შარვლის ტოტებზე ადვილად იცმეოდა მაღალყელიანი ფეხსაცმელი — ჩექმა. ახლაც მწყემსები ამ ტიპის შარვლებს ხმარობენ.

შარვალ-პერანგის ზემოდან შემოსაცმელი იყო ახალუხი —

ა ხ ლ უ ხ. ტანსაცმლის ეს ელემენტიც კავკასიაში ფართოდ იყო გავრცელებული. წოვა-თუშებში იგი ჩოხის განუყოფელ ნაწილად ითვლებოდა. მისი თარგი ჩოხისებურია, მაგრამ, ჩოხისაგან განსხვავებით, დახურული გულმკერდი და 3—4 თითის სიმაღლე საყელო აქვს. იკერება მკერდის ძირამდე ღილ-კილოთი. ახალუხი მუხლამდე მწვდომი, წინ ჩახსნილი, სარჩულიანი და წელზე მომდგარი სამოსია. მას წინა ორი მხარე და უკანა გადაუჭრელი აქვს. ახალუხის წელქვედა ნაწილი შედგება ოთხი კალთისაგან. აქვს აგრეთვე წინა კალთების შემავსებელი ორი ენა. მისი სახელოები გრძელი და მხრებთან სწორად მოდგმულია. ახალუხს გულმკერდზე აქვს დაკერებული ჯიბე, ხოლო წელს ქვემოთ — ორივე გვერდზე — წელიდან ჩაკრული პარკიანი ჯიბეები. [illegible] მოცემით, აჭრილი [illegible] წოვათუშური ახალუხის ზურგი [illegible] მკლავები აჭრელებული ყოფილა გეომეტრიული ფიგურებით. ამას მრავალთაგან ადასტურებს ს. მაკალათიაც. ახალუხს მეტწილად კერავდნენ შავი, ლურჯი და ყავისფერი ლასტიგისა და ლაინისაგან. შეძლებულ ოჯახებში ეს სამოსი იკერებოდა იმავე ფერის აბრეშუმის ქსოვილისაგან. შეძლებულთა წრეში თეთრ ახალუხებსაც ატარებდნენ.

წოვა-თუშები ზამთარში ახალუხზე იცვამდნენ უსახელო, დათბილულ, წელზედა სამოსს, რომელსაც ჟ ი ლ ე ტ კ ა ს უწოდებენ. სამოსის ეს ელემენტი ს. მაკალათიას დამოწმებული აქვს ჩაღმა თუშებში. „ჟილეტკას“ კერავდნენ შინნაქსოვი შალის, ბამბისა და აბრეშუმის ქსოვილისაგან. იგი წინ ჩახსნილი, უსაყელო და დაბამბული იყო, იკერებოდა სამ-ოთხი ღილით. „ჟილეტკას“ იცვამდა შეძლებულიც და ღარიბიც, განსხვავება თავს იჩენდა მხოლოდ ქსოვილის ხარისხში.

მამაკაცის სამოსის შემდეგი ელემენტი იყო ჩოხა — ჩ ო ხ ა. იგი წოვა-თუშებში ორი სახითაა დამოწმებული: კახური და საერთოკავკასიური ტიპისა. აქ ეს უკანასკნელი საზეიმო სამოსად ითვლებოდა. ასევე იყო იგი მიჩნეული ჩაღმა-თუშებში და საერთოდ, საქართველოს ყველა კუთხეში, ვეინახებში, ოსებში, დაღესტნის ხალხებში, ყველგან, სადაც კი ჩოხის სახელწოდებითაა ეს ელემენტი გავრცელებული.

საერთოკავკასიური ტიპის ჩოხა თუშეთში წვიეებს შუაზე წვდებოდა. იგი მხოლოდ შეძლებულ მამაკაცებს ეცვათ.

წოვა-თუშებში ჩოხის შემცვლელი იყო ქულაჯა, რომელსაც ქ ა თ ი ბ ს ა ც უწოდებენ. იგი იმეორებდა ჩოხა-ახალუხის ძირითად თარგს. მისი უკანა მხარე ჩოხისებური იყო, ხოლო წინა მხარე— ორბორტიანი, რომლის ნაპირები ერთმანეთზე გადადიოდა და იკერებოდა მარჯვენა მხარეს 9—10 ღილ-კილოთი. საყელო ახალუხის ტიპისა ჰქონდა. ქათიბი მთლიანად დასარჩულებული, წელში მოვდგა-

რი და გრძელსახელოიანი სამოსი იყო. ზოგიერთები წელს ზევით, სითბოსათვის ბატკნის ტყავს — მ ა ჟ დ ა გ ს — უდებდნენ. მას კერავდნენ რუხი, შავი ან წენგოსფერი შინნამზადი შალისაგან. იგი მუხლებს ფარავდა. წოვათუშური ქათიბი ჩაღმათუშური ქათიბისა და კახური ქულაჯის მსგავსი გარე სამოსი იყო.

თუში მამაკაცის საზამთრო გარესამოსი იყო აგრეთვე ცხვრის ტყავის ქურქი — კ ო კ. მამაკაცისა და ქალის ამ სამოსს ერთნაირი მოყვანილობა ჰქონდა, მაგრამ განსხვავდებოდა განის სიდიდით. მის დასამზადებლად საჭირო იყო 6—7 ცხვრის ტყავი, ქურქი მთის პირობებში საუკეთესო სამოსს წარმოადგენდა. მას ჩოხაზე შემოიცვამდნენ და ზემოდან ქამარს მოირტყამდნენ. ქურქი წვივებს შუამდე წვდებოდა. მას, მეზობელი მთიელების მსგავსად, წამოსასხამადაც და საბნადაც იყენებდნენ. ტყავს უმთავრესად მშრალ სიცივეებში ხმარობდნენ. წოვა-თუში მამაკაცებიდან ზამთარში, მოხუცებისა და ავადმყოფების გარდა, შინ არავინ რჩებოდა. ყველა სრულწლოვანი მამაკაცი ცხვარს მისდევდა, მთელ ზამთარს ბარში — პანკისში, ბახტრიონში, შირაქში და ალაზნის ველზე — ატარებდა. მწყემსობისას დიდი ტყავის გამოყენება ძალიან მოუხერხებელი იყო, ამიტომ სამწყემსო ტყავი მოკლე, მუხლის ზედა მიჯნამდე მწვდომი უნდა ყოფილიყო.

თუშები ტყავს, სხვა მთიელების მსგავსად, ხელით კერავდნენ.

მომთაბარე თუშს ქარისა და წვიმისაგან იცავდა წამოსასხამი ნაბადი — ნ ა ბ ა დ, რომელიც ყოველთვის თან დაჰქონდა. იგი ზამთარზაფხულ მწყემსის ტანის საფარიც იყო და ლოგინიც.

წოვა-თუშებში ორი სახის წამოსასხამი ნაბადი იხმარებოდა: შავი ფერის გრძელბეწვიანი ნაბადი, რომელსაც ყიდულობდნენ ჩრდილოკავკასიელებისაგან და უწოდებდნენ „ლეკურ ნაბადს“ და ადგილზე მოთელილი რუხი ან თეთრი ფერის ნაბადი. ორივე ნაბდის ფორმა ერთნაირი იყო, მაგრამ ადგილზე დამზადებულ ნაბადს ვეინახური და დაღესტნური ნაბადივით (შეღებილი) ცალ მხარეზე ბეწვი ამოღებული არ ჰქონდა.

მწყემსი ნაბადს იალაღებზე გასვლისას ბინაში ტოვებდა. შინ თუ დასველებული დაბრუნდებოდა, მშრალი ნაბადი ადგილზე ხვდებოდა, მოიხვევდა მას და მოისვენებდა ხოლმე. ლეკური ნაბადი საგარეო მოსასხმელად ითვლებოდა და იგი თუშების უმცირესობას გააჩნდა.

ს. მაკალათია წერს: „თუშებს ნაბადი და თექაც უყვართ, რომელსაც მუდამ თან ატარებენ“.

ორივე სახის ნაბადი კოჭებამდე წვდებოდა, განიერი იყო. როგორც ზემოთაც ითქვა, იგი მწყემსის თუ მგზავრის თავშესაფარი

იყო წვიმაში, თუ ქარიან ამინდებში ცხენით მგზავრობის დროს. სხვა მეზობელი მთიელების ანალოგიურად, წოვა-თუშებიც ნაბადს, ცხენის გავაზე დამაგრებულს, ყოველთვის თან ატარებდნენ.

თუშური, ვეინახური და დაღესტნური წამოსასხამი ნაბდები ერთნაირ ფორმაზე ითელებოდა, მაგრამ დაგების დროს ვეინახი და ლეკი ქალები პირველად გრძელბეწვიან მატყლს დააგებდნენ, მეორე პირად მიაყოლებდნენ მოკლებეწვიან მატყლს, რომ ცალ მხარეზე გრძელი ბეწვის ამოყვანის საშუალება ჰქონოდათ. გრძელი ბეწვი ნაბადს სისველისაგან იცავდა, მეორეც — სილამაზეს აძლევდა, მისი ყიდვა-გაყიდვის დროსაც გრძელ ბეწვს აქცევდნენ ყურადღებას, რამდენადაც გრძელბეწვიანი იყო ნაბადი, იმდენად მეტი ფასი ჰქონდა — აღნიშნავს მთხრობელი.

თუშებმა ბეწვამოღებული ნაბდის დამზადება არ იცოდნენ. მათთვის სულ ერთი იყო, რომელ მატყლს როდის დააგებდნენ.

წამოსასხამ ნაბადთან ერთად, თუშ მწყემსს მოკლე, შეკერილი ნაბადიც ჰქონდა, რომელსაც თუშების ოთხივე თემის მცხოვრებლები თ ე ქ ა-ს უწოდებენ. თექა ქართული ტერმინია და აღნიშნავს ნაბდისაგან შეკერილ ზედა სამოსს, იგი სახელოებიანი, წინ ჩახსნილი, ჩოხაზე მოკლე, უჯიბო სამოსია, მისი უბეები ერთმანეთზე არ გადაღის. თეძოზე ირტყამენ ქამარს, მხრებზე და ზურგზე ადევს საწვიმარი, ე. ი. მეორეპირი ნაბადი. ანალოგიურია ჩაღმათუშური და სხვა მთიელების თექაც. მასში წვიმა ვერ ატანს და დასველების შემთხვევაშიც მალე შრება. ვეინახებიც ამ სამოსს თ ი ე ქ-ს უწოდებენ. ცხვრის პატრონებმა იგი ბოლო დრომდე შემოინახეს.

2. ვარცხნილობა და თავბურავი

წოვა-თუში ქალი და მამაკაცი მკაცრად იცავდნენ ვარცხნილობისა და თავბურავის ტრადიციულ წესებს. ქალები თმებს შუაზე იყოფდნენ და სამ-ოთხ ნაწნავად (კ ო წ ლ ი) გულმკერდზე გადმოშლიდნენ ხოლმე, ხოლო გათხოვილი წინა მხრის თმას მოკლედ შეიჭრიდა, კავებად — კ ი კ მ ი — დაიყენებდა, უკანა თმას კი, დაწნულს, ზურგზე დაიყრიდა. საბას განმარტებით, კ ო წ ლ ე ბ ი ნიშნავს თმის ნაწნავს — დალალს.

ტერმინი „კოწლები“ ამავე მნიშვნელობით დამოწმებულია ჩაღმათუშებშიც. პანკისის ქისტები გაშლილ თმებს კ უ ა ძ ა ლ ა შ-ს უწოდებენ. ეს ტერმინი მათ შეიძლება კოწოლიდან ჰქონდეთ მიღებული.

ივ. ციხკარიშვილისა და ალ. ხახანაშვილის ცნობებიდან ჩანს, რომ თუშის ქალები თმებს ჩამოშლილად ატარებდნენ, გათხოვილები ყუ-

რის ძირში კავებად დაიყენებდნენ, ხოლო გაუთხოვრები, ნაწნავებად დაწნულს, წინ, გულმკერდზე გადმოიწყობდნენ ხოლმე. თუშ ხანდახ-მულ მანდილსნებში აღნიშნული ვარცხნილობა დღემდეა შემორჩე-ული.

მამაკაცებს კი ახასიათებდათ მოკლედ შეკრილი ვარცხნილობა, წვერს იპარსავდნენ, ხოლო ულვაშებს იტოვებდნენ, ზოგი მოკლედ, ზოგი გრძლად დაყენებულს. მამაკაცების ერთი ნაწილი მოშვებულ წვერ-ულვაშსაც ატარებდა, მაგრამ დროდადრო მისი შესწორებაც სცოდნიათ.

ი. პოლიევკტოვი აღნიშნავს, რომ თუში მამაკაცები თმაშეკრეჭილ-ნი და წვერმოპარსულნი არიან. ამას ადასტურებს (XIX საუკუნის მეორე ნახევრის) ზემოთ აღნიშნული ფოტოსურათებიც.

წოვა-თუში ქალის საგარეო და საპატარძლო თავსაბურავია შავი ფერის მანდილი — მ ა ნ დ ი ლ, რომლის განუყოფელი ნაწილებია იმა-ვე ფერის კ ო მ ო ზ ა და ქ ი ჩ ი ლ. აღნიშნული ელემენტები ჩაღმა-თუშებში დამოწმებულია მ ა ნ დ ი ლ ი-ს, კ უ ჭ უ რ ა-ს და შუბლსაკრა-ვის სახელწოდებით. ფშავლები კ უ ნ ჭ უ ლ ა ს უწოდებენ ცხოვე-ლის რქებს შორის მოთავსებულ ადგილს, ხოლო ხევსურები თავის თხემს და მთის წვერს თ ა ვ კ უ ჭ უ ლ ა ს უწოდებენ. ჩანს, რომ ტერმინები—კუჭურა, კუნჭულა, თავკუნჭულა, კუნჭულ, კუჭულაშ— ერთი ფუძიდანაა წარმოშობილი და სხვადასხვა დიალექტებში ათვისე-ბულია განსხვავებული მნიშვნელობით. ასევე შეიძლება ვთქვათ ტერმინ ქ ი ჩ ი ლ ა ზ ე ც. წოვა-თუში ქალის თავსაბურავში ქიჩილა თავსაკ-რავის როლს ასრულებს. კახურ თავსაბურავში იგი ყველაზე თვალ-საჩინო ელემენტია, რომელსაც კერავდნენ თხელი, გამჭვირვალე თეთ-რი ბლონდის ან ტულის ქსოვილისაგან, მას სამკუთხედის მოყვანილო-ბა აქვს, იხურავენ ჩიხტიკოპთან ერთად. ჩიქილა გვხვდება აგრეთვე რაჭველი და ფშაველი ქალის თავსაბურავშიც.

წოვათუშური ქიჩილა, კომოზ და მანდილი ერთი და იგივე შავი ქიშმირის ან ლასტიკის ქსოვილისაგან იკერებოდა. ქიჩილ სამი თითის სიგანისა და ერთი მეტრი სიგრძის თავსაკრავია, რომელიც მანდილს შუბლზე ამაგრებს.

კომოზ და ჩაღმათუშური კუჭურა თავსაბურავის ერთი და იგივე ელემენტია, რომელიც გასათხოვარი და გათხოვილი ქალის განმასხვა-ებელ ნიშნად ითვლებოდა.

ქორწილის დღეს პატარძალი კომოზს ჩამოიცმევდა თავზე, შემ-დეგ მანდილის ერთ ყურს ზემოდან, ქიჩილის საშუალებით, შუბლის გასწვრივ ამაგრებდა, ხოლო მეორე ყური კი ზემოდან გად-მოიფინებოდა ხოლმე, მანდილი კომოზზე მაგრდება ქინძისთავით—

ქინძისთავ. ამ დღიდან ქალი კომოზს სიკვდილამდე არ იხდიდა და მიცვალებულსაც თან ატანდნენ.

წოვა-თუში ქალი, მანდილმოხდილი, ქმარს არ ენახვებოდა. კომოზის მოხდა-დახურვა მის გარეშე, უჩუმრად ხდებოდა. როცა კომოზი დაძველდებოდა. ვინმეს დაუნახავად გადააგდებდნენ ხოლმე.

წოვა-თუშური მანდილი სამკუთხედად აჭრილი, შავი ფერის ქიშმირის ან ლასტიკის ქსოვილია, რომლის ყურები სამოსზე უფრო გრძელია. გასათხოვარი ქალის მანდილისგან საპატარძლო მანდილი მხოლოდ სიახლით განსხვავდებოდა. ქიშმირის მანდილი ეკონომიურად შეძლებული ოჯახის გაუთხოვარ და გათხოვილ ქალსაც ჰქონია. ღარიბი ქალები მანდილს თეთრი მიტკლის ქსოვილისაგან კერავდნენ და შემდეგ შავად ღებავდნენ.

უწინ წინ ნაქსოვი თხელი შალისაგან დამზადებულ მანდილს იხურავდნენ. ხმარობდნენ თავიანთ ნაქსოვ მოსახვევსაც. ბოლო ხანებში წოვა-თუში ქალის თავსაბურავს მიემატა შავი ფერის, დიდი ზომის, ფაბრიკული წესით დამზადებული ბამბისა და ქიშმირის ოთხკუთხედი შალი, რომელსაც გარშემოვლებული აქვს თავისივე ან აბრეშუმის ფოჩები. ამასაც წოვა-თუშები მანდილს უწოდებენ.

ცნობილია, რომ შავი მანდილი (სამოსთან ერთად) სამშობლოს გარეშე მტრებისაგან დაცვისა და განთავისუფლებისათვის საუკუნეების მანძილზე წარმოებულ ბრძოლებში დაღვრილი სისხლის სიმბოლოა. ამასთან დაკავშირებით საინტერესო მასალას ვხვდებით თუშურ პოეზიაში: „ამგვარი სისხლიანი ბრძოლები მრავალი უნახავს თუშეთს მთებს და მის კალთებზე დაკიდულ სოფლებს. ამის სიმბოლური გადმონაშთია დღესაც თუში ქალის შავი მანდილი, რომელსაც ის ჩვეულებრივ ატარებს. თუში ქალი გაჭირვების ჟამს ყოველთვის მამაკაცის გვერდით იდგა და ბრძოლისაკენ მოუწოდებდა მას. თუში ქალწულის შეხედულებით ტრფობის ღირსია ის, ვინც სამშობლოსა და ქალის მანდილის პატივს ღირსეულად დაიცავს“.

ნ. ურბნელი წერს: „შუღლის დროს თვით ძლიერი თემიც კი მუხლს იდრეკს მანდილის წინ“.

მანდილისადმი პატივისცემა ღრმად იყო დანერგილი მეზობელ მთიელებშიც: ვეინახებში, ფშავ-ხევსურებში და სხვ.

თუშებში თავიდან მოხდილი მანდილის არაფრად ჩაგდება ქალის ნამუსის შელახვის ტოლფასოვანი დანაშაული იყო. მანდილი ხელშეუხებელი საგანი იყო; ჩხუბსა და აყალ-მაყალში თუ ქალი მანდილს მოიხდიდა და მტრის წინაშე გადაშლიდა, ამოღებულ ხანჯალს ქარქაშში ჩადებდნენ და უკან დაიწევდნენ. ფშავ-ხევსურეთში ქალი თუ უმანდილოდ ეჩვენებოდა ქმრის ნათესავებს, ეს ნიშნავდა მის ცუდ

დამოკიდებულებას მომავალ ოჯახთან — აღნიშნავს თედორაძე. ანალოგიური შეხედულებებია დადასტურებული ვეინახებშიც.

მანდილი უძველესი დროიდან სამოსის განუყოფელი ნაწილია. ეს ფაქტი მრავალ ხალხშია დადასტურებული.

წოვა-თუში მამაკაცის ტრადიციული თავსაბურავი იყო ნაბდის ქუდი — ნ ე ბ დ რ ე ქ უ დ, რომელიც შუბლს თითქმის ფარავდა; ამ ქუდზე კარგად იხურებოდა რკინის მუზარადი. დროთა განმავლობაში აღნიშნულმა ქუდმა გაუმჯობესებული ფორმა მიიღო, იგი მხოლოდ თავის თხემს, შუბლის მცირე ნაწილს ფარავდა, მიუხედავად ამისა, მამაკაცები მას ზამთარ-ზაფხულ ხმარობდნენ. ქ უ დ ი, ქ უ დ, ქ უ ი, ქ ი სპარსული ხ უ დ-იდან ყოფილა წარმოშობილი, რაც ნიშნავს მუზარადს, ე. ი. რკინის ქუდს.

თუშური ნაბდის ქუდის თარგი ხევსურული და სვანური ქუდის თარგისაგან განსხვავებულია. მათ ქუდებს არც ერთი ნაკერი არ გააჩნია, ხოლო თუშურ ქუდს გვერდზე ერთი ნაკერი აქვს, თავის ცაზე კი (თხემზე) — ოთხი. წინათ თუშები (წოვა, ჩაღმა) ამ ქუდებს მუზარადის ქვეშ იხურავდნენ. როცა მუზარადების ხმარება შეწყდა, ქუდების წარმოებასაც მიანებეს თავი, მაგრამ მისი მოხმარების ტრადიცია ჩვენს დრომდეა შემონახული. ამ ნაბდის ქუდებს ამჟამად მხოლოდ პანკისელი ქრისტი ქალები ამზადებენ. მას ბ ა ც ა ი ქ უ ი — თუშურ ქუდს — უწოდებენ. ამ ქუდს ფართოდ იყენებდნენ კახელებიც და ამჟამადაც მასზე დიდი მოთხოვნილებაა როგორც თუშებში, ასევე კახეთის რაიონებშიც.

წოვა-თუში მამაკაცები, ნაბდის ქუდს გარდა, ცხვრის ტყავის ქუდებსაც ხმარობდნენ. ზოგიერთები ქალაქური ტიპის, კონუსურ ბუხარულ ტყავის ქუდებსაც ატარებდნენ, თუმცა ეს უკანასკნელი მხოლოდ შეძლებული წრის წარმომადგენლებს ეხურათ. ხშირ შემთხვევაში კი, თუში მამაკაცის ყოველდღიურ, საგარეო და სამწყემსო ქუდად ზემოთ აღნიშნული ნაბდის ქუდი ითვლებოდა. სუსხიან ამინდში მწყემსები ხმარობდნენ ცხვრის ტყავის გრძელბეწვიან ქუდებს. ეს ქუდი ფართოდ იყო გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში და ჩრდილო კავკასიის ვეინახებში, ოსეთში, დაღესტანში და სხვ. თუშების საგარეო ქუდად ითვლებოდა ბატკნის ტყავის გარიბანდული ქუდი. ეს ქუდი, ჩრდილო კავკასიაში გამოყენებულ ქუდებთან შედარებით, უფრო დაბალი იყო და სწორი მოყვანილობა ჰქონდა. წოვა-თუშები ზაფხულში თეთრი ნაბდის (მინდვრიან) ქუდს იხურავდნენ, რომელსაც ისინი ოსურ ქუდს უწოდებდნენ. ამ ქუდს თვითონ თუში ქალებიც ამზადებდნენ.

წოვა-თუში მამაკაცის თავსაბურავში შედის აგრეთვე ყაბალახი — ბ ა შ ლ ა ყ. ტერმინი ბ ა შ ლ ა ყ ვეინახური ბ ა შ ლ ა ყ ი ს და

აქარული ბ ა შ ლ უ ღ-ის იდენტურია, რაც თურქული ბაშლუღი-დან ყოფილა მიღებული.

ყაბალახს შინ მოქსოვილი (თეთრი, რუხი ფერის) შალისაგან კერავდნენ. მისი თარგი კახეთში, ოსეთში, ვეინახებში და დაღესტანში ერთი და იგივე იყო. თუშები ყაბალახს აბრეშუმის ყაითნით ქარგავდნენ. მას სიცივეში ქუდის ზემოდან იხურავდნენ, მარჯვენა ყურს — ტ ო ტ — მარცხენა მხარეს შემოატარებდნენ, ხოლო მარცხენას მარჯვენა მხარეს და ორივე ყურს ზურგზე გადაიკიდებდნენ, ხან კი შემოხვეულ ყურებს — ტ ო ტ ი — წინა მხარეს დაიწყობდნენ. ყაბალახის დახურვის მსგავსი წესი გავრცელებულია მათ მეზობელ მთიელებშიც (ფშავში, ვეინახებში, ოსეთში და სხვ.).

3. ფეხსამოსი და ფეხსაცმელი

წოვა-თუში ქალისა და მამაკაცის ფეხსამოსი იყო ბაწრისაგან (მატყლის ძაფი) ჩხირებით — ჰ უ ე რ ჩ — მოქსოვილი წინდები — ჩ ხ ი ნ დ რ ი. ტერმინი ჰ უ ე რ ჩ ვეინახური საქსოვი ჩხირების — ჰ ო ი-ს — იდენტურია. თუში ქალები, დიდ-პატარა, წინდის ქსოვაში ფრიად დახელოვნებულები იყვნენ. დაღლილი, დასასვენებელად ჩამომჯდარი მანდილოსანი, ჩვეულებრივ, წინდას ქსოვდა, მას ერთ დღეში შეეძლო ქალის ან მამაკაცის ერთი წყვილი წინდის მოქსოვა. როგორც ს. მაკალათია აღნიშნავს, „აქ ყველა ქსოვს: ექვსი წლიდან დაწყებული ღრმა მოხუცებულობამდე, ქსოვენ სნეული და უსინათლო ქალებიც. თუშის ქალი წინდის ჩხირებს ხელიდან არ იშორებს და გზაში თუ ოჯახში ის წინდას გამალებით ქსოვს". თუშების ყოფაში ეს საერთო მოვლენა იყო, მაგრამ მათი მოქსოვილი წინდები ძალიან განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. წოვა-თუშები წინდებში უფრო მუქ ფერებს ახამებენ, ხოლო ჩაღმები—ღია ფერებს, რის გამოც მათი წინდები ჭრელი, უფრო მყვირალაა, ვიდრე წოვა-თუშებისა. წინდა შედგება ყელის, ტერფის, წვერისა და კოჭისაგან. მამაკაცის წინდას ფეხის კოჭიდან თავამდე 16—17 სმ სიმაღლე ჰქონდა და თითქმის წვივის შუამდე წვდებოდა. მას მოქსოვის შემდეგ ცეცხლის ალზე გატრუსავდნენ, საპნიან წყალში გარეცხავდნენ, პირს ამოუბრუნებდნენ და ჩამოაცმევდნენ სპეციალურ კალაპოტზე — ს ა ფ ა რ თ ი — გასაშრობად და სწორი ფორმის მისაცემად.

წინდებს აღმოსავლეთ საქართველოს მთა-ბარში ყველა ქსოვდა: თუშები, კახელები, ფშავლები, ხევსურები, ასევე ჩრდილო კავკასიის ვეინახები, დაღესტნელები, აზერბაიჯანელები და სხვ. მაგრამ მათ მიერ მოქსოვილი წინდები შესამჩნევად განსხვავდებოდა ერთმანეთი-

საგან. ეს განსხვავება თავს იჩენდა ქსოვის პროცესშივე ჭრელათა შესრულების მხრივ. წოვა-თუშებში დიდ მოწონებას იმსახურებდა „კბილებიანი“ წინდა, რომელსაც ისინი ცარკალე ჩხინდრის უწოდებდნენ.

მამაკაცები წინდის ყელში შარვლის ტოტებს ჩაიტნევდნენ ხოლმე, რასაც ადასტურებს ივ. ცისკარიშვილის მასალებიც. წინდების ზემოდან, წვივზე წამოიცმევდნენ პაჭიჭებს — ფიზკი. ტერმინი ფიზკი ვეინახური ფიეზაგ-ის ანალოგიურია. პაჭიჭები კოჭებიდან იწყებოდა, ზემოთკენ განიერდებოდა და მუხლს ქვემოთ ჩახსაკრავით — წიკან, ბაწარ — იკვრებოდა. წოვა-თუშები მას ფიზკინ ბაწარ-საც (პაჭიჭის ბაწარს) უწოდებდნენ. წიკ (წ. თ.) წვივს ნიშნავს, ხოლო ბაწარ მატყლ-ს ძაფს — მატყლის ბაწარს. წიკან ბაწარ შვიდი ნელრისაგან მოწნული თასმაა, რომელიც პაჭიჭს კარგად ამაგრებს მუხლის ძირში.

პაჭიჭები სამი სახისა იყო: შინ დამზადებული შალისაგან შეკერილი, ბაწრისაგან ჩხირებით მოქსოვილი და ტყავისა. პირველი ორი სახის პაჭიჭი ოჯახში მზადდებოდა, ხოლო ტყავისას უმეტესად მზას ყიდულობდნენ თელავის, სიღნაღის, თბილისის სავაჭრო დუქნებში. ეს უკანასკნელი საგარეო პაჭიჭად ითვლებოდა. პაჭიჭებს ჰქონდა ფეხის ამოსადები ანუ უზანგი. ტყავის პაჭიჭები ფართო ხმარებაში იყო როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთა-ბარში (კახეთში, ფშავში, ხევსურეთში, თუშეთში), ასევე ჩრდილო კავკასიის მთიელებში — ვეინახებში, ოსებში და სხვ.

მამაკაცის ფეხსამოსი — ჩითები (ბმორგი) — მათი ქალების მიერ იყო მოქსოვილი და დამზადებული. ეს ფეხსამოსი ნესტიან ამინდებში მეტად არაპრაქტიკული იყო და მომთაბარე წოვა-თუშმა მამაკაცებმა ადრევე მიატოვეს მისი ხმარება, ხოლო ჩაღმა-თუშებმა ეს ფეხსამოსი ბოლო დრომდე შემოინახეს. თუმცა წოვა-თუშების ალვანში ჩამოსახლების შემდეგაც ჭრელი, მაღალყელიანი წინდები — იადნორე ჩხინდრი და ჩითები ბმორგი — ფართო ხმარების საგანი ყოფილა, მაგრამ ალვნის სინამდვილეში ჩითის ქსოვა, მისთვის დიდი დროის დახარჯვა მიზანშეწონილად არ მიიჩნიეს და მისი ადგილი ჩუსტის ფორმაზე მუქი ფერის სხვადასხვა ბაწრით მოქსოვილ ფეხსაცმელს დაუთმეს, იმავე სახელწოდების—ბმორგის— შენარჩუნებით. ბმორგი-ს უკეთებდნენ ტყავის ან რეზინის ძირებს. იგი, ზამთარ-ზაფხულ, ოჯახში კარგი სახმარი იყო. მეორეს, ბარში ყოველნაირი საშუალება იყო მშრალ და ნესტიან ამინდებში სახმარი ჩუსტების, ქოშებისა და მაღალყელიანი ფეხსაცმლის ყიდვისა. ეს მიგვაჩნია მიზეზად, რომ წოვა-თუშებმა ჩითის ქსოვას თავი მიანებეს, ხოლო ჩაღმა-თუშებმა კი, როგორც ბარად გვიან ჩამოსახლებულებმა,

ბოლო დრომდე შემოინახეს. ჩითების შემცველი ბორგი ქალის ფეხსაცმელად ითვლებოდა.

ჩითების მოქსოვა და დამზადება დიდ დროს მოითხოვდა. ს. მაკალათია წერს: „ჩითას ქსოვა ყველა ქალს არ შეუძლია, მას დახელოვნებული ან მოზრდილი ქალები ქსოვენ". თუშეთში გამოყენებული ნაქსოვი ფეხსაცმლის შესახებ საინტერესო მასალას ვხვდებით რ. ხარაძის, გ. ბოჭორიშვილის, ც. ყარაულაშვილის და სხვათა ნაშრომებში.

წოვა-თუში მამაკაცის ყოველდღიური ფეხსაცმელი იყო ჯ ა ნ ა დ წოდებული ქალამანი. ლ. მოლოდინისა და გ. ჩაჩაშვილის ნაშრომში მამაკაცის სამოსში შემავალ ელემენტთა შორის დასახელებულია ჯღანი (ფეხსაცმელი), წვივსაკრავი და წინდა.

ლ. ბოჭორიშვილსაც მოხსენიებული აქვს ჯღანი ხევსური მამაკაცის ფეხსაცმელის აღწერისას: „ქალამნები და ჯღანი ანუ ხულჩა". ჯღანი წოვათუშური ქალამნის სახელწოდება ჯანის ალენტერია. საბას განმარტებით, ჯ ღ ა ნ ი არის „მეშო საცვეთი". ქალამანზე მწყემსები და მონადირეები წრიპებს — წ რ ი პ ი — იკეთებდნენ, რათა აყუდებულ მთებზე უშიშრად ევლოთ. ზამთრის სიცივეებში ქალამანში (რომელიც საკაცო და საქალო ფეხსაცმლად ითვლებოდა) თივას იდებდნენ სითბოს შესანარჩუნებლად. ქალამანი მწყემსს ერთ სეზონზე ათი წყვილი სჭირდებოდა. კარგი სახმარი ქალამანი ძროხის—ღ ე თ და ღორის—კ ა ი — ტყავისა იყო, ხოლო კამეჩისა — კ ა მ ბ ე ჩ და ხარის — ფ ს ტ უ — ტყავის ქალამანი ხმებოდა და ფეხებს ტკენდა—გვაუწყებს მთხრობელი. ქალამნის ამოსხმა ყველა ოჯახის კაცმა და ქალმა იცოდა.

თუშები საქალამნე ტყავს წყალში დაალბობდნენ და შემდეგ ფეხის ზომაზე დაჭრიდნენ. ქუსლს მოამრგვალებდნენ, წვერს შეჭრიდნენ და გარშემო, თითო სანტიმეტრის დაშორებით, დაჩვრეტდნენ დანის წვერით და ამოასხამდნენ თავისივე ორწვერა კოპით და ხის სადგისის—ჩ ხ ი რ—საშუალებით. ქალამნის ამოსხმის ასეთივე წესი არსებობდა პანკისის ქისტებში, ჩაღმა-თუშებში, ფშავლებში და საქართველოს ზოგიერთი სხვა კუთხის მკვიდრებში. ამასთან, აღსანიშნავია ქალამნის ფორმების მსგავსება. მაგალითად: ხევსურების მიერ გამოყენებული ყელიანი ხ უ ნ ჩ ა ვეინახური ხ უ ლ ჩ ი-ს ანალოგიური იყო. მსგავსი ფეხსაცმლის არსებობა ჩვენ მიერ დამოწმებული იქნა სვანეთში — ჯ ა ბ რ ა ს სახელწოდებით. წოვა-თუში მამაკაცები იცვამდნენ აგრეთვე წუღებს — წ უ ღ ი, დაბალყელიან (ყურებიან) „შ ი ბ ლ ე ტ ებ ს" — შ ი ბ ლ ე ტ ი, ჩუსტებს — ჩ უ ს ტ ი, კალოშებს — კ ა ლ ო შ ი და აზიურ ჩექმებს — ჩ ა ქ მ ი. ამ ფეხსაცმელს ისინი მზად შეკერილს ყიდულობდნენ და შეკვეთით აკერინებდნენ ალვანში და თელავში. ქალებიც იგივე ფეხსაცმელს (ჩუსტები, კალოში, ქალამანი) იცვამდნენ.

მამაკაცის თავდაპირველ ფეხსაცმელ-ფეხსამოსიდან წინდა, პაჭიჭები, ქალამანი, „ჩექმა“ დიდხანს ემსახურა მომთაბარე მეურნე თუშებს და ჩვენს დროშიც შენარჩუნებულია მისი ხმარების ტრადიცია. რაც შეეხება ინტელიგენციას, ისინი შეეჩვივნენ ევროპული ტანისამოსისა და ფეხსაცმლის ხმარებას. ჩვენს დროში თუშები (ქალი და კაცი) ფაბრიკულ ფეხსაცმელს ხმარობენ.

4. სამკაული

ზემოთ აღწერილ წოვათუშურ სამოსზე შეხამებული სამკაულია ქალისა—ეღარლი, ხოლო მამაკაცის — ქამარ-ხანჯალი (შალთქამარ) და მასრები (მასრი). ქამარი ორი სახისა იყო: უბრალო ტყავისა და ვერცხლის ბალთებით გაწყობილი. ორივე სახის ქამარი, საერთოდ კავკასიაში, ფართოდ გავრცელებული სამოსის (ჩოხა-ახალუხის) განუყოფელი ნაწილია, რომელსაც ირტყამდნენ წელზე 7—8 წლის ასაკიდან. უბრალო ქამარს საყოველდღიურო დანიშნულება ჰქონდა, ხოლო ბალთებიან ქამარ-ხანჯალს— საზეიმო. გამოსაკვლევ პერიოდში, წოვა-თუშები უკვე ბარში ცხოვრობდნენ და ისინი თელავის, სიღნაღისა და თბილისის მაღაზიებით სარგებლობდნენ. წოვა-თუშები ბალთებიან ქამარს, შეევერცხლილ ხანჯალს და ვერცხლის მასრებს შეკვეთითაც ამზადებინებდნენ ადგილობრივ და თელავის ოქრო-ვერცხლის მჭედლებიც. ლ. ბოჭორიშვილი წერს: „გადმონაშთების სახით მოღწეული, გაქრობის გზაზე მდგომი ოქრომჭედლობა დღესაც სიღნაღსა და თელავშია შემონახული“.

კახელი ოქრომჭედლების გვერდით მოღვაწეობდნენ ხელობის კარგი მცოდნე გაქართველებული სომხები და სახელმოხვეჭილი ლეკები. მათ ნაწარმს ასაღებდნენ ინგილოები, თუშები და ფშავ-ხევსურები.

წოვა-თუში ქალის გულმკერდის სამკაული განაწილებული იყო ორ ელემენტზე — ფარგულზე და ჯუბის საულებზე. ფარგულის სამკაულს ეკუთვნის ვერცხლის წვრილი ძეწკვები, ღილები და ბროშები, ხოლო ჯუბის საულებისას — ვერცხლის ჯაჭვზე ასხმული 10—15-კაპიკიანი ვერცხლის მონეტები — სტაჰი, რომელიც მიკერებულია სამ-სამ მწკრივად.

ივ. ცისკარიშვილი მოგვითხრობს: „თუშის ქალს აცვია შავი, თხელი შალის კაბა, ღია ფერის წინსაფარით, შავი მანდილი და გულმკერდზე საუკეთესო ვერცხლის სამკაული, სხვადასხვა ფერის მძივები, ყურებზე საყურეები და უკანასკნელ სამ თითზე ბეჭდები, ამასვე •დასტურებს ა. ზისერმანიც.

ფარგულის სამკაულის ზემოდან ყელზე იკიდებდნენ ვერცხლის შიბებით მდიდრულად ნაკეთებ სამკაულს, რომლის შეძენის საშუალება ყველას არ გააჩნდა.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ქალის სამკაულიდან გ. რადეს ყველაზე ორიგინალურად თუშური სამკაული მიაჩნდა.

წოვა-თუში ქალის გულმკერდის სამკაულსაც შეკვეთით აკეთებინებდნენ თელავის ოქრო-ვერცხლის მჭედლებს, ხოლო დანარჩენ სამკაულს (საყურეებს, ბეჭდებს, მძივებს, ბროშებს, სამაჯურებს) მზას ყიდულობდნენ.

თუშურ ოქრომჭედლობას საინტერესო წერილი მიუძღვნა ლ. სოსელიამ. იგი აღნიშნავს: ადგილობრივი ოქრომჭედელი სეზონურად ხევსურეთში გადადიოდა და უფრო გვიან საკუთარი სახელოსნო თელავშიც ჰქონდა გახსნილი. მისი მონაცემებით, „თუშების ყოფაში გარკვეულ როლს თამაშობდა ლითონის სამკაულები, როგორც ქალის, ისე მამაკაცის. მსგავსად სხვა მთიელებისა, თუშებშიც არსებობს რწმენა, რომ „ბეჭდიანი ხელი წველა-ჯღვებაში ბარაქიანია. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ თუში მამაკაცები, ვერცხლის ქამარ-ხანჯალთან ერთად, ბეჭდებსაც ატარებდნენ"-ო. ჩვენ მიერ მიგნებული დოკუმენტური მასალებისა და ადგილზე ფიქსირებული საველე ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, ხელზე ბეჭდების ტარება თუშ მამაკაცებში არ დგინდება. მათთვის ბეჭდის ტარება სირცხვილად ითვლებოდა — „ბეჭდის ტარება რა მამაკაცის საქმეაო", გვაუწყებს მთხრობელი. ადგილობრივი ოქრომჭედელი (თუშეთი, ალვანი) ამზადებდა მამაკაცის ქამარ-ხანჯალს, მასრებს და ქალის სამკაულს (საყურეები, ბეჭდები, ყელის შიბები და სხვ.). მატერიალურად შეძლებული ოჯახის ქალ-რძალს, ვერცხლის გარდა, ოქროს სამკაულიც გააჩნდა. ზოგიერთი მამაკაცის ქამარი, ხანჯლის ტარი და ქარქაში ვერცხლის ორნამენტიანი ბალთებით იყო გაწყობილი. უფრო ხშირად გვხვდება თეთრი ძვლის მასრები და თეთრი ძვლისტარიანი ხანჯლები, ჩაგებული შავ ტყავგადაკრულ ქარქაშში. ვერცხლის ბალთებიან ქამარ-ხანჯალს მოზარდი ახალგაზრდობა 16—17 წლის ასაკიდან იკეთებდნენ.

5. მიცვალებულის სამოსელი

წერილობითი მონაცემებით, წოვა-თუშების თავდაპირველი რელიგია წარმართული იყო და შემდეგ ქრისტიანული. მიცვალებულთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები ამ რელიგიის შესაბამისად სრულდებოდა.

აღნიშნულ საკითხზე საინტერესო მასალა დაგვიტოვა ივ. ციხკა-რიშვილმა, რომელიც ეხება იმ პერიოდს, როცა მთაში შავი ჭირი იყო გახშირებული. ამ სენის გადიდების შიშით ხალხი ერთიმეორეს ერიდებოდა. დაავადებების მოსპობის შემდეგაც, ეს ჩვევა მათში დიდხანს იყო შემორჩენილი, მიცვალებულს ხელს არ ახლებდნენ, ამასთან, ცდილობდნენ ავადმყოფს ოჯახში სული არ დაელია. მომაკვდავს მყისვე დერეფანში ან საფარში გამოიყვანდნენ ხოლმე. მიცვალებულს დაიტირებდნენ და ცდილობდნენ, რაც შეიძლება მალე დაემარხათ. ვინც მიცვალებულს შეეხებოდა, ცალკე უნდა ეცხოვრა ერთი თვის განმავლობაში. თითქმის ანალოგიური წესი აქვს დამოწმებული ი. ელიოსიძეს ჩაღმა-თუშებში. მის მიერ ფიქსირებული ცნობებით, ჩაღმა-თუშები მომაკვდავს საშუალებას არ აძლევდნენ თავის სახლში დაელია სული, რომ შეატყობდნენ უკვე კედებაო, მაშინვე ოთახიდან გაიყვანდნენ ხოლმე. თუ ვერ მოასწრებდნენ მომაკვდავის გარეთ გამოყვანას და ის ოთახში დალევდა სულს, მაშინ იქ რამდენიმე ხანს არ შეეძლოთ ცხოვრება. იმავე ცნობით, მიცვალებულს აცმევდნენ უკეთეს სამოსს. თუ მიცვალებული მამაკაცი იყო, მას მხარზე ჩამოკიდებდნენ იარაღს, დააწვენდნენ ეზოში, ერთ ხელში დააჭერინებდნენ შეკაზმული ცხენის აღვირს, ხოლო მეორე ხელში ხმალს, ცხენზე დაკიდებდნენ ხურჯინს, რომელშიც ჩააწყობდნენ საგზაოდ პურსა და ყვავლს. ქალები მიცვალებულიდან ცოტა მოშორებით დასხდებოდნენ და ტიროდნენ რიგრიგობით.

ს. მაკალათიას მონაცემების მიხედვითაც, თუშებში „მომაკვდავ ადამიანს წინათ დეკანოზი პურ-ღვინით აზიარებდა, შემდეგ მას ნაბადში შეახვევდნენ და კარში დაასვენებდნენ, სადაც ის სულს დალევდა. რაც უნდა ცივი და ცუდი ამინდი იყოს, მიცვალებულს სახლში არ შეასვენებდნენ და ცხედარი ორი დღე-ღამე კარში ახვენია. თუ ამინდი ცივია, ცეცხლს დაანთებდნენ და ისე ყარაულობენ, ვინც ჭრილობითაა გარდაცვლილი, რომ არ დასივდეს, მას გულზე ნალს ან დანას ადებენ“.

ეს ძველი წესი წოვა-თუშებმა დიდი ხანია დაივიწყეს, ხოლო ჩაღმა-თუშებმა გვიანობამდე შემოინახეს.

ადგილზე ფიქსირებული მასალების მიხედვით, ოთახში მომაკვდავის სულის ამოსვლის დროს გროვდებოდნენ ავი სულები, რომლებიც მიცვალებულის გასვენების შემდეგაც განსვენებულის ოთახში ტრიალებდნენ და დამწუხრებულებს მოსვენებას არ აძლევდნენ იქამდე, ვიდრე სოფელში ვინმე არ გარდაიცვლებოდა. როგორც ჩანს, ესეც ძველი რწმენის გადმონაშთია. წინათ, როცა თუშეთში მღვდელი არ იყო, მიცვალებულს მარხავდნენ ყოველგვარი ჯვრისა და წარწერის

გარეშე — წერს ივ. ცისკარიშვილი. მათ სწამდათ, რომ იმქვეყნად ხალხი ზოგი საწყლად, ზოგი მდიდრულად ცხოვრობს, რაც უფრო მეტ საქონელს დახოცავდნენ მიცვალებულზე, მით უფრო კარგად გრძნობდა იგი თავს.

ტირილში გროვდებოდნენ ნათესავები, მეზობლები, ნაცნობები ახლო სოფლებიდანაც. შემდგომ პერიოდში ქალები მიცვალებულს (ქალს თუ კაცს) გარშემო შემოუსხდებოდნენ და ხმით ტიროდნენ რიგრიგობით. განსაკუთრებით მწარე დატირება სცოდნიათ საგმირო საქმის შესრულების დროს გარდაცვლილზე. დატირება (მამაზე, ძმაზე) მამაკაცებმაც იცოდნენ, რაც ვეინახი მამაკაცისათვის მიუღებლად ითვლებოდა. მას მთელი ოჯახიც რომ ერთ დღეს ამოწყვეტოდა, ცრემლს ვერ გადმოაგდებდა და დამწუხრებული სახითაც ვერ ეჩვენებოდა ხალხს. თუ სისუსტეს გამოიჩენდა, იტყოდნენ ხოლმე — „საგ ცახილლიერ აზ“ — კაცად არ ღირებულა იგიო. წოვა-თუშებში გარდაცვლილ ქმარზე ცოლი არ ტირის, შევა ცალკე ოთახში და ჩუმად იტირებს თავის უბედურებაზე. ეს წესი ყველა მთის ხალხს გააჩნდა.

წოვა-თუში მამაკაცები მეტწილად მთაბარობისას იღუპებოდნენ. მათი დუხჭირი ცხოვრების მრავალი მტკივნეული მომენტი ასახულია ხალხურ პოეზიაში. მაგალითად, მთიდან ბარად წამოსული ახალგაზრდა ყმაწვილი წყალმა დაახრჩო და ეს უბედური შემთხვევა ლექსად გამოთქმული აქვს საბა პაჩოშვილს, მოვიტანთ ერთ სტროფს:

ცამან შეყარა ღრუბელი, ნამი ჩამოდის ძირსაო,
აეაი, რა ცოდვა ვიხილე, ახალგაზრდაი ყმისაო,
მიხაი უშარაულსა დღე ჰქონდა სიკვდილისაო.
მიხაი წყალმა წაგვართო მოშორდა სამზეისაო,
ატირდა მამა მშობელი, წყალივით ცრემლსა ღვრისაო,
ნეტავ სათავე გაგიშრეს, შენ წყალო მაღლის მთისაო...

წოვა-თუშები მიცვალებულს განბანენ გარდაცვალებისთანავე (მამაკაცზე ამ წესს ასრულებს გულმაგარი მეზობელი ან ნათესავი კაცი, ხოლო ქალზე — ქალი). ჩააცმევდნენ წელიწადის ოთხი დროისათვის შეხამებულ ყველა სახის სამოსს — პერანგს, ხალათს, შარვალს, ჩოხა-ახალუხს, ქუდს; ფეხსამოსს — წინდებს, პაჭიჭებს, ჩითებს ან ჩექმებს და სხვ. ხოლო ქალს — პერანგს, ქვედა საცვალს, ჯუბას, ფარგულს, წინსაფარს, სარტყელს, ჩოხას, თავზე მანდილს დაახურავდნენ თავისი თანმხლები ელემენტებით, ფეხზე წინდებს, ჩითებს ან ჩუსტებს და სხვ. შეძლებული ოჯახის მიცვალებულის სამოსის ყველა ელემენტი, ერთის გარდა, ახალი იყო, ღარიბისა კი—ნახმარი, რაც მას სიცოცხლეში ეცვა.

მთხრობელის გადმოცემით, სასუდრო სამოსის ერთ-ერთი ელემენტი ჩანაცვამი უნდა ყოფილიყო, რადგან სწამდათ, რომ საიქიოში

სულ ახალ სამოსს მიცვალებულის საკუთრებად არ ჩათვლიან და გახდიან. დ. გიორგაძის მონაცემების მიხედვით, „სამკვდრო ტანსაცემლის დამზადება თუშ-ფშავ-ხევსურეთში სიცოცხლეშივე სცოდნიათ. ამ ტანსაცმელს ერთხელ მაინც ჩაიცვამდნენ მგზავრობაში ან დღეობაში, შემდეგ კი შეინახავდნენ. გარდა ამისა, ფშავსა და თუშეთში გათხოვილი ქალები ხშირად ჯვრისწერის კაბებს ინახავდნენ საფლავში ჩასაცმელად". ანალოგიური წესი დგინდება წოვა-თუშებში. სამკვდრო ტანსაცმლის სიცოცხლეშივე დამზადება იციან ვეინახებმაც. წოვა-თუშებიც მიცვალებულს საფლავში წლის ყველა დროის შესაფერის სამოსს ჩაატანდნენ ხოლმე, რათა იგი საიქიოში არ შევიწროებულიყო მისი ნაკლებობით და ჭირისუფალიც მოსვენებული ყოფილიყო. მათი რწმენით, თუ მიცვალებულს არ ჩაატანეს წელიწადის ოთხივე დროში გამოსაცვლელი ტანისამოსი, ოჯახის ერთ-ერთ წევრს ან ნათესავს დაესიზმრება განსვენებული, — „ესა და ეს სამოსი არა მაქვს და მომეციო"; ანდა მის სახელზე დათქმული ჭურჭელი და სხვა ნივთი ოჯახმა თავის დროზე თუ არ გასცა, ის იმასაც კითხულობს — „რატომ არა მაქვს ჭურჭელიო". მათი რწმენით, იმ ჭურჭელში ისხმება განსვენებულის შესანდობარის დალევის დროს ოჯახის წევრების, თუ ნათესავების მიერ პურზე დასხმული წვეთები და ეს ჭურჭელი იმით ივსება. ხშირია შემთხვევები, როცა ამა თუ იმ მიცვალებულის ნათესავი იტყვის ხოლმე: „მავანი ვნახე სიზმარში და ღვინოს თხოულობდაო". ამას იმით ხსნიან, რომ მისი შესანდობარი დაულევიათ, მაგრამ პურზე არ დაუწვეთებიათო, რაც მიცვალებულის ჭურჭლის სიცარიელის მაუწყებლადაა მიჩნეული. ამ რწმენის ზეგავლენით ხანდაზმულები არ ივიწყებენ შესანდობარის დალევისას მის პურზე დაწვეთებას.

წოვა-თუშები მიცვალებულს მესამე ან მეოთხე დღეს ასაფლავებენ, ამ სამ დღეში ხდებოდა მიცვალებულისათვის კუბოს გაკეთება, სამგლოვიარო სამოსისა და ქელეხისათვის ხარჯის მომზადება. ამ დროში ოჯახი ყიდულობს შავი ფერის ქსოვილს და მისგან იკერავს რამდენიმე თავშალს, წინსაფარს, ბიძაშვილ-დეიდაშვილებისათვის, ხოლო შინაურებისათვის კაბებს. მსურველებს მიცვალებულის გასვენებამდე აძლევდნენ ამ კაბა-თავშალს, გინდაც გარეშე ნათესავი იყოს. სამგლოვიარო სამოსის თითო ელემენტს მიცვალებულის ოჯახიდან იცვამენ, დანარჩენი კი საკუთარია. მგლოვიარე ქალი მანდილსაც სხვაგვარად მოიხვევს — მის ორივე ყურს ყელქვეშ ამოატარებს და უკან, ზურგზე დაიწყობს ხოლმე.

წინათ წოვა-თუშები, სრულწლოვანი მამაკაცის სიკვდილისას, სამგლოვიარო სამოსზე ყელზე წამოიკიდებდნენ სპეციალურ ჯაჭვს—

ს ტ ა ჰ ი ვ, რომელსაც იხსნიდნენ გლოვის ვადის გასვლის შემდეგ, სამგლოვიარო სამოსთან ერთად. ნ. დუბროვინის მონაცემების მიხედვით, თუშეთში მწარე გლოვის გამომხატველი ნიშანი იყო გულზე ჩამოკიდებული მძიმე ჯაჭვი.

წოვა-თუშებში ქმარზე, ძმაზე და მამაზე მგლოვიარე ქალი კიკინებსაც, — კ ი კ მ ი — იჭრიდა და თმებს მანდილში მალავდა, რაც ჩაღმა-თუშებში არსებული წესის ანალოგიურია. ძმის სიკვდილზე ნაწნავის შეჭრა და სამარეში ჩატანება სცოდნიათ ხევსურებსაც. ვეინახი ქალები, მიცვალებულებზე ტირილის დროს, თმებს იგლეჯდნენ და ხელებზე იხვევდნენ. თუშეთში ქალის დაქვრივების ნიშანი ყოლილა ზედა სამოსის გახსნილი სახელოს მთლიანად გაკერვა და სხვ. მამაკაცები წვერს უშვებდნენ და მკლავზე შავი ქსოვილის ნაჭერს შემოიკერებდნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალი მიცვალებულის ოჯახში მასზე ადრე წასულების მოგონების წესი. მიცვალებულის გასვენებამდე, ყოველ ღამეს „ახალი სულის“ პატრონები პურმარილით მიდიან გარდაცვლილის ოჯახში და იქ ხდება მათი მოგონება-შესანდობარის დალევა. ვინც თვითონ არ მიდის, ის თავისი წასულების სახელზე მომზადებულ სუფრას გაგზავნის. წამღები ჭირისუფლებს ეტყვის ეს მავანი ოჯახიდანაა და აუცილებლად იქ სუფრიდან სასმელს დაისხამენ და მოიგონებენ მისი გამომგზავნის წასულებს, საჭმელსაც მიირთმევენ, წოვა-თუშებში ეს ჩვეულება ძველი დროიდან მომდინარეობს და ჩვენს დროშიც კარგად არის შემონახული.

საინტერესოა ისიც, რომ წოვა-თუშეში თუ დასაქორწინებელი ახალგაზრდა ვაჟი ან ქალიშვილი გარდაიცვლებოდა, მისი გასვენების ბოლო წუთებში ცხედართან დედისძმას მიჰქონდა შავად შემოსილი ჯვარი. მას უკან მიჰყვებოდნენ ნათესავები — ქალები და კაცები — ტირილით და თან მიჰქონდათ გადასალოცი საჩუქრები, როგორც ქორწილში. ჯვარს მიცვალებულის ფეხებთან დადგამდნენ და გადასალოცსაც იქვე დაუდებდნენ — მამაკაცები ფულს, ხოლო ქალები — პერანგს, პირსაწმენდებს, წინდებს, საშარვლე-საკაბე ქსოვილის ნაჭრებს და სხვ., კუბოსთან დადგებოდნენ და ჩუმ-ჩუმად იცრემლებოდნენ. გასვენების წუთების მოახლოებისთანავე, ერთ-ერთი გამოცდილი ქალი ხმით ტიროდა: მოიგონებდა მის ბავშვობას, ახალგაზრდობას, მის დადებით თვისებებს, აღნიშნავდა მის უბედურ ბედს, რომ „ცოცხალს არ ეღირსა დედის ძმის ჯვარი და ამ უბედურ დღეს იგი თავის მოვალეობას იხდის შენს წინაშე“ და სხვ.

ოჯახში ვინმე თუ გარდაიცვლებოდა და ბავშვი ჰყავდათ მოუნათლავი, მის გასვენებამდე უნდა მოენათლათ და ახალი ერთ-ერთი

ელემენტი უნდა ჩაეცვათ მისთვის. იმ შემთხვევაში, თუ გარდაცვლილი მოუნათლავი იყო, იმასაც მაშინ ნათლავდნენ, რადგან, მათი რწმენით, მას მონათვლის გარეშე სამარე არ მიიღებს.

მიცვალებულის ოჯახიდან გამოსვენების დროს კუბოს პირველად დედისძმები აწევდნენ, სამარეშიც დედისძმებმა უნდა ჩაასვენონ, ხოლო ქალს — მშობლების მხრიდან ბიძაშვილები ან სხვა ახლო ნათესავები, რომლებიც დგებიან კუბოს მარჯვენა მხარეს. სასაფლაოდან დაბრუნებული ხალხისათვის იმართებოდა სუფრა. პირველი „სადღეგრძელო“ განსვენებულისა იყო, ხოლო მეორე — დედეულებიდან წასულების, რადგან, მათი რწმენით, საიქიოში მიცვალებულს პირველად დედის ნათესავები აკითხავენ.

წინათ წოვა-თუშები, მეზობელი მთიელების (ჩაღმა-თუშები, ხევსურები და სხვ.) ანალოგიურად, მიცვალებულს კუბოს გარეშე, ნაბადში გახვეულს ასაფლავებდნენ. შემდგომ პერიოდში მათაც, როგორც სხვა მთიელებმა, შემოიღეს სასახლე (კუბო). ისინი მიცვალებულს ატანდნენ სამკაულს, ქამარ-ხანჯალს, სავარცხელს, სარკეს, ხურდა თეთრ ფულს, დანას და სხვ. ქამარ-ხანჯალს და სამკაულს შეხსნიდნენ ჩასვენების დროს. იმ შემთხვევაში, თუ გარდაცვლილ მამაკაცს ცხენი ჰყავდა, მას უნაგირით მორთავდნენ, გადააფარებდნენ ნაბადს, ეზოში გამოსვენებულ ცხედარს თავზე დაყენებდნენ და სამარის კარამდე მიიყვანდნენ ხოლმე. გასვენების დღეს შეკაზმული ცხენის გარდაცვლილის თავთან დაყენების წესი დადასტურებული აქვს დ. გიორგაძეს ჩაღმა-თუშებში. რაც შეეხება მიცვალებულისთვის რკინის ნივთის გატანების დაუშვებლობა, ჩვენი მასალებით არ დგინდება. პირიქით, წოვა და ჩაღმა-თუშებში ჩვენს დროშიც მიღებულია დანის, ისევე როგორც სავარცხლის, სარკის, პირსახოცისა და საპნის საფლავში ჩატანება.

წოვა-თუშების მეურნეობაში ცხენს დიდი ადგილი ეთმობოდა. ცხენი, მათი აზრით, ოჯახის უენო, მაგრამ მეურნის ბედ-იღბლის მოზიარე წევრი იყო. ჩვენს დროშიც არის შემთხვევები, როცა ცხვარ-ძროხის მეურნეობაში მომუშავე ადამიანს ჰყავს საკუთარი ცხენი, რომელსაც იგი დიდი სიყვარულით ინახავს და მის გარეშე სიცოცხლეც კი წარმოუდგენლად მიაჩნია. ასეთი ადამიანის გარდაცვალების დროს, ხალხთან ერთად, უპატრონოდ დარჩენილი მორთული ცხენიც თავს დასცქერის ცხედარს და „მიაცილებს“ სამარის კარამდე. ასე მაგალითად, ზემო ალვნის მეურნეობის მეცხვარეობის ბრიგადირი ბიჭო ლაგაზიძე 1976 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა. მისი გაზრდილი ცხენი, მთხრობელის გადმოცემით, თითქოს გრძნობდა მომხდარ ამბავს და საფლავთან თავდაკიდული იცრემლებოდა.

მიცვალებულის გასვენების მეორე, მესამე დღეს ხდებოდა განსვენებულის ტანისამოსის გარეცხვა, გაშრობა და ოთახში თვალსაჩინო ადგილზე — ტახტზე — დაწყობა. იქვე უდგამდნენ თუნგით წყალს, რომელსაც ყოველდღე ცვლიდნენ (ორმოცის გადახდამდე), შაბათობით უნთებდნენ სანთლებს, გროვდებოდნენ ახლობლები და შენდობას ეტყოდნენ. ორმოცი დღის შემდეგ მიცვალებულის სახელზე დაკლავდნენ საკლავს, მოამზადებდნენ სხვადასხვა საჭმელებს, ტკბილეულს, ხილს, დაპატიჟებდნენ მეზობელ-ნათესავებს. პურობისას პირველი სასმისით მოიხსენიებდნენ განსვენებულს, შემდეგ დედულეთიდან წასულებს, ე. ი. ვინც მას პირველად შეხვდა იმ ქვეყნად — სულეთში; ამის შემდეგ მოიგონებდნენ სხვა წასულ ნათესავებს და ბოლოს სოფლიდან წასული ახალი სულების შესანდობარს დალევდნენ, შემდეგ ოჯახს უსურვებდნენ კარგობას, ჯანმრთელობას და იტყოდნენ—„ზიანს გაჯერო!“. ამით დაამთავრებდნენ ჭამა-სმას. ამის შემდეგ მიდიოდნენ მდინარის პირას, თითოეულს მოხდიდნენ თავშალს, შეაჭრიდნენ პატარა ნაკუწს და წყალს გაატანდნენ ხოლმე. მამაკაცები პირს მოიპარსავდნენ და შავებს შეიხსნიდნენ. ოჯახის წევრები ზოგი წლისთავამდე ატარებდა შავებს, ზოგი კი სამ წლამდეც. ორმოცი დღის შემდეგ გასცემდნენ მიცვალებულის დარჩენილი სამოსის ნაწილს და სხვა ნივთებს, რომელიც დათქმული იყო მის სახელზე გასაცემად. შემდეგ გადაიხდიდნენ წლისთავს უფრო ფართო მასშტაბით. ამ დღეს ზოგიერთები დოღსაც მოაწყობდნენ, განსვენებულის ცხენს დედისძმას აჩუქებდნენ, ხოლო სამკაულს ძმობილს ან ბიძაშვილს (ჩვენს დროში ოჯახში რჩება). სამი წლის თავზე ერთხელ კიდევ გადაიხდიდნენ მიცვალებულის მოსაგონებელ ხარჯს და ამით დაამთავრებდნენ მასთან დაკავშირებული წესების შესრულებას. ძველად წოვა-თუშებმა გლოვა ერთი წელი იცოდნენ. გლოვის ნიშნად მამაკაცები ერთ წლამდე თავსა და პირს არ იპარსავდნენ. შემდეგში თვით ხალხმა შეამცირა ეს ვადა ორმოცამდე. ანალოგიური წესები აქვს დამოწმებული ს. მაკალათიას ჩაღმა-თუშებში. წოვა-თუშებში გარდაცვლილის ქონება ოჯახში რჩება, რომლის პატრონია მეუღლე და ვაჟიშვილი.

ი. ცისკარიშვილი მიცვალებულის მიმართ შესასრულებელ წესებს შემდეგნაირად ჰყოფს: ქ ო რ თ მ ა ქ ა — მიცვალებულის სამი დღე; შ ვ ი დ ა ე — კვირისთავზე სულის გახსენება; | ა რ ჰ ე დ ო ფ ხ ა რ — შავების ჩაცმა (შავებს იცვამდნენ რამდენიმე დღით, ერთი წლით და სამი წლით). მგლოვიარე საზოგადოებაში არ გადიოდა. მამაკაცები წვერს იზრდიდნენ, იარაღს არ ატარებდნენ, ცხენს არ აჭენებდნენ— თვლიდნენ, რომ ეს ყველაზე მეტი სიამოვნების მომტანი იყო მათთვის. ორმოცი დღის შემდეგ ან წლისთავზე ქ ო რ თ ბ ა შ უ ი ლ ა —

თაეპირის გაპარსვა და შავის მოხსნა; ფ ხ ტ ი დ ა თ ხ უ ი ლ ა — ქალების ტირილი მამაკაცის ტანსაცმელზე; | ე რ ჭ ჩ უ ი რ ე დ ა ლ უ ი ლ ა — შავებიდან გამოსვლა და საბოლოოდ დოღის გამართვა. იგივე ავტორის მასალების მიხედვით, მოედანზე, სადაც ეწყობოდა დოღი, თავს იყრიდნენ დაპატიჟებული თუ დაუპატიჟებელი სტუმრები. გამოჰქონდათ განსვენებულის ერთი ხელი ტანსაცმელი, დაიტირებდნენ მიცვალებულს ამ დღეს უკანასკნელად და მის ტანსაცმელს ღარიბებს აძლევდნენ. ამით მთავრდებოდა მასზე გლოვა. დოღისათვის გამოყოფილ ცხენებს სათითაოდ მიიყვანდნენ ტანსაცმელთან ახლოს და აჭმევდნენ იქვე, ფარდაგზე დაყრილ ქერს. ერთ-ერთი მომტირალი ქალი თითოეულ ცხენს მუხლებზე შეასხამდა რძეს. ტანსაცმლის გარშემო დააწყობდნენ 25-მდე მრგვალ პურს, რომელშიც ჩარჭობილი იყო მოკლე ჯოხები. მათზე ეკიდა თეთრი ქსოვილის ნაჭრები. ამავე პურზე აწყობდნენ ხორცისა და ყველის თითო ნაჭერს. იქვე დადგამდნენ ლუდით სავსე ჭურჭელს. მხედრები, რომლებსაც ისეთივე პატარა, მრგვალი და ნიშნებიანი პურები ეჭირათ ხელში, მივიდოდნენ ტანსაცმელთან, ერთ-ერთი მათგანი განსვენებულის ცხენით გარს შემოუვლიდა ტანსაცმელს და დამწუხრებული ხმით იწყებდა სიმღერას — დ ა ლ ა ი-ს, რომელიც შეიცავდა მიცვალებულის ქების გამომხატველ მგრძნობიარე (გულისამაჩუყებელ) სიტყვებს, დანარჩენები კი ბანს აძლევდნენ: „დალაი-დალაი“-ს. როცა ამ სამგლოვიარო რიტუალს დაამთავრებდნენ, მხედრები გაემგზავრებოდნენ დანიშნულ ადგილას და გააჭენებდნენ ცხენებს იმ მიმართულებით, სადაც მათ ელოდებოდნენ მაყურებლები და წითელი დროშები, რომელზედაც ეკიდა საჩუქრები. პირველად მოსულს ასაჩუქრებდნენ უფრო ძვირფასი საჩუქრით, ვიდრე დანარჩენებს. მხედრები, სტუმრები, საერთოდ ყველა დამსწრე, შესვამდნენ განსვენებულის შესანდობარს, დაიწყებოდა მხიარულება, თოფების სროლა და სხვ.

მიცვალებულზე დოღის გადახდის წესი ყველა მთის ხალხს ჰქონდა, მაგრამ ამ შემთხვევაში საინტერესოა გარდაცვლილის ტანსაცმელთან დ ა ლ ა ი-ს შესრულება. დალა ვეინახური სიტყვაა და ღმერთს ნიშნავს. „წოვურში XVIII ს. სახელად... დალე გვაქვს. ახლა ღმერთს წოვები დალ-ს უწოდებენ. დალე კი — ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა. დალობა უკვე ღვთაებას ნიშნავს“ — წერს ივ. ჯავახიშვილი.

ივ. ცისკარიშვილს „დალაი“ ჩაწერილი აქვს 1849 წელს წოვათუშებში. მას მიცვალებულთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები აღწერილი აქვს სათანადო წოვათუშური ტერმინებით. აქვეა მოტანილი დ ა ლ ა ი-ს მთლიანი ტექსტი. ს. მაკალათიას მიერ მოყვანილი დალაობის ტექსტი ივ. ცისკარიშვილის მიერ ფიქსირებულ ტექსტს ემთხ-

ვევა, მაგრამ ზოგი სიტყვა შეცვლილია. ჩანს, რომ დროთა განმავლობაში ჩაღმა-თუშებმა თავიანთი ყოფიდან ახალი სიტყვები შეიტანეს და ძველი გამოდევნეს.

გ. ჯანაშვილის წერილში — „თუშეთში მკვდრის გლოვის გამო" — მოტანილი დალაის ტექსტი, როგორც თვითონ ავტორი აღნიშნავს, რუსულიდანაა ნათარგმნი. რუსული ტექსტი კი ივანე ცისკარიშვილს ეკუთვნის, რომელიც „კავკაზის" ფურცლებზეა პირველად გამოქვეყნებული.

ჩვენი აზრით, დალაობა, საერთოდ, თუშებისათვის დამახასიათებელი სამგლოვიარო ტრადიციაა, რომელსაც წოვა-თუშების ყოფაში, 1940 წლამდე სისტემატური ხასიათი ჰქონია, მაგრამ შემდგომ, როგორც სხვა ბევრი ყოფითი წესი, ისიც თანდათანობით დავიწყებას ეძლევა.

თუშური დატირების — დალაის — ტექსტი, გარდა გ. ჯანაშვილისა, მოტანილი აქვთ აგრეთვე სხვა ავტორებსაც: ი. ელიოსიძეს, ა. ზისერმანს, თ. უთურგაიძეს, დ. გიორგაძეს და სხვ.

ყველა ავტორის მიერ ფიქსირებული ეს ტექსტი თითქმის ერთი და იგივეა, მაგრამ ზოგ შემთხვევაში დედნიდან შეუკვეცია ცალკეული სიტყვები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუშური დალაის წარმოთქმა, სახელდობრ, ბანის მიცემა, გვაგონებს ვეინახურ ძ ი ქ ა რ-ს, რომელიც სრულდება მიცვალებულის გასვენების დღეს და მასთან დაკავშირებული წესების (ორმოცი, დოღი) შესრულების დროს. ვეინახებში 10—12 მამაკაცი წრედ დადგებიან და დამწუხრებული ხმით ერთი წამოიწყებს „სიმღერას" და სხვები კი ბანს აძლევენ. შესაძლებელია დალაი მეზობლობის, ნათესაობის შედეგად ერთიმეორისაგან გადაღებული წესი იყოს და შემდგომ, რელიგიის შესაბამისად, ყოფაში თავისებურადაა განმტკიცებული. ფაქტია ის, რომ აღმოსავლეთ საქართველოში დალაიას შესრულება მარტო თუშეთშია დადასტურებული.

მ. ჯანაშვილი აღნიშნავს, რომ დალაიას ტექსტი თარგმნილი აქვს რუსულიდან და თვითონ თუშეთში არ ყოფილა და არც გაუგონია პირადად. აღნაირი მოთქმა იცის თავის მკვდრებზე ყველა მთიელმა ხალხმა კავკასიაში, იმ განსხვავებით, რომ ზოგიერთ ხალხებში მამაკაცის მაგიერ დედაკაცი მოთქვამს და ბანსაც დედაკაცები ეუბნებიან (ფშაველები, ხევსურები, ხეველები). ქალისა და მამაკაცის მოთქმით ტირილი წოვა-თუშებში დამოწმებული იყო ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში. მათ მუსიკალურ ფოლკლორში 30-ზე მეტი სხვადასხვა სახის დატირებაა შემონახული სხვადასხვა სახელწოდებით: „დათიკოს დატირება", „ნინოს დატირება", „დედისერთა შვილზე დატი-

რება“, „მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპული ვაჟკაცის დატირება“, „დის დატირება ძმაზე“, „დანიშნულზე დატირება“ და სხვ.

III. ვეინახური ტანსაცმელი

ქართულ-კავკასიური ტანსაცმლის ისტორიის პრობლემით პირველად დაინტერესდა ვახუშტი ბაგრატიონი. მან ქართველი ქალისა და მამაკაცის ტანსაცმელთან ერთად ისტორიულ ასპექტში განიხილა მეზობელი არაქართველი (ვეინახი, ოსი) მთიელების სამოსიც. ვეინახი ქალის სამოსზე იგი აღნიშნავს: „აქუსთ ენა თვისი საკუთარი, და ქალნი მათნი მოსილნი სხუებრ“, ხოლო მამაკაცის სამოსს აიგივებს ოსი მამაკაცის ტანსაცმელთან, სადაც ჩამოთვლილია ის ელემენტები, რომელიც ქართველ მთიელთა მამაკაცის სამოსში შედის. აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საერთოდ კავკასიაში გავრცელებული მამაკაცის სამოსის ფორმებს ბევრი საერთო ნიშანი ჰქონდა.

ქალის სამოსის განსხვავებაში ვახუშტის, ალბათ, მხედველობაში ჰქონდა ინგუში ქალის თავსაბურავი, რომელსაც მნახველი აღტაცებაში მოჰყავდა.

1638 წელს, ინგუშეთის გამოვლით საქართველოში გადმოსულ რუს ელჩებს პირველად უნახიათ ინგუში ქალის თავსაბურავი — ქ უ რ ხ ა რ ს ი, რომლის შესახებ თავიანთი გაოცება საანგარიშო მოხსენებაში გამოუხატავთ. იგი მაღალი, რქისმაგვარი მოყვანილობის, აბრეშუმისა და ხაერდის ქსოვილის, ლამაზად მოქარგული თავსაბურავი ყოფილა, რომელიც, მკვლევართა მოსაზრებით, XV—XVII საუკუნეებს განეკუთვნება (ე. კრუპნოვი), ხოლო სხვა მკვლევრის მიხედვით — XVII—XIX საუკუნეებს (ლ. სემიონოვი). ამ თავსაბურავის ეადმონაშთად გვეელინება სწორედ დღევანდელი ინგუში ქალის საქორწილო სამოსის ერთ-ერთი ელემენტი — ქ ი(ქუდი), რომელიც გავრცელდა ჩრდილო კავკასიის მეზობელ ხალხებში — ოსეთში, ადიღეში, ყაბარდოში, ჩერქეზეთში და სხვ.

ნ. გრაბოვსკის მიხედვით, ინგუშ ქალებს ეცვათ ყუმაშის პერანგი, მუხლებამდე, ახალუხი იმავე ქსოვილისა და განიერი შარვალი წაღებთან შეკრული. თავზე შემოხვეული ჰქონდათ ნარმის ნაჭერი, ხოლო მამაკაცი იცვამდა ჩითის პერანგს, ახალუხს, შარვალს, ჩოხას (უხეში შალისაგან დამზადებულს), ტყავის ან შალის პაჭიჭებს და ჩუსტებს. თავზე იხურავდა ცხვრის ტყავის ბოხოხ ქუდს, ზამთარში ხმარობდა ტყავის ქურქს, ცუდ ამინდებში მოისხამდა ნაბადს და ნაცრისფერ შალის ნაჭერს. ამ უკანასკნელში ნ. გრაბოვსკი გულისხმობდა ყაბალახს.

გ. ვერტეპოვი საინტერესო მონაცემებს იძლევა ჩეჩნების მიერ დამზადებული ქალის კოსტუმის მოოქროვილი ვერცხლის გულისპირის, ქამრის, გულსაბნევის, სამაჯურების შესახებ, რომელიც ფასდებოდა წონის მიხედვით.

გ. მარტიროსიანის მონაცემების მიხედვით, ინგუში მამაკაცი იცვამს, ისევ, როგორც ჩრდილო კავკასიის ყველა მთიელი, ახალუხს, ადგილზე მოქსოვილ შალის ჩოხას („ჩერქესკა"), ცხვრის ტყავის ქუდს, ზაფხულში ნაბდის ქუდს — ლ ა ბ, ფეხზე პაჭიჭებს, ჩუსტებს და თავიანთ ნაწარმ შალის შარვალს. არაიშვიათად აცვიათ ზედა პერანგი და შარვალი ნაყიდი ქსოვილისა.

საინტერესო მონაცემები გვხვდება ბ. კალოევის ნაშრომში. ჩეჩენი და ინგუში ქალები ატარებდნენ გრძელ პერანგს, წითელი ან ლურჯი ფერის, მუხლებამდე მწვდომ განიერ შარვალს. პერანგის ზემოდან იცვამდნენ ახალუხს, თავზე იხურავდნენ გრძელ, თეთრ თავშალს.

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში ყველა მთიელი ქალი ატარებდა განიერ, გულმკერდზე ჩახსნილ, პატარსაყელოიან, გრძელ, ხელის მტევნამდე ჩაშვებული სახელოებით პერანგს. მისი სიგრძე სხვადასხვა იყო, მაგრამ ხშირ შემთვევაში იგი კოჭებამდე სწვდებოდა.

მამაკაცის ზედა სამოსი „ჩერქესკა" — რუხი და მუქი ფერის — ოჯახში მოქსოვილი შალისგან იყო დამზადებული, რომლის შიგნით იცვამდნენ თითქმის იგივე ფერის ახალუხს. შალისა იყო აგრეთვე შარვალი, რომელსაც ტოტები მუხლსქვემოთ შევიწროებული ჰქონდა. ცუდ ამინდში მოისხამდნენ ნაბადს და თავიანთივე ქალების მიერ დიდი გემოვნებით შეკერილ ყაბალახს. ფეხზე იცვამდნენ ტყავის უძიროებს — კ ა რ ა ხ ა შ და მაღალყელიან, რბილ, კავკასიურ ფეხსაცმელს. მამაკაცს თავზე ეხურა ცხვრის კონუსისებური ქუდი. მდიდრები ზამთარში იხურავდნენ ბუხარულ ტყავის ქუდებს, ზაფხულში კი ნაბდის ქუდებს.

მ. ალბუთაშვილი, რომელიც კარგად იცნობდა ქისტების ყოფაცხოვრებას, მოგვითხრობს: „მდიდრულად ჩაცმულია კაცი მაშინ, როდესაც ჩოხა აცვია და წელზე შემორტყმული აქვს შეკერცხლილი ქამარ-ხანჯალი. სხვა შესამოსელი რისიც უნდა იყოს სულ ერთია, ზამთარ-ზაფხულ მათი ჩასაცმელია ჩოხა-ახალუხი. თავზე ხურაეთ გრძელბეწვიანი ცხვრის ტყავის ან ნაბდის ქუდი, ახალგაზრდა ქისტი კაცი ტყავს იშვიათად ხმარობს, თუ იხმარს, იმასაც ჩოხის ქვეშ, ხოლო მოხუცებულები ხმარობენ წამოსასხამ დურა დიდ ტყავებს... იციან შარვალი ლურჯი ლაინისა, შალის პაჭიჭები და ქალამან-წინდა; ამას-

თანავე, ქისტ კაცს უყვარს წამოსასხამი ნაბდის ხმარება, რომელიც მათი განუყრელი მეგობარია შინ თუ გარეთ".

წერილობითი ცნობებით დიდი მსგავსებაა ადიღის, ოსის, ყარაჩაბალყარისა და აფხაზის სამოსში, მათი მამაკაცის კოსტიუმმა გავრცელება პოვა მთელს კავკასიაში. აღნიშნული მოსაზრება არ მიგვაჩნია მართებულად, რადგან მამაკაცის კოსტუმის ორი ძირითადი ელემენტი — ჩოხა და ახალუხი, რომელიც კავკასიაში მცხოვრებ ყველა ხალხში გვხვდება და ხასიათდება თავისებური ლოკალური ნიშნებით (ქსოვილის ხარისხი, ფერი, სიგრძე, სამასრეების დაკერება, გაფორმება და სხვ.), იმდენად რთული თარგით გამოირჩევა, რომ საეჭვოა, თავისი განვითარების დონით დასახელებულ ხალხში იყოს შექმნილი, გარდა ამისა, მისი იქ შექმნის შესახებ არავითარი საბუთი არ გაგვაჩნია.

გ. სერგეევას მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კავკასიის მასშტაბით მამაკაცის სამოსს ლოკალური თავისებურება არ ახასიათებს, არ მიგვაჩნია მართებულად, რაც გამოკვეთილად ნაჩვენები იქნება თითოეული ელემენტის განხილვის დროს. რაც შეეხება მამაკაცის კოსტუმის ძირითადი თარგის მსგავსებას, იგი შეიძლება აიხსნას კავკასიის ხალხებს შორის უძველესი დროიდან მომდინარე ურთიერთობით. ცნობილია, რომ კავკასიის მთიანეთის მამაკაცების უმეტესობა ზამთარ-ზაფხულ ოჯახებიდან წასულნი იყვნენ სამუშაოდ, ცხვარში, სავაჭროდ თუ სამხედრო სამსახურში და, ცხადია, ესეც ერთგვარად ხელს უწყობდა მამაკაცის ჩაცმულობაში ურთიერთზეგავლენას. ქალები ამ მხრივ ჩაკეტილნი იყვნენ. ალბათ, ესაა მიზეზი, რომ კავკასიაში ქალის სამოსის მკვეთრი ნაირსახეობაა დადგენილი, ხოლო მამაკაცის სამოსი კი თითქმის ერთნაირია — ლოკალური თავისებურებებით.

აღსანიშნავია ისიც, რომ მოსკოვის სამხედრო-ისტორიულ არქივში დაცული მასალის მიხედვით, კავკასიის სამხედრო ესკადრონის ფორმაც ჩოხა-ახალუხია, რომელიც გაწყობილი იყო ზეზის ან ჩაფარიშის ზონრებით, მხრებზე გარდიგარდმო აკეთებდნენ წითელი ბამბის ქსოვილის ოქრომკედით გაფორმებულ სამხრეულს — „პოგონებს", შარვალი მუქი მწვანე ბამბის ქსოვილისა იყო, რომელსაც გვერდების ნაკერზე გავლებული ჰქონდა ორმწკრივად (ა) ზონარი, ხოლო ბოლოში ერთ მწკრივზე (ბ) ზონარი, ფეხზე ეცვათ აზიური ფორმის ფეხსაცმელები (азяшки). ეს მონაცემები ქართველი მეომრის სამოსს ეხება. კავკასიის დანარჩენი ხალხების ესკადრონის ფორმაც აგრეთვე ჩოხა-ახალუხია, მაგრამ განსხვავების მიზნით გაფორმება და ქსოვილის ფერი სხვადასხვა იყო.

ვეინახი მამაკაცის ერთი ხელი სამოსი აერთიანებს შემდეგ ელემენტებს: პერანგი, უბიანი შარვალი—პაჭიჭებში, წინდებში ან აზიურად

წოდებულ მაღალყელიანი ფეხსაცმელების (азяцки) ყელში ჩატანებული, ახალუხი, მასრებიანი ჩოხა, ქამარ-ხანჯალი, ქუდი, ნაბადი და ყაბალახი, ხოლო ქალის სამოსში შედის: შიდა საცვლები, ზედა პერანგი, წინსაფარი, ჩოხა ან ახალუხი, თავშალი, ჩუსტები და სამკაული. ამ ელემენტებისაგან შედგებოდა როგორც ღარიბის, ისე შეძლებულის სამოსი. ამ შემთხვევაში განსხვავება უპირატესად იმაში ვლინდებოდა, რომ შეძლებულთა სამოსი უფრო უკეთესი ხარისხის ქსოვილისაგან იკერებოდა, ვიდრე ღარიბის. ამასთან, ღარიბი ქალისა და მამაკაცის სამოსი ზოგჯერ, ელემენტების რაოდენობის მხრივ, არ იყო სრული, მას ზოგი რამ აკლდა. მოსახლეობაში ნათლად იგრძნობოდა კლასობრივი დიფერენციაციის ნიშნები. ამასთან აღნიშნულია, რომ კაპიტალიზმის ხანაში, ტანსაცმლის ფორმითა და მასალის ხარისხის მიხედვით განსხვავება თანდათან კარგავს ადამიანთა სოციალური და ეკონომიკური უთანაბრობის მაუწყებელი ნიშნების მნიშვნელობას. ცხადია, მთისა და ბარის ეკონომიკის განვითარების დონე ერთნაირი არ იყო, რაც, რა თქმა უნდა, ჩაცმულობაზეც მოქმედებდა.

ზემოთ ჩამოთვლილი ქალისა და მამაკაცის სამოსში შემავალი ელემენტები, თავის სამკაულიანადვე, ერთმანეთთან ძალზე შეხამებულია და დასაშვებია, რომ მამაკაცის სამოსი ნამდვილად მხედრისთვის შემუშავებული სამოსი იყო. მთიელს თუ ბარელს მგზავრობა ხშირად ცხენით უხდებოდა. მასზე შეჯდომა-გადმოსვლისათვის მოხერხებული იყო შარვლის განიერი უბე და მუხლს ქვემოთ შეკეწროებული ტოტები, რომელზედაც შემოცმული იყო მაღალყელიანი ფეხსამოსი, ფეხსაცმელი, ჩოხა და ნაბადი, რომელიც ცხენზე ჯდომისას მხედარსაც და ცხენსაც იცავდა სიცივისა და ქარბუქისაგან. ნაბადს თითქმის მუდამ თან ახლდა ყაბალახი.

ცნობილია, რომ ვეინახები, როგორც მათი სხვა მეზობელი მთიელები, სამოსისათვის და ფეხსაცმლისათვის მასალას თვითონ ამზადებდნენ. შალს — მ ა ა შ — ქსოვდნენ მარტივ დაზგაზე. ამით დასაქმებული იყო თითქმის ყველა ოჯახის ქალი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პანკისელი ქისტების უმეტეს ნაწილს, რომლებიც სამოსისათვის საჭირო ქსოვილს ყიდულობდნენ.

ა. ასლამოვი წერს: შინამრეწველობაში განთქმული იყო ჩეჩნეთის მთიანი სოფლები: ნოჟაი-იურთი, ვედენო, ხარაჩოი, ხოლო ინგუშეთში — ბაზორკინო, ენდიევა და სხვ. ვეინახი ქალები ამზადებდნენ მოსასხამ ნაბდებს (ღართებს), როგორც საშინაო მოთხოვნილებისათვის, ისე საბაზროდ. ნაბადზე ძალიან დიდი მოთხოვნილება იყო. იგი ადამიანს წლის ყველა დროში იცავდა წვიმისა და სიცივისაგან. მის დასამზადებლად საჭირო იყო მაღალი ხარისხის ცხვრის (შავი, თეთრი) ბატყული. ნაბდის დაგება, მოთელვა დიდი შრომატევადი საქმე იყო. ჩე-

ჩნეთში ნაბდების წარმოება გავრცელებული იყო ბარის რაიონებშიც. ერთ-ერთი ასეთი ცენტრი იყო სტარი-იურთი. ჩეჩენი ქალების მიერ დამზადებული ათასობით ნაბადი იყიდებოდა ბაზრებში, რომელთა დიდი რაოდენობა კაზაკ მეომრებს მიჰქონდათ.

ვეინახები ხშირად სარგებლობდნენ ქართული ქსოვილითაც. ერთ-ერთი საბუთის მიხედვით, ერეკლე მეფე ღლიღვებს მიმართავს: „...ჩვენს მაგივრად პატივისცემით სახსოვარს ჩიჩიასშვილს შოლუღს, ალხაზს და ერთობილად ღლიღვებს მრავალი მოკითხვა უამბეთ. მერე თქვენ, რომ ამ ზაფხულს ჩვენთან ჯარით იყავით, ერთმანეთთან ლაპარაკი გვქონდა და პირობა მოგვეცით, როცა თქვენი წიგნი მოგვივა და დაგვიბარებთ, ჯარად წამოვალთო... თუ ჩვენი ერთგულნი ხართ და ჩვენზედ ხელის აღება არ გინდათ და თქვენის ამდენის ხნის სამსახურს არ ჩაატარებთ, ეს ჩვენი წიგნი რომ მოგვიდესთ, უნდა მოემზადოთ და წინათვე... კაცი გამოგზავნოთ და თქვენი მზათ ყოფნა შეგვატყობინოთ, ჩვენც მთის გზას გავაკეთებინებთ, კაცს გამოვგზავნით და ღთით მთას მშვიდობით გადმოგატარებთ, რამდენიც თვეც ჩვენთან ყაგვიანდებით, კაცის თავს თვეში თორმეტს ტანს ფარჩას მოგცემთ და რომელთაც ჯამაგირი გაქვს, ჯამაგირსაც მოგცემთ და იქნება, რომ საშოვარიც გაშოვნინოთ...“

ანალოგიური ხასიათის დოკუმენტი ქართველი და ვეინახი ხალხის ისტორიული წარსულის შესახებ წერილობით წყაროებში არაერთი გვხვდება.

ცნობილია, რომ შალს კავკასიის ყველა კუთხის მცხოვრებლები მეტ-ნაკლები ოდენობით ქსოვდნენ. ფაბრიკული ქსოვილის შემოსვლის შემდეგაც შინ დამზადებულმა შალმა, როგორც ითქვა, თავი შემოინახა ჩვენი საუკუნის 30-იან წლებამდე, ზოგიერთ კუთხეში — 50-იან წლებამდეც. ფაბრიკული ქსოვილი (ჩითი, ლაინი) ვეინახებში პირველად გამოყენებული იქნა ტანის უშუალო საფარად ანუ საცვლებად.

საცვლები ვეინახი მამაკაცების უმრავლესობისათვის ხელმიუწვდომელი იყო XX ს. დასაწყისშიც. მას ხმარობდნენ მხოლოდ შეძლებული ოჯახის წარმომადგენლები. მსგავსი სურათი დგინდება ჩრდილო კავკასიის ოსებში, დაღესტანში და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის და ბარის რაიონებში (თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი, კახეთი). „საცვლები ფუფუნების სამოსად ითვლებოდა და მას იშვიათად ხმარობდნენ“ — აღნიშნავს ა. სკაჩკოვი.

შესაძლებელია, ვეინახებს საცვლები უფრო ადრეული პერიოდიდანვე ჰქონდა, მაგრამ, როგორც აღინიშნა, მისი შეძენის საშუალება მხოლოდ მოსახლეობის უმცირესობას გააჩნდა. მთხრობელის გადმოცემით, სოფლის მამასახლისის — ჟურთდა — ოჯახში ინახებოდა სპე-

ციალურად თეთრი ქსოვილისაგან შეკერილი ელემენტი, რომელიც პერანგის (ხალათის) დანიშნულებას ასრულებდა. მას ჩეჩნები და ინგუშები მანიშქ-ს-უწოდებდნენ. იგი გულმკერდს ფარავდა. ჰქონდა მაღალი და წინ ჩახსნილი საყელო, რომელიც იკვრებოდა დედალ-მამალი ღილ-კილოებით, როცა რომელიმე მამაკაცი სოფელში ან მის გარეთ სტუმრად — ჰ ვ ო შ ა ლ ან გასართობად — ს ი ყ ი ე რ ა მ ი ე — მიდიოდა, გამოართმევდა ამ მ ა ნ ი შ ქ ა-ს და ცხენზე შემჯდარს ჯოხზე დაკიდებული მიჰქონდა დანიშნულ ადგილზე მიახლოვებამდე, რომ არ გაჭუჭყიანებულიყო, შემდეგ გაიკეთებდა მას ჩოხის შიგნით და მივიდოდა სტუმრად (ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა თითქოს თეთრ პერანგში იყო გამოწყობილი). როცა უკან დაბრუნდებოდა, მამასახლისს დაუბრუნებდა; შემდეგ სხვა ისარგებლებდა ამ საყელოთი და ა. შ. ბოლოს ქალებმა გაუგეს მამაკაცებს ეს სიეშმაკე და დასცინოდნენ: „ჯი მაბუალაჰ ღოვთალ ქაჩ“ — „მეტი არ მოხვიდე ახალუხის საყელოო“. აქედანაც ჩანს, რომ ადამიანებს ჩაცმის გემოვნება ჰქონდათ, მაგრამ ძალიან ხელმოკლედ ცხოვრობდნენ; ბოლო ხანებშიც ვეინახი მამაკაცი შიდა პერანგის გარეშე, შიშველ ტანზე იცვამდა ახალუხს და შარვალს. ეს ორი ელემენტი იყო (უპირატესად) მთიელი კაცის ყოველდღიური ჩასაცმელი. იგი იმით იძინებდა და მუშაობის დროსაც იმასვე იცვამდა. საზეიმო დღეებში და სტუმრად წასვლის დროს, ამ სამოსს ზემოდან ემატებოდა (ცხადია, ვისაც ჰქონდა) ჩოხა, წელზე ქამარ-ხანჯალი, ცუდ ამინდებში ნაბადი, ბოხოხი ქუდის ზემოდან ყაბალახი, ფეხზე პაჭიჭები და მეჰციები, დროთა განმავლობაში გაჩნდა ზედა პერანგი, რომელმაც დაიკავა ახალუხის ადგილი, ხოლო ეს უკანასკნელი გადაიქცა ახალგაზრდა და ხანში შესული მამაკაცის საშინაო და საგარეო სამოსად. XX ს. დასაწყისში, ვეინახი ინტელიგენცია იცვამდა ხალათს და ჩაშვებულ შარვალს. ხალათზე შემოირტყამდნენ ქამარს, რომელზედაც ხანჯალს იკიდებდნენ. თავზე იხურავდნენ ბუხარულ ქუდს, ხოლო ფეხზე იცვამდნენ „შიბლეტებს“ (დაბალყელიან ფეხსაცმელებს). შარვლის ტოტები ჩატანებული იყო პაჭიჭებში ან ჩექმებში.

აღსანიშნავია ისიც, რომ ვეინახებში სამოსის თარგი წლოვანების კვალობაზე არ იცვლებოდა. განსხვავება თავს იჩენდა ქსოვილის ხარისხსა და სამოსის მორთვაში. ბავშვის სამოსს კერავდნენ ყოველგვარი მორთვის გარეშე. ამასთან, ვეინახები საგანგებოდ საშინაო და სამუშაო სამოსს არ კერავდნენ, შინ ყოფნისას ან მუშაობის დროს იყენებდნენ მოძველებულ სამოსს, რაც შეეხება საქორწილო და საერთოდ, საზეიმო სამოსს — იგი ხარისხით და სიახლით გამოირჩეოდა. მთიელი მამაკაცი საჩოხედ შინ დამზადებულ შალს მეტ უპირატესობას აძლევდა, ვიდრე ფაბრიკულს. ეკონომიკურად შეძლებულ მთიელს არასოდეს უჭირდა ამ უკანასკნელის შეძენა.



ნახ 6. ვეინახი ქალის პერანგი — ქ ო ი ჩ

აღსანიშნავია ისიც, რომ ქისტი მამაკაცის სამოსში ხშირად ვხვდებით კახელი მამაკაცის გარე სამოსს — ქ უ ლ ა ჯ ა-ს, ქისტებიც ამ სამოსს ქ უ ლ ა ჯ-ს უწოდებენ. ესეც ოჯახში ნაწარმი შალისაგან იყო დამზადებული. პანკისში დასახლების პირველ წლებში ქისტებს მატერიალურად ძალიან უჭირდათ. ის ეთნიკური სამოსი, რომელსაც ისინი თავიანთ თვითმყოფად სამოსად თვლიან, მოსახლეობის უმცირესობას ეცვა, ისე კი, ყოველი ქისტი მამაკაცის სურვილი იყო ჰქონოდა ჩოხა-ახალუხი თავისი სამკაულით, „გალიბანდული" ქუდი და ფეხზე „აზიაცკები" ცმოდა.

ვეინახები ნადირობის მოყვარულები იყვნენ. ეს ტრადიცია მათ ჩვენს დროშიც მოჰყვებათ. მათი სანადირო სამოსი იყო პერანგი, შარვალი, მუხლებამდე მწვდომი ახალუხი, უსახელო, მოკლე ტყავი, ახალუხზე შემოსაცმელი, გარემოსთან შეხამებული (მწვანე) ქსოვილის მოკლე მოსასხამი, მუხლსზევით ამოწეული შალის ან ტყავის პაჭიჭები — ფ ი ე ზ ა გ ა შ, წინდები — ბ ჭ ო რ ჯ მ ა შ, ქალამნები — ქ ა ლ ბ ა ნ ა შ, წრიაპები — ლ ე ნ ა შ და ყურებზე ჩამოწეული ტყავის ფაფახი. მონადირეს მოსასხამი ნაბადი ყოველთვის თან მიჰქონდა და ტოვებდა ღამის გასათევად შერჩეულ ადგილზე, შემდეგ მიდიოდა ნადირის შესათვალიერებლად. სამოსის ფერს უხამებდა გარემოს ფერს. თუ იგი ტყის ნაპირას მიდიოდა, მოსხმული ჰქონდა მწვანე მოსასხამი, ხოლო როცა კლდოვან არეში შევიდოდა, მოსასხამს ქამარში ჩაიტანდა და რუხი სამოსის ამარა რჩებოდა. ეს იმიტომ კეთდებოდა, რომ ნადირს მონადირე არ შეემჩნია. ცხადია, ქისტებს ძველ სამშობლოში, მთებში სასიარულოდ სპეციალური ფეხსაცმელი — ხ უ ლ ჩ ი ე შ — ჰქონდათ, მაგრამ საქართველოში დასახლების შემდეგ ეს უკანასკნელი ადგილობრივი ქალამნით შეიცვალა. ალბათ, ეს გამოწეული იყო იმითაც, რომ ადგილობრივ ქალამანს ნაკლები ტყავი უნდოდა და თან მისი ამოსხმაც იოლი საქმე იყო. ჩრდილო კავკასიის ვეინახებმა კი ხ უ ლ ჩ ი ე შ ჩვენს დრომდე შემოინახეს.

1. შიდა და გარე სამოსელი

საველე ეთნოგრაფიული მასალებით ვეინახებში დადასტურდა ქალის სამოსის შემდეგი ელემენტები: შიდა პერანგი — ჩ უ რ ქ ო ა ჩ, ქვედა საცვალი — ხ ე ჩ, ზედა პერანგი — ტ ი ე რ ქ ო ა ჩ, მკერდსაკრავი — ლ ი ფ ჩ ი კ, გულისპირი — ჩ ე ჩ. ს ი ლ გ, ინგ. ქ ა ჩ მ ა თ, წინსაფარი — გ ვ ე ჰ ა ლ უ ა რ გ (ინგ. ტ ო ლ კ), ჩოხა — ჩ ე ჩ ნ. ღ ა ბ ა ლ ი, ინგ. ჩ ო ჯ ი, ქისტ. ჩ უ ა ჯ, ახალუხი — ღ ო ვ თ ა ლ, ტყავის ქურქი —



ნახ. 7. გულმკერდზე გადაჭრილი პერანგი — ბელიშთესა ქოაჩ

ჯაკან-ქეთირ, ზედა ტანი—პელიხდოლუარგ, ქვედა ტანი — ჟუხაცდოლუარგ, თავშალი — ქორთლი, ქამარი — ტეხქარ (ჩეჩ. დუეხე), წინდები — ფაზათაშ, ფეხსაცმელი — ქუეგდუხარ და სამკაული— თუდირგიშ.

ვეინახებში ქალის შიდა სამოსელს ეკუთვნის საცვლები — ჩუღალ დუ̄ხარ, ე. ი. ზედა და ქვედა საცვალი — ქოაჩ-ხეჩ. ქისტებში შიდა პერანგის პარალელურად იხმარება მეორე ტერმინი — პიერეინგ, რაც ქართულის გავლენის შედეგია. ხშირ შემთხვევაში შიდა პერანგი ვეინახებში ზედა პერანგის როლსაც ასრულებდა. მოხუცი ქალები შიშველ ტანზე იცვამდნენ პერანგს და მთელ ზაფხულს ატარებდნენ. მამაკაცის საცვლებსაც, ისევე როგორც ქალისას, ისინი ქოაჩ-ხეჩ-ს უწოდებენ და ეარგიც თითქმის ერთნაირია.

ვეინახი ქალის შიდა პერანგი გრძელია, კოჭებამდე სწვდება, მხრებში — ბდელაშ — გადაჭრილია, სახელოები — ფჰდუშიშ— გრძელია, სწორად მიდგმული. გვერდებში შედგმულია სამკუთხედად აჭრილი აზლოტები — ხათთაშ (ინგ. ხეთთ), იღლიის ქვეშ უკეთებდნენ ხიშტაკს — კე̄დ (ინგ. ქიშლიგ). საყელო — ქაჩ—მრგვალად ამოჭრილი და წინ, გულმკერდთან ჩაჭრილი იკვრება საკინძის— ჩიეთ — კიდეზე დაკერებული დუგმით — ვეთ ან ღილით (ჩეჩ. ნუ̄დ, ინგ. ჩოფილგ, ქისტ. ლედ). პერანგს ბეჭებზე და გულმკერდზე სიმაგრისათვის დადებული ჰქონია სხვა ქსოვილის ნაჭერი, ბოლო შეკეცილია. ქისტებში გამოყენებული შიდა პერანგი სიგრძით მუხლებს ფარავდა, იდაყვამდე შედგმული ჰქონდა აზლოტები, სახელოებზე სამაჯურები და ორი თითის სიგანე საყელო იყო მოკერებული. ამ ნიშნებით ხასიათდება წოვა-თუში ქალის პერანგიც. ქისტებს, მთიელების ანალოგიურად, საყელო და სამაჯურების მოქარგვა არ სცოდნიათ. ჩანს, რომ მათ თანდაყოლილ პერანგს, საქართველოს ტერიტორიაზე დასახლების შემდეგ, მეზობელი მთიელების გავლენით, დაემატა საყელო და სამაჯურები, ხოლო სიგრძე შემოკლებია ზედა პერანგის ხარჯზე.

საცვლების მეორე ელემენტია ხეჩ. მას ცალპირი ქსოვილისაგან კერავდნენ. იგი სიგრძით მუხლს ფარავდა, უბისა და წელის გასწვრივ განიერი იყო. წელიდან საჯდომამდე, ტოტებს შორის ჩადგმული ჰქონდა სამკუთხედისმაგვარად აჭრილი ორმაგი ნაჭერი, რომელსაც ეილ-ს (უბე) უწოდებდნენ. ქვედა საცვალი უბიდან ბოლომდე ოდნავად შევიწროებული იყო და სათავე, ტოტების ბოლოები შებრუნებული და შიგ ხვანჯარ — ბარჩ — გაყრილი. საცვლის ეს თარგი დიდხანს ემსახურებოდა ჩეჩენ და ქისტ ქალებს. XIX ს. დასასრულს მას სიგრძე მოემატა, დავიდა კოჭებამდე. ამ ცვლილებას მუსლიმანურ რელიგიას უკავშირებენ და თვლიან დაღესტნიდან შე-

მოტანილად. გრძელტოტებიანმა საცვალმა ფართო გავრცელება მთის რაიონებში პოვა, რადგან იგი შრომის პროცესში და ცხენით მგზავრობის დროს კარგი გამოსაყენებელი ყოფილა. ჩრდილო კავკასიის ვეინახები საზეიმო ქვედა საცვლის ტოტებზე აკერებდნენ აბრეშუმის ქსოვილს. ინგუში ქალის მიერ გამოყენებული ქვედა საცვლის თარგი წოვა-თუში ქალის ქვედა საცვლის ანალოგიურია და მასზე შევჩერდებით ქვემოთ.

ვეინახი ქალი შიდა პერანგის ზემოდან, წელს ზემოთ იცვამდა შალის ან ბამბის ქსოვილის მკერდსაკრავს — ლ ი ფ ჩ ი გ, რომლის მიზანი იყო გულმკერდის დამალვა, მისი გამოჩენა სირცხვილად ითვლებოდა. წოვა-თუშები მას პერანგის შიგნით ხმარობდნენ. ეს ელემენტი დამოწმებულია ჩაღმა-თუშებშიც. აღნიშნული ტერმინი, ჩანს, რუსულიდან მოდის.

შიდა სამოსზე გადმოსაცმელი ელემენტია ზედა პერანგი — ტ ი ე რ ქ ო ა ჩ, რომელიც ასრულებდა ქართული კაბის ან წოვათუშური ჯუბის როლს. ვეინახებში ეს ელემენტი იმეორებს შიდა პერანგის თარგს. დროთა განმავლობაში ქისტი ქალის შიდა პერანგმა დაკარგა ორი თითის სიგანე მოკერებული საყელო, იგი უსაყელო პერანგად იქცა, სამაჯურებიც ჩამოშორდა. შიდა პერანგი დამოკლდა, ხოლო ზედა დაგრძელდა, იგი ფარავდა ფეხის ყოჭებს.

ჩეჩენი და ინგუში ახალგაზრდა ქალისა და პატარძლის ჩოხის შიგნით ჩასაცმელ პერანგს სახელოები მკლავებზე მოყვანილი ჰქონდა, რადგან ჩოხას მეორე სახელოები ყოველთვის არ უკეთდებოდა და მის მაგივრობას ზედა პერანგის სახელოები ასრულებდა. პერანგის ორივე გვერდი, ღილიდან წელამდე, ოდნავად შევიწროებული იყო, ბოლო კი—განიერი, უელის ირგვლივ მრგვლად ამოღებული და ერთი თითის სიგანე საყელო ჰქონდა მოკერებული, წინ, გულმკერდზე კი ჩახსნილი, იკვრებოდა ერთი ღილით.

XX ს. დასაწყისში ვეინახებში ჩნდება მეორე ტიპის ზედა პერანგი, რომელსაც ბ ე ლ ი შ თ ე ს ა ქ ო ა ჩ — ბეჭებმოკერებულ პერანგს უწოდებენ. ეს პერანგი გრძელია, ყოჭებამდე, განიერი, უკანა ნაწილი მთლიანი, წინა კი გულმკერდთან გადაჭრილი, ქვედა ნაწილი ნაოჭასხმულია და მიკერებული ზედა ნაწილთან. საყელო მრგვალად ამოღებული და წინ ჩაჭრილი, იკვრება ერთი ღილით. სახელოები გრძელი, განიერი და სწორად მიდგმული, მაჯები შებრუნებულია და შიგ ზონარგაყრილი. საყელოს ირგვლივ და წინ ჩახსნილი საკინძის ქობად მოვლებულია თავისივე ნაჭერი, შიგნით შებრუნებული. აღნიშნული ზედა პერანგი ვეინახებში ითვლებოდა გათხოვილი და მოხუცი ქალის საშინაო და საგარეო სამოსად. სადღეისოდ ჩეჩენი და ინგუში

ხანდაზმული მანდილოსნები საგარეო და საშინაო ზედა პერანგს ამ თარგით იკერავენ.

ვეინახები ზედა პერანგის ზემოდან იცვამდნენ ზედატანს—ბ ე ლ ი ჩ-ბ ო ლ უ ა რ გ. იგი სიგრძით თეძოს ფარავდა, წინ ჩახსნილი იყო და იკვრებოდა, ყელის ძირიდან წელამდე, ვერცხლის ღილებით. ზედტანს სარჩული უკეთდებოდა და მაგრად იკვრებოდა წელში. მას ხელის მტევნამდე გრძელი და ვიწრო, სწორად მოდგმული სახელოები ჰქონდა. საყელოს ირგვლივ, წინა მხარეს და სახელოების მაჯებზე, შემოკლებული ჰქონდა ბუზმენტი — ჰ რ ს, მას კერავდნენ ლასტიგისა და ფერადი აბრეშუმის ქსოვილისაგან.

ზედატანი შედგება წინა ორი და უკანა მხარის, გვერდით ორი კალთისა და სახელოებისაგან, მისი თარგი ძალზე რთულია და მას მხოლოდ გამოცდილი მკერავი კერავდა. ინგუშეთში და პანკისის ქისტებში გამოყენებული ამ ელემენტის არსებობა ჩეჩნებსა და წოვათუშებში არ დასტურდება.

XX ს. 30-იან წლებში ინგუშ და ქისტ მანდილოსნებში ზედატანი ჯერ კიდევ სრული სახით იყო შემორჩენილი. დროთა განმავლობაში იგი (ხიფთანი) ინგუშების ყოფიდან ამოვარდა და მისი ადგილი დაიკავა გულისპირმა — ქ ა შ მ ა თ. ამ ელემენტს ჩეჩნები ს ი ლ ა გ-ს უწოდებენ. იგი წელამდე წვდება და უსახელოა. წინ მთლიანი, უკან კი ჩახსნილი, იკვრება 4—5 ღილით. გულისპირი ყელის ირგვლივ ამოღებულია და ორი თითის სიგანე საყელო აქვს მოკერებული, ზოგი კი უსაყელოა. გულმკერდზე, ვერცხლის ჩაფრასტების დასაკერებელ ადგილზე, ზემოდან მეორე პირად უდებენ აბრეშუმის პრიალა თეთრი ან ვარდისფერი ქსოვილის ნაჭერს. ხშირ შემთხვევაში მას კერავდნენ თეთრი ბამბის ქსოვილისაგან. გულმკერდზე ეკერება 10—10 ან 16—16 დედალ-მამალი ვერცხლის ბალთა. ჩეჩნეთ-ინგუშეთში ეს ელემენტი ჩვენს დროშიც ფართოდ გვხვდება საპატარძლოდ გამზადებული ქალის საპოსში.

ქისტური გულისპირი ჩეჩნებისა და ინგუშების გულისპირისაგან განსხვავებულია და მისი გამოყენების წესიც სხვანაირია. შესაძლებელია ქისტებმა ძველი, თან მოტანილი შემოინახეს და ჩეჩნებმა და ინგუშებმა კი უფრო განვითარებული სახე მისცეს. მსგავსი გულისპირის სამკაული გვხვდება ოსეთში, ჩერქეზეთში, ყაბარდოში და ადიღეში.

ქისტური გულისპირით დაფარულია ახალუხის ან ჩოხის ღია გულმკერდი. იგი შავი სატინის, ხავერდის ან ატლასის სარჩულმოკერებული ორი თანაბარი ნაჭერია. ისინი ერთმანეთს უკავშირდება 10—10 დედალ-მამალი ვერცხლის ბალთით. გულისპირის ორივე გვერდზე

ოთხ-ოთხ მწკრივად დაკერებულია ვერცხლის ფულები, დაწვრილებით ქვემოთ.

ქალის სამოსის შემადგენელი ნაწილია წინსაფარი. ქისტები მას გვეჰალუარგ-ს უწოდებენ. ინგუშები ტოლკ-ს. ქისტი ქალები წინსაფარს იკეთებდნენ 8—9 წლიდან, როცა ისინი ოჯახის საქმიანობაში ჩაებმებოდნენ. წინსაფარს ფეხმძიმე ქალები ფორმის დაფარვის მიზნითაც იკეთებდნენ. სოფელში ან სოფლის გარეთ, ტირილში წასვლის დროსაც წინსაფრის ბოლო ორ კუთხეს ჩაიტანდნენ სარტყელში და შიგ ჩაიდებდნენ მიცვალებულისათვის მისატან სასუდარო ქსოვილს. წინსაფარს ჰქონდა სამეურნეო დანიშნულებაც: მას აიკალთავებდნენ და ჩაყრიდნენ მარცვლეულს, ხილს, ბოსტნეულს და სხვ. პანკისელ ქისტებში წინსაფრის არსებობა დამოწმებულია მათი ჩამოსახლების პერიოდშივე, რაც ცხადყოფს, რომ მათ სამოსის ეს ელემენტი უწინაც ჰქონდათ.

ქისტებში გავრცელებული იყო სამი სახის წინსაფარი: ბოლოსწორკუთხოვანი, მომრგვალებული და გარშემო რუშმოკერებული. სამივე სახის წინსაფარს წელის მხარე შებრუნებული ჰქონდა და ზონარგაყრილი, ზოგი ოდნავად ნაოჭასხმული და ერთი თითის სიგანე ქამარმოკერებული. ჩანს, რომ წინსაფრის ეს ნაირსახეობა ქისტებმა მათი მეზობელი ქართველი მთიელებისაგან გადაიღეს და დღესაც ასე უცვლელად ინახავენ. წინსაფარი ქისტი ქალის სამოსთან ისე ბუნებრივად არის შერწყმული, რომ იგი გადაქცეულია გასათხოვარი, საპატარძლო, გათხოვილი და მოხუცი ქალის საგარეო და საშინაო ტანისამოსის ერთ-ერთ ძირითად ნაწილად. საშინაო წინსაფრისათვის იყენებდნენ მუქი ფერის იაფფასიან ქსოვილს (ჩითი და სხვ.), ხოლო საგარეო წინსაფრისათვის ქსოვილს ირჩევდნენ წლოვანებისა და შეძლების მიხედვით. საზეიმო და საპატარძლო წინსაფრებისათვის გამოყენებული იყო ღია ფერის ატლასი, სახიანი აბრეშუმის ფარჩა, დარაი, ხავერდი და სხვ.

ჩრდილო კავკასიის ვეინახებში წინსაფარს, ისე როგორც პანკისის ქისტებში, საზეიმო სამოსის დანიშნულება არ ჰქონდა. ქისტები წინსაფარს იკეთებდნენ ზედა პერანგის ზემოდან, ჩოხა-ახალუხის შიგნით. იგი კოჭებამდე სწვდებოდა.

ინგუშეთში საგარეო წინსაფრის როლს ასრულებდა სარტყელი—აჯარაშ, რომელიც ზედა პერანგის ზემოდან გულისპირის ჩატანებით იკვრებოდა წელზე. იგი შედგება ქამრისა და მასზე მობმული ორი კალთისაგან. სარტყლის წელზე შემორტყმით მისი ორივე კალთა ჩამოიფინებოდა მუცელზე, სარტყლის კალთები (ანუ ტოტე-

ბი) მოქარგული იყო ფერადი აბრეშუმის ძაფებით. ხშირ შემთხვევაში გულისპირი და სარტყელი ერთნაირი ქსოვილისა იყო.

ჩეჩნეთ-ინგუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გამოფენილი აჯარაშ შინდისფერი ხავერდისაა. ორივე კალთის ნაწიბურებზე გარშემოვლებულია ოქროსფერი ბუზმენტი. ორივე კალთა, ორნამენტებითურთ, მთლიანად მოქარგულია ამავე ფერის აბრეშუმის ძაფით. მისი სიგრძე 50 სანტიმეტრია, ხოლო განი (ორივე ერთად) მუცლის არეს ფარავდა. ორივე კალთა თანაბარია. წელის მხარე შეკეცილია და ზონარგაყრილი. სიარულისას ჩოხის კალთები განზე იწევა და სარტყელი შიგნიდან ლამაზად მოჩანს.

მსგავსი ელემენტი გვხვდება ლ. ბოჭორიშვილის მიერ აღწერილი კახური ჩაცმულობის კომპლექსში. იგი წერს: „ქამრის დანიშნულების შემსრულებელი სალტე და მასზე მობმული ორი ტოტი სარტყლის შემადგენელ ელემენტებს წარმოადგენდა. როდესაც ქალი სალტეს წელზე შემოირტყამდა, სარტყლის ტოტები წინ კალთებზე ჩამოიფინებოდა-ო“.

ავტორის მიერ აღწერილი სარტყელი კოპებამდე აღწევს, მაგრამ თარგი, შეკერილობა და გამოყენებული მასალა ინგუშური სარტყლის მსგავსია. ამასთან, ავტორი აღნიშნავს: სარტყელი და გულისპირი ერთნაირი ნაჭრისაგან იყო შეკერილი-ო. აქაც ინგუშურთან ნათესაობას ამჟღავნებს.

ვეინახი ქალის ზემოთ აღნიშნული სამოსის მთლიანობაში წარმოსაჩენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გარე სამოსს — ჩოხას.

ტერმინი ჩ ო ჯ ა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში და მის შეზობელ ვეინახებში გამოიყენებოდა საკაცო და საქალო გარე სამოსის აღმნიშვნელად.

ივ. ჯავახიშვილი წერს: „ტერმინი ჩ ო ჯ ა მატყლის ქსოვილის შალს ნიშნავს თურქულად, სპარსელები ჩოხა-ს უწოდებენ. რაკი ჩოჯა ქართულში IX—X სს. ჩნდება, უფრო საფიქრებელია, რომ ეს ელემენტი სპარსულითგან იყოს შეთვისებული, ვიდრე თურქულითგან, რომლის გავლენა ამაზე უფრო გვიან ხდება საგრძნობი“.

შესაძლებელია ტერმინი ჩ ო ჯ ი ვეინახებში შესულია საქართველოდან, რადგან ქართველი ხალხის მჭიდრო, მეგობრული ურთიერთობა ჩრდილო კავკასიის ხალხებთან უხსოვარი დროიდან მომდინარეობს, რაც ლიტერატურულ მონაცემებში კარგად არის ასახული.

ვეინახებში სამოსის თარგი წლოვანების კვალობაზე არ იცვლებოდა. განსხვავება შეინიშნებოდა მხოლოდ ქსოვილის ხარისხში, ფერსა და შეკერილობაში. ჩეჩნები ქალის ჩოხასა და ჩაცმულობის მთლიან კომპლექსს ღ ა ბ ა ლ ი-ს უწოდებენ, ისე რომ, ტერმინი ღაბალი იხმარება ორი გაგებით — მთლიანი კოსტიუმისა და ჩოხის აღმნიშვნე-

ლად. ანალოგიურად იხმარება ტერმინი ჩოჯი ინგუშებშიც. ვეინახი ქალი ჩოხას იცვამდა მაშინ, როცა მისი ქალიშვილობის ასაკი მოახლოვდებოდა და გასათხობად (ს ი ნ ყ ე რ ამ) წასვლის უფლება მიეცემოდა. ახალგაზრდა ქალ-ვაჟი ხვდებოდნენ მხოლოდ ქორწილში, წყაროზე და ოჯახებში მოწყობილ გართობებზე.

კაპიტალისტური ურთიერთობის შედეგად შესული ქსოვილები ხელმიუწვდომელი იყო ყველასათვის და ამიტომ ჩეჩნეთ-ინგუშეთში შემოღებული იყო ჩოხის (თავისი სამკაულითვე) განათხოვრების წესი. იმ შემთხვევაში, თუ ქალიშვილს გასათხობად სადმე წასვლა უნდოდა და არა ჰქონდა ღაბალი, მას შეეძლო ნათესავ-მეზობლისაგან ეთხოვა. თუ ღაბალი ოჯახის წევრს არ ჰირდებოდა, იმ შემთხვევაში უარის თქმა არ შეიძლებოდა. ნათხოვარი ღაბალით შეიძლებოდა ქალის გათხოვებაც. საქორწილო ცერემონიალის დამთავრების შემდეგ ღაბალი პატრონს უბრუნდებოდა. ვისაც საკუთარი ჰქონდა, ის ქორწილის შემდეგ, როცა საოჯახო საქმეში ჩაებმებოდა, იხდიდა და ინახავდა შვილებისათვის. ვისაც რამდენიმე ჰქონდა, ის ქორწილში, დღეობებში იცვამდა ორი-სამი შვილის შეძენამდეც, მაგრამ სამკაულის გარეშე. ღაბლის ხმარება შეეძლო შინ დაბრუნებულ ქმარგაყრილ ქალს სამკაულითვე, მეორე ქორწინებამდე. ხანში შესული ქალი ჩოხას იშვიათად ხმარობდა, მის საშინაო და საგარეო სამოსად ითვლებოდა ზემოთ აღწერილი ზედა პერანგი, დიდი შალი, დაბამბული ახალუხი — ღ ო ვ თ ა ლ და ტყავის ქუერჩი — ქ ე თ ი რ. პანკისის ქისტებში კი ჩოხა, პირიქით, მოხუცი ქალის სამოსადაც ითვლებოდა. ქალებს, შეძლებისდაგვარად, საგარეოდ ერთი ხელი ტანსაცმელი გადანახული ჰქონდათ. საშინაოდ სპეციალურ ტანსაცმელს არ კერავდნენ. როცა სამოსის ესა თუ ის ელემენტი ხმარებაში შევიდოდა, ის რამდენიმე ხნის შემდეგ საშინაო და სამუშაო სამოსად იქცეოდა ხოლმე. იყო შეძლებული ოჯახებიც, რომელთა ქალ-რძალს რამდენიმე ხელი ღაბალი ჰქონდათ.

ვეინახებში გვხვდება სამი სახის ჩოხა: კალთებიანი, წელში ნაკეციანი და ნაოჭმიყრილი. უკანასკნელი ორი სახის თარგზე შეკერილ ჩოხას ხმარობდნენ უმთავრესად 12—15 წლის გოგონები, ხოლო კალთებიანს უფრო მოზრდილი, გასათხოვარი და გათხოვილი ქალები. შეძლებული ოჯახის ქალი სამივე ჩოხას ხმარობდა. ნაკეციან და ნაოჭმიყრილ ჩოხას კერავდნენ თხელი ქსოვილისაგან. იგი უფრო ზაფხულის პერიოდში იხმარებოდა.

ჩოხა გრძელია, კოჭებამდე, წინ მთლიანად ჩახსნილი, წელში მომდგარი, ბოლოში განიერი, მხრებში გადაჭერილი, უსაყელო, მხრებიდან გულისძირამდე ირიბად ჩაჭრილი, სახელოები იღლიიდანვე

შეხსნილი და ბოლომომრგვალებული, ფართოდ ჩამოკიდებულია თითქმის ქვედა ტანის ბოლომდე. ამ ცრუ სახელოებს ჩეჩნები და ინგუშები ქ ო რ ა ნ ა შ-ს უწოდებენ. ჩოხა წელში გადაჭრილია. მისი ქვედა ნაწილი შედგება ხუთი (ხან ექვსი) კალთისაგან — ხ ა თ თ ა შ. უკანა, შუა კალთა დანარჩენ კალთებზე განიერია და გრძელი (სიარულის დროს მიწაზე დაათრევს), ორი კალთა წინ აქვს მოქცეული და ორიც — გვერდებში. სარჩულმოკერებული ზედა ტანზე ოდნავი ნაოჭით მიკერებულია ხუთი კალთისაგან შემდგარი ქვედა ნაწილი, რომელიც წელთან იკვრება ერთი ან ორი დუგმით. ჩოხის წინა მხარე და სახელოები გაწყობილია ბუზმენტით — ჰ რ ს ან მაქმანით — ბ ი (ინგ. ც ხ ე რ ა ლ). საპატარძლო ჩოხას ბეწვითაც აწყობდნენ, ზოგი კი ჩოხის წინა კალთებს, სახელოებს და ბოლოს ქარგავდა ოქრომკედით, ასევე მორთული იყო ნაკეციანი და ნაოჭმიყრილი ჩოხაც. ქისტი ქალის ჩოხის სახელოები მკლავზე ვიწროდაა გამოყვანილი და მაჯებზე მოკერებული აქვს სხვა ფერის ქსოვილი.

გ. ვერტეპოვის მოსაზრებით, ჩეჩენი ქალის სამოსი წააგავს მათი მეზობელი ქართველი ქალის ტანსაცმელს. ქართველი ქალის ტანსაცმელი გვაგონებს ჩრდილო კავკასიის ქალების სამოსს, რომელთაც აცვიათ გრძელი პერანგი, მის ზემოთ გრძელი, განიერი, წელში მოყვანილი კაბა, რომელსაც ზემოდან ქამარი აქვს შემორტყმული.

ანალოგიურ ცნობას გვაწვდის ლ. ბოჟორიშვილი კახური ქათიბის შესახებ: „ქათიბი წელში იყო გადაჭრილი, რამდენიმე კალთისაგან შემდგარი ქვედა ნაწილი მაღალტანთან ნაოჭით იყო გადაკერილი... წინ მთლიანად ჩახსნილი და გულისძირთან ეკერა შესაკრავად განკუთვნილი რამდენიმე ღილი. ქათიბს მეტად გრძელი, ღრმად შეხსნილი სახელები ჰქონდა... საყელოს ირგვლივ და დაბლატანის გარშემო ქათიბს ძაღარად ან ძაღად სახელდებული ბეწვი ჰქონდა მოვლებული". ქათიბი თბილად დასარჩლულიც ყოფილა. აღნიშნული კახური ქათიბის მსგავსად დასარჩლული ჩოჯა ეცვათ წოვა-თუშ ქალებსაც.

ვეინახი ქალის საზამთრო სამოსია ღ ო ვ თ ა ლ — ახალუხი. იგი ფეხის კოჭებამდე გრძელია და დაბამბული. მისი სახელოები ვიწროდ მოყვანილი და იღლიამდე შეხსნილი, იკვრებოდა აბრეშუმის ძაფის დუგმებით, ხოლო ქისტი ქალის ღოვთალის სახელოები მაჯებამდე გაკერილი იყო და ოდნავ შეხსნილი. მას წინა ორი მხარე და უკანა მთლიანი აქვს, წელიდან ქვედა ბოლომდე შედგმული აქვს ექვსი კალთა. ზედა და ქვედა პირი თანაბარი ზომითაა აჭრილი. თითოეული ნაწილის დალიანდაგება ხდებოდა ცალ-ცალკე, მთლიანი ნაწილების გამზადების შემდეგ კი ერთმანეთზე გადაბმა, ტანზე მორგება და მორთვა. ახალუხის გამოჭრა, შეკერვა და ტანზე მორგება ძალზე

ერთულია, მაგრამ მისი დამზადების კარგი სპეციალისტები მათივე ქალები იყვნენ.

ჩეჩნები და ინგუშები საზამთრო ახალუხს კერავდნენ უფრო უხეში ქსოვილისაგან, ხოლო ქისტები კი აბრეშუმის სახიანი და უსაზო ქსოვილისგანაც კერავდნენ.

ჩვენს ხელთ არსებული ღოვთალ შავი ატლასისაა (ატლაზ), კოჭებამდე მწვდომი, წინ ჩახსნილი, უსაყელო, მხრებში გადაჭრილი, სახელოები გრძელი, ვიწროდ მოყვანილი, მაჯებთან ოდნავ მომრგვალებული და სწორად მიდგმული. შედგება ორი წინა და ერთი უკანა მთლიანი ნაწილისაგან და წელს ქვემოთ შედგმული ექვსი კალთისაგან. ექვსივე კალთა სიგრძით თანაბარია. წინა მხარეს შედგმული ორი კალთა სიგანითაც თანაბარია, ასევე თანაბარია უკანა ნაწილის გვერდითი კალთები, ხოლო წინა მხრის გვერდითი ორი კალთა 4—5 სმ უფრო განიერია უკანა კალთებზე და ორჯერ მეტია წინა კალთებზე. წინა და უკანა მხარის გვერდითი კალთები წელის არეში ოდნავ მომრგვალებულია (ამას ქართველები ჩიბუხს უწოდებენ, ხოლო ქისტები ბ ჭ ო გ ი ლ გ-ს). ღოვთალს აქვს წყვილი ჩაქი (კალთის შენაჭერი), სიგრძით ერთი მტკაველი. ახალუხი თხლად დაბამბულია და წმინდად დალიანდაგებული. სარჩულად უდევს ყვითლად დაწინწკლული შავი ჩითი. წინა ორივე მხარეს და ბოლოში ქობად დადებული აქვს შავი ლასტიგის ნაჭერი. გარეთა პირის ნაწიბურებზე, წინა მხარეს, საყელოს ირგვლივ, უკანა მხარის შუალა კალთის ორივე ნაკერზე, ბოლოში და ჩაქებზე შემოვლებულია ოქროსფერი ბუზმენტი აბრეშუმის კანტით. წინ იკვრება ოთხი დუგმით. ნაკერია წმინდად, აბრეშუმის ძაფით. ამ სამოსის მსგავს ელემენტზე მ. ალბუთაშვილი წერს: „...ამას ამშვენებს შავი ლასტიგის გრძელი სამოსი, რომელიც შიგნიდან თბილად და მსუბუქად დაბამბულია, წმინდად დალიანდაგებული და გარედან თითის სიბრტყო თეთრი ბუზმენტითაა მორთული, ამას ახალუხს უწოდებენ. შეძლებულების ქალები ამ ახალუხს შავ ხავერდისას იკერავენ და ბუზმენტითა რთავენ. სახელოები ვიწროთ ბაწყობილი, წელში გამოკრული თითქმის მიწაზედ დაათრევს“.

მთიანეთის სუსხიან ყინვებში ჩოხის გარედან იცვამდნენ მეორე ტიპის თბილ სამოსს, რომელსაც ვეინახები ქ ე თ ი რ-ს (ტყავის ქურქი) უწოდებენ. ქეთირ და ქათიბიც მონათესავე ტერმინებია. ქათიბად წოდებული თუშური გარე სამოსიც დათბილული ელემენტია და წაგავს ვეინახურ ღოვთალს.

ნ. გრაბოვსკის მონაცემების მიხედვით, ინგუში ქალები ზამთარში იცვამდნენ ცხვრის ტყავის ქურქს, მაგრამ ქალიშვილისათვის მისი ჩაცმა უცნაურად მიაჩნდათ, სწამდათ, რომ ქალიშვილები ახალგაზრ-

დულმა სისხლმა უნდა გაათბოს. ამ თვალსაზრისის არსებობა საველე-ეთნოგრაფიული მასალითაც დგინდება, საგარეოდ ქურქის ჩაცმა ვეინახ ახალგაზრდებს სირცხვილად მიაჩნდათ, მაგრამ იგი ცენტრალური კავკასიის მთიანეთში ფართოდ გავრცელებული სამოსი იყო. მ. ალბუთაშვილი წერს: „საზოგადოდ ქისტებმა კოხტად ჩაცმა იციან დედაკაცების წყალობით. ტყავს არც დედაკაცებში აქვს პატივისცემა მოპოვებული, როგორც თუშებში და ფშაველებში... ქისტის დედაკაცი არასოდეს ტყავს პატივს არ სცემდა, თუ ჩაიცვამს მოხუცებული ათასში ერთი, ანდა სუფთა ბატკნის ტყავების ჩოხური ტიპის სამოსსა, ზემოდან ქსოვილგადაკრულს, რომელსაც ახლად გათხოვილები ძალიან პატივსა სცემენ“.

ავტორის ეს მოსაზრება ეხება პანკისელ ქისტებს. იმის გამო, რომ პანკისის ქისტების უმეტეს ნაწილს ეკონომიურად უჭირდა, ბატკნის ტყავის ჩოხური ტიპის ზემოდან ქსოვილგადაკრული სამოსი სოფელში სცმია თითო-ოროლას. ტყავის ქურქს კერავდნენ 5—6 ცხვრის ტყავისაგან, რომელსაც ბეწვიანი მხარე შიგნით ჰქონდა მოქცეული, იგი წელში იყო გადაჭრილი. ქურქის ქვედა ნაწილი ოდნავი ნაოჭით ზედაზე იყო მიკერებული. სახელოები გრძელი ჰქონდა, წელში იკვრებოდა ორი ან სამი დედალ-მამალი დუგმით. მისი სიგრძე მუხლებამდე ან კოჭებამდე აღწევდა. გრძელ ქურქს მოსასხამად იყენებდნენ, მოკლეს — ჩასაცმელად. საყელოს ირგვლივ, მაჯებზე, წინა კალთებზე და ბოლოში მოვლებული ჰქონდა ბეწვამობრუნებული ტყავი.

ქალის სამოსის განუყოფელი ნაწილია ფულის ქისა — ა ხ ჩ ა ნ ტ უ ა რ მ ი გ და ამულეტი — ჰ ე ი ქ ა ლ, რომელიც ხანში შესულ ქალს დღედაღამე ტანსაცმლის შიგნით, ყელზე ჰქონდა ჩამოკიდებული. ამულეტი თითქოს მას იცავდა შიშისაგან და ყოველგვარი დაავადებისაგან, ხოლო ქისაში ინახავდა ფულს.

რამდენიმე სიტყვით შევეხებით ბავშვის სამოსს. როგორც ზემოთაც აღინიშნა, ვეინახური ტანისამოსის თარგი წლოვანების მიხედვით არ იცვლებოდა, მაგრამ ბავშვის სამოსისათვის გამოყენებული იყო იაფფასიანი ქსოვილი და ოჯახში უფროსების მიერ გაცვეთილი და ხმარებიდან გამოსული სამოსი. ქისტებში ახლადდაბადებულ ბავშვს, პირველად აკვანში — ა ვ — ჩაწვენის დროს, აცმევდნენ მამის ძველი, ზედა საცელისაგან გადაკეთებულ პერანგს, თავზე ახვევდნენ იმავე ძველი ნაჭრის ხილბანდს — ი ა ვ ლ ა ჯ, რომელზეც ზემოდან შუბლზე შემოჭერილი ჰქონდა თავსაკრავი — თ უ ხ ჩ, ხოლო პირველი გაბანის შემდეგ აცმევდნენ ახალი ქსოვილის (ჩითის — ბ ა ს ფ, მიტკლის — ქ ი ს ი) პერანგს. ახალი იყო ხილბაკ-

დიც თავისი თავსაკრავითვე. ეს ტრადიციული წესი ნიშნავდა იმას, რომ ბავშვი გაიზარდოს, მამისებურად ცვითოს ძველი და ახალი პერანგები. აღნიშნული წესი ქისტებმა ჩვენს დრომდე შემოინახეს. ბავშვი 6—7 თვისა რომ გახდებოდა, პერანგს ზემოდან ემატებოდა ეილეტისმაგვარი სათბილობელი — ს ა დ უ ა ხ დ ი ე რ გ (რაც ნიშნავს სულის გამთბობს), შემდეგ აცმევდნენ კოჭებამდე გრძელ ქვედა საცვალს, თავზე ჩითის მოსახვევს, ფეხზე, საცვლის ტოტების ჩატანებით, წინდებს და თავიანთ შეკერილ ტყავის ჩუსტებს. ბავშვის ქვედა საცვალს (გოგო-ბიჭის) 6—7 წლამდე უბე გაუკერავი ჰქონდა, რათა ხვანჯრის გახსნა არ დასჭირვებოდა.

ნ. გრაბოვსკი წერს: ინგუშებს ზაფხულის პერიოდში ბავშვები თითქმის ტიტვლები დაჰყავდათ. ოთხი წლის ასაკიდან აცმევდნენ პერანგს, შემდეგ ქვედა საცვალს, ხოლო ზამთარში ტყავის მოკლე ქურქს.

ავტორის ამ მოსაზრებიდან ჩანს, თითქოს ინგუშები ოთხ წლამდე ბავშვს არაფერს აცმევდნენ, რაც დაზუსტებას მოითხოვს. საველე ეთნოგრაფიული მასალით, მთიანეთის მოსახლეობის უმეტეს ნაწილს ჩაცმა-დახურვა უჭირდა, მაგრამ მიღებული იყო ძველი სამოსის ბავშვებზე მორგება და, მეორეც, პატარაობიდანვე გოგონების ჩაუცმელად გაშვება სირცხვილად ითვლებოდა. ხმარებიდან გამოსული, ძველი სამოსის ბავშვებისათვის გადაკეთების წესი დგინდება წოვა-თუშებშიც.

ვეინახი ქალის ჩაცმულობაში შედარებით სრულყოფილ სურათს იძლევა გაუთხოვარი ქალისა და პატარძლის სამოსელი. იგი ერთიმეორისაგან განსხვავდებოდა მხოლოდ სიახლით. მათი სამოსის კომპლექსში შემავალი ელემენტები ისეა ერთმანეთთან შერწყმული, შეხამებული, რომ უერთმანეთოდ ჩაცმას არავითარი ელფერი არ გააჩნდა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია წოვა-თუში ქალის სამოსი. მაგალითად: ჯუბა ფარაგისა და ჩოხის გარეშე არ ჩაიცმებოდა, ფარაგა კი ჯუბის გარეშე; გათხოვილი ქალის მანდილი კომოზისა და ქიჩილის გარეშე და სხვ. ვეინახებში საპატარძლო სამოსი საგარეო (საზეიმო) სამოსადაც ითვლებოდა. ასევეა იგი მიჩნეული სხვა მეზობელ მთიელებშიც.

შეძლებული ოჯახის ქალიშვილის საპატარძლო სამოსის მთლიანი კომპლექსი შეკერილი იყო ღია ფერის (თეთრი, წითელი, ყვითელი, ვარდისფერი) ქსოვილისაგან — დარაი, ატლასი, მაუდი, ლასტიგი და სხვ. ლამაზად აფორმებდნენ გარე სამოსს — ჩოხას და თავზე მოსახვევს.

მამაკაცის ტრადიციული სამოსი შეიცავდა შემდეგ ელემენტებს: პერანგი — ქ ო ა ჩ, შარვალი — ხ ე ჩ (შარბალ), ახალუხი — ღ ო-

ულთალ, ჩოხა — ჩ ო ა, ტყავი ანუ ქურქი — ჭ ე თ ი რ, ნაბადი — ვ ე რ თ, ყაბალახი — ბ ა შ ლ ა ყ, ქუდი — ქ უ ი (ინგ. ქ ი), პაჭიჭები — ფ ი ე ზ ა გ ა შ, წინდები — ბ ჭ ო რ ჯ უ მ ა შ, ფეხსაცმელი — ქ უ ე გ ჲ უ ხ ა რ (მ ე ჰ ჲ ც ი ე შ — უძიროები, შ ა ჩ ი შ — ჩუსტები, ჩ ე ქ მ ა შ — ჩექმები, ქ ა ლ უ ა შ — „კალოში") და სამკაული.

ამ ელემენტებს დროთა განმავლობაში დაემატა სათბილობელი — მხარტყავი ან დაბამბული მოკლე, უსახელო ზედატანი — ს ა დ უ ა ხ დ ი ე რ გ, და ზედა პერანგი — ხალათი — ხ ა ა ლ ა თ.

ჩამოთვლილ ელემენტებს ბევრი საერთო აქვს როგორც ჩრდილო კავკასიის მეზობელი ხალხების, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისა და ბარის აბორიგენთა ტრადიციული სამოსის ელემენტებთან.

ვეინახი მამაკაცის სამოსი იყოფა სამ ნაწილად: მთლიანი, წელსქვედა და წელსზედა სამოსი. მთლიან სამოსს ეკუთვნის ახალუხი, ჩოხა, ქურქი, ნაბადი. წელსზედაა: მხარტყავი, შიდა პერანგი და ზედა პერანგი, ხოლო წელსქვედაა: ქვედა საცვალი და შარვალი. ამასთან, როგორც აღვნიშნეთ, სამოსს ახლავს თავსაბურავი, ფეხსაცმელი, ფეხსამოსი და სამკაული.



ნახ. 8. მამაკაცის პერანგი — ქ ო ა ჩ

მამაკაცის პერანგი — ქ ო ა ჩ — ქალის პერანგზე მოკლეა. იგი შარძაყებს ფარავს, მხრებში გადაუჭრელია, სახელოები ხელის მტევნამდე აღწევს და სწორედ შიდგმულია, გვერდებში შედგმულია სამკუთხედად აჭრილი აზღოტები — ხ ა თ თ ა შ (ინგ. ხ ე თ თ), იღლი-

ის ქვეშ უკეთებდნენ ხიშტაკს—კ ე ნ დ, პერანგს აქვს მაღალი (ოთხი თითის დადება), მოკერებული საყელო ქ ა ჩ. წინ, გულმკერდთან ჩაჭრილია, იკვრება 10—16 ღილ-კილოთი, მაჯები და ბოლო შეკეცილი ჰქონდა.

მოგვიანებით შემოსული ზედა პერანგი — ხალათი — აღწერილი პერანგის თარგს იმეორებდა, მაგრამ დაემატა გულმკერდზე, ორივე მხარეს ზემოდან დაკერებული ჯიბეები — ქ ი ს ა ნ ა შ და სახელოებზე სამი თითის სიგანე სამაჯურები—ფ ა ფ უ შ ი ლ გ ი შ. ამ პერანგს ‘ციდა’ პერანგი კი არ ამოუგდია ხმარებიდან, არამედ გაზარდა სამოსის ელემენტთა რაოდენობა. შემდგომ შიდა პერანგის საყელო შეიცვალა



ნახ. 9. მამაკაცის პერანგი (ხალათი) — ქ ო ა ჩ (ხაალათ)

ყელის ირგვლივ უფრო ღრმად ამოჭრილი, ერთი თითის სიგანე ქსოვილის ნაჭერმოკერებული საყელოთი, რომელიც წინ იკვრებოდა ერთი ან ორი ღილ-კილოთი. აღნიშნული ჯიბეებით გაწყობილი, მაღალსაყელოიანი პერანგი — ხ ა ა ლ ა თ — ცვლიდა ახალუხს და მას იცვამდნენ ჩოხის შიგნით. ამ ნიშნებით ხასიათდებოდა კახელი და დაღესტნელი მამაკაცის პერანგიც. ცხადია, ტერმინი ხ ა ა ლ ა თ ვეინახური არ არის, ჩანს, რომ ქისტებმა იგი პანკისის ხეობაში დასახლების შემდეგ მეზობელი კახელებისაგან გადმოიღეს. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ნათქვამია: ხ ა ლ ა თ ი — მამაკაცის ზედა ტანსაცმელია, რომელზედაც ქამარს ირტყამენ. ჩეჩნები და ინგუშები ამ ელემენტსაც ქ ო ა ჩ-ს უწოდებენ.

ივ. ჯავახიშვილი წერს: „სახელი ხალათი, რომელიც ეხლაცაა გავრცელებული, სრულიად უცნობია ძველი ქართული მწერლობისათვის XVII საუკუნემდე. ხალათი სპარსული სახელია და იქიდანვეა შემოსული. პირველად შემოდის, როგორც სპარსული და თურქული ტანისამოსი, ხოლო შემდეგ სპარსი და ოსმალი მებატონეებისაგან საჩუქრის ანუ წყალობის სახით". ამით ივ. ჯავახიშვილს იმის თქმა კი არ უნდა, რომ თვით ეს ელემენტიც სპარსეთიდანაა შემოსული. ამ ტერმინის შემოსვლამდე ქართველები აღნიშნულ ელემენტს კ ვ ა რ თ-ს, შემდეგ პერანგს უწოდებდნენ. შეიძლება ქართველებმა ეს ტერმინი კაცისა და ქალის პერანგის განსხვავების მიზნით შეითვისეს, მაგრამ შემდგომ სახელწოდება კვართი ამოვარდა და ყოფაში დამკვიდრდა ტერმინი პერანგი. შიდა პერანგისათვის გამოყენებული იყო თეთრი ფერის ნარმა, ლაინი, მიტკალი, ხოლო ზედა პერანგისათვის (ხალათი) შავი, ლურჯი, ყავისფერი ლასტიგი, მაუდის ქსოვილი, ატლასი და ადრეულ პერიოდში ოჯახში ნაწარმი შალი.

ტერმინი „ხალათი" (რუს. халат) ამჟამად ქართულსა და რუსულში სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება, მაგალითად, საშინაო ხალათი, ექიმის ხალათი და ა. შ. ქართულში ხალათს განიერ წამოსასხამ სამოსსაც უწოდებენ, ხოლო კახეთში — მამაკაცის ზემოთ აღნიშნულ ზედა პერანგს. მისი სრული თარგი და შეკერილობა შემდეგნაირად ხასიათდება: ხალათის სიგრძე იგივეა, რაც შიდა პერანგის, მხრებში — ბ ე ლ ი შ — გადაჭრილი, სახელოები — ფ უ ჯ უ შ ი შ — ხელის მტევნის დასაწყისამდე გრძელი, სწორად მიდგმული და სამი თითის სიგანე სამაჯემოკერებული, იკვრება ორ-ორი ღილ-კილოთი, ხალათს გვრდებში შედგმული აქვს სამკუთხედად აჭრილი აზღოტები, საყელო მრგვლად ამოჭრილია და წინ, გულმკერდთან 10—12 სმ ჩაჭრილი. ხალათს უკეთებდნენ მაღალ საყელოს, რომელიც წინ, გულმკერდთან ჩაჭრილი საკინძითვე იკვრებოდა 7—8 ღილ-კილოთი. საკინძის გარშემო შემოვლებული ჰქონდა ერთი თითის სიგანე ნაჭერი ღილ-კილოების დასაკერებლად, ხოლო შემდგომში ზოგს საკინძის მთელ სიგრძეზე ზემოდან ედებოდა ორი თითის სიგანე ქსოვილის ნაჭერი, რომელზედაც იჭრებოდა კილოები. საკინძი მარცხნიდან მარჯვნივ იკვრებოდა. საყელოზე და საკინძზე გავლებული ჰქონდა ერთი ნაკერი. გულმკერდზე აქეთ-იქით, ზემოდან ეკერებოდა ორი ჯიბე. ამ ელემენტს კერავდნენ როგორც შინ მოქსოვილი, ასევე ფაბრიკული წესით დამზადებული მაუდისა და აბრეშუმის ქსოვილისაგან.

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში აღნიშნული ხალათის მაღალი საყელო შეიცვალა გადმოკეცილი საყელოთი, მკერდის ჯიბეებმაც დაკიდებული ფორმა მიიღო. ეს

სამოსი უკვე ფაბრიკული წესით დამზადებული შალისა და ბამბის ქსოვილისაგან იკერებოდა. მთხრობელის გადმოცემით, ამ თარგზე შეკერილმა ხალათმა სწრაფად პოვა გავრცელება ვეინახ ახალგაზრდებში. ხანში შესულები კი მაღალსაყელოიან, საკინძის ღილ-კილოთი შეკრულ ხალათს ირჩევდნენ, მაგრამ მკერდის ჯიბეები აქაც დაკიდებული ფორმის ჯიბით შეიცვალა. აღნიშნულ ხალათს „კავკასიურ ხალათს“ უწოდებენ, იგი კარგად არის შეხამებული გალიფე-შარვალთან. ტერმინი „გალიფე“ ქართულ და ვეინახურ ლექსიკონში ახლადშემოსულია და ამდენად, იგი წემოსულ ელემენტად უნდა მივიჩნიოთ.



ნახ. 10. შარვალი — შ ა რ ბ ა ლ

სამოსის შემდეგი ელემენტია შ ა რ ვ ა ლ ი, რომლის სახელწოდება ვეინახებშია შ ა რ ბ ა ლ, დაღესტნის კუმიკებში, აგულებში, ლეზგინებში — შ ა ლ ვ ა რ, ჩრდილო ოსეთში — შ ა ლ ბ ა რ, აზერბაიჯანში — შ ა ლ ვ ა რ, მთის ებრაელებში — შ ო ვ ა ლ, რუსებში — შ ა რ ო ვ ა რ და სხვ. შარვალი, ქართული განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, მამაკაცის წელსქვეშით ჩასაცმელი, ტოტებიანი გარეთა სამოსია.

ეს ტერმინი ქართული არ არის და XVII ს. შემოდის. საბას მოსაზრებით, შალვარი ბერძნულიდან არის შემოსული, მაგრამ ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „ტერმინი შ ა ლ ვ ა რ სპარსულია და ნიფხავს ნიშნავსო. იგი მეორე განმარტებასაც იძლევა: „შარვალი სპარსული სიტყვა და შალისაგან გაკეთებულ ტანისამოსს ნიშნავს“. როგორც

ჩანს, ვეინახური შ ა რ ბ ა ლ სპარსული შ ა ლ ვ ა რ-იდანაა მიღებული.

ვეინახი მამაკაცის ქვედა საცვლისა და შარვლის თარგი ერთი და იგივეა. იგი გრძელი იყო, კოჭებამდე, ხოლო უბისა და წელის ადგილ-ზე—მეტად განიერი, ტოტებს შორის შედგმული ჰქონდა სამკუთხედად აჭრილი განიერი ნაჭერი, რომელსაც ე ი ლ-ს (უბეს) უწოდებდნენ. ქალის ქვედა საცვლისაგან განსხვავებით, შარვლის ტოტები უბიდან ბოლამდე შეეიწროებული იყო და ფეხქვეშ ამოსადებად უკეთდებოდა პაჭანაკები (უზანგები) — ჩეჩნურად — ჯ ო ლ უ ყ უ შ, ინგუშურად — ლ ო ა ლ, ქისტურად — ჯ ო ყ ი ლ გ ი შ. შარვალს სათავე გადაკეცილი ან ქობიანი ჰქონდა (საქობედ მაგარი ქსოვილი იხმარებოდა). სათავეში ხონჯარს — ბ ა ა რ ჩ-ს — უყრიდნენ. მსგავსი შარვალი გავრცელებული იყო როგორც ჩრდილო კავკასიაში, ასევე საქართველოში, მაგრამ განსხვავებული იყო შარვლის სათავეში ქობად მოკერებული ნაჭერი და წელში გაყრილი უხეში ხონჯარი.

ვეინახების ყოფაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მამაკაცის შარვლის ხონჯარს, რომელიც რამდენიმე წვერად დაგრეხილ უხეშ ბაწარს წარმოადგენდა (მეტი სიმაგრისათვის ვეინახები იყენებდნენ ორ ან სამმაგ ლამფის ფითილსაც — მ ი ლ თ). უწინ მთაში არსებობდა ასეთი წესი: თუ ვინმეს დაუმსახურებლად შეურაცხყოფდნენ ან აწყენინებდნენ, სამაგიეროს გადახდა შარვლის ჩახდით იცოდნენ, რაც მამაკაცისათვის და მთელი გვარისათვისაც დიდ სირცხვილად ითვლებოდა. ეს წესი მთის რაიონებში ალაგ-ალაგ დღესაც შემორჩენილია. მაგალითად, შათოვის რაიონში ერთმა ახალგაზრდა ბიჭმა მოტაცებით შეირთო ქალი. ამით შეურაცხყოფილი ქალის ძმა, თავისი ორი ამხანაგით, დახვდა სიძეს და დაუწყეს შარვლის ჩახდა. სიძემ სთხოვა: „თავს ნუ მომჭრით, ჩვენ ნათესავები ვართ, თავი გამანებეთო“, მაგრამ არ მოეშვნენ და სიძემ ერთ-ერთი დანით მოკლა.

ახალგაზრდებს შორის დამნაშავისათვის შარვლის ჩახდით სამაგიეროს მიზღვის შემთხვევები მთის რაიონებში ხშირი ყოფილა. ამ სასირცხვილო ამბის თავიდან აცილების მიზნით, ვეინახი მამაკაცები ატარებდნენ უხეშ სქელ ხონჯარს, რომელიც ჩხუბის დროს ადვილად არ გაწყდებოდა.

ვეინახებში მამაკაცის ქვედა საცვლისათვის იყენებდნენ თეთრი ფერის ლაინს, მიტკალს, ხოლო შარვალს კერავდნენ მეტწილად შინ მოქსოვილი შალისაგან, იშვიათად კი ფაბრიკული მაუდისაგან.

ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში ვეინახ მამაკაცებში გავრცელდა გ ა ლ ი ფ ჯ — შარვალი, რომელსაც ახალგაზრდებიც სიამოვნებით იცვამდნენ, ზოგიერთი ამ შარვალს დღესაც დიდ პატივს სცემს. 40—50-იან წლებშიც მას ფართოდ იყენებდნენ მთისა და ბარის რაიონებში. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ იგი მუხლებზემოთ ძალიან განი-

ერია და ამ მხრივ მათ ეროვნულ შარვალს წააგავს. ამას გარდა, ამ შარვალზე იოლად იცმეოდა წინდები, პაჭიჭები და მაღალყელიანი ფეხსაცმელები. ამჟამად ვეინახი ხნიერი მამაკაცების შარვალს ზოგი დეტალი ტრადიციული შარვლიდან აქვს შემორჩენილი და ზოგიც გალიფედან ნასესხები (წინ ჩახსნილი, მუხლს ქვევით დავიწროებული ტოტები, შემცირებული უბე და სხვ.).

ზაფხულში მამაკაცები აღნიშნულ ხალათ-შარვალს ანდა ხალათ-გალიფეს ჩაიცვამდნენ და ზემოდან წელზე შემოირტყამდნენ ქამარ-ხანჯალს. საგარეოდ ხალათზე გადაიცვამდნენ ახალუხს ან ჩოხას (ამ შემთხვევაში ქამარს ხანჯლითვე ახალუხის ან ჩოხის ზემოდან შემოირტყამდნენ). ზოგი მოხუცი ქამარ-ხანჯალს ახალუხის შიგნითაც ატარებდა. ეს იმ შემთხვევაში, როცა რომელიმე გვართან სადავო საქმე ჰქონდა და რაიმე ხიფათს ელოდებოდა. ხალათ-გალიფესთან მეტწილად შეხამებული იყო სამი თითის სიგანე შავი ან ყავისფერი ტყავის უსამკაულო ქამარი, რომელსაც ხალათზე შემოირტყამდნენ. ზოგი სევადიან ტრადიციულ ქამარ-ხანჯალსაც ატარებდა.

ამრიგად, ჩეჩნები და ინგუშები მამაკაცის ქვედა საცვალს ხ ე ჩ-ს უწოდებენ, ხოლო შარვალს— შ ა რ ბ ა ლ ს. პანკისის ქისტები კ-ხშირ შემთხვევაში, ორივე სახის ელემენტს ხ ე ჩ-ს უწოდებენ, ტ ი ე რ-ხ ე ჩ — ზედა შარვალი, ჩ უ რ-ხ ე ჩ — შიდა საცვალი.

ხალათ-შარვალზე გადასაცმელი სამოსი იყო კავკასიაში ფართოდ გავრცელებული ახალუხი — ღ ო ვ თ ა ლ. მას ხმარობდნენ მამაკაცები 10 წლის ასაკიდან სიკვდილამდე. ახალუხი ვეინახებში პერიოდულად იცვლიდა თავის პირდაპირ დანიშნულებას. მას ხან შიდა, ხან გარე (ზედა) სამოსად იყენებდნენ, რაც დამოკიდებული იყო ოჯახის შეძლებაზე. ახალუხი ითვლებოდა როგორც ყოველდღიურ, ასევე საგარეო და საზეიმო სამოსად. ა. მაგომეტოვი წერს: ოსეთში ახალუხი ადრინდელი სამოსია. იგი ხმარებიდან არ გადის და მტკიცედ უკავია თავისი პირვანდელი ადგილი. ავტორის აზრით, ჩოხა მოგვიანო დროის მოვლენაა და იგი ყველაზე უფრო დამახასიათებელ ელემენტად იქცა მამაკაცის სამოსში.

დაღესტნის ხალხებშიც ახალუხს დიდი ხნის ისტორია აქვს. ს. გაჯიევას მონაცემებით, კუმიკებში ახალუხის წარმოშობა ფრიად ძველ პერიოდთან არის დაკავშირებული. მისი არსებობა და მოხმარება დგინდება XVII საუკუნეში. ამ ელემენტის თარგი საქართველოში, ვეინახებში, დაღესტანში და ოსეთში ერთი და იგივე გვაჩვენება, მაგრამ სახელწოდებები სხვადასხვაა. მაგ.: ქართულად — ა ხ ა ლ უ ხ ი, ვეინახურად — ღ ო ვ თ ა ლ, ოსურად — ქ უ ი რ ა თ, დაღესტნელი კუმიკები ყ ა ფ თ ა ლ ს უწოდებენ, ხოლო აგულები და ლეზგინები — ვ ა ლ ჩ ა გ-ს, აზერბაიჯანლები — ა რ ხ ა ლ ი გ-ს.

ახალუხი თურქული სიტყვაა — წერს ივ. ჯავახიშვილი.

თუკი ამ ელემენტის სახელწოდება მეზობელ ხალხებს საკუთარი აქვთ, არ შეიძლება ქართველ ხალხსაც არ ჰქონდეს ახალუხის შემცველი სხვა სიტყვა, რადგან ეს სამოსი ეცვა ყველა ქართველს — თუშს, ფშაველს, კახელს, იმერელს, მეგრელს, გურულს და სხვ. თუმცა ქართულში ახალუხს ზოგჯერ საგულეს უწოდებდნენ, სვანები კი — კ ა ბ დ ა ვ ო ს ა რ ი კ ა ბ-ს (ე. ი. „ჩოხის კაბა“).

ვეინახი მამაკაცის ღ ო ვ თ ა ლ არის მუხლამდე მწვდომი, წინ ჩახსნილი, გულმკერდდახურული, მოკერებული აქვს სამი თითის სიგანე საყელო, მხრებში გადაკერილია, სახელოები ხელის მტევნამდე აღწევს, მაჯებთან ოდნავ შევიწროებული და მხრებთან სწორად მიდგმული, ამასთან, ეს სამოსი მთლიანად დასარჩულებულია და წმინდად დალიანდაგებული. საყელო და გულმკერდი ღილ-კილოთი იკვრება. გულმკერდზე აქვს ან ერთი ჯიბე (მარცხნივ), ან ორი (მარცხნივ და მარჯვნივ). ქალის ახალუხის მსგავსად, მისი წინა კალთები და ერთი უკანა (შუა) კალთა წელთან გადაუჭრელია და წელს ქვემოთ შედგმული აქვს ოთხი (მიკერებული) კალთა და წინა მხარეს — ორი ენა. ყველა კალთა სიგრძით და სიგანით თანაბარია, ენები კი უფრო ვიწროა. გვერდითი კალთები წელის არეში ოდნავ ამოწეუ-





ნახ. 11. ახალუხი — ღ ო ვ თ ა ლ

ლია და ქმნის ჩიბუხს, ქისტები ამას ბ ჭ ო გ ი ლ გ-ს უწოდებენ. ღოვთალს გვერდებზე ჩაჭრილი აქვს ფარული პარკებიანი ჯიბეები. წინა კალთებზე, საყელოს ირგვლივ შემოვლებულია დაგრეხილი ყაითანი (ვრეხილი). საზამთროდ დაბამბულ-დალიანდაგებულ ახალუხებსაც კერავდნენ.

ქართველი, ოსი და დაღესტნელი მამაკაცის ახალუხის თარგი ვეინახურის ანალოგიურია, მაგრამ მათი განსხვავება შეკერილობასა და მართვაში მაინც შეინიშნება. მათგან განსხვავებით, აზერბაიჯანელი. მამაკაცის ახალუხი მთლიანად წელში გადაჭრილია და ნაოჭმიყრილი. ვეინახები ყოველდღიურად ჩასაცმელ ახალუხს კერავდნენ შავი, ლურჯი, მუქი ყავისფერი ლასტიგისა და ლაინისაგან, ხოლო საგარეო (საზეიმო) ახალუხს — შავი, ლურჯი, თეთრი ფერის ფარჩისა და ატლასისაგან. სარჩულად უდებდნენ იაფფასიან ქსოვილს — ჩითს. ნარმას და სხვ.

ვეინახები ახალუხზე იცვამდნენ ჩოხას — ჩ ო ა. აღნიშნული ელემენტიც საგარეო, საზეიმო სამოსად ითვლებოდა. ასევეა იგი მიჩნეული კავკასიის სხვა ხალხებშიც (ქართველები, ოსები, დაღესტნელები და სსვ.).

ძველად (XVI—XVII—XVIII სს.) ქართულში სიტყვა „ჩოხა“ ორივე სქესის ბერ-მონაზონთა სამოსელს აღნიშნავდა. „ჩოხა“ ქსოვილის ერთ-ერთი სახის აღმნიშვნელადაც იხმარებოდა. ვახუშტი ამბობს: „ტანსა კაბა ლარისა, სკლატისა ანუ ჩოხისა“. დ. ჩუბინაშვილს სკლატი შალის ერთ-ერთ სახედ აქვს მიჩნეული, ვახუშტისაც ჩოხა შალის შესატყვისად აქვს ნახმარი. დ. ჩუბინაშვილს ჩოხა ნათარგმნი აქვს, როგორც მაუდი ან დრაპი, ზოგჯერ როგორც ზედა სამოსი („ხიფთანი“). მაშასადამე, ტერმინი „ჩოხა“ სამი გაგებით იხმარებოდა: როგორც ზედა სამოსის ერთ-ერთი სახე, როგორც მონაზონთა შესამოსელი და როგორც შალის ქსოვილის სახესხვაობა.

XIX საუკუნეში მამაკაცის ეს გარე სამოსი „ჩერქეზულის“ სახელითაც აღინიშნებოდა.

ე. სტუდენეცკაია წერს: სახელწოდება „ჩერქეზკა“ ამ სამოსს რუსებმა უწოდეს, რომლებმაც იგი პირველად იხილეს დღევანდელი ადიღეელებისა და ჩერქეზების წინაპართა შორის. ეს სახელწოდება იმას არ მოასწავებს, რომ იმ ტიპის ჩოხა, რომელიც რუსებმა პირველად ნახეს, აუცილებლად ჩერქეზული წარმოშობისა იყოს. „ჩერქესკა“, ჩვენი აზრით, მარტო ჩოხის მნიშვნელობით არ იხმარება. იგი, ვეინახი ქალის ღ ა ბ ა ლ-ის მსგავსად, მამაკაცის მთლიან კოსტუმსაც





ნახ. 12. ჩოხა—ჩოა

აღნიშნავს. მაგალითად, „მას ჩერქეზკა აცვია“, იმას ნიშნავს, რომ ვინმეს აცვია არა მარტო „ჩერქეზულად“ ხმობილი ჩოხა, არამედ ყველა მისი თანმხლები სამოსი (ახალუხი და სხვ.).

ავტორის მონაცემების მიხედვით, გულგადაღეღილ ჩოხას („ჩერქეზკას“) იცვამდნენ მხოლოდ მოხუცები. პირიქით, სევადიანი ქამარ-ხანჯალშემორტყმული ჩოხა ახალგაზრდების საგარეო, საზეიმო სამოსი იყო. ცხადია, შუა ხნის მამაკაცებიც საგარეოდ ჩოხას ახალუხს ზემოდან იცვამდნენ, ხოლო ახალგაზრდებმა ახალუხის ნაცვლად მაღალსაყელოიანი ხალათის ჩაცმა დაიწყეს. ხანში შესული მამაკაცი, საზოგადოებაში გასვლის დროს, ჩოხის გარეშე ახალუხსაც იცვამდა და წელზე შემოირტყამდა ქამარ-ხანჯალს, ოჯახში დაბრუნების შემდეგ კი ძველ, საშინაო ახალუხს ჩაიცვამდა.

დაღესტანშიც ჩოხა საზეიმო სამოსად ითვლებოდა, ხოლო ახალუხი საშინაო ჩასაცმელად, ასევე იყო აფხაზეთსა და საქართველოს სხვა მრავალ რეგიონში.

ჩოხად წოდებული ეს ელემენტი თითქმის ყველა კავკასიელს ეცვა. მაგალითად, ქართველი ამ ელემენტს ჩ ო ხ ა-ს უწოდებდა, ოსი — ც უ ყ ყ ა-ს, დაღესტნელი კუმიკები — ჩ ე ფ კ ე ნ-ს, აგულე-

ბი — ჩ ო ხ ა ი-ს ლეზგინები — ჩ უ ხ ვ ა-ს, აზერბაიჯანლები — ჩ უ ხ ი-ს, ვეინახები — ჩ ო ჯ ის და ა. შ.

ჩოხა ახალუხის ზემოდან ჩასაცმელი ელემენტია, რომელსაც კერავდნენ ოჯახში ნაწარმი შალისაგან. ბოლო ხანებში ფაბრიკული წესით დამზადებულ მაუდის ქსოვილსაც იყენებდნენ. ვეინახური ჩოხა რუხი, მუქი ყავისფერი შალისაგან იყო დამზადებული. შეძლებულები თეთრი ფერის ჩოხა-ახალუხსაც ხმარობდნენ. ჩოხა იმეორებს ახალუხის თარგს, მაგრამ შეკერვის დროს ზოგიერთი ცვლილებაა შესულილ. მაგალითად, ახალუხის წინა კალთებზე მიდგმული ორი ვიწრო ენა, ზოგ შემთხვევაში, ჩოხაზე გადატანილია გვერდებზე, ან სულ მოხსნილია. ჩოხა ახალუხზე უფრო გრძელია. იგი, კისრიდან მკერდის ძირამდე, ორიბად და ზემდეგ სწორად, ბოლომდე ჩახსნილი და წელში მოყენილი, იკვრება 4—5 ღილ-კილოთი. მას გული ღია აქვს, სახელოები განიერი, გრძელი და სწორად მიდგმული. გულმკერდზე, ორივე მხარეს დაკერებულია სამასრეები (8 ან 10 მასრის), გვერდითი ორივე კალთაზე ჩახსნილია საჯიბეები — ახალუხის ჯიბეების გამოყენების მიზნით. იგივე კალთები ბოლოდან შეხსნილია 12—15 სმ-ით. ჩოხას წელზევით და სახელოების მაჯებზე უკეთებდნენ სარჩულს — ცეკვის დროს იდაყვამდე აკეცილი სახელოები რომ ლამაზად გამოჩენილიყო. ჩოხის წინა მხარეს, საყელოს ირგვლივ, სამასრეებზე, გვერდითი კალთებზე და ბოლოშეხსნილ ჩაქებზე შემოვლებული ჰქონდა აბრეშუმის ყაითანი (ვერცხლი). მთხრობელის გადმოცემით, თავდაპირველად ჩოხის სამასრე ბეჭედები გამოყენებული ყოფილა საბრძოლო ტყვიის ჩასადებად. მშვიდობიანობის პერიოდში იგი გამოიყენეს სილამაზისათვის, შემკული მასრების (ქილებში) ჩასადებად. მასრები ხისგან მზადდებოდა, რომელსაც უკეთებდნენ ძვლის ან ვერცხლის თავებს. მასრები ერთმანეთთან მიმაგრებული იყო წვრილი ვერცხლის ძეწკვით.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ჩოხას, კუთხეების მიხედვით, განსხვავებული სახე ჰქონდა. ეს გამოიხატებოდა ჩოხის განსხვავებულ სიგრძეში, სამასრეების დაკერების წესში, გაფორმებაში, ჭრილთა და შენაჭერთა თავისებურებაში და სხვ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩოხისა და ახალუხის თარგი ძალიან რთულია. და მას ნებისმიერი მკერავი ვერ კერავდა. ალბათ, ესეც არის ერთ-ერთი მიზეზი, რომ საერთოკავკასიური ტიპის ჩოხას სხვადასხვა კუთხეში განსხვავებულად კერავდნენ. ოსი მამაკაცის ჩოხა, ვახუშტის დახასიათებით, მოკლეა — მუხლებამდე მწვდომი, ხოლო ა. ბაგომედოვის მონაცემებით (XIX საუკუნეში) კი — ძალიან გრძელი. იგი წერს: ჩოხის სიგრძე დამოკიდებული იყო წლოვანებაზე, ახალგაზრდები იცვამდნენ მოკლე ჩოხებს და რაც კი წლოვანებაში შედიოდნენ, მათ ჩოხას სიგრძეც ემატებოდა.



ნახ. 13. ტყავის ქურქი — კაკანქეთილ

ჩოხის ტიპები და მისი გავრცელების არეალი საქართველოში დადგენილი აქვს აკ. სოხაძეს. საქართველოში გავრცელებულ ჩოხას იგი სამ ტიპად ყოფს: ხევსურულ, ქართლ-კახურ და საერთოკავკასიურ ჩოხად, დადგენილი აქვს მისი გავრცელების არეალიც.

ვეინახი მამაკაცის საზამთრო გარე სამოსს წარმოადგენდა ქურქი — ჯ ა ვ ა ნ ქ ე თ ი რ, რომელიც ვეინახთა სამკვიდროში ფართოდ გავრცელებული სამოსი იყო. მ. ალბუთაშვილის მიერ ფიქსირებული ცნობების მიხედვით, ახალგაზრდა ქისტი კაცი ტყავს იშვიათად იცვამდა, ხოლო მოხუცებულები მოსასხამ დურა, დიდ ტყავებს ხმარობდნენ. ქურქი ორნაირი იყო: მოსასხამი და ჩასაცმელი. მოსასხამი ქურქი კოჭებამდე გრძელი და განიერი იყო. მას გრძელი სახელოები და ბეწვამობრუნებული საყელო ჰქონდა. მის შესაკერად საჭირო იყო 7—8 გრძელბეწვიანი ცხვრის ტყავი. ქურქი მთის პირობებში საუკეთესო საზამთრო სამოსად ითვლებოდა. ამასთან, საგულისხმოა, რომ მას საბნისა და ბალიშის ნაცვლადაც იყენებდნენ. ქურქს ბეწვიანი მხარე შიგნით ჰქონდა მოქცეული. ხშირად ტყავებმოხვეული მოხუცები საათობით ჩამოსხდებოდნენ უბნის სანახშოში—ფ ჰ ყ უ ე ხ ი ე— გაწყობილ ქვებზე და მუსაიფობდნენ სოფლის ავკარგზე. მეორე სახის ქურქსაც ბეწვიანი მხარე შიგნით ჰქონდა მოქცეული. მას, ქალის ჩოხისებურად, წინა კალთები მთლიანი ჰქონდა და უკან წელში გადაკრილი, ოდნავი ნაოჭით ან სწორად მოკერებული ზედატანზე. ტყავს გულმკერდი დახურული ჰქონდა და იკერებოდა მკერდის ძირამდე რამდენიმე ღუგმით. სახელოები, ხელის მტევნის დასაწყისამდე გრძელი. ვიწროდ მოყვანილი და მხრებში სწორად მიდგმული. წინა მხარეს, საყელოზე და სახელოების მაჯებზე მიკერებული ჰქონდა ბეწვამობრუნებული ტყავი. ეს სამოსი მეზობელი დაღესტნელების სამოსსაც წააგავდა. ანალოგიური სამოსი სცმიათ ხევსურებს, ფშავლებს, თუშებს, მატნელ და ახმეტელ გლეხებსაც, მაგრამ მცირედ განსხვავებული ნიშნებით. ვეინახებმა, ბოლო ხანებში, ამ სამოსის მაგიერ, „ჟილეტის“ მსგავსი, უსახელო, წელზევით ჩასაცმელი ტყავის (მჭარტყავის) ან ქსოვილის დაბამბული სამოსიც შემოიღეს, რომელსაც იცვამდნენ ახალუხისა და ჩოხის შიგნით, ბოლო ხანებში ვეინახი მამაკაცები ხმარობდნენ წელში გადაკრილ, ნაოჭმოყრილ, გადაკეცილ-საყელოიან ქურქს.

მამაკაცის სამოსის ელემენტებიდან ფრიად ფასდებული იყო მოსასხამი ნაბადი — ვ ე რ თ, იგი შეუცვლელი იყო წვიმაში, თოვლში, ქარიან ამინდებში ცხენით მგზავრობის დროს. კარგი ნაბადი მამაკაცის სიამაყე იყო. ამით იმაღლებდა იგი ავტორიტეტს საზოგადოებაში. ყოველი ვეინახი მამაკაცის ოჯახი იყო აქონოდა საჩინო ჩოხა-ახალუხი, მოვერცხლილი ქამარ-ხანჯლითვე, ნაბადი ყაბალახით, გარიბანდული

ქუდი, ფეხზე „აზიაცები“ (ი ქ ქ ი შ) და კარგი უნაგირით შეკაზმული ცხენი. მამაკაცს კარგ ამინდშიც, ცხენით მგზავრობის დროს, ნაბადი თან ჰქონდა. იგი მრგვლად შეხვეული, ცხენის გავაზე დანდობილი და თასმით უნაგირზე იყო მიმაგრებული.

ნაბადი (დაუჭრელად) თავიდანვე ფორმაზე მოთელილი მოსასხამია, რომელსაც ბოლო უფრო განიერი აქვს, ვიდრე თავი. ნაბადს მოთელვის შემდეგ უღებდნენ ბეწვს სპეციალური სავარცხელით, შემდეგ ღებავდნენ, გაშრობის შემდეგ ხელმეორედ ბეწვს ამოაცლიდნენ და მოასხამდნენ საგანგებო წებოს. წელზევით დაუდებდნენ სარჩულს, ბეჭებს გაუკერავდნენ. ყელის გარშემო და წინ, გულმკერდის მიდამოში (ნაპირებზე) შემოავლებდნენ ერთი თითის სიგანე ტყავს, ზოგი ბუზმენტით გააწყობდა. ნაბადს წინ, შესაკვრელად უკეთებდნენ დაგრეხილი ძაფის ან ტყავის ორ ზონარს, რომლებსაც ბოლოში სილამაზისათვის ფოჩები ჰქონდა. კავკასიაში ყველაზე უკეთეს ნაბდად ანღიური ნაბადი ითვლებოდა, მაგრამ ჩეჩნური ნაბადიც თავისი ხარისხითა და სიმსუბუქით განთქმული იყო მთელს ჩრდილო კავკასიაში. ნაბდის სიავკარგე უწინარესად ბეწვის სიგრძით განისაზღვრებოდა.

მოსასხამი ნაბადი ყველა მამაკაცს არ ჰქონდა. გაჭირვების დროს მისი მეზობლებისაგან თხოვებაც შეიძლებოდა.

ვეინახებში გავრცელებული იყო სამწყემსო ნაბადიც, რომელსაც ისინი (გარდა ქისტებისა) ჯ ი ე ლ ი ე ლ ო ა ვ ე რ თ-ს უწოდებდნენ. ქისტები კი ამ სამოსს თ ი ე ქ-ს უწოდებენ. ეს სახელწოდება მათ ქართული თ ე ქ ა-ს მიხედვით შეიმუშავეს. ვეინახები თექას არ ღებავდნენ. ქალები ცდილობდნენ სათექე ნაბადი შავი, თეთრი და ყავისფერი მატყლის ნარევისაგან მოეთელათ, თექა პერანგის ტიპის, წინ მთლიანად ჩახსნილი. განიერსახელოებიანი და კაპიუშონიანი, გრძელი (მუხლს ჩაშორებული) სამოსი იყო, რომელიც წვიმას არ ატარებდა და დასველების შემთხვევაში, მალე შრებოდა. იგი ქარიან ამინდშიც საუკეთესო იყო, ცხვრის პატრონები თექას ბოლო დრომდე ხმარობდნენ.

ვეინახ მამაკაცთა უმრავლესობის სამოსის განუყოფელი ნაწილი იყო ქისა — ქ ი ს ი ე თ, რომელშიც ინახავდნენ თამბაქოს — თ ‍ ‍ ‍

ვები— ტ უ ა ლ ა ხ ა შ. მას იყენებდნენ შრომის პროცესში (ყანის მკა, თიბვა) მაჯაზე შესაკრავად. სამაჯურები 58 სმ სიგრძისა და 9—10 სმ სიგანის სხვადასხვა ფერის ქსოვილის ნაჭრებისაგან იყო შეკერილი, რომელიც დასაწყისიდანვე თანდათანობით ვიწროვდება და ბოლოში მისი სიგანე 5—6 სმ-ია, სადაც (თითოს) მობმული აქვს აბრეშუმის ფუნჯებიანი ორი ზონარი. მას მაჯებზე სილამაზისთვისაც იკრავდნენ, მაგრამ მთავარი მისი მიზანი იყო შრომის პროცესში ხელის მტევნის ძალის დატანების შედეგად ამოვარდნისაგან დაცვა. სამაჯურებს ქალებიც იკრავდნენ ყანის მკის დროს.

2. ვარცხნილობა და თავბურვა

ვარცხნილობა და თავბურვა სამოსთან ერთად განიხილება, ვინაიდან ის ადამიანის მორთულობის ორგანული ნაწილია და სამოსს გარკვეულ ელფერს აძლევს.

ტრადიციულად ვეინახ ქალებში გრძელი თმა იყო მიღებული. მის გასაჩრდილად ქალები ყველა საშუალებას მიმართავდნენ: იბანდნენ მჟავე რძით, შრატით, თმის ძირებში უსვამდნენ კარაქს და სხვ. ამას გარდა, ქისტი ქალები თავს ძროხის შარდითაც იბანდნენ. ზოგიერთები აკვნის ბავშვს თავზე ახლად დაკლულ ძროხის თბილ ფაშვს აღებდნენ. ჩანს, რომ ქისტებმა ეს ჩვეული პანკისში დასახლების შემდეგ აითვისეს, რადგან ჩრდილო კავკასიის ვეინახებში მსგავსი წესები არ დასტურდება.

მ. ალბუთაშვილი წერს: „ქისტის დედაკაცი მწვრით ანუ ძროხის შარდით იბანს თავს, თვით თავმომწონე გასათხოვარი ქალებიც კი, რის გამო მათ არასასიამოვნო სუნი უდით თავზე..., ამას თვითონაც კარგად გრძნობენ, მარა დარწმუნებულები არიან, ვითომ ეს საშუალება თმის ძირებს ამაგრებს, ზრდის, არბილებს და ამ ჩვეულებას თავს არ ანებებენ, მართლაც თმა ძალიან კარგი და გრძელი ეზრდებათ, ამ საშუალებას ხმარობენ ფშავლებიც“.

გრძელი თმა მიღებული იყო თუშებშიც. ისინი თავს კვერცხის გულით, ნაცარწყლით და მჟავე რძით იბანდნენ.

გრძელნაწნავებიან ქალს მამაკაცებიც დიდ ყურადღებას აქცევდნენ. მათ თმა ქალის ფასად მიაჩნდათ, გრძელი თმა ქალის სილამაზის ნიშანიც იყო, ამიტომ გასათხოვარი, გათხოვილი და მოხუცი მას თავის სიცოცხლე ატარებდა. ჩეჩნებში და ინგუშებში ბუნებრივი თმის ფერის შეცვლა მიღებული ყოფილა, მაგრამ შეჭრა სირცხვილად ითვლებოდა.

ვეინახები უწინ თმებს — მ ე ს ა შ — შუაზე იყოფდნენ და სამ-

ოთხ ნაწნავად (ჩეჩნ. კ ა ჟ ა რ, ინგ. კ ე ჟ, ქისტ. კ ე ჯ — მრ. კ ა ჟ ა რ ა შ კ ე ჯ ა რ ა შ) დაწნულს ზურგზე დაიწყობდნენ. ახალგაზრდები, ვისაც გრძელი და ხშირი თმა ჰქონდა, დაუწნავად ძირში იკრავდნენ და ზურგზე გაშლილად ატარებდნენ. ზოგიერთები კი თმებს წინ აბუ-ებულად და უკან ახვეულად იკეთებდნენ. თმის ახვევა გოგონას შე-ეძლო 13—15 წლიდან, როცა ჩოხას ჩაიცვამდა და გასართობად წა-სვლის უფლება მიეცემოდა. მსგავსი ტერმინი კ ე ა ჯ ქისტებში იხმარე-ბა გრძელბეწვიანი მატყლის სახელწოდებადაც: მაგ., „მ ა ბ ბ ე ხ ჩ ო ბ ო ლ ა შ კ ე ა ჯ ი ა“ — რა გრძელბეწვიანი მატყლია, თუშები (წოვა) სა-ერთოდ მატყლს კ ე ჭ-ს უწოდებენ. მისი შესატყვისი ფორმა ვეინა-ხებშია კ ე ე და კ ე ჯ, რაც ნიშნავს თმის ნაწნავს.

წლოვანებაში შესული ქალი თმებს ორად იწნავდა. თმის ბოლო-ებს შეიკრავდა დაგრეხილ ძაფზე ასხმული სხვადასხვა ფერის მძივე-ბით. ხშირი და გრძელნაწნავებიანი ქალი, მძივებთან ერთად, ამ-ულეტსაც ჩამოიკიდებდა ავი თვალის შიშით. ქალი თმის დავარცხნის დროს ჩამოცვენილ ბეწვებს აგროვებდა თავისი სიცოცხლის მანძილ-ზე. გარდაცვალების შემდეგ ამ თმას საფლავში ჩააყოლებდნენ, ბო-ლო ხანებში წვავენ, უმთავრესად ისინი, ვისაც ვაჟიშვილი მკვდარი ჰყავს.

არქეოლოგიური მონაცემებითაც, ძველად ქალებს თმა შუაზე გა-ყოფილი და რამდენიმე ნაწნავად დაწნული, ზურგზე ჰქონდათ და-წყობილი.

ჩვენს დროშიც ვეინახი ხანდაზმული ქალი თმას ისევ შუაზე იყოფს და ორად დაწნულს ზურგზე დაიწყობს ხოლმე. ჩეჩნეთ-ინგუ-შეთში ახალგაზრდები და პატარძალი მაღალ ვარცხნილობას იკეთებენ. ვისაც საკუთარი თმა არა აქვს, ის სხვისას ან ხელოვნურ თმას იდებს, რომ ვარცხნილობა მაღალი გამოუჩნდეს.

ვეინახი ქალი ტრადიციულად თავშალს — ქ ო რ თ ლ ი — დღე-ნიადაგ მოუხდელად ატარებდა. იგი უმისოდ საზოგადოებაში არ გა-ივლიდა და არც თავის ოჯახში მამაკაცს დაენახვებოდა. თავშალი დიდ როლს ასრულებდა პატარძლის მიერ შესასრულებელი ტრადიციული, თვითმყოფადი ნორმების დაცვაში, სარწმუნოებრივ საქმიანობაში, ქმარეულთან ურთიერთობაში, უსიამოვნების შემთხვევაში ატეხილ დავაში და სხვ. ვეინახებში მძიმე წყევლად ითვლებოდა მანდილმოხდით დაწყევლა. მსგავსი წესი დასტურდება სვანეთშიც.

ინგუშეთის სოფ. მეცხალის, ერზის, მორჩის, ხამხის, წორის და სხვ. არქეოლოგიური მონაცემებით დგინდება, რომ ქალებს თავზე მოხვეული ჰქონიათ თეთრი ან ფერადი თავშალი, ზოგს კი ქ უ რ-ხ ა რ ს ი.

ე. კრუპნოვი აღნიშნავს: ქურხარსი მხოლოდ შეძლებული ოჯახის ქალებს ეხურათ. ინგუში ხანდაზმული მანდილოსნებიც ადასტურებენ, რომ უწინ მათ წინაპრებს ჰქონიათ მაღალი, ლამაზად შემკული თავსაბურავი, რომელსაც იხურავდნენ მხოლოდ საზეიმო დღესთან დაკავშირებით.

ჯერ კიდევ 1638 წელს საქართველოში მომავალ რუს ელჩს შეუვლია ინგუშეთში და მას პირველად უნახავს, რომ ქალებს თავზე ახურავთ ნახევარი არშინის რქისმაგვარი თავსაბურავი. უფრო გვიან კლაპროტსაც შეუმჩნევია ეს თავსაბურავი და მიუმსგავსებია არჩვის (ფსიტის) რქებისათვის, რომელსაც ჩ უ გ უ ლ ს უწოდებდნენ. აღნიშნული თავსაბურავი (ქურხარსი), არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით, დახასიათებული აქვს ლ. სემიონოვს და ე. კრუპნოვს.

იმის გამო, რომ ქურხარსი განეკუთვნება საკვლევ პერიოდამდელ თავსაბურავს, ამდენად, მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ (იხ. აღნიშნული ავტორების შრომები). ტერმინი ქურხარსი ინგუშურ ენაში შემდეგ ჯხსნას პოულობს: ქ უ რ ნიშნავს ვარცხნილობას, ამაყს, ხოლო ხ ა რ ს ა შ — სამოსის მოსართავ აბრეშუმის ძაფებს და ფოჩებს.

ჩვენს დრომდე შემორჩენილი ინგუში ქალის თავსაბურავის შემადგენელი ნაწილი ქუდი— ი ე გ ა ქ ი (მოქარგული ქუდი), რომელსაც იხურავდნენ გასათხოვარი ქალები და პატარძალი საზეიმო დღეს, ქურხარსის გადმონაშთად გვეჩვენება. ქ ი-ს ინგუშები კერავდნენ ყვითელი, წითელი, ცისფერი, და მწვანე ფერის ხავერდის ან აბრეშუმის ქსოვილისაგან. მას ამკობდნენ ბუზმენტითა და სხვადასხვანაირი აბრეშუმის ძაფებით. ინგუში ქალები ქუდის ზემოდან იხურავდნენ სამი მეტრი სიგრძის თეთრ შიფონს, რომლის ორივე ყური წინა მხარეს ჰქონდათ ჩამოფარებული. ზოგი მოსახვევის ყურებს ყელქვეშ ამოატარებდა და ზურგზე გადაიწყობდა.

ამჟამად ინგუშეთში ქუდი პატარძლისათვის გამზადებული სამოსის ერთ-ერთ ელემენტად გვეელინება. ჩეჩენი და ქისტი ქალები ქუდს არ იხურავდნენ. მათი თავდაპირველი მოსახვევი იყო — ქ ო რ თ ლ ი. ამას ადასტურებს ა. ალბუთაშვილიც: „ქისტ ქალ-რძალს არ უნდა არც შლიაპა — რუსულად, არც ჩიხტა-კოპა-ლეჩაქი ქართულად, არც თეთრი ფულით ან ოქროებით მოჭედილი ჯიღა თათრულად. იმას ახურავს შავი მანდილი უბრალო ქსოვილისა, რომელიც ორი აბაზი ღირს. თუ შეძლებულია — აბრეშუმის მანდილი, რომელსაც შ ა უ ლ ა ჯ-ს უწოდებენ, ისიც სამ მანეთზე მეტი არა ღირს. ეს მანდილები, ერთიც და მეორეც, იმათ სხვა ხალხივით არ აქვთ ყელში შეკრული ან სხვაფრივ უშნოდ შემოხვეული; უბეურად მოკეცილი ახურავს თავზე და სამივე ყური მანდილისა უკან აქვს გადაყრილი. ამნაირად, შავს

მანდილში საღად მოჩანს თეთრ-წითელი ყელ-ყური და ლოყები ქისტი ქალისა, რომელიც მომაჯადოებელია ყოველი კაცისა".

აქ ავტორს მხედველობაში აქვს მხოლოდ სრულწლოვანი ქისტი ქალის თავზე მოსახვევი, რომელიც, მეზობელი მთიელების გავლენით, ხშირად შავი ფერისა იყო.

XVII—XIX სს., მუსულმანური რელიგიის შედეგად, ვეინახებში გაჩნდა თავსაბურავი ჩ უ ხ ტ, რომელსაც ატარებდნენ ქალები 15 წლის ზევით. ჩ უ ხ ტ ქართული ჩიხტის ანალოგიური ტერმინია, მაგრამ განსხვავებულია მისი დამზადების ტექნოლოგია და ფორმირების წესი.

„ქართული ჩიხტა ქაღალდისაგან მზადდებოდა და რკალისებურად იყო მოყვანილი. რკალი ცალმხრივ ვიწრო იყო, მეორე მხრივ კი უფრო ფართო და ოდნავ დაქანებული. თავზე დადგმის დროს ჩიხტის ვიწრო მხარე შუბლისკენ ექცეოდა, ფართო მხარე კი თხემს ებჯინებოდა". ჩიხტას ზემოდან გადაკრული ჰქონდა შავი, მუქი ლურჯი ფერის ხავერდი, მოქარგული ოქრომკედით.

ჩეჩენი და ინგუში ქალის ჩუხტ შავი ლასტიკის ან ატლასის ორად გადმოკეცილი ქსოვილია, რომელსაც აქვს ტომრისებური ფორმა თმების ჩასადებად. მისი სიგანე 34 სმ, ხოლო სიგრძე 80 სმ-ია, თავის მხარეზე ჩახსნილია 18 სანტიმეტრზე და ორივე ნაპირზე მობმულია ზონარი, რითაც ხდება ჩუხტის თავზე დამაგრება. ბოლოზე მოკერებული აქვს ფოჩები — ჩ ე ჩ ჯ (ქისტ. ქ უ რ ჩ ა შ). ჩუხტის ზემოდან შუბლზე შესაკერელი იყო 6 სმ სიგანისა და 75 სმ სიგრძის ბოლოებშევიწროებული იმავე ქსოვილის თავსაკრავი, რომელსაც ჩ უ ხ ტ ჰ ნ ტ ა მ-ს — ჩიხტის ტოტს — უწოდებენ.

ჩუხტას ხმარობენ ჩეჩენი და ინგუში ხანდაზმული მანდილოსნები. მისი დანიშნულება არის თმების დამალვა.

ანალოგიური ჩუხტა ფართოდ არის გავრცელებული დაღესტანში.

ჩეჩნეთ-ინგუშეთში გვხვდება რამდენიმე სახის თავსაბურავი: ქიშმირის შალი — ძ ი ფ ი ა ვ ლ ა ჯ, აბრეშუმის თხელი თავშალი — გ უ ლ მ ე ნ დ ი (ქისტ. თ ა ვ შ ი ი ლ), აბრეშუმის სახიანი თავშალი — შ ა ვ ლ ა ჯ, შიფონი — შ ი ფ ო ნ, შალის ფოჩებიანი თავშალი — ჩ ე ჩ ჯ ი ო ლ ტ ე რ ღ ქ ო რ თ ლ ი, უჯრიანი თავშალი — კ ე დ ბ ო ლ ქ ო რ თ ლ ი და სხვ. აქედან, გასათხოვარი ქალისა და პატარძლის თავშლად ითვლებოდა შიფონი და აბრეშუმის სახიანი მოსახვევი შავლაჯ. ქიშმირის შალი დიდი მოცულობის შავი, თეთრი ან ჭრელი თავშალია, რომელსაც გათხოვილი და მოხუცი ქალები იხურავდნენ უბიანად მოკეცილს. მისი ერთი ყური წინა მხარეს იყო ჩამოკიდებული, ხოლო მეორე ყელქვეშ გამოტარებით ზურგზე გადადებული. მოხუცი ოჯახში იხურავდა პატარა ზომის მოსახვევს ლოყების დამალვით. შალის ფოჩებიანი თავშალიც მოხუცი ქალის საგარეო საზამთრო მოსახვევად

ითვლებოდა. უჯრიანი თავშალი კი ბავშვებისა და ოჯახში სახმარი მოსახვევი იყო.

ქისტი ქალი, როგორც ზემოთაც აღინიშნა, თავშალს, უბიანად მოკეცილს, უკან, ბეჭებზე გადაგდებულს იხურავდა. 10—12 წლამდე გოგონას კი ყელზე შემოხვეული და უკან შეკრული ჰქონდა.

ჩვენს დროშიც ვეინახებში მტკიცედ არის შემორჩენილი თავშლის ტარების წესი. ახალგაზრდებმა უკვე მიატოვეს დიდი ზომის თავშლების ხმარება, ისინი იხურავენ პატარა ზომის, თხელი აბრეშუმის მოსახვევებს. ხოლო მოხუცები ინარჩუნებენ თავბურვის ძველ წესებს. გასათხოვარი ქალის საზეიმო დღეებში სახმარი თავშალი საპატარძლო თავშლისაგან არ განსხვავდებოდა.

პატარძლის ქმრის ოჯახში მიყვანის შემდეგ დედამთილი ან მული მას მოხდიდა მამის ოჯახში მოხვეულ თავშალს და დაახურავდა წინასწარ საგანგებოდ მისთვის ნაყიდ თეთრი, ყვითელი, წითელი ან ცისფერი აბრეშუმის თავშალს. ქისტები სამკუთხედად მოკეცილ თავშალს პირდაპირ თავზე მოიხურავდნენ და სახეს მთლიანად მალავდნენ. ჩეჩნებში და ინგუშებში თავშლად უმეტესად მიღებული იყო სამმეტრიანი თეთრი „შიფონი", რომელიც სახეს მალავდა და ოთხივე ყური წინა მხარეს ჰქონდა ჩამოკიდებული.

რაც შეეხება მამაკაცის ვარცხნილობას და თავბურვას — მათ ტრადიციულად თავის გადაპარსვის ჩვეულება ჰქონიათ. ამას ხსნიან იმით, რომ თავი ბოხოხ ქუდში ოფლიანდება, იკუმშება სისხლძარღვები და ტვინის ნორმალური მუშაობა ირღვევა. ამასთან, ოფლიანი თმა თავისებურ სუნს გამოსცემს და ჭუჭყიანდება — გვაუწყებს მთხრობელი. მუსლიმანური რელიგიითაც ადამიანის სხეულზე, სახის გარდა, თმის გაზრდა დიდ ცოდვად ითვლება. ამ რელიგიის მიმდევართა რწმენით, თმაში იმალებიან ავი სულები, რომლებიც ადამიანს აწუხებენ ყოველ ნაბიჯზე. რევოლუციის შემდგომ პერიოდში ახალგაზრდობამ უარყო თმის გადაპარსვის ჩვეულება და მასიურად შემოიღეს მოკლედ შეჭრილი ვარცხნილობა, მაგრამ ხანდაზმულობის პერიოდში უბრუნდებიან ტრადიციულ წესს.

ვეინახი ახალგაზრდა პირს იპარსავდა 16—17 წლის ასაკში და იტოვებდა ულვაშებს — მ ი ჯ ა შ. ამ აქტის შესრულების პირველი დღე ახალგაზრდა მამაკაცის სრულწლოვანთა (ვაჟკაცთა) რიგებში შესვლის დღედ ითვლებოდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ვეინახები მცირეწლოვან ბავშვს (ბიჭს), დედის მუცლიდან მოყოლებული თმის გაპარსვისას, თავის თხემზე, ნეკა თითის სიგანე ადგილზე უტოვებდნენ თმას და დათქვამდნენ მისი მოჭრის დროს. 3—7 წლის შემდეგ დიდ წვეულებას გადაიხდიდ-

ნენ და საზეიმო ვითარებაში შეჭრიდნენ ამ კოწოლს. ამ ხნამდე, თმის გაღაღების დროს მას ხელს არ ახლებდნენ. სამ თუ შვიდ წლამდე კოწოლი იზრდებოდა და ბავშვი მას ქუდში მალავდა ხოლმე. დათქმული ვადის შესრულების დღეს, ოჯახის უფროსი დაკლავდა სამი თუ შვიდი წლის მოზვერს ან ხარს, გამოხდიდნენ ლუდს, არაყს და მოიწვევდნენ ნათესავებს, მეზობლებს და მოგვარეებს. ამ დღეს ბავშვს გაბანდნენ, ჩააცმევდნენ ახალ ტანსაცმელს და წაიყვანდნენ სალოცავში გამზადებული ტაბლით, რომელსაც იქ შეალოცვინებდნენ და შეექცეოდნენ, შემდეგ დაბრუნდებოდნენ ოჯახში და იმართებოდა ქეიფი, გართობა. ზოგიერთი სალოცავში შეწირავდა საკლავს და მთელ რიტუალს იქ ჩაატარებდნენ. საღამოს რიტუალის მონაწილენი ბრუნდებოდნენ სახლებში. გვარში საჩინო მოხუცი კაცი ბავშვს შეჭრიდა კოწოლს, რომელსაც ბავშვის დედა სათუთად ინახავდა, ვიდრე ცოცხალი იყო, დედის შემდეგ კი — და.

საველე-ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ვეინახებში დადგენილია მამაკაცის შემდეგი თავსაბურავები: კ ა ჯ ა ნ ქ უ ი — ცხვრის ტყავის ქუდი, ბ ი ე ყ ა გ ქ უ ი — ნაბდის ქუდი, ხ ო ა ლ ღ ა ზ ქ უ ი — კარაკულის ქუდი, ჯ ა (უ ნ ქ უ ი — სამწყემსო ქუდი და სხვ. ქისტები ქუდს ქ უ ი-ს უწოდებენ, ხოლო ინგუშები ქ ი-ს. ცხადია, ტერმინი ქ უ ი ქართული „ქუდის“ ანალოგიურია. სიტყვა „ქუდი“, როგორც ივ. ჯავახიშვილი წერს, „ქართულ მწერლობაში XI საუკუნეზე ადრე არ გვხვდება, თუმცა შენიშნავს, რომ იგი „ვოსრამიანსა“ და „ვეფხისტყაოსანში“ ჩვეულებრივი სახელია, მაგრამ საფიქრებელია, რომ უფრო ადრეც იყო შემოსული“.

იმავე ავტორის აზრით, ქართული ქუდი და სპარსული ხ უ დ ერთი და იგივე სიტყვაა, რაც ნიშნავს მუზარადს, ე. ი. რკინის ქუდს. „ამ ტერმინს, ძველ სპარსეთშიც ქუდის მნიშვნელობა ჰქონია“.

ვეინახ მამაკაცებს ქუდი დღენიადაგ ეხურათ, შინ თუ გარეთ. ისევე როგორც ქალებს ეკრძალებოდათ თავშალმოხდილი ყოფნა ოჯახში და საზოგადოებაში, ისე მამაკაცისათვის უქუდოდ სიარული მიუღებელი იყო. ამ წესს ეჩვეოდნენ მცირეწლოვანი ბავშვებიც, ისინი ქუდ დაუხურავად გარეთ არ გადიოდნენ.

ზემოთ ჩამოთვლილი ქუდები, გარდა საზაფხულო ნაბდის ქუდისა, ერთი-ორი ან ოთხი ნაჭრისაგან იკერებოდა. ცხვრის გრძელბეწვიანი ტყავის სამწყემსო ქუდს ერთ გვერდზე ჰქონდა ნაკერი და მას სარჩული არ გააჩნდა. საშინაო და მოკლებეწვიანი ცხვრის ტყავის ქუდს ორი ნაკერი ჰქონდა, მისი სიმაღლე 20 სმ-ს აღემატებოდა. სარჩულად უდებდნენ დალიანდაგებულ ბამბის ქსოვილს, ხოლო ცა შალისა იყო.

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დამდეგს, ჩეჩნეთში და ინგუშეთში გავრცელდა შემოტანილი ბუხარული ცხვრის

ტყავის ქუდი, რომელსაც ვეინახები ბ უ ხ ა ა რ ქ უ ი-ს უწოდებდნენ. იგი ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ შეძლებული ოჯახის წარმომადგენლებისათვის. რევოლუციამდე ეს ქუდი ღირდა ერთი ძროხა ან ფულად მისი ღირებულება. პანკისის ქისტებში ბ უ ხ ა ა რ ქ უ ი პირველად გაჩნდა 1910—1915 წლებში და ისიც მხოლოდ თითო-ოროლას ჰქონდა. ახალგაზრდები ამ ქუდს დიდ პატივს სცემდნენ. ჩვენს დროშიც ყოველი ვეინახი ახალგაზრდის ოცნებაა იქონიოს ოქროსფერი კრაველის ქუდი. ბუხარული კრაველის ქუდები სხვადასხვა ფერისა იყო: შავი, ნაცრისფერი, ყავისფერი, მაგრამ ოქროსფერი უფრო მიღებული იყო და მას ფასიც დიდი ჰქონდა (25 მანეთი). ამ ქუდის ცა ან იმავე ბუხარული ტყავისა იყო, ან ხავერდისა, ან შალისა.

ვეინახები ზაფხულში იხურავდნენ ნაბდის ქუდებს, რომელსაც მ ა ნ გ ა ლ ქ უ ი-ს ან ლ ა ბ-ს უწოდებდნენ.

მ ა ნ გ ა ლ ქ უ ი თეთრი მატყლისაგან მოთელილი ნაბდისაგან მზადდებოდა. ჯერ ნაბადს მოთელავდნენ, გარეცხავდნენ, შემდეგ სველ მდგომარეობაში სპეციალურ კალაპოტზე თავის მოყვანილობას აძლევდნენ, გაასწორებდნენ ქუდის მინდორს, გარშემო შემოასწორებდნენ მაკრატლით ან დუქარდით და დადებდნენ მზეზე გასაშრობად. გაშრობის შემდეგ, თავის გარშემო და მინდვრის ირგვლივ, მიაკერებდნენ თეთრი მიტკლის ნაჭერს, თავკუნჭულაზე უკეთებდნენ ფუნჯს. სახელწოდებაში „მანგალ ქუი“ მანგალ ცელს ნიშნავს, ხოლო ქუი— ქუდს, ე. ი. ეს ქუდი თიბვის დროს დასახური იყო. პანკისის ქისტები დაოსტატებული იყვნენ თუშური ქუდების კეთებაში. ისინი ამ ქუდს ბ ა ც ა ი-ქ უ ი ს-ს — თუშურ ქუდს — უწოდებენ. აღსანიშნავია ისიც, რომ თვითონ ქისტები ამ ქუდს არ იხურავდნენ. მას მხოლოდ საბაზროდ ამზადებდნენ. მ. მაჩაბლის ცნობით, 12—13 წლის ქისტი გოგონები მონაწილეობას იღებდნენ ქუდების წარმოებაში, რომელსაც შემდეგ ყიდიდნენ. აღებული თანხა მათი საკუთრება იყო და დედები ამ ფულით მათთვის სამზითვოდ ნივთებს ყიდულობდნენ. თუშური ქუდი ფართო ხმარებაში იყო მთელს აღმოსავლეთ საქართველოში, ამიტომ მას კახურ ქუდსაც უწოდებენ.

ს. მაკალათია წერს: თუშ „მამაკაცებს თავზე ხურავთ თუშური ნაბდის ქუდი“, მისი დამზადების პროცესი ძალზე რთულია, მაგრამ ქისტის ქალები წელიწადში (თითოეული ოჯახი) 500—600-მდე ქუდს ამზადებდნენ. ოჯახის ქალი, ვისაც დამხმარე არ ჰყავდა, შეუამხანაგდებოდა მეზობელ-ნათესავებს და ერთად თელავდნენ, მატყლის ფასს და მიღებულ მოგებას იყოფდნენ შუაზე.

წლის ყველა დროში შემოსული მატყლი საქუდედ ვარგისი რიდი იყო. მაგალითად, გაზაფხულისა (ვეინახურად— ქ ა, წოვა-თუშურად — ქ ა ქ ა) და შემოდგომის (ვეინახურად — თ ხ უ ე, წოვა-თუშურად —

თ ხ ე) მატყლის ნარევისაგან კარგი საქუდე ნაბადი არ შეითელებოდა, ამიტომ შემოდგომის მატყლს ურევდნენ ზაფხულის მატყლს. ამ შემთხვევაში ნაბადიც კარგად ითელებოდა და ქუდებიც ხარისხიანი გამოდიოდა — მოგვითხრობს მთხრობელი.

ქისტები ქუდებისათვის რბილ მატყლს ირჩევდნენ. გაზაფხულის მატყლს მხოლოდ საბნებისათვის, მუთაქებისათვის იყენებდნენ, რადგან ამ მატყლისაგან მოქსოვილი შალიც კი არ ითელებოდა.



ნახ. 14. ქუდები — ქ უ ი ნ ი შ

საქუდე ნაბადს შემდეგნაირად ამზადებდნენ: ტილოზე (ქისტ. ტ ვ ე ლ გ ა რ გ), რომლის სიგანე 3 მტკაველს უდრიდა, ხოლო სიგრძე 5—6 მეტრს, სამპირად დაფენდნენ დაპენტილ რბილ მატყლს, შემდეგ ადუღებული წყლით დანამავდნენ, დაახვევდნენ, ზემოდან მოახვევდნენ სხვა, ოთხკუთხედად აჭრილ ტილოს და მუხლმოკეცით ორი ქალი მკლავებით თელავდა (ამჟამად ნაბადს ტახტზე თელავენ ფეხდგომელა და წელში მოხრილი ქალები), ტილოგანშორებულ ნაბადს აშრობდნენ და შემდეგ ისევ ადუღებული წყლით ნამავდნენ და თელავდნენ. მოთელილ ნაბადს (სიგრძეზე) შუაზე ორად გაჭრიდნენ, ერთ მხარეს ნაწიბურებს დუქარდით (ქისტ. კ ო დ) შეასწორებდნენ. ამ შოლტებს ბეწვის მოსაშორებლად ცეცხლის ალზე შეტრუსავდნენ და ისევ მოთელავდნენ, გააშრობდნენ და ღებავდნენ შავად. თითო შოლტიდან გამოდიოდა 10—12 ქუდი.

საქუდედ გამზადებულ ნაბდის შოლტებს ერთნაირად ღებავდნენ სამღებრო ქვაბში (ქისტ. |ა ჟ დ ა რ ჲ ი). საღებავად იყენებდნენ მურყნის ქერქს (ქისტ. მ ე | ი ნ გ — ქ ე ვ ს ქ), რომელსაც წვრილად

დაჭრიდნენ. ამ ნაჭრებს ჩაყრიდნენ ქვაბში, შემდეგ მასში ჩადებდნენ ნაბდის შოლტებს (ქისტ. გ ა ა რ გ ი შ), შუა და შუა ჩააყოლებდნენ ქერქს და ზემოდანაც დაადებდნენ, წყალს ჩაასხამდნენ და ადუღებდნენ მანამ, სანამ წყალი ნახევრამდე დავიდოდა; შემდეგ ამოიღებდნენ შოლტებს და ამ ნახარშში ჩაყრიდნენ სამ-ოთხ ჭიქა ძაღას, წამოადუღებდნენ, ისევ ჩადებდნენ შოლტებს და ხარშავდნენ იმდენ ხანს, სანამ წვენი ფსკერამდე დავიდოდა. შეღებილ შოლტებს ამოიღებდნენ და დადებდნენ გრილ ადგილას. როცა დაიწურებოდა, ხელმეორედ ცეცხლის ალზე გაატარებდნენ, მოთელვით დაახვევდნენ მაგრად და სწორ ადგილზე გაშლიდნენ გასაშრობად. გამშრალ შოლტებს ცხიმს წაუსვამდნენ (ფერის მისაცემად), ისევ დაახვევდნენ, ჩადგამდნენ ხურჯინში და მიჰქონდათ თბილისში, წნორში ან თელავში გასაყიდად. ქუდებს დიდი გასავალი ჰქონდა ალავერდობის, უსანეთობისა და თეთრი გიორგობის დღეობებში. ქისტის ქალები შეკერილ ქუდებს ყიდიდნენ. ქისტების მიერ დამზადებული საქუდე ნაბდებით სარგებლობდნენ თელავის ვაჭარი-დურციგები, რომლებიც ადიოდნენ პანკისში და ყიდულობდნენ ასობით ნაბდის შოლტებს. მათ სპეციალური ფარდული ჰქონდათ გახსნილი, სადაც საქუდე ნაბდებისაგან ქუდებს კერავდნენ და თვითონვე ასაღებდნენ.

როგორც საველე-ეთნოგრაფიული მასალიდან ჩანს, ამ ქუდების დამზადება ფრიად შრომატევადი საქმეა, ამიტომ თუშის ქალებმა ეს ხელობა ადრევე მიატოვეს და მზა ქუდებში ქისტებს აძლევდნენ მატყლს, ყველს, ბოლო ხანებში კი ნაღდ ფულს. ზემო და ქვემო ალვანში ფიქსირებული მასალების მიხედვით, ქისტებს ქუდები თვითონ ჩამოჰქონდათ ალვანში გასაყიდად. იყო შემთხვევები, როცა თუშები საქუდე მატყლს სანახევროდ ქისტებს აძლევდნენ.

ვეინახებში საშინაოდ ფართო ხმარებაში იყო აგრეთვე თავზე მოყვანილი დაბალი, მოკლებეწვიანი ტყავის ქუდიც. მათში რელიგიის შეცვლასთან დაკავშირებით გაჩნდა აბრეშუმის ან ბამბის ფერადი ქსოვილის ნაჭრებისაგან შეკერილი ქუდიც, რომელსაც ჩეჩნები ფ ი ე-ს, ხოლო ინგუშები ვ ე ს ქ-ს უწოდებენ. ამ ქუდს ხმარობდნენ ხანში შესული მამაკაცები რელიგიური რიტუალების შესრულების დროს.

ტერმინი ფ ი ე ს-ის მსგავსი სიტყვა ფ ე ს ი დამოწმებული აქვს ლ. ბარათაშვილს მესხეთ-ჯავახეთში. ფესს სამჯერ შემოხვეული ჰქონდა გრძელი მარმაში, ხოლო გლეხის ფესს ორჯერ—ფერადი ჩითი.

სიტყვისაგან „ფესი“ ბგერადობით თითქმის არ განსხვავდება სიტყვა ფ ე ს ვ ი, მაგრამ მათი მნიშვნელობა სხვადასხვაა.

ფ ე ს ვ ი, ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, სამოსელის ქვედა ნაწილია, ხოლო საბას განმარტებით, „სამოსელის ქვედა კერძო ქობაა“.

ვეინახებში ქუდი ვაჟკაცობის სიმბოლო იყო. ქუდის, ისევე როგორც მანდილის, მიმართ დიდი და პატარა განსაკუთრებულ მოკრძალებას ამჟღავნებდა. თუ მამაკაცი რაიმე საქმეში სისუსტეს გამოიჩენდა, იტყოდნენ „მამაკაცის ქუდის შემრცხვენიაო“, „ეგ ქუდი მაინც არ გეხუროსო“ და სხვ. ვეინახურ პოეზიაში ხშირია მამაკაცის ვაჟკაცობისა და ლაჩრობის მაუწყებელი სასიმღერო ლექსები, სადაც ფიგურირებს ქუდი. ასეთია, მაგალითად, საძოვრების განაწილებისას ქმრის უწილოდ დარჩენით შეწუხებული ქალის მიერ გამოთქმული შემდეგი ლექსი:

სულიშ |ენდიშ, ლეკ ლამ ბიეყუშ,
ბეეც წავ ცაკეშთ, ჯვიერ ნეენ კანთ,
ჰუან დიქ დერა გადეეხ ქის,
ბარ სთუც, დეშქ გუათანც ბალშამ აახ ათთ დერ სუან,
ჰიო ვით ხალა დერა სუან, ეთა ავითაჰი ვ ს.
ჯუერ ნეენ კანთ.
ლეკები და ანდიელები მაღალ მთას რომ იყოფდნენ,
ბალახის ერთი კონაც კი არ შეგხვდა, ქერიკი დედის შვილო,
შენ ქუდის მაგიერ უნდა გეხუროს მანდილი,
რვაუღლიანი ხის გუთნით მთის მაღალი წვერის
მოხვნა უფრო ადვილი იყო ჩემთვის, ვიდრე შენი დათმობა,
მაგრამ მაინც გტოვებ, ქერიკი დედის შვილო.

ამ ერთი სტროფიდანაც ჩანს, თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ უწინ ქუდოსნის ყველა საქმეში მონაწილეობას და თავისი წილის მიღების უნარს. იმ შემთხვევაში, თუ იგი ვერ შეძლებდა სხვა მამაკაცების გვერდით ამოდგომას, საზოგადოების აზრით, მას ქუდის მაგიერ თავშალი უნდა ხურებოდა.

ვეინახებში, მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, მისი შერიგებით მოგვარების საქმეში, ქუდის მოხდით თხოვნას დიდი ძალა ჰქონდა. ხანდაზმული მამაკაცის მიერ ქუდმოხდით თხოვნა დიდ უხერხულობაში აყენებდა დაზარალებულს. თუ შერიგებით მოგვარდებოდა საქმე, დაზარალებულს უკან უნდა დაეხია, წინააღმდეგ შემთხვევაში, დანაშაულის ჩამდენი თავის კუთხეს უნდა განშორებოდა და სხვაგან დაედო ბინა. მაგალითისათვის მივუთითებთ, შემთხვევით მცირეწლოვანი ბავშვის მიერ მოკლული თავისი ტოლი ამხანაგის მშობლებისა და ნათესავების დაზარალებულთან შერიგების მომენტს. შერიგებაზე დაზარალებულის ოჯახში მისული 30—40-მდე ხანდაზმული მამაკაციდან ერთ-ერთი მოხუცთაგანი ამბობს: „...ფათერაკი ვის არ მოუვა... იარაღით დაჭრილი განა ისევ იარაღით მთელდება!... კარგი ვაჟკაცის წესია ჩვენში მტრის დახვედრაც და მოკეთის მიღებაც.

გულჩვილიც არის და გულმაგარიც... ღვთისა და ფეიხუმარის გულისათვის, მკვდრის სულის გულისათვის, მამის საპატიოდ, დიდ სამადლოდ, სახალხო საჯავროდ... სასახელოდ და სასიქადულოდ, სხვების სამაგალითოდ, სულაც აპატიოთ სისხლი თქვენცა და თქვენმა ნათესავებმაც, თქვენმა და მათმა ჩამომავლობამაც, ამის დასადასტურებლად და ჩვენ დასარწმუნებლად უნდა წახვიდეთ ერთ-ერთი და ის კაცი იმ საფლავიდან ააყენოთ და შინ გაგზავნოთ“... მოხუცმა მოკლულის მამის წინ დაიჩოქა, მოიხადა ფაფახი და წინ დაუხეთქა. სხვებმაც დაუჩოქეს და ქუდები წინ დაუყარეს. „ეი ეს ჩვენი ქუდები, ჩვენ— შენს წინ დაჩოქილები, ან აიღე ეს ქუდები, თავზე დაგვახურე, ან არადა ფეხით დასრისე და უკან გადმოგვიყარე, ჩვენ ორივეზე მადლობლები ვიქნებით“ — უთხრა მოხუცმა ცოსკარამ. ქასა (მოკლულის მამა) მაშინღა მოდრკა, ვერაფერი მოუხერხა... მძიმედ მისწვდა ცოსკარას ქუდს, აიღო და თავზე დაახურა, სხვებსაც სთხოვა ქუდები დაიხურეთ, გეყოფათო! ცოტა ხანს ჩაფიქრდა და მერე უთხრა შუაკაცებს: „მე შვილები მყავს, ძმა, ძმისშვილები, ბიძაშვილები და მოითმინეთ იმათაც შეეკითხებიო“. შერიგების ასეთ ფაქტებს ვხვდებით ჩვენს დროშიც.

ვეინახი მამაკაცის თავსაბურავში შედის აგრეთვე ყაბალახი — ბ ა შ ლ ა ყ. აჭარლები მას ბ ა შ ლ უ ღ-ს უწოდებენ. ბაშლუღი თურქული სიტყვაა და თავის საბურავს ნიშნავს. როგორც ჩანს, ვეინახებში ტერმინი ბაშლაყ სიტყვა ბაშლუღიდან ყოფილა მიღებული.

ქართულში ეს თავსაბურავი ჩაბალახის სახელწოდებით გვხვდება. საბას განმარტებით, „ჩაბალახი ესე არს თავსახურავი საომარი, გინა წვიმაში თავს ჩამოსაცმელი რამე“. ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს: „ჩაბალახი სახელდობრ ადგილობრივ, საქართველოშია დამზადებული“.

ყაბალახი კავკასიაში ფართოდ გავრცელებული თავსაბურავია, როგორც, კუთხეების მიხედვით, თავისებურად იყო აჭრილი და გაფორმებული.

ბაშლაყ ქუდის ზემოდან დასახური თავსაბურავია. იგი იხმარებოდა ცხენით მგზავრობის დროს, ქარის, წვიმისა და სიცივისაგან ყელ-ყურის დასაცავად. მას კერავდნენ თეთრი ან ყავისფერი ადგილობრივი წმინდა შალისაგან. ბაშლაყის სიგრძე მეტრნახევარია, ხოლო მისი (ყურების) სიგანე — 40—45 სმ, სახის მხარეზე მრგვლად მოყვანილია, ყურებისკენ ორივე გვერდი ირიბად აქვს ჩაჭრილი და ბოლოში მომრგვალებული. ამ ორი ნაწილის ერთმანეთზე გადაკერებით მიიღება კონუსისებური თავზე ჩამოსაცმელი (კაპიუშონი), მისი უკანა მხარე ერთ მტკაველზე შეხსნილია. მას გარშემო შემოვლებული აქვს თეთრი ან ოქროსფერი ბუზმენტი. თავის ნაწილი და წინა ორი

ყური ლოყებთან მოქარგულია ოქრომკედით. თავკუნჭულზე ჩამოკიდებულია იმავე ოქრომკედის ფუნჯი — კ უ ჟ უ ლ, ყაბალახი ყელქვეშ იკვრება აბრეშუმის ფუნჯიანი ზონრით. ამგვარი გრძელყურებიანი ყაბალახი გვხვდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (კახეთი, თუშეთი), ოსეთში, დაღესტანში და სხვ., მაგრამ განსხვავებულ ფორმაზე აჭრილი და გაფორმებული. ზემოთ აღწერილი ვეინახური ყაბალახი ინახება ჩეჩნეთ-ინგუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

3. ფეხსამოსი და ფეხსაცმელი

ვეინახები ფეხსამოსს — ფ ა ა ს თ ა შ (წინდები) — კერავდნენ შინ დამზადებული შალის ქსოვილისაგან. სამოსის რომელიმე ელემენტის გამოჭრის დროს დარჩენილი ნაკუწებიც გამოყენებული იყო საბავშვო ფეხსამოსისათვის.

ქალის წინდები ორი სახისა იყო: მაღალ და დაბალყელიანი. დაბალყელიანი ფეხის კოჭს სცილდებოდა, ხოლო მაღალი — მუხლის ქვეშ იკვრებოდა სათავეში მობმული ბაწრით — ბ ა თ ხ ა რ. ორივე სახის ფეხსამოსს ნაკერი ჰქონია ფეხის წვეროდან ტერფისა და ზედაპირის შუაში ბოლომდე.

ახალგაზრდა ქალები მაღალყელიან ფეხსამოსს საზამთროდ იცვამდნენ, ხოლო დაბალყელიანს — ზაფხულის პერიოდში. ხანდაზმულ მანდილოსნებს კი მაღალყელიანი ფეხსამოსი ქვედა საცვლის ტოტების ჩატანებით მთელი სიცოცხლე ეცვათ.

წინდები შეკერილი იყო თეთრი, წენგო, ლეგა ფერის შალისაგან. რა ფერის სამოსსაც ხმარობდნენ, იმ ფერისა იყო ფეხსამოსიც, რადგან სპეციალურად ფეხსამოსისათვის შალი არ იქსოვებოდა და სამოსიდან დარჩენილი ამ დანიშნულებით გამოიყენებოდა ხოლმე. ფეხსამოსი ორმაგი ქსოვილისა იკერებოდა, ქარგავდნენ სხვადასხვა ფერის აბრეშუმის ძაფებით ისე, რომ წინა და უკანა მხრის ნაკერი სულ არ ჩანდა. ზამთარში ხმარობდნენ ბატკნის ან ცხვრის ტყავის დაბალყელიან ფეხსამოსს მ ე ჰ ც ი ე შ, რომელსაც ბეწვიანი მხარე შიგნით ჰქონდა მოქცეული. იგი, წინდის მაგივრად, ფეხზე იყო მოყვანილი, მისი სიმაღლე 28 სმ შეადგენდა. აღნიშნული ფეხსამოსის გამოჭრა და კერვა ყველა ქალმა იცოდა. ი. კახელი აღნიშნავს: „ფეხსაცმელი მესტების კერვაში ხომ ქისტის დედაკაცებს ბადალი არ ჰყავს“.

ქისტები წინდის ქსოვას იწყებენ ფეხის წვერიდან, ორ ჩხირზე (ჩეჩ.-ინგ. მ ე ხ ი, ქისტ. ჭ ო ი), თვლების ამოსაღებად ემატება მესამე ჩხირი, შემდეგ მეოთხე და თვლები ოთხივე ჩხირზე თანაბრად

განაწილდება, მეხუთე კი საქოსვია, რომელიც ოთხივე ჩხირს უვლის გარშემო. ქსოვის დროს ქისტი ქალი ბაწარს, მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითზე გადახვეულს აწვდის ჩხირს. წვერს იწყებენ 6—8 თვლით, შემდეგ თითოეულ ჩხირს გვერდითა ნაპირზე, ქსოვის პერიოდში თანდათან ემატება იმდენი თვალი, რამდენსაც მოითხოვს ფეხის ტერფის სიგანე. წვივის დასაწყისამდე მოქსოვის შემდეგ გრძელდება მხოლოდ ტერფის ქსოვა და შემდეგ ქუსლის ამოყვანა.

ქუსლის ამოყვანის შემდეგ, ორ ჩხირზე რჩება 4—4 თვალი, დაკლებული თვლები აიღება ტერფიდან და წინდა ჩვეულებრივად მოქსოვება. დაბალყელიან წინდას ფეხის კოჭიდან თითო თვლის წაღმა-უკუღმა ამოღებით ქსოვენ, რომ წვივს კარგად მოადგეს.

ქისტები, პანკისის პირობებში, მაღალყელიან წინდებს ნაკლებად ქსოვდნენ, იმასაც ხანში შესული ქალები.

ქისტებში გვხვდება წინდისებურად მოქსოვილი, ჩუსტის მსგავსი ფეხსამოსი, რომელსაც ფ უ ა ჩ ი რ გ ი-ს უწოდებენ. მას წინდის ნაცვლად იცვამენ და ტყავის ან რეზინის ძირმოკერებული ჩუსტის მაგივრადაც. ქისტებში ეს ფეხსამოსიც, ჩანს, მეზობლების გავლენითაა შესული. მსგავსი ფეხსამოსი დამოწმებულია წოვა-თუშებში და სოფ. მატანში. მატნელები მას ფ ა ფ უ ჩ-ს, ჩალმა-თუშები ქ ა ჩ უ ჩ ა ჲ-ს უწოდებენ. ტერმინი ფაფუჩი, ქაჩუჩაჲ და ფ უ ა ჩ ა რ გ ერთი ძირიდან არის წარმოშობილი.

საწინდედ ქისტები სამწვერიან ბაწარს იყენებდნენ. ახალგაზრდა ქალები ჭრელ წინდებს გასაჩუქებლადაც ქსოვდნენ. იმის გამო, რომ ქისტებს ჭრელი წინდების ქსოვა მამაპაპის კერიდან არა აქვს ათვისებული, წინდის სიჭრელეც თუშურის ანალოგიურია.

ვეინახები წინდის ზემოდან იცვამდნენ კ ა რ ა ხ ა შ-ს (წუღები), რომელიც საზაფხულო საგარეო ფეხსაცმელად ითვლებოდა. იგი შეკერილია ორი ნაჭერი რბილი შავი ფერის ტყავისაგან. მას ნაკერი ფეხის შიგნითა მხარეს, და ტერფის შუა, ფეხის წვერიდან ქუსლამდე აქვს. ნაკერს ჩაქუჩით ასწორებდნენ, რომ ფეხი არ სტკენოდათ. მისი ზედაპირი ჩუსტის მაგვარია და აბრეშუმის კანტი აქვს შემოვლებული. ამ ტიპის ფეხსაცმელს საზამთროდ ნაბდის ყელსა და ტყავის ძირებს უკეთებდნენ. ყელზე გამოსახული იყო ტყავისაგან აჭრილი ორნამენტები. ასეთ ფეხსაცმელს ი ს თ ი ნ გ ბ ჭ ო რ ჯ ა მ-ს უწოდებენ. ზოგიერთი მთლიანი ტყავისა იყო და ნაკლებად განსხვავდებოდა საკაცო ფეხსამოსისაგან. ნესტიან ამინდებში აღნიშნული ფეხსამოსის ზემოდან იცვამდნენ ბანდულებს — ხ უ ლ ჩ ი ე შ. ქისტები მას ქ ა ლ ბ ა ნ ა შ-ს უწოდებენ. ქალამანი იხმარებოდა წინდის ზემოდან.

ქისტები ქალამნის ზომად იღებდნენ ჩამცმელის ერთ მტკაველსა და ერთ გოჯ სიგრძეს. გადაკეცავდნენ სიგრძეზე, შუაზე და მოამრგვალებდნენ ქუსლს, წვერს ოდნავ შეჭრიდნენ; შემდეგ გარშემო დაჩვრეტდნენ დანის წვერით, ნაჩვრეტები ერთმანეთისაგან დაშორებული იყო თითო სანტიმეტრით, ქალამანს ამოასხამდნენ ორი წვერი თავისივე თასმით, ხის სადგისის საშუალებით.

ქისტური ქალამანი არაფრით განსხვავდებოდა თუშეთში, ხევსურეთში და ფშავლებში ხმარებული ქალამნებისაგან, მისი მთავარი უპირატესობა იმაში მდგომარეობდა, რომ იგი არ სხლტებოდა და მწყემსებს თუ მგზავრს კლდოვან ადგილებში სიარულს უადვილებდა.

მ. ალბუთაშვილი წერს: „ბალღებისათვის ფეხსაცმლად ქალამანი იცვან და ხარაზის ჩუსტებიც, ვისაც შეუძლია. გარდა ამისა, იცვან თავიანთივე დედაკაცის შეკერილი ფეხსაცმელი, რომელსაც ძირად შინაური ტყავი აქვს მიკერებული, ზემოდან პატარებისათვის შალის ქსოვილი, დიდებისათვის დაბახანის ტყავი, ამ ფეხსაცმელს კ ა რ ხ ა შ-ს უწოდებენ. ამას ხმარობენ ბებრებიც“.

არქეოლოგიური მონაცემებიც ადასტურებს, რომ ვეინახ ქალებს ფეხზე სცმიათ რბილძირიანი, დაბალი და მაღალყელიანი წუღები, რომელიც შეკერილი ყოფილა ფერადი ტყავისაგან.

ჩეჩენი და ინგუში ქალი შემოტანილ ფეხსაცმელსაც ხმარობდა. მაგ., დაღესტიდან დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ ტყავის ფეხსაცმელი: ქოშები — ფ ა შ მ ა ყ ა შ (ქუსლიანი ფეხსაცმელი, მაშიები), ჩუსტები — მ ა ჩ ი შ და სხვ. ჩუსტებს კუმიკებიც მ ა ჩ ი-ს უწოდებენ.

მამაკაცის ფეხსამოსიც შალის წინდა — ფ ა ზ ა თ ა შ და მოქსოვილი წინდა — ბ ჭ ო რ ჯ უ მ ა შ — იყო. ქალის წინდისაგან განსხვავებით, მას ყოჭიდან 20 სმ სიმაღლე ჰქონდა და არც მოქარგული იყო, ხოლო მოქსოვილი წინდის ტერფისა და ყელის სიგრძე ერთი და იგივე ზომისა იყო.

წინდის ზემოდან წამოიცვამდნენ პაჭიჭებს — ფ ი ე ზ ა გ ა შ. იგი კოჭებიდან იწყება და მუხლამდე აღწევს. პაჭიჭები ორი სახისაა: შინდამზადებული შალისა და გამოყვანილი ტყავისა. ეს უკანასკნელი წვივებზე ვიწროდ მორგებულია და მუხლს ქვემოთ თასმით იკვრება. მას ქვემოდან მიკერებული აქვს პაჭანაკი ანუ უზანგი (ფეხზე ამოსადები). პაჭიჭები მწყემსისათვის ან ცხენით მიმავალი მგზავრისათვის წვიმაში თუ სიცივეში საუკეთესო მოსახმარი იყო. დროთა განმავლობაში ვეინახებში გავრცელდა ფაბრიკული წესით დამზადებული პაჭიჭები, რომელსაც ხმარობდნენ მოდის მიმდევრები.

ვეინახი მამაკაცის ფეხსაცმელი მაღალყელიანიც იყო და დაბალყელიანიც. მაღალყელიანი ფეხსაცმლის ერთი სახეობა შავი ან ყავისფერი დაბახანის ტყავის, რბილძირიანი, მუხლამდე მწვდომი ფე-

ხსაცმელია, რომელზედაც უამინდობის დროს იცვამდნენ ტყავის ჩუსტებს — ჯ ე ყ ქ ა ლ უ ა შ. ნაბდის მაღალყელიანი ,ფეხსაცმელიც რბილძირიანი იყო. მას ტერფი ტყავისა ჰქონდა, ხოლო ყელი ნაბდისა—გაწყობილი ტყავის ნაჭრებით. წვიმიან ამინდებში ამ ფეხსაცმელზედაც იცვამდნენ ჩუსტებს. XX საუკუნის დასაწყისში, რეზინის ფაბრიკული კალოშების გამოჩენასთან ერთად, ჯეყ-ქალუაშ ყოფიდან გაქრა.

დაბალყელიანი ფეხსაცმელი — მ ე ჰ ც ი ე შ — ტყავისაა. ხმაროობდნენ პაჭიჭებთან ერთად. ახალგაზრდა მამაკაცები იცვამდნენ ტარსიკონის მაღალყელიან, წვიეზე მომდგარ ფეხსაცმელს — ი ქ ქ ი შ, რომლის გახდა სხვისი დახმარების გარეშე შეუძლებელი იყო. ამიტომ მას მხოლოდ მოდის მიმდევრები ატარებდნენ.

ამ ტიპის ფეხსაცმელზე ვეინახებს ანეგდოტიც კი აქვთ შემონახული:

ჭიშკარს მხედარი მიადგა და ეზოში მყოფ მასპინძელს უთხრა: „ასსალამ ალეიქუმ, სტუმარს თუ მიიღებთ? ვა ალეიქუმ სალამ, სტუმარი ღვთისაა, მივიღებთ, თუ ფეხზე ი ქ ქ ი შ არ გაკვია—მიუგო მასპინძელმა! რატომ არ ღებულობთ ასეთ სტუმარს? ჰკითხა გაკვირვებულმა სტუმარმა. მასპინძელმა უპასუხა: მხოლოდ იმიტომ, რომ სულ ახლახან დედაკაცთან ერთად ვხდიდით სტუმარს ფეხიდან იქქიშს და ივი მთელ ოთახში ვათრიეთო“.

მთებში საუკეთესო სახმარი ფეხსაცმელი იყო ყელიანი ტყავის ქალამანი. ჩეჩნები და ინგუშები მას ხ უ ლ ჩ ი-ს უწოდებენ. მსგავსი ფეხსაცმელი გვხვდება ხევსურეთში. ს. მაკალათია წერს: „ხევსურებს ფეხზე აცვია წინდა და ყელიანი ქალამანი ხ უ ნ ჩ ა. ხულჩას ძირი დაბანდული აქვს 1,5—2 სმ სიგანის საქალამნე კოპით, შიგ იდებდნენ თივას. მისი ღირსება იმაში მდგომარეობდა, რომ იგი არ სხლტებოდა და მწყემსებს ციცაბო კლდეებზე სიარულს უადვილებდა. ზამთარში ზოგჯერ ქალამნებზე რკინის წრიაპებსაც იმაგრებდნენ. ვეინახები მას ლ ე ნ ა შ — ნალებს — უწოდებდნენ.

ხულჩი ამჟამადაც შეუცვლელ ფეხსაცმელად ითვლება ჩეჩნეთის მთიან სოფლებში. იგი, როგორც ითქვა, მონადირის ფეხსაცმელადაც ითვლებოდა.

ქისტურ ქალამანს ყელი არა აქვს. იგი, როგორც ითქვა, თუშური, ფშავური ქალამნის ანალოგიურია.

ვეინახი მამაკაცის ყოველდღიური ფეხსაცმელი იყო წუღები — კ ა რ ა ხ ა შ, იგი დაბალყელიანი, უძირო, რბილი, ადვილად სახმარი ფეხსაცმელია. მას კერავდნენ შავი ტყავისაგან, მისი შეკერვა თითქმის

ყველა ოჯახის ხანშიშესულ ქალებს და მამაკაცებს შეეძლოთ. ნესტიან ამინდში წუღებზე იცვამდნენ კალოშს ან ჩუსტებს.

ასე წარმოგვიდგება ვეინახი მამაკაცის ფეხსამოსი — ფეხსაცმელი — XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში.

4. სამკაული

საკვლევ რეგიონებში ქალისა და მამაკაცის სამოსის შემადგენელი ნაწილია სამკაული, რომელსაც საზეიმო მნიშვნელობა ჰქონდა. სამკაულს ოჯახის დიასახლისი სათუთად ინახავდა და თაობიდან თაობას გადასცემდა ხოლმე.

ქალის სამკაული იყოფა ხუთ არსებით ნაწილად: ყელის, მკერდის, წელის, ყურისა და ხელის. ამას გარდა, არსებობდა სამოსის გულმკერდზე დასაკერებელი ვერცხლის ღილები და გულსაბნევი.

ვეინახი ქალის ყელის სამკაულში შედის სხვადასხვა ფერისა და მოცულობის მარჯნის მძივები და თეთრი ფულებასხმული ვერცხლის ძეწკვი. მკერდის სამკაულს ეკუთვნის ვერცხლის ბალთებით, ჩაფრასტებით, შიბებითა და თეთრი ფულებით გაწყობილი გულისპირი, რომელსაც იყენებდნენ ჩოხის ან ახალუხის შიგნით და ასევე გარედან, გულმკერდზე. წელის სამკაული ვერცხლის ან მოოქროვილი, ძვირფასი ქვებით გაწყობილი ქამარია, რომელსაც ჩოხაზე ან ახალუხზე ირტყამდნენ. ყურის სამკაულია — დიდი და პატარა ზომის ოქროს და ვერცხლის საყურეები, ხოლო ხელისა — ოქროს და ვერცხლის, ფირუზისა და ზურმუხტისთვლიანი და უთვლო ბეჭდები და სამაჯურები. ყველა ეს სამკაული გამოიყენებოდა ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად, გარდა გულისპირისა და ქამრისა. ვეინახებში ეს ორი უკანასკნელი სამკაული [illegible] ქალისა [illegible] ჩოხის ან ახალუხის განუყოფელ ნაწილად იყო მიჩნეული. წოვათუშებში ქალის სამოსის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა გულისპირის სამკაული. ქალი წელზე ვერცხლის ქამარს არ ხმარობდა, რადგან მისი სამოსის მთლიანი კომპლექსი ისე იყო ერთმანეთთან შერწყმული, რომ ის, სხვა მთიელი ქალის სამოსის მსგავსდ, ქამრის ტარებას არ საჭიროებდა.

ვეინახი ქალის სამკაულში უმნიშვნელოვანესი იყო გულისპირის სამკაული. ჩეჩნურ-ინგუშური სამკაული — თ უ დ ი რ გ ი შ — დაკერებულია საგანგებოდ მისთვის განკუთვნილ გულისპირზე. იგი შედგება 16—16 მოქროვილი ვერცხლის დედალ-მამალი ბალთისაგან, ხოლო ქისტური თუდირგიშ ჩეჩნურ-ინგუშური გულისპირის სამკაულისაგან განსხვავდება ფორმითაც და მოხმარების წესითაც. როგორც ზემოთ

აღვნიშნეთ, იგი დაკერებულია გარე სამოსის გულმკერდზე. გულისპირი შედგება შავი შალის ან ხავერდის ორი ნაჭრისაგან. რომლის შესაკერელში ჩამწკრივებულია 10—12 ვერცხლის დედალ-მამალი ბალთა, მხრების წინა ორივე მხარეს უკეთია 2—2 ვერცხლის მრგვალი ჩაფრასტი — ჩ ო ფ ა რ ჩ, ხოლო გვერდითა ნაწილებზე ვერტიკალურად ჩამწკრივებულია 7—7 კონუსისებური ფორმის რგოლებიანი შიშები, რომლის ბოლო რგოლებზე ჩამოკიდებულია ვერცხლის ფუ-



ნახ. 15. ქისტი ქალის გულისპირის სამკაული — თ უ დ ი რ გ ი შ

ლები (10—15-კაპიკიანები), ვერცხლის ფულები (15—20-კაპიკიანები) დაკერებულია აგრეთვე ჩაფრასტებსა და შიბებს შუა სამ მწკრივად, ხოლო ბოლოში მიმაგრებულია 4—4 სამკუთხა ბალთა, რომლის რგოლებს კიდია 3—3 ცალი 20-კაპიკიანი. ჩაფრასტებზე და ბალ-

თებზე გამოსახულია ჯვრები, ხოლო მამალი ბალთების თავებზე ადამიანის სახე.

ჩეჩნეთ-ინგუშეთში ქალის წელის სამკაული — დ უ ე ხ ქ (ინგ. ტ ი ე ხ ქ ა რ) — რამდენიმე სახისა გვხვდება: გ უ რ ჯ ი დ უ ე ხ ქ — ქართული ქამარი, ვ ე ი ნ ე ხ — დ უ ე ხ ქ — ვეინახური ქამარი და ჩ ე რ ს ი დ უ ე ხ ქ — ჩერქეზული ქამარი. ამ ქამრებს ანსხვავებდნენ შემდეგი ნიშნებით: ქართულ ვერცხლის ქამარს ოქროსფრად შეს-



ნახ. 16. ქისტი ქალის წელის სამკაული — ტ ი ე ხ ქ უ რ

რულებულ ორნამენტებში ჩაქსოვილი ჰქონდა წითელი ფერის ქვები. ვეინახური ქამარი ორი თითის სიგანე ბუზმენტია, რომელზედაც აგებულია ძალზე ორიგინალურად შესრულებული ვერცხლის ხუთი მოოქროვილი ბალთა, რომელშიც ჩაქსოვილია წითელი და ცისფერი ქვები. ჩერქეზულ ქამარს ვეინახები ძეწკვიან ქამარს უწოდებენ. მისი

ბრგვალი შიბები ერთმანეთზე გადაბმულია ძეწკვით, ბალთებზე გამოსახულია ხარის თავი, ხოლო ბალთებს შუა ბავშვის სახე.

ქისტი ქალის ქამარი ტყავისა ან შალისა, რომელსაც ოთხი თითის სიგანე ვერცხლისორნამენტიანი ბალთები აქვს. ბალთების ქვედა ნაწილზე ჩამოკიდებულია ვერცხლის ჯაჭვზე ორმწკრივად ასხმული სამშაურიანები და აბაზიანები. ქამარი წელის არეში გაწყობილია ვერცხლის ღილებით.

ქალიშვილის შემკული ჩოხის შესახებ ძველად სიმღერით ამბობდნენ: „თუქა ილალ ვა ღარიე შიე დიღიე დიერზინა, ბერიი ქენელ ვა დეთი შიე ნეკიე დეხქინა“ (მასზე იმდენი აბრეშუმია, დუქანი გაიხსნება, მის მკერდზე იმდენი ვერცხლია, ცხენს მხედრიანად მორთავს). სიარულისას, განსაკუთრებით ცეკვის დროს, ჩოხის სამკაულები ერთმანეთს ეხახუნებოდა და ხმას გამოსცემდა, ჟღერდა.

მ. ალბუთაშვილი წერს: ქისტი ქალი ფულზე სამკაულს, წელზე ვერცხლის ბრტყელბალთებიან ქამარს ატარებს. ამ ბალთებზე შებმულია ვერცხლის ჯაჭვზე ასხმული აბაზიანები, ფეხზე გაწყობილი წმინდა ტყავის მესტებით ამაყად მიდის ქისტის ქალი და მიაჟღარუნებს.

როგორც ჩანს, ვეინახ ქალებს უწინ ერთნაირი სამკაული ჰქონიათ, მაგრამ ჩეჩნებისა და ინგუშების სამკაული უფრო განვითარდა, სახმარადაც იოლი გახდა და მეზობელი ხალხის სამკაულს დაუახლოვდა, ხოლო ქისტებმა ძველი სამკაული ბოლომდე შემოინახეს. ქისტური თუდირგიშ ღირდა ხუთი თუმანი (სამი ძროხა ან სამი ხარის ფასი), ხოლო ქამარი — სამი თუმანი (ორი ძროხის ფასი). დანარჩენი სამკაულის ფასი დამოკიდებული იყო უპირატესად მის სიდიდეზე, ფორმაზე და სევადაზე.

ყელ-ყურის სამკაულს ვეინახი ქალი ატარებდა ბავშვობიდანვე, ხოლო დანარჩენს (გულმკერდის სამკაული, ქამარი, ბეჭედი, სამაჯური) 14—15 წლიდან. ქალები ბეჭდებს დღენიადაგ ატარებდნენ მეორე და მესამე თითზე. მგლოვიარე ქალი სამკაულს არ იკეთებდა. ანალოგიური ტრადიცია დგინდება მეზობელ წოვა-თუშებშიც

სამკაულის დიდი პატივისმცემლები იყვნენ ვეინახი მამაკაცებიც. ძალიან უყვარდათ ქამარ-ხანჯლის ტარება. მათი სამოსიც ისე იყო ერთმანეთთან შეხამებული, რომ ქამარ-ხანჯალი — შ ე ლ თ-დ უ ე ხ ქ — უხდებოდა. ქამარს წელზე ირტყამდნენ 7—8 წლის ასაკიდან. შეძლებული ოჯახის შვილები 15—16 წლიდან ატარებდნენ მოვერცხლილ ქამარ-ხანჯალს.

ქამარი ტყავისაგან კეთდებოდა. არქეოლოგიური მასალის მიხედვით, იგი მორთული იყო ბრინჯაოს ან ვერცხლის ბალთებით. ქამარზე იკიდებდნენ ხანჯალს — შ ე ლ თ, ნაგანს — თ ა ფ ჩ და ხმალს —

თ უ რ. ვერცხლისბალთეჭიანი ქამარი ღირდა ხამი ცხვარი (ცხვრის ფასი იყო 3 მანეთი), მოვერცხლილი ხანჯალი 3—4 ცხვარი, ნაგანი 7—8 ცხვარი, ხოლო ხმალი ფრიად ძვირი იყო, მას დადგენილი ფასი არ ჰქონდა — გვაუწყებს ბთხრობელი. მამაკაცის სამკაულს ეკუთვნის აგრეთვე მასრები — ბ ე ს თ ა მ ა შ და ბეჭედი — მ უ ღ ა რ (ჩეჩ.), ჭ უ გ (ინგ.), ტ ო რ დ (ქისტ.). მასრები ორი სახისა იყო: ვერცხლისთავებიანი და თეთრი ძვლისა. მათი ღირებულება ერთი ბატკანი იყო. იგივე ფასი ჰქონდა ბეჭედსაც. ვეინახი მამაკაცი ბეჭედს იკეთებდა მარჯვენა ხელის არათითზე.

ქამარ-ხანჯლის, მასრებისა და ბეჭდების სპეციალისტები — ფ ლ ე რ ა შ—ადგილობრივები იყვნენ. შათოვში, ვედენოში, ურუსმართანჩი, შალში და გროზნოში დამზადებულ მოვერცხლილ ქამარ-ხანჯლებს, მასრებსა და ბეჭდებს დიდი გასავალი ჰქონია ოლქის გარეთაც. სამკაულის საუკეთესო სპეციალისტებად ითვლებოდნენ ყუბაჩელები დაღესტნიდან, რომელთა ნაწარმი ვრცელდებოდა მთელს ჩრდილო კავკასიაში. შემოტანილ სამკაულს ეტანებოდნენ შეძლებული ოჯახების ქალები და მამაკაცები.

პანკისის ხეობის ქისტების შესახებ მ. ალბუთაშვილი წერს: „ახლად ჩამოსახლებულ ქისტებმა არავითარი ხელობა არ იცოდნენ, კაცებს შევერცხლილი ხანჯალ-დამბაჩისა და მასრების, ხოლო მანდილოსნებს ვერცხლისავე სარტყელ-გულისპირის სამკაულის სიყვარულით ერთი კაცი ჰყავთ მთელს სოფელს ოქრომჭედელი, სახელად ცეზია“.

ცეზია (ცოსკარა ხანგოშვილი) მამაკაცისა და ქალის ოქრო-ვერცხლის სამკაულების საუკეთესო სპეციალისტი იყო. შემდგომ პერიოდში მჭედლობაში სახელი გაითქვა მისმა შვილმა ბიბოლათა ხანგოშვილმა და დიბაი ცათიაშვილმა. მათ მიერ დამზადებული ქამარ-ხანჯალი, ქალის ქამარი და ჩაფრასტები ზოგ ოჯახს ახლაც შემონახული აქვს. ბიბოლათას ნაქონი სამჭედლო ხელსაწყოები — ყალიბები, სასწორი, გირები და სხვ. — ინახება ქ. გროზნოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (ჩემი იქ მუშაობის პერიოდში ჩატანილი).

ვეინახებში მამის დარჩენილი ქამარ-ხანჯალი, საბრძოლო იარაღი, თუ სხვა სამკაული ვაჟიშვილებს რჩებოდა. ყველაზე უფრო დიდფასიან სამკაულს უფროს ვაჟიშვილს აძლევდნენ.

ვეინახური ხანჯლის სახელწოდება შ ე ლ თ-ის მსგავსი ტერმინია ქართული ჩ ე ლ თ ი, რომელიც, საბას განმარტებით, არის „ბრტყელი მახვილი“.

ივ. ჯავახიშვილი ამბობს: „ეს შეცდომაა, რადგან დამოწმებულ ადგილას ჩელთი სულ სხვაგვარი საჭურვლის აღმნიშვნელია“. ამის და-

სადასტურებლად მოაქვს ცნობა: „მოვიდენ შენ ზედა ყ˙ნი ჩრდილოჲთ ჯაჷუ — (ჷ)ურთა თანა და საჷურველთა და ეტლის — თ˙ლთა და სიმრავლეთა ერთასა და ფარები და ჩელთები და ჩაფხუტები გარემოიდვან შენ ზედა“. ამ ცნობიდან ჩანს, რომ ჩრდილოეთიდან მოვიდნენ ფარებითა და ჩელთებით. შესაძლებელია, აქ ვეინახ და ოს დაქირავებულ, ფარებითა და შ ე ლ თ ე ბ ი თ (ხანჯლებით) შეირაღებულ რაზმზეა ლაპარაკი და შელთ და ჩ ე ლ თ ერთი და იგივე საგნის სახელწოდების გამომხატველი იყოს. საინტერესოა ისიც, რომ ტერმინი ჩ ე ლ თ ი არის მდინარის სახელწოდებაც. იგი სათავეს იღებს ნინიკას ციხესთნ, რომელიც საქართველო-დაღესტნის საზღვარზე მდებარეობს. იგი მოედინება ყვარლის რაიონის სოფელ შილდის მარჯვენა მხარეს და უერთდება მდინარე ალაზანს.

5. მიცვალებულის სამოსელი

ცნობილია, რომ ვეინახების თავდაპირველი სარწმუნოება წარმართული იყო, შემდეგ ქრისტიანული და ბოლოს გახდნენ მუსლიმანური რელიგიის მიმდევრები.

ვეინახების უძველესი რწმენით, მიცვალებულისათვის საიქიოში აუცილებელი იყო ისეთივე საცხოვრებელი პირობების შექმნა, როგორიც მას სიცოცხლეშივე გააჩნდა. ამის შესახებ. გ. ვერტეპოვი წერს: ჩეჩნების რწმენით, მიცვალებულებს მიწის ქვეშ განაგებს ღმერთი ე შ ტ რ ან ე თ ე რ. ნათესავები ერთად ცხოვრობენ, მუშაობენ ღამე, როცა მზე ცოცხალთა სამყაროდან მიცვალებულებთან ჩადის. საიქიო წარმოადგენს მათ საცხოვრებელს და ატანენ ყველა სახის საოჯახო ნივთს: ჭურჭელს, აკვანს და სხვ. იმავე ავტორის ცნობით, „ჩეჩნების წესით, როცა ვინმეს ახალგაზრდა ბიჭი მოუკვდებოდა, მასთან მიდიოდა იმავე წელს გარდაცვლილი გაუთხოვარი გოგოს მშობელი და ეტყოდა „შენს ბიჭს იმ ქვეყნად ცოლი უნდა, მე ვაძლევ მას ჩემი გოგოს ხელს“. არსებულ წესით ასეთ წინადადებაზე უარის თქმა არ შეიძლებოდა. ქალის მშობელი ითხოვდა ურვადის გადახდას, როგორც ცოცხალ პატარძალზე, მხოლოდ ნაკლები ოდენობით.

ვეინახებში აღნიშნული წესის არსებობას ადასტურებს საველეეთნოგრაფიული მასალაც, რომლის მიხედვით, პირიქით, ბიჭის მამა მიდიოდა გარდაცვლილი ქალიშვილის მშობლებთან. მთხრობელის გადმოცემით, ქალიშვილის მშობლების მხრიდან ბიჭის მშობლებისათვის ცოცხალი ან მკვდარი ქალიშვილის მითხოვების სურვილის გაგებინება სირცხვილად ითვლებოდა. საინტერესოა ისიც, რომ ურვადის სამაგიერო მზითევში ამ შემთხვევაში შედიოდა მამამთილისათვის გან-

კუთვნილი ქვეშაგები, დედამთილ-მულ-მაზლებისათვის საჩუქრად საპერანგე შალის, ბამბის ან აბრეშუმის ქსოვილი და თავშლები. მიცვალებულს კი საიქიოში ცხოვრების გასაგრძელებლად ოჯახიდან თან ატანდნენ თიხის ჭურჭელს, ხის თეფშებს, წყლის სასმელ თუნგს, ნემსებს, ძაფებს, დანას, მაკრატელს, დასაკრავ ინსტრუმენტს — კერძოდ, სამსიმიან ჩონგურს და სხვ. ამ უკანასკნელის ანალოგიური მასალა გვხვდება გ. ვერტეპოვთანაც. გარდა ამისა, ქალს ატანდნენ სამკაულს, რომელიც მას სიცოცხლეშივე ეკუთვნოდა: ვერცხლის ქამარი, ბეჭდები, საყურეები, მძივები, სავარცხელი და სხვ. ინგუშეთის სამარხებში ნახული ანალოგიური ნივთები ე. კრუპნოვს დათარიღებული აქვს XIV—XVI საუკუნეებით.

სამკაულის, ჭურჭლის, დანის, თეთრი ფულის ჩატანების წესი დგინდება სხვა მთიელებშიც; მაგალითად, წოვა-თუშებმა იციან თქმა: „დანიან მიცვალებულს ეშმაკი არ გაეკარება, ჭიქა, კოვზი და თეფში სადილად სჭირდება, ხოლო ფული სამოგზაუროდ“. აქედანაც ჩანს, რომ ფული ეს წესი წარსულშიც ჰქონიათ და ჩვენს დროშიცაა შემორჩენილი.

ჩ. ახრიევი აღნიშნავს: უწინ ვეინახები მიცვალებულს მესამე-მეოთხე დღეს მარხვავდნენ, ამჟამად კი ასაფლავებენ გარდაცვალებისთანავე. ცხადია, ქრისტიანული რელიგიის მუსულმანურით შეცვლამ მიცვალებულის დაკრძალვის წესზე იქონია გავლენა. თუკი მანამდე მიცვალებულს მარხავდნენ თავის სამოსითვე, გარდაცვალებიდან სამი, ოთხი დღის შემდეგ, მუსულმანურმა რელიგიამ ეს აკრძალა და დაუქვემდებარა შესაბამის წესს, თუმცა მან ვეინახებში ვერ დანერგა სამგლოვიარო თეთრი სამოსი, რომელსაც მგლოვიარე ქალები ატარებდნენ ერთ წლამდე. ჩეჩნებში და ინგუშებში როგოროი ახლობელიც არ უნდა იყოს გარდაცვლილი, ქალები ჩვეულებრივად არიან ჩაცმული.

ვეინახებში ქალს რომ მცირეწლოვანი შვილი ან ქმარი მოთქმით დაეტირა, სირცხვილად ითვლებოდა. მცირეწლოვანზე ტირიან ბებიები, მამიდები, დეიდები და სხვა ახლობლები, ხოლო მამაკაცზე — დედა, დები, სიდედრი, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, ცოლისდები და სხვ.

ტირილში გროვდებოდნენ ახლო-მახლო სოფლებიდან ნათესავები, შორეულები. მიცვალებულის სუდარისათვის ქალებს მიჰქონდათ ორი ან სამი მეტრი მიტკალი, ჩითი ან თავშალი. რიგრიგობით მოთქმით დაიტირებდნენ მიცვალებულს. დატირებისას ჯერ დაახასიათებენ მას, ხოლო შემდეგ კი თავიანთ მიცვალებულებთან აბარებენ: „ესა და ეს მოგივა, შეგეკითხება ჩვენს ამბავს, გადაეცი

ჩვენს ოჯახში ეს დანაკლისია ან რაიმე მნიშვნელოვანი ამბავი (ჩამოთვლის), თუ ამ მიცვალებულს არ შეხვდი, ეცადე მონახო". „თუ ბავშვია, არაფერი დააკლო, კარგად შეინახე" და ა შ. თუ მიცვალებული ცნობილი პიროვნებაა, ტირილი გრძელდება ერთი კვირა ან სამი დღე, მიუხედავად იმისა, რომ ჩვეულებრივ მიცვალებულს ასვენებენ გარდაცვალების დღეს ან მეორე დღეს სამ საათამდე.

აღნიშნული წესი დღესაც იჩენს თავს ვეინახების ყოფაში. ჩეჩნებმა და ინგუშებმა შესაწევარის სახით მხოლოდ ფულის მიცემა იციან, ხოლო პანკისელმა ქისტებმა — სასუდარო ქსოვილის ჩიტანაც და ფულადი დახმარებაც. დამწუხრებულ ოჯახს ფულით მოგვარეები, დედის მხრივ ნათესავები და ნაცნობებიც ეხმარებიან.

მთის ჩეჩნებში და ქისტებში, მიცვალებულის ოჯახიდან გამოსვენებამდე, მის სახელზე გაიტანდნენ ცხრა თავშალს და ცხრა ტკბილ ერბოიან ქუმელის კვერებს ან ოჯახში გაკეთებულ ხალვას და გაუნაწილებდნენ ობლებს. ამჟამად პანკისის ქისტებში ობლებისათვის მისაცემი თავშლების რაოდენობა ზოგჯერ ოცს აღემატება.

ინგუშებში აღნიშნული წესის არსებობა არ დგინდება, მაგრამ მიცვალებულის გასვენებამდე მეზობლებში ანაწილებენ ოჯახში გამომცხვარ 70 ცალ თხელ ლავაშს და ღარიბ ოჯახებს აძლევენ სამ ფუთზე მეტ მარცვალს.

ვეინახები მიცვალებულს აბანავებდნენ გასვენების დღეს, დილაადრიანად, სანამ მზე ამოვიდოდა. ამისათვის მას დაასვენებდნენ საგანგებო ტახტზე (ტახტი ინახება ჭეჩეთში), შემდეგ ჩააცვამდნენ სუდარას. ამ საქმეს აკეთებდა ერთ-ერთი მორწმუნე პირი, რომელსაც ჰყავდა დამხმარეც, რისთვისაც მათ ოჯახიდან ეძლეოდათ საჩუქრად საპერანგე ქსოვილი, პირსაწმენდი, თავშალი ან ფული. მსუდრავის დასაჩუქრება ბამბის ქსოვილით ან წინდებით იციან წოვა-თუშებმაც. ანალოგიური წესია ჩაღმა-თუშებშიც.

არქეოლოგიური მასალა შესაძლებლობას გვაძლევს გავითვალისწინოთ, როგორი სამოსით მარხავდნენ ვეინახები XIV—XVI საუკუნეებში მიცვალებულებს. ამ მასალის მიხედვით ე. კრუპნოვი წერს: მიცვალებულ ქალს აცვია გრძელი, ფერადი აბრეშუმის კაბა-პერანგი, მის შიგნით მოკლესახელოებიანი თეთრი უხეში ტილოს შიდა პერანგი, იმავე ტილოს ქვედა საცვალი. გვხვდება წმინდა შალისაც, ფეხზე აცვია ჩუსტები ან ყელიანი ფეხსაცმელი რბილ ძირებზე, თავზე ახურავს ე. წ. ქ უ რ ხ ა რ ს ი, ზოგს კი თავშალი, ხოლო მამაკაცს მუხლებამდე ხალათი (უმეტეს შემთხვევაში, ფერადი შალის ქსოვილის) და უხეში შალის შარვალი, ფეხზე მაღალყელიანი ფეხსაცმელი, თავზე ხურავს რბილი, დალიანდაგებული ქუდი. არაიშვიათად გვხვდება მიცვალებული, რომელსაც ახურავს ცხვრისბეწვიანი ტყავის ქუდი. ცხ-

დია, ეს უფრო ადრინდელი ვითარების ამსახველი უნდა იყოს. ამასთანავე, ბოლო ხანებიდან მიცვალებულებს უკვე მასრებიან ჩოხას აცმევდნენ. მათგან ბევრს ხელის თითებზე უკეთია ბრინჯაოს და ვერცხლის მასიური ბეჭდები. ყოველ მიცვალებულს წელზე შემორტყმული აქვს ერთი ან ორი ტყავის ქამარი, რომელზედაც კიდია რკინისა და ბრინჯაოს ბალთები, ტყავის ქისა და რკინის დანა. ზოგ სამარხში გვხვდება თანამედროვე კავკასიური ტიპის უხეშად დამზადებული ხანჯალი.

როგორც აღინიშნა, დროთა განმავლობაში რელიგიამ თავისებური ზეგავლენა მოახდინა როგორც მიცვალებულის სამოსზე, ასევე მისი დაკრძალვის წესებზე. მიცვალებულის სამოსში ჩნდება „მადლიანი პერანგი" — მ ე ე ლ ქ ო ა ჩ. ჩეჩნები მას „ეხირათდიინ ქოაჩ"-ს უწოდებენ, რაც მუსლიმანური რელიგიის გავლენით ჩანს შემოსული. მთხრობელის გადმოცემით, მიცვალებულს საიქიოში, შიშველ ტანზე „მადლიანი პერანგი" უნდა ეცვას და ასე უნდა წარსდგეს ღმერთის წინაშე „სიცოცხლეში ჩადენილი ცოდვების მოსანანიებლად", ამას აცვამდნენ მამაკაცსაც და ქალსაც.

„მადლიანი პერანგი" წინა მხარეს. მუხლებამდე, უფრო გრძელიც და ზურგზე წელამდე მწვდომი თეთრი მიტკალია, თავის გასაყოფად შუა ადგილზე გრძლად ჩაჭრილი. მას სახელოები არ უკეთდება და არც კერავენ, რადგან ქვეყნად ნაცვამ შეკერილ სამოსს ბევრი ცოდვა ედება და საიქიო მიცვალებულს იმით არ მიიღებს.

აღნიშნული „მადლიანი პერანგის" ზემოდან აცვამდნენ შიდა და ზედა პერანგს, კოჭებამდე გრძელ ქვედა საცვალს, აბრეშუმის ან ბამბის თავშალს (მოხუცისათვის ჩუხტას), თეთრი მიტკლის წინდებს, წელზე შემოარტყამდნენ სარტყელს. ხოლო მამაკაცს მხოლოდ „მადლიან პერანგს" — გადაახვევდნენ სამმაგ თეთრ მიტკალში, თავსა და ბოლოში იმავე ქსოვილის ნაჭერს მოუჭერდნენ და ისე გაასვენებდნენ ხოლმე.

მიცვალებულის შიდა და ზედა პერანგები და ქვედა საცვალი იკერებოდა იმავე თარგით, როგორსაც ისინი სიცოცხლეში ხმარობდნენ, მაგრამ უფრო განიერი და გრძელი იყო. თითო პერანგს სჭირდებოდა 7—8 არშინი ქსოვილი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიცვალებულის შიდა პერანგი უხეში ტილოსი ყოფილა, ხოლო მეორე—ბამბისა ან აბრეშუმის ქსოვილისა. ზოგიერთის ორივე პერანგი უხეში შალისა იყო. ცხადია, აქაც თავს იჩენს კლასობრივი დიფერენციაციის ნიშნები.

ვეინახების რწმენით, საიქიოდ კარგი ყოფილა, თუ ქალმა თავის სიცოცხლეში მწვანე ფერის სამი პერანგი და სამი ჩუხტა გაცვითა. მიცვალებულის ერთი პერანგი და ჩუხტაც მწვანე ფერისა იყო. ეს

რ[illegible]ით უნდა აისნას, რომ ვეინახებს სწამდათ — მწვანე სამოსის წყალობით მიცვალებულის სული საიქიოში მწვანედ აბიბინებულ ბუნებაში იცხოვრებს მარად. ხანდაზმული ვეინახი მანდილოსნები ამჟამაც მწვანე ფერის სამოსს ეტანებიან და სასუდაროდ წინასწარ გამზადებულ სამოსშიც ერთ-ერთი პერანგი მწვანე ფერისაა. სასუდაროს სამოსის ელემენტებს წინასწარ შეკერავდნენ, შეახვევდნენ ცალკე ნაჭერში და შეინახავდნენ ისეთ ადგილზე, სადაც არავის ხელი არ მოხვდებოდა. ამ შავდღისათვის განკუთვნილ სამოსს ოჯახის წევრებიც სათუთად ეკიდებოდნენ. იმ შემთხვევაში, თუ გარდაცვლილ ქალს თავისთვის და მეუღლისთვისაც წინასწარ გამზადებული სუდარა არ აღმოაჩნდებოდა, ქმარს უნდა მოეწესრიგებინა ეს საქმე. თუ ქმარი არა ჰყავდა — ვაჟიშვილს, შემდეგ მაზლებს ან ქმრის ბიძაშვილებს. ჩეჩნეთში გათხოვილ ქალს უფლება არა ჰქონდა თავისი ქმრის ოჯახიდან მოტანილი ქსოვილი მშობლებისათვის სამარეში ჩაეტანებინა, რადგან ამ შემთხვევაში ის სხვა გვარის წევრად ითვლებოდა. ასევე არ ატანდნენ სასუდაროდ ნათესავებისა და ოანსოფლელების მიერ მოტანილ ქსოვილსაც. იშვიათ შემთხვევაში დას დისთვის, რძალს შულისათვის შეეძლო ჩაეტანებინა თავის მბრიღიან ერთი პერანგი ან თავშალი, თუ ოჯახის წევრები თანხმობას მისცემდნენ.

ამჟამად ქისტები მიცვალებულ ქალს შიშველ ტანზე აცმევენ მიტკლის „მადლიან პერანგს", შიდა და ზედა პერანგს, წინსაფარს, ქვედა გრძელ საცვალს, წელზე უკეთებენ მიტკლის სარტყელს, თავზე ახვევენ აბრეშუმისა და ბამბის სამ თავშალს (მოხუცს დამატებით ჩუხტას), ფეხზე მიტკლის წინდებს და მშობლების ოჯახიდან მოტანილ, ქსოვილისაგან შეკერილ ჩოხისებურ გადმოსაცმელს, ხოლო მამაკაცს „მადლიანი პერანგის" ზემოდან მიტკლის პერანგს, ქვედა საცვალს და ფეხზე იმავე მიტკლის წინდებს. მიცვალებულს ფეხის და ხელის თითებს შუა, ყურებსა და ცხვირში ბამბას უკეთებენ, გაახვევენ სამოთხპირ მიტკალში (ამას ფ ა რ ფ ს უწოდებენ), შეკრავენ თავთან და ფეხებთან იმავე მიტკლის ნაჭრით. ამ ნაჭერს თავის მბარეს, სამარეში ჩასვენების შემდეგ შეხსნიან, რათა „მიცვალებული არ შეწუხდეს". გასვენება ხდება კუბოს გარეშე.

წინათ თუშებში, ფშავში და ხევსურეთში კუბო არ სცოდნიათ. მიცვალებულს ნაბადში და ფარდაგში შეახვევდნენ და ისე მიასვენებდნენ ხოლმე. ვეინახებში მიცვალებულს მხოლოდ მამაკაცები აცილებდნენ, ქალები ხირხლებს არ გასცდებოდნენ. ასეა ჩვენს დროშიც.

საინტერესოა ისიც, რომ ვეინახებში, სისხლმესისხლეობასთან დაკავშირებული მტრობის შერიგებით მოგვარების დროს, მკვლელს შემოახვევდნენ თეთრ მიტკალს, ე. ი. ფ ა რ ფ-ს და წამოაწვენდნენ მოკლულის საფლავზე რამდენიმე წუთით. იგი ამ შემთხვევაში თითქოს

მკვდარი იყო და ღმერთისა და მოკლულის წინაშე ჩადენილ ცოდვას ამით ინანიებდა. პანკისის ქისტები ხშირად მიცვალებულს ორ დღეს აჩერებენ დაუმარხავად. ცხადია, აქ თავს იჩენს მეზობელი ქართველების გავლენა. აღსანიშნავია ისიც, რომ ვეინახები პანაშვიდებს არ აწყობენ. სამძიმარზე — ქ ო დ ა მ ი ე — გაგებისთანავე მიდიან ნათესავები, მეზობლები, თანასოფლელები, სხვა სოფლებიდან ნათესავები თუ ნაცნობები. მამაკაცები ოჯახის წევრს ან ახლობელს სამძიმარს ეტყვიან და ჩამოსხდებიან ეზოში სპეციალურად გაწყობილ ფიცრებზე. ახალგაზრდები ფეხზე გაჩერდებიან, ხოლო ქალები შევლენ ოთახში, სადაც მიცვალებული ასვენია, დასხდებიან გარშემო და ტირიან რიგრიგობით, მოთქმით. მთხრობელის გადმოცემით, უწინ შორიდან მომავალი ქალები სახის კაწვრით, თმების გლეჯით მიდიოდნენ დანიშნულ ადგილამდე.

ეთნოგრაფიული ცნობებით, ვეინახები საფლავს თითქმის ორი მეტრის სიღრმეზე თხრიან. ქალის საფლავი მამაკაცის საფლავზე უფრო ღრმად ითხრებოდა — ამას ხსნიდნენ ქალის, როგორც სხვა გვარის შვილის, მიმართ უნდობლობით ოჯახში, ამასთან, მისი სისუსტით საიდუმლოს შენახვის საქმეში, გაწაფულობით ენის მიტან-მოტანაში, უდანაშაულოდ სხვის გალანძღვაში და სხვა მრავალი.

ვეინახთა რწმენით, ღრმად დაფლული დედაკაცის სული საიქიოში მამაკაცის სულს აღარ შეხვდება და არ შეაწუხებს მას თავისი ურიგო ქცევით, უჯიათობით, ალბათ, ამგვარი, დედაკაცის ღირსების დამამცირებელი წარმოდგენებით იყო გამოწვეული, რომ მამაკაცები სასოფლო და სათემო საიდუმლო საკითხებზე სასათბიროდ სოფლის გარეთ გადადიოდნენ და ამ დროს იქ ქალის მისვლა აკრძალული იყო.

ვეინახები, საფლავის ამოთხრის შემდეგ, ორმოს გვერდზე შეთხრიან, მიცვალებულს ოდნავ მარჯვენა გვერდზე დააწვენენ ისე, რომ მისი სახე იყურებოდეს სამხრეთით — ყ ი ლ ბ ი ე ჰ Ა. საფლავის მთელ სიგრძეზე ჩააყუდებენ მუხის ფიცრებს, რომ ჩაყრილი მიწა მიცვალებულს არ დაეყაროს. პანკისის ქისტები მიცვალებულს ქვეშ ზოგჯერ მუხის ფიცარს (ზოგიერთები საბანს ან ნაბადს) უდებენ.

ნ. გრაბოვსკი წერს: ვეინახებმა სასაფლაოზე, ყოველივე ცერემონიალის გარეშე, იციან მიცვალებულის დამარხვა, მას სამარეში აწვენენ მარჯვენა მხარეს, თავით სამხრეთისაკენ მიქცეულს, რათა მექას მიმართულებით იყურებოდეს.

მიცვალებულის გასვენებიდან შვიდი დღე-ღამის შემდეგ ქისტის ოჯახში ახლო და შორეული ნათესავების მიერ მიტანილი ქსოვილი და თავშლები ნაწილდებოდა და-ძმებს შორის, მეტ წილს ახვედრებდნენ იმ და-ძმას, რომლებიც ოჯახში ცხოვრობდნენ. შემოსული ფული არ ნაწილდებოდა და ოჯახში რჩებოდა.

ამჟამად პანკისის ქისტებში მიცვალებულის დაკრძალვისათვის დახმარების სახით გროვდება 200—300 მეტრამდე თეთრი ან ფერადი ქსოვილი, 100—150-მდე თავშალი და 2000—8000 მანეთამდე ფული. ცხადია, ეს შემოსავალი დამოკიდებულია გარდაცვლილი პიროვნების ავტორიტეტზე, მისი ოჯახისა და ნათესავების მიმართ საზოგადოების განწყობაზე. ადრე სასუდარო ქსოვილი და ფული შინაურ ნათესავებს მოჰქონდათ, ახლა კი ახლობელსაც და შორეულსაც მოაქვს. პანკისში მოსახლეობა ეკონომიურად იმდენად მომაგრდა, რომ ყველას აქვს საშუალება ორი-სამი მეტრი ჩითი ან მიტკალი მიიტანოს, გინდაც შორეული ნაცნობობაც რომ აკავშირებდეს მიცვალებულის ოჯახთან. ასეთ შემთხვევაში გაცემული ქსოვილი ან ფულადი დახმარება ოჯახს უბრუნდება ლხინში და ჭირში, ხშირად გადაჭარბებითაც.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ვეინახებში ხანდაზმული მანდილოსნები სასუდარო სამოსს წინასწარ ამზადებდნენ. განსაკუთრებით ზრუნავდნენ უშვილო, უქმრო ქალები, ისინი წინასწარ ქელეხსაც კი იხდიდნენ. მსგავსი წესი გვხვდება თუშებშიც.

წინათ ვეინახებში სამგლოვიარო სამოსის ფერები იყო შავი, ყვითელი, მწვანე და თეთრი. სამგლოვიარო სამოსს ატარებდნენ 40 დღე, წლისთავამდე და — მეუღლეზე — სამიდან ხუთ წლამდე. ამ წესს პანკისის ქისტები უფრო იცავენ, ვიდრე ჩრდილო კავკასიის ვეინახები. ეს გარემოება იმითაცაა, ალბათ, გამოწვეული, რომ ჩეჩენი და ინგუში ქალები, დაქვრივების შემდეგ, იშვიათად ინარჩუნებენ ქმრის გვარს. მოზრდილი შვილებიანიც აუცილებლად ახალ ოჯახს იჩენს. მგლოვიარობის ნიშნად შინაური მამაკაცები წვერს და თმას უშვებდნენ, რომელსაც იპარსავდნენ 40 დღის შემდეგ, ხოლო ქალები თავიდან ფეხებამდე შავებს იცვამდნენ. გარდაცვლილი მამაკაცის ტანსაცმლის ნაწილს მისცემდნენ სოფლის რომელიმე ღარიბს, ხოლო ნაწილს კი იტოვებდნენ სახლში, თუ ქვრივ ქალს ბიჭები ეზრდებოდა, მამის ცხენი და სამკაულიც მის ბიჭებს რჩებოდათ, ხოლო თუ ბიჭები არა ჰყავდა, ცხენს, თავის ონაგირითვე, ძმისშვილს აძლევდნენ, ხოლო ქამარ-ხანჯალს და სხვა სამკაულს — ახლობელ ბიძაშვილს, ხშირ შემთხვევაში — ძმობილს.

მიცვალებული დედის ტანსაცმლიდან ქალიშვილი იტოვებდა ერთ-ერთ ელემენტს და დანარჩენ სამოსს, სხვა მთიელების მსგავსად, გაუნაწილებდა მის თანატოლ ახლობლებს ან ღარიბს მისცემდა სამადლოდ. ჩეჩნებსა და ინგუშებს სწამდათ, რომ მიცვალებულის სამოსს თუ მალე გასცემდნენ (უკეთეს შემთხვევაში, გარდაცვალებიდან მეორე დღეს), მიცვალებული მას საიქიოში მიიღებდა დაბრკოლების

გარეშე. ქისტები მიცვალებულის სამოსს ინახავდნენ ორმოცამდე, წლისთავამდე და ზოგჯერ მეტ ხანსაც. ინგუშებში, დედის გარდაცვალების შემდეგ, მისი კუთვნილი ქონება თანაბრად უნაწილდებოდა ვაჟიშვილებს, ხოლო ქალებს ეძლეოდათ მცირედი ნაწილი. პანკისის ქისტებში კი დედის დარჩენილი ქონება ეძლეოდა ქალიშვილებს თანაბრად, ხოლო სახლი, საქონელი და თითო ხელი ლოგინი — ვაჟიშვილებს.

ამ ბოლო ხანებში, ჩრდილო კავკასიის ვეინახებში, იშვიათ შემთხვევაში, გარდაცვლილ მოზრდილ ვაჟიშვილზე და მამაზე თალხებს იცვამენ უფრო ინტელიგენციის წარმომადგენლები. პანკისის ქისტებში კი გარდაცვლილი მშობლების, მეუღლის, და-ძმის სახელზე შავების ჩაცმა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, რაც მეზობელი ქართველი მოსახლეობის გავლენის შედეგია. ორმოცზე თალხებს იხდიან გარეშე ბიძაშვილები, დეიდაშვილები, ხოლო წლისთავზე — შვილები (ცხადია, ქალები).

აღსანიშნავია ისიც, რომ სამამულო ომამდე პანკისის ხეობის ქისტები ორი რელიგიის (ქრისტიანული და მუსლიმანური) მიმდევრები იყვნენ. სოფელ დუისის მცხოვრებლები მუსლიმანობას მისდევდნენ (თუმცა მათი პირველი ტაძარი საქართველოში წარმართული სარწმუნოებით მივიდა), ხოლო ჯოყოლოს და ომალოს მცხოვრებნი კი — შეგადაშიგ, ზოგიერთი ოჯახების გარდა, — ქრისტიანობას. მათი სასაფლაოც ორად იყო გაყოფილი. ცალ მხარეზე ასაფლავებდნენ ქრისტიანებს, ხოლო მეორე მხარეს — მუსულმანებს. საილუსტრაციოდ შეიძლება მივუთითოთ დღემდე შემონახულ სოფელ ომალოს სასაფლაოზე. სოფელ დუისის სასაფლაო შემოღობილი იყო. თუ სოფელში ვინმე ქრისტიანი გარდაიცვლებოდა, მას ღობის გარეთ მარხავდნენ. სამოსსაც რელიგიის მოთხოვნებს უფარდებდნენ. ამჟამად პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტების სარწმუნოება მუსლიმანურია. მაგრამ ხშირ შემთხვევაში ორივე რელიგიის მიმართ იგრძნობა ფორმალური დამოკიდებულება (ვის როგორ აწყობს, რომ საზოგადოებაში მოიპოვოს ავტორიტეტი). მათ რელიგიისადმი თავდადებად მიაჩნიათ სექტებში მონაწილეობა, სადაც გართობის მომენტიცაა ჩაქსოვილი.

რაც შეეხება საქართველოს მთიანეთის ქართველ მოსახლეობაში მცხოვრებ ქისტებს, მათ მთლიანად დაკარგული აქვთ მიცვალებულთან დაკავშირებული ყოფითი წეს-ჩვეულებები, მათი რელიგიური რწმენაც ქრისტიანულია, თუმცა ყოფაში ძლიერ ემჩნევა წარმართობის კვალი.

მიცვალებულის გასვენების დღეს ქისტებმა დიდი ხარჯის გაწევა იციან. როგორი ღარიბი ოჯახიც არ უნდა იყოს, 8—10 ცხვარი და 2 ძროხა ან ხარი უნდა დაკლან — აღნიშნავს მ. ალბუთაშვილი. საქონ-

ლის დამხოცი ღმერთს შეეხვეწებოდა: „ღმერთო, ესენი საიქიოს მიაგებე, იქ ამსახურე, ამეებით ასაზრდოვე იმისი სული, ნუღარას მოჰკითხავს ამისას და სხვას“. პირუტყვს დაკლავდნენ, გაატყავებდნენ, აჭრიდნენ ასო-ასო და დიდ ქვაბში ჩაყრიდნენ მოსახარშად. დედაკაცები კერაში პატარ-პატარა პურის კვერებს გამოაცხობდნენ (ნაცარში) და სასაფლაოდან დაბრუნებული ხალხისათვის სადილი უკვე მზად იყო. ამას მ ა რ თ ს — ქელეხს — უწოდებენ. იმ შემთხვევაში, თუ მოუხარშავ ხორცს გაანაწილებდნენ ოჯახებზე, მაშინ მას ს ა ა ყ-ს უწოდებენ. ქელეხში ქისტებმა სასმელი არ იციან. სუფრაზე სასმელს დაუდგამდნენ მხოლოდ შორიდან მოსული სტუმრის სტუმარს. თუ ვინმე რაიმე მიზეზის გამო ქელეხში ვერ მოვიდა, იმას წილს აუცილებლად სასლში გაატანდნენ ხოლმე.

მიცვალებულზე საქონლის დახოცვა იციან ჩრდილო კავკასიის ვეინახებმაც. ინგუშები დახოცილი საქონლის ხორცის მხოლოდ ნაწილს ხარშავდნენ შორიდან მოსული სტუმრების პატივსაცემად, ხოლო ნაწილს კი მოუხარშავად ანაწილებდნენ მეზობლებში, ნათესავებში. ქელეხის გადახდასთან დაკავშირებული წესები კუნთჰაჯისა და ბათალჰაჯის სექტაში შემავალ ხალხში სხვადასხვა იყო. მაგალითად, კუნთჰაჯის მიმდევრები ამ წესს ასრულებდნენ შემდეგნაირად: ადამიანის გარდაცვალებისთანავე ხოცავდნენ საქონელს და დიდ ნაჭრებად ხარშავდნენ, ნაყავდნენ დიდი რაოდენობით ნიორს, მოხარშავდნენ მჭადს, აცხობდნენ ხაჭოსგულიან ქადებს — ჭ ე ფ ი ლ გ ი შ. მამაკაცები მიცვალებულის გასვენების შემდეგ ბრუნდებოდნენ ოჯახში და მიირთმევდნენ. ბათალჰაჯის სექტის წარმომადგენლები კი ჩრაფერს ჭამენ და არც თან მიაქვთ ხორცი. როგორც მთხრობელი გვაუწყებს, ბათალჰაჯი არ ხოცავდა მიცვალებულზე საქონელს და სამძიმარზე მოსულ ხალხს არ უმასპინძლდებოდა. მეშვიდე დღეს. როცა მიცვალებულზე ყურანის წაკითხვა დამთავრდებოდა, დაპატიჟებდნენ მოლებს, მიურიდებს, მოაწყობდნენ ტ ლ ი ბ ი ს ტ ი ტ ა ლ ს — ზ ი ქ ა ნ (ძიერათ) და უხვად გაუმასპინძლდებოდნენ პურ-მარილით.

ვეინახები მიცვალებულის წლისთავზე დოლს იხდიდნენ. მ. ალბეთაშვილის ცნობით, პანკისის ქისტებში, მიცვალებულის დასაფლავებისთანავე, ჭირისუფალი საფლავზე ალამს დაარჭობდა, ეს იმის ნიშანი იყო, რომ მომავალ წელს დოღი უნდა გადაუხადოს მიცვალებულს. დოღის გადასახდელად ოჯახი მთელი წელი ემზადებოდა, მაგრამ ოჯახი ერთი თვით ადრე იწყებოდა. თუ ოჯახს საქონელი არ ჰყოფნიდა, ყიდულობდა დამატებით ცხვარ-ძროხას. საშუალოდ დოღში 40-მდე ცხვარი და 9—10 სული ძროხა იკვლებოდა, 15—16 ქვაბ არაყს და ლუდს ხდიდნენ. 20-მდე კოდ ხორბლის ფქვი-

ლის პურს აცხობდნენ. დანიშნული დღისათვის ყოველივე ამის მომზადებაში მეზობლები, ნათესავები და თანასოფლელები ეხმარებოდნენ. დოღის გამართვამდე ერთ კვირით ადრე შერჩეულ 9—13 ცხენს დააყენებდნენ გომურში და ბლომად აკმევდნენ თივა-ქერს, ყოველ დილა-საღამოს აბანავებდნენ მდინარეში; ავარჯიშებდნენ ჯირითში ცალკე ან სხვა ცხენებთან ერთად. დანიშნული დღის წინა საღამოს მოგროვდებოდნენ მეზობელ-ნათესავების მარჯვე ბიჭები, რამდენიმე ნათესავი მოხუცი კაცი და შეუდგებოდნენ საკლავის ხოცვას. ერთ-ერთი მოხუცი დაუვლიდა ყველას საკლავს, დაამწყალობებდა, შემდეგ გაიყვანდა თითოეულს განზე და ყელს გამოჭრიდა. როცა პირუტყვი სისხლისაგან კარგად დაიცლებოდა, იწყებდნენ გატყავებას, გატყავების შემდეგ ნაჭრებად ჭრიდნენ და მოხარშავდნენ. 40-მდე ცხვარ-ძროხის ხორცი მეორე დილამდე მოხარშული უნდა ყოფილიყო. დილას მოპატიჟე ცხენით ჩამოივლიდა და მთელი ხეობის სოფლების მაცხოვრებლებს, შინაურსა თუ გარეულს, მოიწვევდა დოღში. დილიდანვე იმართებოდა დაფა-ზურნა, იწყებოდა ხალხის მოდენა, ათასამდე სული მოგროვდებოდა. სოფლის განაპირას, ტრიალ მინდორზე, იქ, სადაც დოღში მონაწილე ცხენები უნდა მოსულიყო, დაარჭობდნენ ორმეტრიან ჯოხებს, რომლებზედაც მიმაგრებული იყო ფერადი ფარჩის ნაჭრები წარწერით: პირველი ცხენი, მეორე, მესამე და ა. შ., რამდენი ცხენიც იყო. მასპინძლის სახლის ეზოში კი, ფარდაგზე დაფენილი იყო მიცვალებულის ოთხი ხელი ტანისამოსი: ჩოხა, ახალუხი, პერანგი, შარვალი, ქუდი, პაჭიჭები, თამბაქოს ქისა, ჩუსტები, ქალამან-წინდა, მთლად უხმარი.

გაშლილ სამოსთან დილითვე მოვიდოდნენ ცხენებზე შემსხდარი მხედრები და მწკრივად დადგებოდნენ. ცხენებს ქოჩორი და ფაფარი დაწნული ჰქონდათ რამდენიმე წვრილ ნაწნავად. ამ ნაწნავებში დატანებული იყო ფერადი ბაწრები, კუდის ძუაზე თავიდან ბოლომდე ფერადი ბაწრები ჰქონდათ დახვეული, რომ არ გაშლოდა. ტანისამოსთან მწკრივად დაყენებული ცხენების წინ დადგებოდა მოხუცი კაცი ხელში სასმელით (ლუდი), მიცვალებულის შესანდობარს დალევდა და მხედრებსაც დაალევინებდა. მიცვალებულის ტანისამოსის ირგვლივ მდგომი ქალები მოთქმით ტიროდნენ (მამაკაცის ტირილი ქისტებში მიუღებლად ითვლებოდა). შემდეგ მხედრები მიცვალებულის საფლავზე წავიდოდნენ და იქიდან გასწევდნენ იმ მხარეს, საიდანაც ცხენები უნდა გამოეჯირითებინათ. სადოღე მანძილი დაახლოებით 10 ვერსი ყოფილა (მანძილს გვარის უფროსი ადგენდა). ცხენების დაბრუნებამდე მინდორში, ალმებთან, დაფა-ზურნაზე, ახალგაზრდა ქალებისა და ვაჟების ცეკვა-თამაში იმართებოდა. როცა დოღში მონაწილე ცხენები ადგილზე მოვიდოდნენ, ყველა მხედარი მიიღებდა

თავ-თავის საჩუქარს. რა თქმა უნდა, პირველ და მეორე მხედარს უფრო ძვირფას საჩუქარს აძლევდნენ, შემდეგ ყველა, დიდ-პატარა წავიდოდა მედოღის ოჯახში პურის საჭმელად. ქისტური დოღი დაწვრილებით აღწერილი აქვს აღნიშნულ ავტორს „ივერიის“ ფურცლებზე 1902 წელს. ჩვენ მიერ ადგილზე ფიქსირებული ეს ტრადიციული წესი, ავტორისეულ აღწერასთან შედარებით, უფრო მოკლეა, ჩანს, მთხრობლებმა უკვე დაივიწყეს მისი თანმიმდევრობა და ამიტომ ვისარგებლეთ მ. ალბუთაშვილის მიერ გამოქვეყნებული მასალებითაც.

აღსანიშნავია ისიც, რომ მიცვალებულის სახელზე გამზადებული, ზემოთ აღნიშნული ოთხი ხელი ტანსაცმლიდან ერთს ოჯახში იტოვებდნენ, ხოლო სამს მისცემდნენ ვინც დოღში — დ ო ა ღ — პირველები მოვიდოდნენ. დოღში ცხენების გაჭენებამდე განსვენებულის სამოსთან ძ ი ქ ა რ-ის ე. ი. ღმერთისადმი ვედრების შესრულება იცოდნენ. 10—12 ხანში შესული მამაკაცი ტანსაცმლის გარშემო წრედ დგებოდა. ერთი წამოიწყებდა დამწუხრებული ხმით ძ ი ქ ა რ-ს და დანარჩენები ბანს აძლევდნენ:

ლა-ილაჰა ილალაჰა!
ჰოხ დისან დოლ ჲე დუნიე დიც დიეშ,
ოც ეეხირათიე უელცამან ვოალ ჰყო
დუნიენდ დისან ჰა ჰუმ, ჯააჩეულინ დელეჰ
ჰუან ჯოოჩილდ.
თახან ჰო დაგალესთ, ჰუან ტი ლიელუაშ დოლ
ჲე ღულუ.ჩ, უელცამან დოჰალ დაილდ ჰუან
ჰოხ ყესთინაჩ ჰა დიეძულან ჰოხ ჲისან ხა
ცაარნ ტი ჯიათაილ,
თახან გოურაშ მოჯეშ ბოლ ჲე მელ მალეიქაშ
ხოითუალბ ჰუან და ა. შ.

(შენ მიერ მიტოვებული ეს ქვეყანა, ღმერთმა დაგვავიწყებინოს და სამოთხეში მოგახვედროს. ქვეყნად დარჩენილი შენი რამე შენ შეგეწიოს. დღეს შენს სახელზე გამზადებული ეს ხარჯი სამოთხეში დაგიხვდეს, შენი დაკლებული სიცოცხლის დღეები ოჯახის წევრებს შეემატოს და ა. შ.).

ამის შემდეგ მხედრები, როგორც ზემოთაც ითქვა, მიცვალებულის საფლავზე მიდიოდნენ და იქიდან კი დანიშნულ ადგილზე, საიდანაც ხდებოდა ცხენების გამოჭენება.

ძ ი ქ ა რ-ის თქმა იციან აგრეთვე მიცვალებულის ოჯახიდან ეზოში გამოტანის შემდეგაც. ამ დროს წყდება ქალების ხმამაღალი ტირილი. ამჟამად, ძიქარის თქმით, მიცვალებულის გარშემო რამდენჯერმე

შემოვლაც იცოან, შემდეგ გაჩერდებიან, წინ გაშლილი ხელებით ჩუმად გაიძეორებენ ბოლო სიტყვებს და ამით დაამთავრებენ ამ რიტუალს. მიცვალებულის ეზოდან გატანის შემდეგ, ძ ი ქ ა რ ი-ს თქმით, მივლენ სასაფლაოს კარებამდე.

ბ ო ლ ო თ ქ მ ა

განხილული მასალა კავკასიის მთიანეთის აღნიშნულ რეგიონებში გამოყენებული ქალისა და მამაკაცის სამოსის აღნაგობის, დამზადებისა და მოხმარების ნათელ სურათს იძლევა, მკაფიოდ ავლენს მათ ზოგადკავკასიურ ხასიათს და ლოკალურ სპეციფიკურ ნიშნებს.

XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში წოვა-თუშები და ვეინახები, დანარჩენი მთიელების ანალოგიურად, სამოსისათვის ფართოდ იყენებდნენ შინამრეწველობის ბაზაზე მატყლისაგან დამზადებულ ქსოვილს. შინ მოქსოვილი შალი ჩვენი საუკუნის 30—50-იან წლებამდე შემორჩა ძირითადად იმ ოჯახებში, ვისაც განვითარებული საოჯახო მეურნეობა გააჩნდა. სამოსად, შალთან ერთად, გამოყენებული იყო შინაური და გარეული ცხოველების ტყავი. ამ მასალისაგან მზადდებოდა ცენტრალური კავკასიონის სხვა მთიელების ჩაცმულობის ელემენტებიც, რომლებსაც ჰქონდათ თავისებური ლოკალური ნიშნები.

აღნიშნულ პერიოდში სავაჭრო დუქნებში თავი მოიყარა ფაბრიკულმა საქონელმა, რომელმაც კონკურენცია გაუწია ადგილზე დამზადებულ საქონელს. ბარის რაიონებში შესული ფაბრიკული პროდუქცია თანდათანობით მთის რაიონებშიც იჭრება. ამ გარემოებამ შეცვალა ქალის ჩაცმულობის ტრადიციული სახე, მისი ცალკეული ელემენტი, ზოგ შემთხვევაში მთლიანი კომპლექსიც კი, მხოლოდ ძველი თარგის შენარჩუნებით, რაც უფრო ეკონომიურად დაწინაურებულ ოჯახებში ხდებოდა. ამ მდგომარეობამ ნაწილობრივ გაათავისუფლა მთიელი ქალი იმ შრომატევადი საქმიანობიდან, რომელსაც ის საუკუნეების განმავლობაში ეწეოდა. ამასთან, ტრადიციულ ჩაცმულობას თანდათანობით საფუძველი შეერყა. ეს პროცესი წოვა- თუშებში და ბარის ვეინახებში შედარებით უფრო ადრე განვითარდა. ეს გაპირობებული იყო, ერთი მხრივ, ეკონომიკური მდგომარეობით, ხოლო მეორე მხრივ, ბეზობელი ხალხების სავაჭრო ცენტრებთან მჭიდრო კავშირით. ადგილზე ნაწარმი შალის სამოსის გვერდით ჩნდება ფაბრიკული წესით დამზადებული ქსოვილის (მაუდი, ჩითი, ლასტიგი, ატლასი) სამოსი. ჯუბის ადგილზე უბიანი კაბა, ქვედა და ზედა ტანი, ჩოხისა და ქათების მაგიერ მოსახლეობაში დამკვიდრდა ქალაქური ტიპის გარე

სამოსი „პალტო“, ბამბის წინდა, ფეხსაცმელი და სხვ. მაგრამ ხანდა-ზმულმა მანდილოსნებმა ბოლომდე უცვლელად შეინახეს თალხი ფე-რის განიერი სამოსი და თავბურვის წესები. მოხუც მიცვალებულსაც ადრინდელი ფორმის, ამასთან, ყველა ელემენტის შემცველი სამოსით მოსავენ.

ჩეჩნეთ-ინგუშეთში და პანკისის ქისტების ყოფაში თანდათანობით ინერგება თმის დასამალად თავზე დასახური ჩუხტა, კოჭებამდე გრძელი და განიერი ქვედა საცვალი, მიცვალებულის „მადლიანი პერანგი“, მისი გადასახვევი თეთრი ქსოვილი და სხვ. ახალი ეკონომიკური მოვლენების საფუძველზე შექმნილმა ამ კანონზომიერმა ფაქტორებმა მთაში იმ დონით ვერ პოვეს განვითარება, როგორც ბარში. მთის ეკონომიკური სივიწროვით იყო გამოწვეული ის გარემოებაც, რომ ვეინახები, გადასახვევი თეთრი ქსოვილის უქონლობის გამო, მიცვალებულს ნაბადში გადახვეულს მარხავდნენ, ხან კი შიშველ ტანზე უსვამდნენ თეთრი მიწის ტალახს. ვეინახებს გამოუვლია ის პერიოდიც, როცა შეუმოსავი ქალები იძულებული იყვნენ დღე ოჯახებში დამალულიყვნენ და ღამე, მამაკაცების დაძინების შემდეგ, გამოსულიყვნენ ეზოში.

მასალის შედარებითი შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ შალის დამზადების ტექნოლოგია (მატყლის დასუფთავება, დარეცხვა, დაჩეჩვა, დართვა, ქსოვა, ღებვა), სამოსის უთარგოდ გამოჭრის პრაქტიკა, ხელით კერვის წესები და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები ვეინახებში, წოვა-თუშებსა და აღმოსავლეთ საქართველოს ქალებს ძირითად ნაწილში ანალოგიური ხასიათისა იყო. საკითხთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიაში შეიმჩნევა კავკასიის ამ რეგიონისათვის საერთო ტერმინები. მაგ., ქართულად — ჩოხა, წოვა-თუშურად— ჩოჯა, ჩეჩნურად — ჩ ო ა, ინგუშურად — ჩოჯი, ქისტურად — ჩუაჯ; პერანგი წოვა-თუშურად — პერანგ, ქისტურად — პიერეინგ, ჯარა წოვა-თუშურად — ჯარნი, ჩეჩნურად — ჩარხ, ქისტურად — ჯაარ; მატყლი წოვა-თუშურად — თ ხ ე, ვეინახურად — თხა; საჩეჩელი წოვა-თუშურად — იეხქ, ვეინახურად — იახქ; თითისტარი წოვა-თუშურად — იაC, ვეინახურად — იაC; შალი წოვა-თუშურად — მაშ, ვეინახურად — მაშ და სხვ.

ვეინახი ქალის ერთი ხელი ტანსაცმელი შემდეგ ელემენტებს შეიცავდა: შიდა პერანგი, ქვედა საცვალი, ზედა პერანგი, წინსაფარი, ჩოხა ან ახალუხი (ან ტყავის ქურქი),თავშალი, სარტყელი, წინდები, მესტები და სამკაული, ხოლო წოვა-თუში ქალის სამოსს შეადგენდა: პერანგი, ქვედა საცვალი, ჯუბა, ფარეული, წინსაფარი, სარტყელი, ჩოხა (ან ტყავის ქურქი), მანდილ, კომოზ, ქიჩილ (თავსაკრავი), წინდები, ჩითები (ან ქალამანი) და სამკაული.

ამ რეგიონებში ქსოვილის დამზადების ტექნოლოგია, ჭრა-კერვის წესებისა და სამოსელის მოხმარების ფორმების გარეშე, რიგი საერთო ნიშანიც ვლინდება. მაგ., შიდა პერანგისა და ქვედა საცვლის თარგის ერთიანობა მეღავნდება როგორც ჩრდილო კავკასიის მთიელების (ვეინახები, ლეკები, ოსები), ისე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისა(თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი) და ბარის (კახეთი) ჩაცმულობაში. ასევე ერთიანობას ამჟღავნებს გარე სამოსის — ჩოხის — ძირითადი თარგიც (ამ სამოსს ჩაღმა-თუშები და კახელები ხშირად ქათიბს უწოდებენ), ლოკალური ნიშნების შენარჩუნებით.

ქისტურ წინსაფართან ანალოგიურია თუშური გოუგახვიფწ და მუხლსაფარა. ამ ელემენტს სამეურნეო და საზეიმო დანიშნულება ჰქონდა. წინსაფარი კავკასიაში ფართოდ გავრცელებული ელემენტია და იგი ყველა კუთხეში მეტ-ნაკლებად ერთი და იგივე ფუნქციის შემსრულებელი იყო. გარე სამოსელი—ტყავის ქურქიც—აღმოსავლეთ საქართველოში და ვეინახებში ჩვენი საუკუნის 40-იან წლებამდე ფართოდ გამოყენებული სამოსი იყო. ჩეჩენი, ინგუში და ქისტი ქალის სამოსში ახლად შესული ქვედა და ზედა ტანიც ქართველ მთიელებში გამოყენებული სამოსის ანალოგიურია, მაგრამ განსხვავებას იძლევა შეკერილობა, სხვადასხვა ფერის ქსოვილით, ბუზმენტითა და მაქმანით მორთვა (მეზობლების გავლენით შესულმა ამ ელემენტმა მთლიანად კი არ გამორიცხა ძველი, პირიქით, გაზარდა ელემენტთა რაოდენობა).

ოთხივე რეგიონის ქალის ჩაცმულობის კომპლექსში კარგად ჩანს მატერიალური შესაძლებლობა, სილამაზე, ამა თუ იმ ნაწილის გამძლეობის უზრუნველყოფისათვის დამატებითი ნაჭრების ჩაკერება, ფერების ერთიმეორეში შეხამება, გაუთხოვარი ქალის და პატარძლის სამოსის ნაწილობრივ ერთიანობა და სხვ.

XIX ს. მეორე ნახევარსა და XX ს. დასაწყისში მთასა და ბარში გამოყენებული მამაკაცის სამოსის ფორმები, ერთობასთან ერთად, ავლენდა თავისებურებას, რომელიც განპირობებული იყო როგორც ბუნებრივი პირობების განსხვავებით, ისე მოსახლეობის ეკონომიკურ-კულტურული დონით, ტრადიციისა და ესთეტიკურ მიდრეკილებათა განსხვავებით, რაც მკაფიოდ ჩანდა ყველა შემთხვევაში. ა. რობაქიძე წერს: .., „მატერიალური კულტურის ელემენტებში, რომლებიც თავისი გავრცელების რეგიონისათვის დამახასიათებელი ადგილობრივი რესურსების კვალს ატარებენ, ეთნოსპეციფიკური ფაქტორის მიკვლევა გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ არის კულტურისა და ყოფის რეალიები, რომლებიც ეთნიკური ტრადიციის თავისებურებას უფრო აშკარად გამოხატავენ. ასეთია, მაგ., ტანსაცმელი, კულინარია, ქორეოგრაფია და სხვა მრავალი". ცხადია, ჩვენი

საკვლევი რეგიონის მოსახლეობას, სამოსის შექმნა-ჩამოყალიბების პროცესში, საკმაოდ ხანგრძლივი კულტურული, ეკონომიკური და ეთნიკური ურთიერთობა აკავშირებდა მეზობელ ხალხებთან. ნებისმიერი ეთნოგრაფიული თუ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელიც, რომელიც სხვა გარემოში მოხვდებოდა, ნებსით თუ უნებლიეთ, ცვლიდა თავისი სამოსის ზოგიერთ ნიშანს უმჯობესით და, ალბათ, ესაა მიზეზი, რომ კავკასიაში მამაკაცის სამოსის ფორმებმა არაიშვიათად ერთმანეთის მსგავსი სახე მიიღო, ხოლო ქალის სამოსი შედარებით განსხვავდება ერთმანეთისაგან.

გამოსაკვლევ რეგიონებში, კერძოდ, ვეინახებში, თუშებში, მამაკაცის სამოსის ძირითად ელემენტად ჩოხა-ახალუხი დგინდება. ამის მაუწყებელია როგორც წერილობითი, ისე არქეოლოგიური, საარქივო და საველე-ეთნოგრაფიული მასალები. ჩოხა-ახალუხი გავრცელებული იყო როგორც საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, ასევე ჩრდილო კავკასიის მთიელებში. ვეინახებისა და თუშების საბრძოლო, საზეიმო, საქორწინო, სამუშაო, სანადირო სამოსშიც ერთნაირი ელემენტები მეორდება სრული ან ნაკლები ოდენობით (მაგ.: მონადირის, მწყემსის ან გლეხის სამოსში). აღსანიშნავია ისიც, რომ ქისტურ სამოსში დგინდება კახური ტიპის ქულაჯა — ქ უ ლ ა ჯ, ქალამანი — ქ ა ლ ბ ა ნ ა შ, ჩექმები — ჩ ე ა ქ მ ა შ. ამასთან, სამოსის სხვა ელემენტების სახელწოდებებშიც ქართულთან მსგავსება ჩანს: შარვალი — შ ა რ ვ ა ლ ჩოხა — ჩ ო ა, ჩ უ ა ჯ, ხალათი — ხ ა ა ლ ა თ, ქუდი — ქ უ ი, კალოში — ქ ა ლ უ ა შ, „ჟილეტი" — ჟ ი ლ ე ტ, თექა — თ ი ე ქ და სხვ. წოვა-თუშებიც ჩოხას ჩ ო ჯ ა-ს უწოდებენ, ხალათს — ხ ა ლ ა თ, თექას — თ ე ქ. გვხვდება აგრეთვე სხვა სახელწოდებათა პარალელებიც: ყაბალახი წოვა-თუშურად — ბ ა შ ლ ა ყ, ვეინახურად — ბ ა შ ლ ა ჯ, ტყავის ქუდი — ჭ ა ჭ ე — ქუდ, ვეინახურად — ჭ ა ჭ ა ნ — ქ უ ი, პაჭიჭები — ფ ი ზ კ ი, ვეინახურად — ფ ი ე ზ გ ა შ, ხანჯალი — შ ა ლ თ, ვეინახურად — შ ე ლ თ და სხვ.

ვეინახი და წოვა-თუში მამაკაცის სამოსში შემავალი ელემენტებიდან მსგავსებას იჩენს ჩოხა-ახალუხის, შიდა და ზედა პერანგის თარგი, ტყავის სამწყემსო ქუდები, პაჭიჭები, ქამარ-ხანჯლები, მასრები და სხვ. მათი განსხვავება ვლინდება სამოსის ჭრილებში, სიგრძეში, სამასრეების დაკერებაში, გაფორმებაში და სხვ. თავდაპირველი ვეინახური ჩოხა სიგრძით მუხლს ფარავდა, სამასრე ბუდეები მთელ მკერდს ფარავდა, შემდგომ პერიოდში ჩოხას სიგრძეც მოემატა, სამასრე ბუდეები (სიგრძეში) შემცირდა და გამოყენებული იქნა მხოლოდ სილამაზისათვის, სამკაულის ჩასადებად. ვეინახებში სპეციალურად სამწყემსო, სამუშაო სამოსის დამზადების ტრადიცია არ

დგინდება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ვეინახი მამაკაცის გულისპირი (მ ა ნ ი შ ქ), რომელიც ასრულებდა პერანგის ან ახალუხის როლს. ამ ელემენტის არსებობა სხვა მეზობელ მთიელებში არ დგინდება. მის ვეინახებში გაჩენას საფუძვლად ედო ეკონომიკური სივიწროვე და მათი ესთეტიკური მიდრეკილება.

ვეინახი ხანდაზმული მამაკაცები ჩვენს დროშიც იცვამდნენ მაღალსაყელოიან პერანგს, ახალუხს, გარიბანდულ და ნაბდის ქუდს, შინ მოქსოვილ წინდებს, დაბალ და მაღალყელიან ტყავის ფეხსაცმელს (მეჰაციეშ, ხულჩიეშ), ატარებენ ბალთებიან ქამარ-ხანჯალს და სხვ. იშვიათად იცვამენ მასრებიან ჩოხას. ამის მასიურად გამოუყენებლობის მიზეზად მოსახლეობა თვლის შინ მოქსოვილი შალის უქონლობას. მათი აზრით, ფაბრიკული წესით დამზადებული შალისაგან შეკერილ ჩოხას თავისი პირვანდელი იერ-სახე დაკარგული აქვს და მოწონებას არ იმსახურებს. ნაბადი და თექაც მწყემსებში ფართოდ იყო გავრცელებული და ახლაც ამზადებენ.

რაც შეეხება მიცვალებულის შემოსვას, ის მუსლიმანური დაკრძალვის წესთანაა შეუღლებული. ამ წესის მიხედვით, მიცვალებულის გასვენება ხდება საკაცით (ლ ა ა მ ი), კუბოს გარეშე. გარდაცვალებისთანავე განბანილ მიცვალებულს სამპირ თეთრ მიტკალში ვაახვევენ და ისე ასაფლავებენ. ჩრდილო კავკასიის ვეინახებისაგან განსხვავებით, პანკისის ქისტები მიცვალებულ მამაკაცს „მადლიან პერანგს“ და ზედა და ქვედა საცვალს აცვამენ, ხოლო ქალს „მადლიან პერანგს“, სამ პერანგს და ქვედა საცვალს.

წოვა-თუში მამაკაცის სამოსიც შარვალ-ხალათი (პერანგი) იყო, რომლის ზემოდან ხმარობდნენ ახალუხს, ჭულაჯას (ქათიბს) ან ჩოხას (ქახური ჩოხის მსგავსს), ფეხზე ჭრელ წინდებს, ჩუსტებს, თავზე თუშური ნაბდის ქუდს. წოვათუშური საზეიმო და საქორწინო სამოსიც მასრებიანი ჩოხა და ახალუხი იყო, რომელიც შინ დამზადებული მაღალი ხარისხის რუხი. წენგოს ფერი შალისაგან კავკასიური ტიპის ჩოხის თარგზე იყო შეკერილი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში და ბარში (ფშავში, ხევსურეთში, კახეთში) და ჩრდილო კავკასიის მეზობელ მთიელებში (ვეინახებში, ოსებში, დაღესტნელებში) მწყემსისათვის სპეციალური სამოსის დამზადების ტრადიცია არ დგინდება, როგორც ეს წოვა-თუშებშია დადასტურებული. აქ მწყემსისათვის გამზადებულ სამოსის თითოეულ ელემენტს გააჩნდა ხმარების ვადა. გაზაფხულზე, სანამ ცხვარი საზამთრო სადგომებიდან მთის იალაღებისაკენ დაიძვრებოდა, დიასახლისს, ვადაგადასული ელემენტების ნა-

ცვლად, ახალი გამზადებული უნდა დაეხვეჭრებინა. მთელი წელი ოჯახიდან წასული მამაკაცი გაზაფხულზე ცხვარს მოჰყვებოდა. როცა ცხვარს მთის ძირში მოიყვანდნენ, მწყემსები 3—4 ღლით, რიგრიგობით თავინთ ოჯახებში შევიდოდნენ, გამოიცვლიდნენ სამოსს, მთისთვის საჭირო ნივთებს, პროდუქტს ხურჯინებში მოათავსებდნენ და ცხვართან ერთად მთისკენ იღებდნენ მიმართულებას.

წოვა-თუშების ძირითადი სამკაული ვერცხლის ან ძვლისთავებიანი მასრები და ვერცხლის, რკინის ან ბრინჯაოსბალთებიანი ქამარ-ხანჯალი იყო. მამაკაცები ხელზე სამკაულს არ ატარებნდენ.

თუშები მიცვალებულს წელიწადის ყველა დროში გამოსაყენებელ სამოსს აცმევდნენ. სამკაულს სამარის პირას უხსნიდნენ. დარჩენილ სამოსს სოფელში ღარიბებს აძლევდნენ. თუ მიცვალებულს ცხენი ჰყავდა, დედისძმას ან ძმობილს მიუყვანდნენ.

ამრიგად, ვეინახი და წოვა-თუში მამაკაცის სამოსის ერთმანეთთან და მეზობელ მთიელთა სამოსთან შედარების მეთოდით შესწავლამ გვიჩვენა სამოსის თვითმყოფი ელემენტების განვითარების შედეგად მისი ახალი დეტალების შევსების პროცესი (პერანგის გვერდებზე შეყენებული აზლოტები, იღლიის ქვეშ ხიშტაკები, პერანგის მაღალი საყელო, სამაჯურები და სხვ.). მსგავსება ჩანს აგრეთვე შარვლის მუხლს ქვემოთ დავიწროებული ტოტებით, მაგრამ განსხვავებულია შარვლის უბე, წელზე მოკერებული უხეში სარტყელი და პაჭანიკები. ასევე ჩოხა-ახალუხის ზოგიერთი დეტალი, მაგალითად, ჩოხის სიგრძე და სამასრეების მიკერების სხვადასხვაობა, ჩოხის შემკობა, საზურგის ზოგიერთი ჭრილი, სახელოების სიგრძე და სხვ. ეს შეიძლება ითქვას აგრეთვე ტყავის ქუჩქზე, თავსაბურავებზე და ფეხსამოს-ფეხსაცმელზე.

ქისტი მამაკაცის სამოსზე დიდი გავლენა იქონია თუშებისა და კახელების სამოსმა. მათი ახალ გარემოში (პანკისში) გადმოსახლების დროს ეროვნულ სამოსს სრულიად ჩამოყალიბებული სახე ჰქონდა მიღებული, მაგრამ ეკონომიურმა სივიწროვემ სულ მალე შეცვალა მათი სამოსი ადგილობრივი სამოსით. ამიტომ ახალ პირობებში ქისტებმა ახლებურად წარმართეს თავიანთი ცხოვრება. ქისტების უმრავლესობამ მიივიწყა ტილოს (შინნამზადი შალის) ქსოვის ტრადიცია. გადავიდნენ ფაბრიკული ქსოვილის გამოყენებაზე — სამოსის ძველი თარგის შენარჩუნებით. მამაკაცის სამოსში სულ მალე გაჩნდა თუში და კახელი მოსახლეობის მიერ გამოყენებული ქულაჯა, ქალამანი, ხალათი და სხვ. პანკისის ხეობაში ცხოვრების პერიოდში ქისტების ერთ ნაწილს დიდხანს არ დაუკარგავს წინარე სამშობლოსთან ნათესაური ურთიერთობა და ხშირი იყო იქ წასვლის და იქიდან მოსვლის შემთხვევები. ესეც ერთდაგვარად ხელს უწყობდა მათ ყოფაში ვეინახური სამოსის შენარჩუნებას, მაგრამ ახალვაზრდა მამაკაცები უმეტეს,

შემთხვევაში, კახეთში ხმარებულ სამოსს იცვამდნენ. ხოლო ხანდ-ზმულობის დროს კი ისევ მამაპაპური სამოსით იმოსებოდნენ. დროთა განმავლობაში ვეინახი მამაკაცის სამოსს დაემატა ხალათი, რომელიც, არსებითად, პერანგის თარგზე იჭრებოდა, მაგრამ, პერანგისაგან განსხვავებით, ჯიბეები და საყელო ჰქონდა. ამ ელემენტმა შეცვალა ახალუხი, ხოლო ეს უკანასკნელი გადაიქცა გარე სამოსად. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაყენებული (მაღალი) საყელო შეცვალა გადაკეცილმა საყელომ, მაგრამ ხანშიშესულ ვეინახ მამაკაცებში მაღალსაყელოიანი ხალათი უფრო დიდ მოწონებას იმსახურებდა. გადაკეცილსაყელოიან ხალათს ახალგაზრდები იცვამდნენ. ხალათი კავკასიაში ფართოდ იყო გავრცელებული და მას კუთხეების მიხედვით თავისებური განსხვავებული ნიშნები ჰქონდა.

როგორც მასალებიდან ირკვევა, იმიერ- და ამიერკავკასიის ხალხთა ტანსაცმელი მათ შორის უძველესი დროიდანვე მიმდინარე ურთიერთობის საფუძველზე ვითარდებოდა, იქმნებოდა სამოსის ესა თუ ის ახალი ელემენტი, რომლის ფორმირება (დახვეწა) ხდებოდა ერთმანეთის ზეგავლენის პროცესში. ჩრდილო კავკასიის ვეინახებისათვის ეს გავლენა მოსალოდნელი იყო როგორც მეზობელი ქართველებიდან, ასევე ოსებიდან, დაღესტნელებიდან და პირიქით.

ნაშრომში თავმოყრილი მასალა სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებად არის ცნობილი და იგი მკითხველისათვის და საკითხით დაინტერესებული პირისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება.

IV

V

VII

VIII

ОДЕЖДА, КОТОРАЯ НЕ ПОДЛЕЖИТ ИЗМЕНЕНИЮ МОДЫ

Резюме

В работе рассмотрены цова-тушинская и вейнахская (чеченцы, ингуши, кисты) женская и мужская одежда в сравнительном плане.

Показано развитие костюма в разные исторические периоды.

На основе письменных, архивных и этнографических материалов сравниваются элементы, относящиеся к одежде и способы их изготовления. Выявлены идентичные стороны выкройки с одеждой соседних горцев. Выделены характерные элементы парадной одежды, включая обувь, головной убор и украшения.

На основе рассмотренного материала делается вывод, что народы Кавказа, наряду с самобытной одеждой, имеют элементы, характеризующиеся отличительными особенностями, присущими тому или иному краю или области. К таковым относятся: мужская чоха-ахалух (черкеска), головной убор различной формы, рубашка, называемая «халат», обувь, женская рубашка и т. д., где проявляется своеобразие в раскрое, длине, в пришивании газырей и оформлении того или иного элемента.

Женская одежда цова-тушин и вейнахов различается внешним видом и формой ношения, однако выкройки некоторых элементов имеют сходство между собой и элементами одежды народов Центрального Кавказа.

В работе рассмотрены традиции, связанные с одеждой, что представляет не менее важный интерес.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I—I წოვათუშური გულისპირი — ფარაგა, 2. ზედატანი — ყღარლარე რუბაშქ. 3. წინსაფარი — გოუგახკიფწ.
ტაბ. II—I. კომოზ, 2. ქიჩილ, 3. მანდილ.
ტაბ. III — წოვა-თუშები საგარეო და საპატარძლო სამოსში.
ტაბ. IV—I. წოვა-თუშები (გადაღ. 1915 წ.), 2. ნეფე-პატარძალი (მალო და კოტე ჯემოშვილები).
ტაბ. V—წოვა-თუში გაბრიელ იოსების ძე ცისკარიშვილი (გადაღ. 1886 წ.).
ტაბ. VI—XIX ს. მეორე ნახევრისა და XX ს. დასაწყისის წოვა-თუშების გამოჩენილი პირები მარჯვნიდან მარცხნივ, დგანან: ივანე ალექსის ძე ბუქურაული, დავით ივანეს ძე ცისკარიშვილი, შაქრო სვიმონის ძე ცისკარიშვილი; სხედან: დავითი ნიკოს ძე ქადაგიძე, მიტო ზაქარიას ძე მეშტარაული, ივანე დავითის ძე ცისკარიშვილი, ნიკოლოზ იკალეს ძე ცისკარიშვილი და ანდრო დავითის ძე ბუქურაული.
ტაბ. VII—I. წოვა-თუშები ყოველდღიურ სამოსში, 2. წოვა-თუშები.
ტაბ. VIII — ინგუში ქალიშვილები საზეიმო სამოსში.
ტაბ. IX — ჩეჩენი ქალები საზეიმო სამოსში.
ტაბ. X—I. ქისტი პატარძლის სამოსი, 2. ჩეჩენი პატარძალი.
ტაბ. XI—I. ჩეჩენი და ინგუში ქალის გულისპირის სამკაული, 2. ინგუში ქალის ქუდები.
ტაბ. XII—I. ყელის სამკაული, 2. საყურეები.
ტაბ. XIII — ქალის ქამრები.
ტაბ. XIV — მამაკაცის ახალუხი.
ტაბ. XV — მამაკაცის ჩოხა.
ტაბ. XVI — ქამარ-ხანჯალი.
ტაბ. XVII—I. ხუნჩა, 2. ნაბდის მაღალყელიანი ფეხსაცმელი.
ტაბ. XVIII — I. ნაბადი, 2. ბუხარული ქუდი, 3. სამწყემსო ქუდი, 4. ყაბალახი.

ფერადი ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I — წოვა-თუში ქალის საზეიმო კოსტიუმი.
ტაბ. II — ქისტი ქალის საზეიმო კოსტიუმი.
ტაბ. III — ჩეჩენი ქალის საზეიმო კოსტიუმი.
ტაბ. IV — ინგუში ქალის საზეიმო კოსტიუმი.
ტაბ. V — წოვა-თუში მამაკაცის კოსტიუმი.
ტაბ. VI — ქისტი მამაკაცის კოსტიუმი.
ტაბ. VII — ჩეჩენი მამაკაცის კოსტიუმი.
ტაბ. VIII — ინგუში მამაკაცის კოსტიუმი.

II



1

CABINET PORTRAIT

VI

VIII



XII



XIV





XVI



XVIII



რა წავიკითხოთ ტანსაცმელთან დაკავშირებით ქართულ ენაზე

1. ვახუშტი ბაგრატიონი. ქართლის ცხოვრება. IV. თბ., 1973.
2. ივ. ჯავახიშვილი. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. III—IV. თბ., 1962.
3. ლ. ბოკორიშვილი. კახური ჩაცმა-დახურვა. — ანალები. 1. თბ., 1958.
4. თ. ოჩიაური. ხევსური ქალის თანამედროვე ჩაცმულობა. — მსმ. V. თბ., 1953.
5. ი. ციციშვილი. მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის. თბ., 1954.
6. გ. ჩაჩანიძე. ქართველი ხალხის კოსტიუმი XIX ს. — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ტ. XIX-A და XIV-B. თბ., 1957.
7. ლ. მოლოდინი, გ. ჩაჩანიძე. ქართული კოსტუმის კატალოგი. I. ხევსური. თბ., 1964.
8. ნ. ჩოფიკაშვილი. ქართული კოსტუმი (VI—XIV სს.). თბ., 1964.
9. ნ. გვათუა. ქართველი ქალის ტანსაცმელი XIX ს. და XX ს. დასაწყისში (დისერტაცია, ხელნაწერი). თბ. 1968.
10. ც. ბეზარაშვილი. თუში ქალის ტალავარი, თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის. თბ., 1967; მისივე. ქალის სამოსელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. თბ., 1974.
11. ლ. მარგოშვილი. ცენტრალური კავკასიონის მთიელი ქალის ტანსაცმელი. თბ., 1980.
12. ც. ბეზარაშვილი, გ. ჯალაბაძე. ქართული ხალხური ტანსაცმელი, თბ., 1988 და სხვ.

რუსულ ენაზე

13. Э. Н. Студенецкая. Одежда. — Культура и быт народов Северного Кавказа. М., 1968; ее же. Одежда чеченцев и ингушей XIX—XX вв. — Новое и традиционное в культуре и быту народов Чечено-Ингушетии. Грозный, 1985.

14. Е. И. Крупнов. Средневековая Ингушетия. М., 1971.

15. Г. А. Сергеева. Одежда народов Дагестана и Чечни (по материалам Государственного исторического музея). — КЭС. VI. М., 1976.

16. Л. Ю. Маргошвили. Мужская одежда вейнахов (конца XIX — начало XX в.). — КЭС. Тбилиси, 1986.

შინაარსი

რედაქტორისაგან 3
წინათქმა 6
I. მასალა და ჭრა-კერვის ტექნიკა 14
1 მასალა 14
2 ჭრა-კერვის ტექნიკა 28
II. წოვათუშური ტანსაცმელი 33
1 შიდა და გარე სამოსელი 42
2 ვარცხნილობა და თავბურგა 57
3 ფეხსამოსი და ფეხსაცმელი 61
4 სამკაული 64
5 მიცვალებულის სამოსელი 65
III. ვეინახური ტანსაცმელი 74
1 შიდა და გარე სამოსელი 81
2 ვარცხნილობა და თავბურვა 107
3 ფეხსამოსი და ფეხსაცმელი 118
4 სამკაული 122
5 მიცვალებულის სამოსელი 127
ბოლოთქმა 138
ტაბულების აღწერილობა 146
რა წაიკითხოთ ტანსაცმელთან დაკავშირებით 147

Лейла Юсуповна Маргошвили

ОДЕЖДА, КОТОРАЯ НЕ ПОДЛЕЖИТ ИЗМЕНЕНИЮ МОДЫ

(на грузинском языке)

ТБИЛИСИ
«МЕЦНИЕРЕБА»
1992

დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 4611

გამომცემლობის რედაქტორი ლ. ჯ ვ ე ბ ე ნ ა ვ ა
მხატვარი ნ. ც ა თ ა შ ვ ი ლ ი
მხატვრული რედაქტორი ლ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე
კორექტორი დ. ჩ ხ ვ ი მ ი ა ნ ი
გამომშვები ე. მ ა ი ს უ რ ა ძ ე

გადაეცა წარმოებას 4.12.91; ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.5.92;
ქაღალდის ზომა 60×84 1/16; ქაღალდი № 2; ბეჭდვა მაღალი
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდი თაბახი 11,
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 9.79.

ტირაჟი 370; შეკვეთა № 2611

ფასი 11 მან. 70 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Грузии, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19